# კვირის პალიტრა

32 გვ

ყოველკვირეული გაზეთი

№ 45 (290) ◆ 6 — 12 ნოემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ლაპარაკი არ არის რეპრესიებზე, ქონების წართმევაზე...



— მთავარი ამ ეტაპზე, ის არის, შეიტანეთ თუ არა შეძენილი ქონება საშემოსავლო დეკლარაციაში და მთავარია, გადავიხადოთ გადასახადები!..

გვ.3

*დავით უსუფაშვილი*

— ბუშის გამარჯვების შემთხვევაში, არა მგონია მკაცრად მოგვთხოვონ დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულება... მაგრამ ნებისმიერ ადმინისტრაციას სჭირდება სანდო პარტნიორი, დღეს ჩვენ სუსტი სახელმწიფო, ანუ არასანდო ვართ...

*გია ნოდია*

## ვინ „დაიპყრობს“ უშიშროებას

გვ.5

**თბილისში ახალი ჭორია...**

— უშიშროებას კუთვნილი შენობიდან გაიყვანენო...

— ამბობენ, აქ სასტუმრო აშენდებაო.

— შენობაზე თვალი ნუგზარ შევარდნაძეს უჭირავსო...

რას ფიქრობენ თავად „ჩეკისტები“...

## თბილისი ყველაზე ლამაზად უკვდავყო რევაზ ლაღიძემ

გვ.31

**საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

## 3 მილიარდიანი „ლას-ვეგასი“ მთაწმინდაზე

გვ.6




— ამაშენებინეთ მთაწმინდაზე, თორემ იალტაში ისედაც მეხვეწებიან...

— რატომ იქნება ცუდი, თუკი მთაწმინდაზე გავაშენებთ დიდ პარკს, გასართობ კომპლექსს და ტურისტულ ცენტრს... თუ არ გვინდა კაზინოები, კი ბატონო, ნუ გავაკეთებთ... მოვაწყოთ ღვინის სახლი — ათასი სხვა რამ...

საზღვარგარეთ ძალიან ბევრი სახლი ამიშენებია, მაგრამ თბილისში ცოტა...

## სასაზღვროს ხალხმა ისეთი რამე შემომთავაზა, გადავირიე კაცი...

— „ტანჯულა“ ისეთ ადგილებში გაივლის, „ბელორუსიც“ რომ „დაბუქსავდება“...

— ერთ ასეთ ჯიპს თვე-ნახევარში ავაწყობ.

— მანქანის იდეა მაქვს, ჩვენი ჯარისთვის მისწრება რომ იქნება...

— სომხეთის თავდაცვის სამინისტროდან მთავაზობენ დიდ ფულს, მაგრამ საქართველოს დატოვება მეძნელება.



„ტანჯულა“

გვ.8

## უცნაური ტრაგედია ფოთის ტრასაზე

გვ.5

ეს უფრო მსოფლიო მასშტაბის სენსაციაა...

წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ასეთ „კურიოზულ“ სიტუაციაში ადამიანი დაიღუპოს... მომხდარი ფაქტი კანონმდებლობით ავტოსაგზაო შემთხვევას არ განეკუთვნება...

## — თქვენი სიყვარულით ვზივარ პარლამენტში... თორემ სახლში ისეთი „კნიაგინია“ მყავს...



— ჩემზე ამბობენ, — სადღაც დაძვრებაო. კი არ დავძვრები, დავდივარ... ვინც ქვანიასთან ალიანსის მაბრალებს, ან გიჟია, ან პროვოკატორი... რა, ჩუმად გავიყვანო ხოლმე გვერდით და ყურში ვუჩურჩულო? დააყენონ ის კაცი თავის ადგილზე და დამაყენონ მეც...

გვ.6

## სამხედრო თემაზე:

ეს გარემოება დიდი საიდუმლოების ბურუსშია გახვეული და მისი გაზეთის ფურცლებზე გამოტანა (ჯერჯერობით მაინც) შეუძლებელია.

გვ.9

## მიაქციეთ ყურადღება: „კვირის პალიტრას“ სწერენ...

...ყვირილის ხეობის გასაჭირი — ქართულმა სოფლებმა დღემდე არ იციან, ვინ არის მათი პატრონი...

...უტრანსპორტოდ დარჩენილი გლდანელები;

...მართლა ისეთი კარგია ნავთობსადენის გაყვანა? — თუ მიწას გაგაყიდინებენ, ეს ყველაფერი უნდა იცოდეთ.

გვ.14

## ყვირილი ბარენცის ზღვის ფსკერიდან...

*უკანასკნელი წერილი: „ყველა მეზღვაური მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე სექტორებიდან მეცხრისკენ დაიძრა. იქ უკვე 23 კაცია. ჩვენ ეს გადაწყვეტილება მაშინვე მივიღეთ, მაგრამ...*

*...ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ააღწევს ზედა ბაქნამდე“.*

გვ.9



## ბარიერებს შეჩვეული თოფაძე „კასტელს“ ბარიერად არ მიიჩნევს



— ქუჩაშიც ხშირად ვყოფილვარ... მიჩხუბია კიდეც და ყომარიც მითამაშია... ორჯერ გამრიცხეს სკოლიდან, თუმცა, მერე, ყველას გასაოცრად, ოქროს მედლით დავამთავრე.

— ჩვენი გვარის კაცებს (ადრეც) შეძლებული ოჯახები ჰქონდათ.

— „უკუსადღეგრძელოებით“ ნუღარ დალევთ ჩემს ლუდს...

გვ.26

## ზუგდიდის დადიანისეული სასახლიდან (ახლანდელი მუზეუმი) 8000-ზე მეტი ექსპონატი გაქრა

...რატომ გამოიჩინა გულგრილობა ზუგდიდის პროკურატურამ...

...რატომ არ ატეხა ახალმა მთავარმა მცველმა განგაში, როცა 8.000-მდე ექსპონატი ვერ მიითვალა?

გვ.7

## სპორტი:

ტუაფსელი 25 წლის ვლადიმირ კრამნიკი მსოფლიოს ახალი ჩემპიონია ჭადრაკში.

გვ.29

## ვერსია

## განგებამ ინება, რომ მამა-შვილი გელოვანები იმ ღამით გენახა...

წამიც და, ორივემ დააძრო იარაღი და ჩემი მიმართულებით ატეხა სროლა. ტყვიებმა სულ ახლოს ჩამიწუილეს, მაგრამ ბედად, არც ერთი არ მომხვდა. გვერდით ლოდი ეგდო და იმას ამოვეფარე. ამასობაში ბიჭებმაც გახსნეს საპასუხო ცეცხლი... კოცონის შუქზე მოწინააღმდეგეები კარგ სამიზნეს წარმოადგენდნენ...

გვ.10


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო ტელე-კინოაფიშა 6 — 12 ნოემბერი



გვ. 16-17

## ათასწლეულის ბოლოს! ელოდეთ „კვირის პალიტრის“ საოცარ პროექტს...


Литература · Неделя · КОММАНДОС · ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ · ТЕЛОХРАНИТЕЛЬ · За РУБЕЖОМ · МОСКОВСКИЕ НОВОСТИ · Newsweek · FOCUS · Общая газета · DER SPIEGEL · КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА · МК · stern · СЕГОДНЯ · Клюква · ИЗВЕСТИЯ · ТРУД · СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО · АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ · Иностранец · LE FIGARO magazine · PARIS MATCH · ТВ ПАРК · ЛИЦА · ОГОНЁК · Коммерсантъ daily · le nouvel Observateur · Итоги



ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## თარგამაძე პარლამენტში „დაიბარეს“

მმართველ პარტიასა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის დაწყებული სკანდალი იმით „დამთავრდა“, რომ კახა თარგამაძე პარლამენტში დაიბარეს და ანგარიში მოსთხოვეს. საგულისხმოა, რომ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წევრების უმრავლესობას ხელში გაზეთები ეჭირა (განსაკუთრებით, ჭარბობდა „კვირის პალიტრა“), ყვითელ-მწვანე-წითელი ფლომასტერებით აჭრელებული, რითაც შემოხაზული იყო მინისტრის მიერ მოქალაქეთა კავშირის მიმართ გამოთქმული ბრალდებები და განცხადებები, შესაბამისად, მათ საფუძველზე დასმულ კითხვებზე საპასუხოდ. თარგამაძეს მთელი თავისი გამოცდილების, ოსტატობის, იუმორის გამოყენება და, წარმოიდგინეთ, შიგადაშიგ დედის დაფიცებაც მოუხდა... ძირითად დამრტყმელ არგუმენტად კი მინისტრს ის მოჰყავდა, რომ მოქკავშირის ცალკეულ ლიდერთა წინააღმდეგ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები იყო პასუხი თარგამაძის მიმართ მათ მიერვე პრესაში პერმანენტულად წარმოებული კომპრომატების ომისა და რომ მინისტრი მხოლოდ თავს იცავდა და სხვა მიზანი მის განცხადებებს არ ჰქონია. სხვათა შორის, უნდა ითქვას ისიც, რომ თარგამაძემ არათუ მოახერხა თავის დაცვა, არამედ კვლავაც იქით დასდო ბრალი მოქკავშირის აქტივისტს და ამჟამად ფინანსთა მინისტრს, ზურაბ ნოღაიდელს, რომ იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზინის გაუქმებას აპირებს, რითაც თარგამაძე დაკარგავს ოპერატიული მართვის საშუალებას, ამასთან, საბიუჯეტო თანხებიც შეამცირა და პოლიციელები უხელფასო და უმწეო მდგომარეობაში ჩაყარა... თარგამაძე მიშა სააკაშვილსაც გადასწვდა და მის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ გამოთქმული ციტატებიც მოიშველია. საბოლოოდ, თარგამაძემ კატეგორიულად დააფიქსირა, რომ ის არ არის და არც არასოდეს ყოფილა მოქალაქეთა კავშირის მტერი; ხოლო ის, რომ მინისტრი მართლაც ერთგული იყო ამ პარტიის, უნებლიეთ დაადასტურა ელენე თევდორაძემაც, რომელმაც გაიხსენა მინისტრის მიერ მასთან პირად საუბარში ნათქვამი, რომ არჩევნების ბედი აქ (თარგამაძის კაბინეტში) გადაწყდებაო(!). თევდორაძემ ისიც თქვა, რომ შემდეგ თარგამაძეს უარუყვია ეს განცხადება და ეს მაშინ, როცა ამ საუბარს მესამე პირიც, ანუ მოწმეც, ესწრებოდა. შესაბამისად, ქალბატონმა ელენემ ეჭვი შეიტანა თარგამაძის განცხადების გულწრფელობაში, რომ ის არ არის მოქკავშირის მტერი... თევდორაძე უფრო შორსაც წავიდა და თარგამაძე დაადანაშაულა იმ განზრახვაშიც, რომ მინისტრი... პრეზიდენტობისთვის მართლაც ემზადება! პასუხად, თარგამაძემ თევდორაძე შინ მიიპატიჟა სასაუბროდ და იმის სანახავადაც, თუ როგორ, რა პირობებში ცხოვრობს მინისტრი... ერთი სიტყვით, სხდომა-მოსმენა, ფაქტობრივად, არაფრით დამთავრებულა და მოთმინებადაკარგულმა კობა დავითაშვილმა თარგამაძის მიერ მოყვანილ არგუმენტებს და, საერთოდ, მის საქციელსა და მჭევრმეტყველებას ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ მასხარად აგდება უწოდა და მინისტრი მოქკავშირის ლიდერთა წინააღმდეგ შანტაჟის მცდელობაშიც დაადანაშაულა. დავითაშვილმა თარგამაძის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებაზეც ისაუბრა, თუმცა ამით არაფერი გამოვიდა.

## პრეზიდენტი აღფრთოვანებულია...

პრეზიდენტის ანტიკორუფციულმა შვიდკაციანმა ჯგუფმა სამთვიანი მუშაობის შედეგი გამოაქვეყნა. პროექტი, რომელსაც მრავლისმთქმელი სათაური აქვს, ასევე „მრავლისმთქმელი“ და ხმამაღალი ფრაზებისგან შედგება. ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებები, ფაქტობრივად, იმეორებს ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მიერ გაუთავებლად დეკლარირებულ ფრაზებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ(!). ანტიკორუფციული ბრძოლისთვის განსაზღვრული „რეცეპტის“ ორი პუნქტი კი, რომლებიც განსაკუთრებულად არის გამოყოფილი, სავალუტო ფონდის რეკომენდაცია-მოთხოვნას ემთხვევა — 15 დეკემბრიდან საგზაო პოლიციელებს ტრასებზე დგომა ეკრძალებათ, ჩინოვნიკებს კი სასახლეების, ავტომობილებისა და ქონების შეძენის კანონიერებას შეუმოწმებენ. პრეზიდენტი ანტიკორუფციული ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამით — აღფრთოვანებულია! (ვრცლად იხ. გვ. 3).

## ვინ განახორციელებს პროგრამას?

საინტერესოა, ვინ უნდა განახორციელოს ცხოვრებაში ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა? ანტიკორუფციული ჯგუფი დარწმუნებულია, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით და მათზე დაყრდნობით შეუძლებელია საქართველოში(!). სწორედ ამიტომ ჯგუფს კონტროლის პალატის როლი მიაჩნია უმთავრესად ამ ბრძოლაში, აგრეთვე, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების ამუშავება, მთავრობის წევრის ეთიკის კოდექსის შემოღება და ა.შ. საგულისხმოა, რომ ანტიკორუფციულ პროგრამაში ჩადებული ბევრი იდეის ავტორობას მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ლიდერები იჩემებენ და, როგორც ჩანს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში ჩასადგომად „კონკურენციაც“ დაიწყება! ღმერთმა ქნას, ამ საშვილიშვილო საქმეში მაინც გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს ხელისუფალნი! ერთი სიტყვით, ანტიკორუფციული პროგრამა ძალაში პრეზიდენტის ბრძანებულებისა და საპარლამენტო განხილვა-დამტკიცების შემდეგ შევა!

## დეპუტატები პარლამენტში უიარაღოდ შევლენ!

პარლამენტში დახურულ კარს მიღმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, უნდა გაძლიერდეს პარლამენტის შენობის დაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმი. გაირკვა, რომ დეპუტატთა ნაწილი პარლამენტში... იარაღით დადის, მათ შორის, სხდომათა დარბაზშიც შედის. ამიერიდან, იარაღის ტარების მოყვარული ხალხის რჩეულნი იარაღს პარლამენტის შესასვლელში დატოვებენ, აიღებენ სათანადო ჟეტონს, სხდომის შემდეგ კი კვლავ მიიღებენ იარაღს. ამ გადაწყვეტილების მოტივად ასახელებენ იმის მსგავს ფაქტს, რაც შარშან სომხეთის პარლამენტში მოხდა.

## გამგებელი მესაზღვრეების წინააღმდეგ

შატილთან რუსეთ-საქართველოს საზღვართან მომხდარი აფეთქების ფაქტს, რასაც ორი ქართველი მესაზღვრის სიცოცხლე შეეწირა და ერთიც დაიჭრა, სამხედრო პროკურატურა იძიებს... ამასობაში კი ბარისახოს გამგებელმა მირზა ჭინჭარაულმა საზღვრის დაცვის დეპარტამენტს უნდობლობა გამოუცხადა და მოუწოდა საქართველს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხევსურებს, დაბრუნდნენ მშობლიურ კუთხეში და თავადვე დაიცვან საქართველოს საზღვარი. ნაღმის აფეთქების შედეგად დაღუპული ვიცე-პოლკოვნიკი ბალახაშვილი და რიგითი ჯაბუშანური უკვე დაკრძალეს, თუმცა გამოძიება, ჯერჯერობით, კონკრეტულად არაფერს ამბობს, თუ ვის მიერ ჩადებულმა ნაღმმა შეიწირა მათი სიცოცხლე.

## რეალობა სხვას გვიჩვენებს...

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია, რომელმაც საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე მოხსენება და დასკვნა უნდა წარუდგინოს ამ ორგანიზაციას. დელეგაციამ თბილისში ჩაატარა მონიტორინგი, თუ რამდენად შეასრულა საქართველომ ევროსაბჭოს რეკომენდაციები. ელენე თევდორაძის განცხადებით: „მან ვერ მისცა საკუთარ თავს იმის უფლება, რომ ევროსაბჭოს კომისიისთვის ტყუილი ეთქვა და ნათელ ფერებში დაეხატა მათთვის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობა.“ ქალბატონმა ელენემ სიმართლე უთხრა სტუმრებს და დასძინა, რომ მაისის შემდეგ (სწორედ მაშინ მოისმინა ევროსაბჭომ მოხსენება საქართველოს შესახებ) ჩვენს ქვეყანაში უფრო დამძიმდა სიტუაცია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ვიდრე გამოსწორდა და ეს მაშინ, როცა საკანონმდებლო ბაზა სრულყოფილი ხდება... მაგრამ რეალობა სხვას გვიჩვენებს.

## ჩვილი სულ 15.000 ღირებულა

თბილისის პოლიციამ ქართველი ჩვილი ბავშვებით მოვაჭრე, კანადისა და რუსეთის მოქალაქე, ვინმე ოლგა გორელიკი დააპატიმრა! გაირკვა, რომ მას თბილისის სამშობიაროების მედპერსონალთან ჰქონდა „საქმიანი“ კონტაქტები და რომ ამის შედეგად, მან უკვე მოახერხა 20-მდე ჩვილი ქართველი ბავშვის „ექსპორტი“ უცხოეთის ქვეყნებში. ეს ადამიანებით მოვაჭრე დედაკაცი თითო ბავშვს... 15.000 დოლარად ყიდდა უცხოეთში. პოლიციამ გორელიკი ფაქტზე დაიჭირა, როცა მის მიერ ნუცუბიძის პლატოზე დაქირავებულ ბინაში „ძიძისთვის“ მიბარებულ და უკვე გასაყიდად გამზადებულ ორი კვირის ბიჭსა და სამი თვის გოგონას მიაგნო! გამოძიებამ უკვე დაასახელა ამ „ბიზნესში“ გარეული ნაძალადევის №1 სამშობიაროს ექიმი-გინეკოლოგის ვინაობა (მაია მდივანი), რომელიც გორელიკს ცოცხალი საქონლით უზრუნველყოფდა. ამას კი მარტოხელა და გაჭირვებული დედების შანტაჟით ახერხებდა, თუმცა „წყალობასაც“ გაიღებდა და გაუბედურებულ დედებს 200-დან 500 დოლარამდე ჰპირდებოდა ახალშობილების სანაცვლოდ(!).

ამ სკანდალმა კიდევ ერთი შემზარავი ფაქტი გამოამზეურა. რამდენიმე წლის წინ მოქალაქე ვალიკო ბიჩნიკაურსა და მის მეუღლეს იმავე სამშობიარო სახლში შეძენილი შვილი, რომ იტყვიან, თვალსა და ხელშუა ააცალეს, ანუ გააფორმეს ყალბი დოკუმენტი ჩვილის გარდაცვალების შესახებ, სინამდვილეში ბავშვი გაყიდეს. ამ საქმეშიც ფიგურირებს მაია მდივანი, რომელსაც ამტყდარი სკანდალის გამო, „ინსულტი დაემართა“ და სამშობიაროს თანამშრომლების თქმით, „ლოგინსაა მიჯაჭვული“. ბიჩნიკაურები ამტკიცებენ, რომ სწორედ მაია მდივანის შანტაჟისა და მაქინაციების შედეგად „დაიკარგა“ ბავშვი, რომელსაც დღემდე ეძებენ და ვერ უპოვიათ. ბიჩნიკაურებმა სამართალდამცავებსაც მიმართეს, მაგრამ ამაოდ. სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

და კიდევ: ნუცუბიძის პლატოზე ნაპოვნი ორი ბავშვიდან, რომლებსაც ზემოხსენებული ოლგა გორელიკი გასაყიდად ამზადებდა, ერთი ბავშვი თბილისის №3 სამშობიარო სახლშია დაბადებული(!). გამოძიება არკვევს, როგორ და რა გზით მოხვდა ეს ბავშვი ჯერ №1 სამშობიარო სახლში მაია მდივანთან, იქიდან კი გორელიკთან, ნუცუბიძის პლატოზე.

## ბაბილაშვილმა ანგარიში ჩააბარა...

გენერალურმა პროკურორმა, ჯამლეთ ბაბილაშვილმა მასმედიას და საზოგადოებას ამ უწყების 10 თვის მუშაობის შედეგების ანგარიში ჩააბარა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა „ენერგომამების“ დანაშაულებრივი ქმედებების მხილება-გამოძიებაზე და ითქვა, რომ „საქენერგოს“ დაკავებულ ყოფილ შეფს მალე სხვა მისი „ენერგოკოლეგებიც“ დაუმშვენებენ გვერდს... ბაბილაშვილმა კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა იქვე დასძინა, რომ გენპროკურატურისათვის კონტროლის პალატის მიერ გადაცემული მასალების ნაწილი დამატებით შესწავლა-გამოძიებას მოითხოვს, რადგან იქ მოყვანილი ფაქტები არ დასტურდება... ჯამლეთ ბაბილაშვილი ახლახან საქართველოში გადმოსული ჩეჩენი ბოევიკების ბედის საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ ამ ჩეჩნებმა, რომლებიც დღეს თბილისში მკურნალობენ, საზღვარი უკანონოდ გადმოლახეს, რის გამოც საქართველოს კანონმდებლობით უნდა გასამართლდნენ, ხოლო თუ რუსეთი რომელიმე მათგანის შესახებ წარმოადგენს დოკუმენტს, რომ მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოცხადებულია ძებნა, ამის შესახებ ქართული მხარე იმსჯელებს... საგულისხმოა, რომ რუსეთის მთავრობა ოპერატიულად გამოეხმაურა ბაბილაშვილის განცხადებას და გამოთქვა შეშფოთება, რომ ჩეჩნები შეიძლება საქართველოში გასამართლდნენ. ამიტომ მოსკოვი მოითხოვს თბილისის საავადმყოფოში მყოფი 25-ვე ჩეჩნის რუსეთისათვის გადაცემას.

და კიდევ: გენპროკურატურის ანგარიშში გვერდი ვერ აუქციეს „ინვალიდთა ლიგის“ ირგვლივ ამტყდარ სკანდალს და ბაბილაშვილიც „ინვალიდთა ლიგის“ საქმიანობასთან დაკავშირებით აღძრული საქმის საინტერესო დეტალების გამომზეურებას და საქმის ასევე საინტერესო ფინალსაც გვპირდება. როგორც ცნობილია, მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმაც კატეგორიულად მოითხოვა „ინვალიდთა ლიგის“ ირგვლივ ამტყდარი სკანდალის დაწვრილებით გამოძიება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ინვალიდთა ლიგის“ საქმეებს მმართველი ძალის ცნობილი წარმომადგენლები უნდა უკავშირდებოდნენ...

## სქოულმა ჟვანიას შესჩივლა

მოახლოებული ზამთრისა და განახლებული ენერგობაქანალიის ფონზე სულ უფრო მძაფრდება დაპირისპირება „ეი-ი-ეს-თელასსა“ და სათბობენერგეტიკის სამინისტროს შორის. თელასი უშუქობაში პირდაპირ სდებს ბრალს სათბოენერგეტიკის სამინისტროს. ამასთან, „ეი-ი-ეს-თელასმა“ დიდი სკანდალი ატეხა იმის გამო, რომ საქართველო აპირებს რუსული ელექტროენერგიის ჩვენი ტერიტორიის გავლით თურქეთში გაყიდვას და ეს მაშინ, როცა „ეი-ი-ეს-თელასსა“ და საქართველოს ხელისუფლებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თურქეთში ელექტროენერგიის გატანა-გაყიდვის უფლება ამერიკული კომპანიის მეორე ორგანიზაციას, „ეი-ი-ეს-ტრანსენერჯის“ აქვს... მაიქლ სქოულის უწყება ირწმუნება, რომ თბილისის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიის საფასურს მთლიანად იხდის, მაგრამ სათბობენერგეტიკის სამინისტრო „ეი-ი-ეს-თელასს“ მაინც სთხოვს გრაფიკის შემოღებას(!). მეტიც, ამერიკული კომპანია ამტკიცებს, რომ საქართველოს ენერგოსისტემას თბილისის 24 საათიანი მომარაგებისათვის (ზამთარშიც) საკმარისი ენერგორესურსები აქვს და დედაქალაქში ენერგოკრიზისის მიზეზად მისთვის ელექტროდისპეტჩერიზაციის მხრიდან ენერგიის არასაკმარისი რაოდენობით მიწოდებას ასახელებს. ერთი სიტყვით, „ეი-ი-ეს-თელასი“ დისპეტჩერიზაციისა და ენერგეტიკის სამინისტროს შეგნებულ დივერსიაში ადანაშაულებს. როგორც თელასში აცხადებენ, მას შემდეგ, რაც თელასმა სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყო, ქართველი პარტნიორები თელასს ელექტროენერგიის დაპირებულ რაოდენობასაც აღარ აწვდიან, რის გამოც თელასი იძულებულია თბილისის გარეუბნებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუზღუდოს.

ქართულ ენერგეტიკაში შექმნილი ქაოსითა და გაწუკითხაობით მოთმინებადაკარგულმა მაიქლ სქოულმა პირდაპირ ზურაბ ჟვანიას და დეპუტატებს მიაშურა და ქართული ენერგომაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. სქოულმა უცერემონიოდ განუცხადა პარლამენტარებს, რომ ენერგომაფია მას თბილისის ელექტროენერგიით მომარაგების საშუალებას არ აძლევს... ზურაბ ჟვანია შეჰპირდა სქოულს, რომ ყველაფერს გაარკვევს და გააკეთებს, რათა „ეი-ი-ეს-თელასს“ ნორმალური მუშაობის საშუალება ჰქონდეს, თბილისს კი ელექტროენერგია.

## ავიაკომპანიები ქონებას ვერ იყოფენ

სკანდალი კვლავ განახლდა ქართულ ავიაციაში. „საქართველოს ავიახაზებმა“ „აირზენასთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და შენობიდან გაგდება დაუპირა. მიზეზი — ქართული ავიაკომპანიები ქონებას ვერ იყოფენ. მთელ ამ ამბებში კი, როგორც ცნობილია, ბევრი პირი, მათ შორის, პრეზიდენტის ნათესავები და პირადი პილოტიც ფიგურირებს. საგულისხმოა, რომ თავის დროზე, „საქართველოს ავიახაზები“ და „აირზენა“ შევარდნაძის ნათესავების ინტერესების „საფუძველზე“ გაერთიანდა, ახლა კი კონტრაქტი გაუქმებულია. „აირზენას“ მესვეურთ ეჭვი აქვთ, რომ „საქართველოს ავიახაზებს“ მძლავრი მფარველები ჰყავს და თუ მათ დაიწყეს დამოუკიდებელი რეისების შესრულება, ნელ-ნელა წაართმევენ „აირზენას“ ამ რეისებს და მშრალზე დასვამენო, 300 კაცი კი უმუშევარი დარჩება. „საქართველოს ავიახაზების“ წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, რომ საკონფლიქტო არაფერია და რომ ერთწლიანი გაჩერების შემდეგ იბრუნებენ თავიანთ კუთვნილ ქონებას და აახლებენ საქმიანობას... „აირზენას“ ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „საქართველოს ავიახაზების“ ეს ინიციატივა მიმართულია ერთი მიზნისაკენ — ჩაძირონ „აირზენა“!

„აირზენას“ ასევე ურთიერთობების გარკვევა მოუწევს აფხაზეთის ავიაკომპანია „აბავიასთანაც“. ავიაკომპანიები თბილის-მოსკოვის რეისს ვერ იყოფენ. „აირზენამ“ „აბავიას“ მოსკოვის რეისი წაართვა, რის გამოც „აბავიას“ თანამშრომლებმა შტურმით აიღეს ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მისაღები და საპროტესტო აქცია დაიწყეს. „აბავიას“ პერსონალი თბილისი-მოსკოვის რეისის დაბრუნებას ითხოვს და იმავდროულად ადანაშაულებს „აირზენას“ ხელმძღვანელობას მრავალთვიან სახელფასო დავალიანებაში. აქციის მონაწილეები იმასაც უკიჟინებენ „აირზენას“, რომ 1993 წლის 27 სექტემბერს დაცემული სოხუმიდან პრეზიდენტი სწორედ „აბავიას“ ეკიპაჟმა გამოიყვანა. სწორედ ის თვითმფრინავი ასრულებდა რეისებს მოსკოვის, ეკატერინბურგის, სამარის და ოდესის მიმართულებით. დღეს „აბავიას“ ყველა რეისზე აქვს ლიცენზია ჩამორთმეული.

პრეზიდენტის განკარგულებით, „აბავიას“ რეისები უნდა აღდგენილიყო, მაგრამ ეს ბრძანება არ შესრულდა. საჰაერო დეპარტამენტი „აბავიას“ რეისების განახლებას დსთ-ის სივრცეში დასავლეთ საქართველოდან სთავაზობს, თუმცა ლტოლვილ ავიატორებს ეჭვი აქვთ, რომ ამ დანაპირებსაც არ შეუსრულებენ!

## თბილისს ჯორჯ სოროსი ეწვია

თბილისში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ცნობილი ამერიკელი მილიარდერი და ფილანთროპი ჯორჯ სოროსი, რომელიც თბილისში ჩამოსვლას პრეზიდენტ შევარდნაძეს ჯერ კიდევ სექტემბერში შეჰპირდა ნიუ-იორკში. სწორედ იქვე აღუთქვა შევარდნაძეს, რომ საქართველოში ანტიკორუფციულ პროგრამებს დააფინანსებდა. სოროსმა სიტყვა შეასრულა და ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ ქართულმა მხარემ მას დაახვედრა უკვე შემუშავებული ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა. შევარდნაძის შემდეგ, ჯორჯ სოროსი შეხვდა აღნიშნული პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს და მოუწონა ნაშრომი. სოროსი განსაკუთრებით მოხიბლა პროგრამის იმ პუნქტმა, რომლის მიხედვით, საქართველოში საგზაო ინსპექტორთა პოსტები უქმდება და მათ ნაცვლად, ვიდეოკამერები მონტაჟდება... როგორც ჩანს, ამერიკელი ქველმოქმედი ანტიკორუფციული პროგრამის რეალიზაციისთვის რაღაც „წყალობასაც“ გაიღებს, თუმცა თანხის რაოდენობა, ჯერჯერობით, უცნობია... ამასთან, სოროსი გარკვეული თანხის გაღებას იუსტიციის სამინისტროსთვისაც გეგმავს. მიშა სააკაშვილთან შეხვედრისას, სტუმარმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღო საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში შექმნილ ვითარებაზე და ამ სისტემის რეფორმირების პერსპექტივებზეც შეექმნა წარმოდგენა. სააკაშვილის თქმით, სოროსი ყველაზე მეტად დაინტერესდა წინასწარი გამოძიების სისტემის რეფორმირებით, რადგან აქ ირღვევა ყველაზე ხშირად ადამიანის უფლებები...




## „უნიტა“ პასუხისმგებლობას იღებს

ანგოლის პარტიზანულმა მოძრაობა „უნიტამ“ საკუთარ თავზე აიღო რამდენიმე დღის წინ ანგოლაში რუსული წარმოების სამგზავრო თვითმფრინავის „АН-26“-ის ჩამოგდება, რასაც 48 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. „უნიტას“ განცხადებით, თვითმფრინავს ალმასების პარტია გადაჰქონდა იმ ტერიტორიიდან, რომელსაც პარტიზანები აკონტროლებენ... მაგრამ ანგოლის ხელისუფლება აცხადებს, რომ კატასტროფა ქალაქ სურიმოში მოხდა, სადაც ალმასის უდიდესი საბადოებია და კატასტროფის მიზეზი თვითმფრინავის ძრავის გაუმართაობა შეიქნა. „АН-26“ ანგოლის ავიაკომპანიის საკუთრება იყო და მას უკრაინული ეკიპაჟი მართავდა, რომელიც კონტრაქტით მუშაობდა ამ ქვეყანაში.

## სახელგანთქმული „უემბლი“ დაინგრევა

ლონდონის ლეგენდარულ „უემბლის“ სტადიონს... ანგრევენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ექსპერტთა აზრით, 1932 წელს აშენებული „უემბლი“ კატასტროფულად „დაბერდა“ და იგი უნდა დაინგრეს. „უემბლისთან“ გამოსამშვიდობებლად მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები ჩავიდნენ. მათ შორის იყო 60 წლის პელე, რომელმაც გამოსამშვიდობებელი უკანასკნელი გოლი გაიტანა „უემბლის“ სტადიონის ცარიელ კარში. ახალი „უემბლის“ მშენებლობა კი 2003 წელს დასრულდება.

# რა მექანიზმებით მოხდება ჩინოვნიკების „განკულაკება“

მაშ ასე, ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის დოკუმენტი მზად არის! ახლა საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრა და ქვეყანაში ფართომასშტაბიან ბრძოლას კორუფციის დასამარცხებლად რეალურად მიეცემა სტარტი! აი, მოკლე რეზიუმე იმ კამპანიისა, რომელიც აღნიშნული პროგრამის გამოქვეყნებას მოჰყვა და რომლის განხორციელებითაც ლამის მთელი საერთაშორისო თანამეგობრობაა დაინტერესებული, ისეთი უმდიდრესი ადამიანისა და ფილანთროპის ჩათვლით, როგორიც ჯორჯ სოროსია... ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მომავალ ბრძოლაზე საუბრისას ემოციას თვით პრეზიდენტიც ვერ იკავებს, ხოლო ანტიკორუფციული პროგრამის შესავალ სიტყვაში, კერძოდ, აცხადებს: „...დოკუმენტი, რომელსაც გაეცნობით, შემაძრწუნებელი სიმართლის შემცველია. მას, რა თქმა უნდა, გამოიყენებენ ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები. აგრეთვე, ქვეყნის ავისმოსურნენი, რათა ბრალად დაგვდონ უძლურება, განგვიქიქონ საქმე, რომლის გასრულებაც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც შევძელით საქართველოში ყველა ჯანსაღ, კონსტრუქციულ, ეროვნულ ძალასთან ერთად — განურჩევლად მათი პოლიტიკური მრწამსისა! ეცდებიან „წყალში ჩაგვიყარონ“ შრომა, გამოაცხადონ „ფუჭად“ ჩვენი ძალისხმევა, მაგრამ არც ეს მაშინებს, ვინაიდან, დიდი ილიას სიტყვით „კარგი გული“ უმალ შეიცნობს კეთილ განზრახვას. „გულქეციანთა“ ნიშნის მოგება კი საქვეყნო საქმისთვის მკლავს ვერ მომიდუნებს...“



ამ მართლაცდა შესანიშნავ ნათქვამში პრეზიდენტი, დიდად სამწუხაროდ, არ აკონკრეტებს არც „ხელისუფლების ოპონენტთა“, არც „ქვეყნის ავისმოსურნეთა“, არც „კარგი გულების“ და არც „გულქეციანთა“ ვინაობას, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ანტიკორუფციული პროგრამის რეალურად განხორციელების შემთხვევაში, ვაი რომ, „ოპონენტებსაც“, ქვეყნის ავისმოსურნეებსაც და სტაჟიან „გულქეციანებსაც“ სწორედ რომ იმ სახელისუფლებო ციტადელებში „აღმოაჩენენ“ N რაოდენობით, რომლებსაც დღეს არშემდგარ და უსუსტეს სახელმწიფო ინსტიტუტებს ვუწოდებთ! ეს, რა თქმა უნდა, იცის ხალხმა და იცის პრეზიდენტმა, მაგრამ, რადგან კორუფციულ მონსტრთან ბრძოლა უკიდურესად სარისკოა, პრეზიდენტს ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი აღარ რჩება, გარდა იმისა, რომ მთავრობის სხდომაზე ასეთი სიტყვებით მიმართოს ხელისუფალთ: „ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა საქართველო ამ სენისგან როგორმე გავათავისუფლო თქვენთან ერთად და მთელი ხალხის მხარდაჭერით. ვიცი, თითოეული თქვენგანი ასეა განწყობილი! იმასაც გეტყვით, რომ თუ რაიმე ვინმეს უნდა ვაპატიოთ, დაე თვითონ მოვიდეს, თვითონ განაცხადოს, რა აქვს მითვისებული. თუ არა აქვს საშუალება დავალიანების დაფარვისა, მითვისება იყო, თუ რაც იყო, ვადას მივცემთ. თუ არა და, ანტიკორუფციული პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ ჩვენ ვიქნებით სასტიკნი!“

ძნელი წარმოსადგენია, ნაქურდალი ქონების ნებაყოფლობით დაბრუნების სურვილით და პატიების თხოვნით, რომელიმე ჭკუათმყოფელი მივიდეს კანცელარიასა და პარლამენტში, თუმცა ამ პრევენტულმა „სისასტიკემ“ ერთი სასიკეთო შედეგი მაინც გამოიღო: ბოლო დღეებში თბილისში ვრცელდება ინფორმაცია... საირმის გორა იყიდებაო, უფრო სწორად, 1997 წლის შემდეგ იქ წამოჭიმული სასახლეები და დღეს მშენებლობის პროცესში მყოფი ნაგებობები! ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ სასახლეების გამყიდველნი „ანონიმ“ მეპატრონეებად არჩევენ დარჩენას... ეს უკვე კარგია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა გაცილებით ადრე დაწყებულიყო ეს პროცესი? ვესაუბრებით ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის აღმასრულებელ მდივანს **დავით უსუფაშვილს**:

— სისტემური ხასიათის ღონისძიებების გატარება და ანტიკორუფციული პროგრამის შექმნა, რა თქმა უნდა, დაგვიანებულია! მათი დაწყება გაცილებით ადრე შეიძლებოდა და წარმატების მიღწევაც, სათანადო ყურადღების პირობებში, გაცილებით იოლი იქნებოდა. საერთოდ, მსოფლიოში კორუფციის თემა ბოლო წლებში იქცა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად. სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს წლების განმავლობაში კორუფცია არ მიაჩნდათ იმ დონის პრობლემად, რომლის აღმოფხვრასაც ცალკე ღონისძიებები სჭირდება. ისინი თვლიდნენ, რომ განვითარებად ქვეყნებში მაკროეკონომიკური პოლიტიკის სწორად გატარება, ენერგეტიკისა და სხვა დარგების განვითარება, გარდაუვალად მიიყვანდა საზოგადოებას იმ ვითარებამდე, სადაც კორუფცია ლოკალიზებული იქნებოდა. ბოლო ათწლეულში ამ საფინანსო ინსტიტუტებმა გაიაზრეს კორუფციის საფრთხის სერიოზულობა და დარწმუნდნენ, რომ მას ვერ მოევლება მხოლოდ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით. მხოლოდ უკანასკნელ წლებში გამოყვეს სპეციალური კრედიტები მმართველობითი სტილის გაუმჯობესებისთვის, კორუფციული ურთიერთობების შემცირებისთვის და ა.შ.

კორუფციამ საქართველოში მიაღწია არნახულ მასშტაბებს. აქ იმდენად იმ თანხის მოცულობაზე არ არის საუბარი, რომელიც კორუფციულ ურთიერთობებში ტრიალებს, არამედ პოლიტიკური პროცესების წარმართვაშიც კორუფციამ ისე იმძლავრა, პოლიტიკური ცხოვრების სხვა ბერკეტები ფაქტობრივად დაჩრდილულია.

**— ანტიკორუფციული პროგრამის მიხედვით, შემოსავლების სამინისტრომ უნდა მოსთხოვოს 1997 წლიდან საქართველოში აშენებული სასახლეების და 1998 წლიდან გამოშვებული ავტომანქანების მესაკუთრეებს, წარმოადგინონ ფინანსური დეკლარაციები... სხვათა შორის, პროგრამის გამოქვეყნებამდე საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ მოხდებოდა უკანონოდ დაგროვილი ქონების კონფისკაცია. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ არის. თქვენი კომენტარი:**

— ანტიკორუფციულ პროგრამაში არ წერია, რომ უნდა მოხდეს ქონების კონფისკაცია. იქნება ეს 1997 წლამდე, თუ შემდეგ შეძენილი ქონება. პროგრამაში მითითებულია ერთადერთი რამ: „მოეკითხოთ საშემოსავლო გადასახადის გადახდის მდგომარეობა ამ პირებს...“ საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოს არც ერთი მოქალაქე არ არის გათავისუფლებული. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ ვინმეს სახლი ან მანქანა უნდა წავართვათ, არამედ გისვამთ კითხვას: ავტომანქანა, რომელშიც გადაიხადეთ, ვთქვათ, 20 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარი, ნიშნავს იმას, რომ თქვენ ეს 20 ათასი მიიღეთ შემოსავლად, სანამ მას გასცემდით და იყიდდით მანქანას. ამიტომ, თუ მიიღეთ შემოსავლის სახით, საშემოსავლო გადასახადი უნდა გადაგეხადათ ან სამსახურში, სადაც ხელფასიდან უნდა დაეკავებინათ, ან დივიდენდების მიღების შემთხვევაში საწარმოში უნდა დაკავებულიყო საშემოსავლო თანხა, ან კიდევ, თუ საჩუქრად მიიღეთ აღნიშნული 20 ათასი, მაშინ საშემოსავლო დეკლარაციაში უნდა დაგეფიქსირებინათ და ჩაგებარებინათ საგადასახადო ორგანოებისთვის. მოკლედ, უნდა წარმოადგინოთ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ამ 20 ათასიდან განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადი გადახდილი გაქვთ! თუ გადახდილი გაქვთ, ჩვენ სხვა კითხვები ამ ეტაპზე არ გვაქვს, თუ არა გაქვთ გადახდილი, მაშინ ავტომატურად ამოქმედდება საგადასახადო კოდექსის ნორმა, რომელიც დაგავალდებულებთ ამ თანხის გადახდას. ანუ, აქ ლაპარაკი არ არის რეპრესიებზე, ქონების წართმევაზე... რაც შეეხება იმას, რატომ მაინცდამაინც 1997 წელზეა გაკეთებული აქცენტი: ამის ერთადერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ სწორედ 1997 წელს იქნა მიღებული ახალი საგადასახადო კანონმდებლობა. მე არ ვლაპარაკობ გადასახადების შინაარსზე, რადგან ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა და ჰყავს ამ კანონს და არც მე ვამბობ, რომ ეს გადასარევი მოდელია, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ კოდექსმა ერთიან ჩარჩოში მოაქცია საგადასახადო სისტემა და კანონმდებლობა. ამასთან, ამ კოდექსმა თითოეულ ჩვენგანს დააკისრა მოვალეობა — გადავიხადოთ გადასახადები! ამიტომ, სახელმწიფოს მორალური უფლება სწორედ 1997 წლის შემდგომ პერიოდზე აქვს, რათა მოიკითხოს და ამოიღოს გადასახადები!

ყოველ სამართალდარღვევას აქვს ხანდაზმულობის ვადა, ანუ რა პერიოდის შემდგომ შეიძლება, კიდევ მოეკითხოს პასუხი დამნაშავეს: მკვლელობაზე შეიძლება 15 წლიანი პერიოდი იყოს, ტერაქტზე უვადო და როცა დაიჭერენ, მაშინ გაასამართლონ კაცი, ხულიგნობაზე შეიძლება ექვსი თვე იყოს და ა.შ. საგადასახადო დარღვევებზე კი სწორედ სამწლიანი ვადაა დადგენილი... მოკლედ, პროგრამის მიხედვით, თუ შეძენილ, მიღებულ ქონებაზე არა აქვთ გადახდილი გადასახადები, მოხდება ამ ქონების 20%-ის ამოღება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ეს გახლავთ საწყისი ეტაპი ანტიკორუფციული ღონისძიებებისა.

**— ანუ 1997 წლამდე მომხდარ დარღვევებზე პასუხს ვერავის მოსთხოვთ? მათ შორის, გაფლანგული სახელმწიფო ქონებისთვის, შეჭმული კრედიტებისთვის?**

— 1996 წელს გადაუხდელი გადასახადისთვის ვერ მოვთხოვთ კაცს პასუხს. სხვა მხრივ, ჩვენ არც გაგვიუქმებია და არც შემოგვიტანია სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ზოგადად დანაშაულს აცხადებენ დასჯადად! ამიტომ, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ანტიკორუფციული პროგრამის ღონისძიებები არის ალტერნატივა დანაშაულთან ბრძოლის არსებული სისტემისა. პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებს როგორც ევალებოდათ დანაშაულის ფაქტების გამოვლენა და დამნაშავეთა დასჯა ანტიკორუფციული პროგრამის გამოქვეყნებამდე, ასევე ევალებათ დღესაც. ეს ეხება მითვისებულ მილიონებსაც, ძალადობრივ დანაშაულობებსაც და ა.შ. ასე რომ, ჩვენ ამ მიმართულებით არაფერი შეგვიცვლია. ჩვენ ხაზს ვუსვამთ გამეფებული დაუსჯელობის სინდრომის დამღუპველ გავლენას და მოვუწოდებთ მათ, რომ თუ მოკლე დროში არ გამოსწორდა სიტუაცია, რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობა დადგება დღის წესრიგში. მხედველობაში მაქვს საგანგებო ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა, რომელიც კორუფციის ფაქტებს დამოუკიდებლად გამოიძიებს.

**— გმადლობთ.**

# „როგორც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, არა მგონია, მკვეთრად შეიცვალოს აშშ-ის საქართველოსადმი დამოკიდებულება“

7 ნოემბერს აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება! ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისკენაა მიპყრობილი მსოფლიოს და მათ შორის, ისეთი ქვეყნების ყურადღებაც, როგორიც საქართველოა... გვინდა თუ არ გვინდა, სწორედ ვაშინგტონის პოლიტიკა პოსტსაბჭოური სივრცისადმი, კავკასიის რეგიონისა და საქართველოსადმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და გადაწყვეტს ჩვენს ბედსა და განვითარებას 21-ე საუკუნეში, რომელშიც საუბედუროდ, შელახული რეპუტაციითა და იმიჯით შევდივართ... ვესაუბრებით ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის წევრს, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორს, პოლიტოლოგ **გია ნოდიას**:



— რამდენიმე წლის წინ საქართველოს პრესტიჟი საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საკმაოდ მაღალი იყო, მიიჩნევდნენ, რომ მთავრობას სწორი გზით მიჰყავდა სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესი. ბოლო ორი წლის კრიზისულმა მოვლენებმა, საბიუჯეტო კატასტროფამ, შეარყია ეს რწმენა და დასავლეთში მივიდნენ დასკვნამდე, რომ თუ საქართველომ სასწრაფოდ არ მიხედა კორუფციის პრობლემას, მისი პროგრესი წარმოუდგენელი გახდება. ამიტომ, ფაქტია, რომ გარედან ზეწოლაც იყო საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა მას სერიოზული ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით... რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვაშინგტონის პოლიტიკას საქართველოსადმი, ბუშის გამარჯვების შემთხვევაში არა მგონია, რომ მისი ადმინისტრაცია მკაცრად მოგვთხოვს დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულებას. ეს უფრო დემოკრატებისგან არის მოსალოდნელი. გახსოვთ, დემოკრატმა კარტერმა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობის განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის წინა პლანზე წამოწევის საქმეში. რესპუბლიკელებს ეს ნაკლებად ახასიათებთ, განსაკუთრებით ბუშს, რომელიც უფრო ე.წ. ტრადიციული რეალ-პოლიტიკის მომხრეა. რაც შეეხება ამ ფონზე საქართველოში დაწყებულ ანტიკორუფციულ კამპანიას, მოგეხსენებათ, კორუფცია დაკავშირებულია სახელმწიფოს მართვის ეფექტურობასთან ანუ ზღვარგადასული კორუფციისას სახელმწიფო აღარ იმართება და ქვეყანა, აღარ არის სანდო პარტნიორი. ამ აზრით, ვაშინგტონის პოზიციის გამკაცრება საქართველოს ხელისუფლებისადმი მოსალოდნელია, მაგრამ ამ მხრივაც პრინციპული განსხვავება არ იქნება დღევანდელ ადმინისტრაციასა და ბუშს შორის. ნებისმიერ ადმინისტრაციას სჭირდება სანდო პარტნიორი, ხოლო ქვეყანა, რომელიც თავის მოხელეებს ხელფასს ვერ აძლევს, სანდო პარტნიორი არ არის... დღეს საქართველო მიეკუთვნება ე.წ. მესამე სამყაროს სახელმწიფოთა რიგს, რომელიც რაღაცით ჰგავს აფრიკის ან ლათინური ამერიკის ქვეყნებს, ანუ ჩვენ გვაქვს სუსტი სახელმწიფო...

**— და რაც არის კიდეც ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ხელისუფლება დგას კორუფციაზე, ანუ კორუფციაა მათი არსებობის და თუნდაც გარკვეული „სიძლიერის“ საფუძველი.**

— აქ ორმხრივი შეფასების მიცემა შეიძლება. ერთი ის, რომ მოხელეთა უდიდესი ნაწილი დამოკიდებულია კორუფციულ შემოსავალზე და ამ ფონზე ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. მეორე მხრივ კი, ქვეყნის სტაბილურობაც დამოკიდებულია კორუფციაზე. აქ უწინარესად იგულისხმება პოლიცია, რომელიც არის კიდეც სტაბილურობის გარანტი. სტაბილურობის გარანტი კი იმიტომ არის, რომ მას აქვს გარკვეული კორუფციული შემოსავლის მიღების საშუალება. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება...

**— ახლა კი, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებისა და მისი შედეგების მოსალოდნელ გავლენაზე მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. ახლახან, ევროპაში გაღიზიანება და ერთგვარი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო დაპირებამ, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში იგი გამოიყვანს ბალკანეთიდან ამერიკის ჯარებს...**

— ექსპერტებს საერთო აზრი არა აქვთ, რა გავლენას იქონიებს საერთაშორისო პოლიტიკაზე ამა თუ იმ კანდიდატის გამარჯვება, თუმცა ზოგიერთი მიიჩნევს, რომ პრინციპული განსხვავება ბუშსა და გორს შორის არ არის საგარეო პოლიტიკისადმი მათ პოზიციაში. მაგრამ თუ მაინც არის განსხვავება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბუში რუსეთის მიმართ ალბათ უფრო მკაცრ პოლიტიკას გაატარებს, როგორც რესპუბლიკელი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებს იზოლაციონიზმის ტენდენცია ახასიათებს, არა მგონია ამერიკამ შეასუსტოს თავისი გავლენა და მონაწილეობა ევროპაში ან საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობებში. შეიძლება მოხდეს აქცენტების გადანაცვლება, რადგან ევროპელები ცდილობენ, ცალკე შექმნან ევროპული შეიარაღებული ძალები. ამას კი განიხილავენ, როგორც ამერიკის გავლენის შესუსტებისკენ მიმავალ ნაბიჯს. ამიტომ, ბუშის განცხადება, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ის გაიყვანს ჯარებს ბალკანეთიდან, სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული ზეწოლა ევროპაზე, რომ — თუ არ გინდივართ, ჩვენ წავალთ! თავის მხრივ, მსგავსი განცხადებები მოქმედებს ევროპელ ლიდერებზე და როგორც წესი, უკან იხევენ ხოლმე და ამბობენ, არა, ნუ წახვალთ, მოვილაპარაკოთო! ეს ჩვეულებრივი ურთიერთობებია ევროპასა და აშშ-ს შორის... ამიტომ, რამდენადაც ცნობილია ბუშის მრჩევლების ვინაობა და პოზიცია, ამერიკის წასვლა ბალკანეთიდან არ არის მოსალოდნელი.

**— მიუხედავად ამერიკელ ექსპერტთა და ოფიციალურ პირთა არაერთგზის განცხადებისა, რომ ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში ვაშინგტონის პოლიტიკა ჩვენი რეგიონისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ არ შეიცვლებაო, ალბათ, გარკვეული კორექტივები მაინც მოხდება ამ მხრივ, თუ გავითვალისწინებთ ახლო აღმოსავლეთში და საერთოდ, მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ პროცესებს... ამასთან, ურთულესი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. ერევანში უკვე იმართება მიტინგები ქოჩარიანის გადადგომის მოთხოვნით, აზერბაიჯანი საპარლამენტო არჩევნების შედეგების მოლოდინშია...**

— ბუში დაახლოებულია უმსხვილეს სანავთობო წრეებთან და მათ ლობისთან. თუმცა კლინტონის ადმინისტრაცია ენერგიულად უჭერდა მხარს ბაქო-ჯეიჰანის პროექტს და მისი რეალიზაციის დაწყებაც ამ ადმინისტრაციის დამსახურებაა, მოსალოდნელია, რომ ბუში გაცილებით იაქტიურებს კასპიის ენერგორესურსების ათვისება-ტრანსპორტირებაში ამერიკის მონაწილეობაზე, რითაც გაატარებს ამერიკელ ნავთობის მაგნატთა ინტერესებს.




რაც შეეხება სომხეთს და აზერბაიჯანს, ქოჩარიანი პრაგმატული პოლიტიკოსია. მიუხედავად იმისა, რომ ქოჩარიანი, ისევე როგორც სომხეთის ყველა პოლიტიკოსი, პრორუსული ორიენტაციისაა, მან რადიკალურად გაზარდა სომხეთის მონაწილეობა ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ქოჩარიანი ხედავს, რომ რუსეთზე ცალსახა ორიენტაცია არ არის მომგებიანი მისთვის და ამიტომ, ერთი მხრივ ამ კურსს აგრძელებს, მეორე მხრივ კი, ცდილობს დააბალანსოს რუსეთი დასავლეთზე ორიენტაციით. საერთოდ, ფაქტია, რომ სომხეთში პოლიტიკური კრიზისი არ შენელებულა შარშან პარლამენტში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ. ყველა ელოდა, რომ ან პარლამენტი დაიწყებდა ქოჩარიანის იმპიჩმენტის პროცედურას, ან ეს უკანასკნელი დაშლიდა პარლამენტს, მაგრამ ქოჩარიანმა პოლიტიკური ლავირებით შეძლო ოპოზიციის დაშლა, მიუხედავად ამისა, მას სერიოზული მოწინააღმდეგენი დღემდე ჰყავს და ალბათ, მუდმივი დაძაბულობა შენარჩუნდება.

არანაკლები პრობლემები ელის აზერბაიჯანს არა მხოლოდ იმით, თუ რა ძალები მოვლენ პარლამენტში, არამედ უწინარესად ალიევის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში. ამ არჩევნების ძირითადი მიზანია, რომ ალიევის შვილი გახდეს პარლამენტის სპიკერი და შემზადდეს მისი გაპრეზიდენტების საფუძველი. მაგრამ, ძნელია იმის თქმა, რამდენად მოახერხებენ ამას, რადგან ძალიან გააქტიურებული და გაძლიერებულია ოპოზიცია. მოკლედ, სახეზე გვაქვს გარკვეული დაძაბულობის ზრდის ტენდენცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ეს კი პრობლემად აღიქმება აშშ-ის ნებისმიერი ადმინისტრაციისთვის და თუ გავითვალისწინებთ ახლო აღმოსავლეთში ვითარების ესკალაციის ფაქტს, სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის დაწყება ნამდვილად შემაშფოთებელი პრობლემა იქნება ნებისმიერი პრეზიდენტისთვის, იქნება ეს ბუში თუ გორი.

***გვერდი მოამზადა ზურაბ მჭედლიშვილმა***

# „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის დღესასწაული

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მრავალ სასწაულთმოქმედ ხატთაგან გამოირჩევა ათონის წმინდა მთის დოქიარის მონასტრის „მსწრაფლშემსმენელი“. დღეს, როდესაც ჩვენი ცხოვრება აღსავსეა მრავალი მოულოდნელობით და მოვლენათა სწრაფი ცვლილებით, მისი მნიშვნელობა ერთიორად იზრდება.



მონასტრის საძმოს სატრაპეზოს წინ, კედლის ნიშში, ძველი დროიდან დაწერილი იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ღირსი მამები მე-10 საუკუნეს მიაკუთვნებენ.

ეს ხატი, შესაძლოა ყურადღების მიღმაც დარჩენილიყო, რომ არა ის სასწაულთმოქმედი ძალა, რომელიც 1664 წელს გამოავლინა.

ხატის წინ იყო გასასვლელი, რითაც მონასტრის მამები სატრაპეზოში შედიოდნენ. ტრაპეზარს ხშირად უხდებოდა აქ გავლა, ღამით ანთებული კვარითაც ჩაივლიდა ხოლმე.

ერთხელ, შუაღამისას, ხატის წინ გავლისას ტრაპეზარ ბერ ნილოსს ხმა შემოესმა: „აწ ნულარ გაივლი აქ ანთებული კვარით და ნუ მიჭვარტლავ სახეს“. ასეთ დროს, ცარიელ სატრაპეზოში ადამიანის ხმის გაგონებამ შეაკრთო ბერი. შემდეგ იფიქრა, რომელიმე ძმა იქნებაო და გზა განაგრძო; არც ანთებული კვარით სიარულისთვის დაუნებებია თავი.

ცოტა ხნის შემდეგ იგივე განმეორდა. ხმამ კიდევ აუკრძალა ბერს კვარით სიარული. მამა ნილოსმა არც ახლა იღო ყურად გაფრთხილება და მხედველობა დაკარგა. მერეღა მიხვდა, რომ ღვთისმშობლის ხატისადმი დაუდევრობას და უგულისყურობას იჩენდა და მძიმე სინანულში ჩავარდა.

ამ დღის შემდეგ მონასტრის ბერები კრძალვით ეპყრობოდნენ სასწაულთმოქმედ ხატს. ახალ ტრაპეზარს დაავალეს, მის წინ ყოველდღე საკმეველი ეკმია. ნილოსმა კი გადაწყვიტა, მანამდე დარჩენილიყო ხატთან, ვიდრე ცოდვა არ მიეტევებოდა და სიბრმავისაგან არ განიკურნებოდა. ყოველთა მონანულთა შემწემ მიიღო უსინათლო მლოცველის ღაღადისი და ერთხელ მხურვალედ მლოცველ ბერს მიმართა: „დე, მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა მომმართონ გასაჭირის ჟამს და არავის დავტოვებ შეუსმენელს: ყოველთა ჩემდამი სასოებით მოლტოლვილთა ვექმნები შუამდგომელად და მათ თხოვნას ჩემი მეოხებით შეისმენს ძე და ღმერთი ჩემი. დღეიდან ეს ჩემი ხატი წოდებულ იქნება „მსწრაფლშემსმენელად“, რამეთუ ყოველთა მავედრებელთა მოვუვლენ წყალობას და მათ თხოვნას მსწრაფლ შევისმენ“.

ამის შემდეგ ნილოსს თვალები აეხილა.

სასწაულის შესახებ ხმა სწრაფად გავრცელდა ათონზე. მრავალი ბერი და მლოცველი მიაწყდა დოქიარის სავანეს.

ძმებმა ზღუდით გამოჰყვეს ეს ადგილი და ააგეს მსწრაფლშემსმენელის სახელობის მშვენიერი ტაძარი.

ხატის წინ ყოველ დილა-საღამოს აღესრულება პარაკლისი. გარდა ამისა, ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს, საღამოს ლოცვის შემდეგ მამები იხდიან პარაკლისს და ლოცულობენ ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა და მსოფლიო მშვიდობისათვის.

„მსწრაფლშემსმენელის“ ერთ-ერთი ასლი დაბრძანებულია საქართველოს საპატრიარქოში.

ხატის დღესასწაული 22 ნოემბერს (ახ.სტ.) აღინიშნება.

***ანა ჩხეიძე***

# ნახეთ, ვინ ლაპარაკობს?!

თბილისის ზოოლოგიური პარკი ორი სპილოთი გამდიდრდა. მათი ჩამობრძანება ვიდეოკამერებმა და პრესის ფურცლებმაც დააფიქსირეს. ზოგმა უკვე მოასწრო მათი ხილვა, ზოგიც დღეს თუ ხვალ აპირებს... ალბათ ურიგო არ იქნება იმის გაგება, თუ რას ჰყვება ეს ორი მეტად საყვარელი ხორთუმიანი არსება თავის თავზე და რას ფიქრობენ ჩვენზე:

— არც გვეგონა, ასე თუ გავახარებდით აქაურებს, — დაიწყო ერთმა სპილომ, — პატარები მშობლებს ხელიდან უსხლტებიან და ჩვენკენ მორბიან. დამთვალიერებლებს სახეზე ვატყობთ კმაყოფილებას და იმასაც, რომ ჩვენზე რაღაც-რაღაცების გაგება სურთ. ჰოდა, გეტყვით. ჩვენ, ორივენი, ლაოსის ქვეყნიდან გახლავართ, ოღონდ მე სამხრეთელი ვარ, ჩემი მეგობარი — ჩრდილოელია. ასე რომ, სხვადასხვა სისხლისანი ვართ. მე დედალი ვარ და ძალიან მძიმეც, ერთ ტონას ვიწონი. ჩემი მეგობარი, მართალია, მამაკაცია, მაგრამ ჩემზე გამხდარია, 700 კგ-ს იწონის; მაგრამ ხომ იცით, მამაკაცები რომ იზრდებიან, სუქდებიან. ჯერ პატარაა, 3 წლის, გაიზრდება და იქცევა დევგმირად. 8-10 წლის შემდეგ დავქორწინდებით და მერე სპლიყვიც გვეყოლება. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ვიცით, გაგიხარდებათ.



ალბათ ისიც გაინტერესებთ, როგორ შევეგუეთ აქაურ ჰავას. ბრწყინვალედ! ჭამის მადასაც არ ვუჩივით. ისე, ვცდილობთ, ამ მხრივ მორიდებულები ვიყოთ და მთელი დღის მანძილზე თითოეული მხოლოდ ასე, 45-50 კგ-ს მივირთმევთ. ბოსტნეულით ვიკვებებით. ამაზე ექსპრომტს მოგახსენებთ: „არ აშინებთ ზოოპარკში სპილოების კვება, ამ ხორთუმებს რომ მოვუსვამთ, არაფერი რჩება“.

საუბარში მამალი სპილო ჩაერია, — კარგი რა, მეც მათქმევინე რამე... სულ შენ როგორ უნდა ჩაყო ხორთუმი ყველაფერშიო და ყურების პარტყუნით განაგრძო:

— არ იფიქროთ, მარტო ჟურნალისტები იყოთ ცნობისმოყვარენი, ზოოპარკის ადმინისტრაციისა და ბატონ გიასაგან შევიტყვეთ, რომ ჩვენამდე აქ სამ სპილოს უცხოვრია. პირველად დედალი სპილო ჰყოლიათ, მალკა, 46 წლამდე უცოცხლია, მეორე სპილოს მურაში რქმევია, მესამეს — ბაჩო. იგი უკრაინიდან ჩამოუყვანიათ, სხივური დაავადება ჰქონია. ამიტომაც მხოლოდ 3 წელი უცოცხლია. პატარა ბაჩოს ამბავმა გული გვატკინა, მაგრამ სპილოებს არ გვჩვევია ყურების ჩამოყრა, ცხოვრებას იმედიანად ვუყურებთ. ყველას ვესიყვარულ-ვესპილოებით... ჯერ კიდევ ჩვენს სამშობლოში, ლაოსში ვიცოდით, რომ „სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო“... პასპორტში ისეთი უცნაური და გრძელი სახელები გვქვია, თქვენ კი არა, ჩვენც ენას ვიტეხთ, ამიტომ ისეთი სახელები უნდა შეგვირჩიოთ, ჩვენც რომ გვესიამოვნოს და თქვენც გეამებოდეთ მისი წარმოთქმა.

ჰო, კიდევ კარგი, გამახსენდა, მალე ჩვენი სახელების თაობაზე კონკურსის გამოცხადებას აპირებენ, ჰოდა, იფიქრეთ! ჟიური კონკურსში გამარჯვებულსაც გამოავლენს და დააჯილდოებს. მერე კი სახელიანები და პოპულარულებიც გავხდებით. თუმცა ფოტოაპარატების ჩხაკაჩხუკი ახლაც არ გვაკლია. უფროსები ვოლიერის მოაჯირთან პატარებს დააყენებენ და კადრში ერთად გვახვედრებენ. ჩვენც დავსეირნობთ ღია ვოლიერში და თავი პოდიუმზე გვგონია. ისიც ვიცით, რომ მერე ეს სურათები შინ მიაქვთ, ახლობლებს აჩვენებენ, ინახავენ და ჩვენც, პირობითად, თითოეული მათგანის ოჯახის წევრად ვიქცევით ხოლმე.

— ქალბატონო კორესპონდენტო! არ გეწყინოთ, ახლა იქით გვეძახიან, ისინიც ცნობისმოყვარენი არიან, — მიადო ხორთუმი ლაოსელმა „ქალბატონმა“ პარტნიორს და მძიმედ დაიძრნენ ვოლიერის მოპირდაპირე მხარისკენ.

ჩემს ხორთუმიან რესპონდენტებს მადლობა მოვახსენე ცხოველური გულღიაობისთვის!

P.S. სპილოების სანახავად მისულებმა ისიც გავიგეთ, რომ ზოოპარკს გასაყიდი ჰყოლია ორი პატარა ნიანგი... იქნებ, „ახალმა ქართველებმა“ იყიდონ, ოღონდ, მთავარია, ქონებრივ დეკლარაციაში დაფიქსირება არ დაავიწყდეთ.

***ზოოპარკიდან სპილოებს ახმოვანებდა ნინო შევარდნაძე***

# ეთერ ანჯაფარიძემ თბილისს კონცერტი უძღვნა



საქართველოში საგასტროლოდ უცხოელიც ბევრი ჩამოდის და უცხოეთში წასული ქართველიც, მაგრამ მოგეხსენებათ, მსმენელს ყოველთვის ჰყავს თავისი გამორჩეული სიმპათია. **ეთერ ანჯაფარიძის** ჩამოსვლას თბილისში დიდი მუსიკალური ვნებათაღელვა ახლდა. მან კონსერვატორიის დიდ დარბაზში სოლო კონცერტი გამართა, პროგრამაში იყო მხოლოდ შუმანი. მეორე დღეს ქალბატონი ეთერის ამერიკელმა კოლეგამ ვლადიმირ ფელცმანმა შეასრულა ბახის 24-ე პრელუდია და ფუგა „კარგად ტემპერირებული კლავირის“ ტომი. დაბოლოს, მესამე დღეს შედგა ეთერ ანჯაფარიძისა და ვლადიმირ ფელცმანის საფორტეპიანო დუეტების საღამო.

ქალბატონი ეთერი მუსიკოსების ოჯახიდანაა, მამა — ზურაბ ანჯაფარიძე სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტი, მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი ტენორი გახლდათ, დედა — ივეტა ბახტაძე — პიანისტი.

საფორტეპიანო ხელოვნებას ეთერ ანჯაფარიძე ჯერ ქალბატონი მერი ჭავჭანიძის კლასში, ხოლო შემდეგ მოსკოვში ვერა გორნოსტაევასთან დაეუფლა. ქალბატონი ეთერი გახლდათ თბილისის კონსერვატორიის დოცენტი, შემდეგ მისმა სამოღვაწეო ასპარეზმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-იორკში გადაინაცვლა. იგი პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელიც წარდგენილი იყო "GREMMY"-ის პრემიაზე (1999 წ.).

ამდენად, ქართული აუდიტორია უდიდესი ინტერესით ელოდა მის კონცერტს. ქალბატონმა ეთერმა კიდევ ერთხელ გვაზიარა ჭეშმარიტ მუსიკას. ურთულესია შემსრულებლისთვის ორი საათის განმავლობაში შუმანის შესრულება, ვინაიდან ეს უდიდეს ემოციურ დატვირთვასთანაა დაკავშირებული. კონცერტის შემდეგ, ხუთი წუთით ჟურნალისტებმაც „მოვახერხეთ“ მისი შეწუხება:

— **ქალბატონო ეთერ, როგორია საგასტროლო განწყობა და რას იტყვით თბილისურ კონცერტებზე?**

— თბილისში ჩამოსვლა და დაკვრა ძალიან მიყვარს, რა თქმა უნდა, შინ კონცერტის გამართვა უფრო რთულია, მაგრამ დღეს ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი თავს. მსმენელის თანაგრძნობა ჩემთვის უპირველესია...

— **თქვენ გრემის პრემიაზე წარგადგინეს...**

— მსოფლიო მასშტაბით შეირჩნენ მუსიკოსები, ყველამ ჩავწერეთ ჩვენი პროგრამა, სავალდებულო იყო ამერიკული კლასიკური მუსიკაც, ჩემმა ჩანაწერმა რამდენიმე რაუნდი გაიარა და აღმოჩნდა ფინალში, სადაც მხოლოდ ხუთი კაცი გავიდა. ეს ჩემთვის უკვე საკმაოდ დიდი მიღწევაა. საბოლოოდ, პირველი პრემია აშკენაზს გადაეცა და სრულიად სამართლიანადაც.

— **არის ქართველი სტუდენტების ამერიკაში წაყვანის ტრადიცია, თქვენ თუ აპირებთ მომავალში ამ ტენდენციის გაგრძელებას?**

— ლექსო თორაძისა და საშა კორსანტიას აქვთ ინდიანის უნივერსიტეტის მხარდაჭერა. მოგეხსენებათ, ეს ფინანსებთანაა დაკავშირებული. მაშინ ნიუ-იორკში ამის საშუალება არ იყო. ამჟამად უკვე ვაპირებ რამდენიმე ნიჭიერი მუსიკოსის წაყვანას...

— **თქვენ ბრძანდებოდით თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი, რას იტყვით ქართველ პიანისტებზე და საერთოდ, ქართულ სკოლაზე?**

— იყვნენ ნიჭიერი მუსიკოსები, მე ათი წლის განმავლობაში თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი ვიყავი და ჩემთვის ძალიან ახლობელია ეს თემა. ჩვენი მუსიკოსები საკმაოდ სოლიდურ ჯილდოებს იღებენ საზღვარგარეთ, მართავენ კონცერტებს. ასე რომ, საამაყო გვაქვს ქართული საფორტეპიანო სკოლა და ჩვენ მათ ყველანაირი პირობა უნდა შევუქმნათ...

მეორე დღეს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საფორტეპიანო ფაკულტეტის პროფესორი ვლადიმირ ფელცმანი წარდგა ქართველი მსმენელის წინაშე. ძალზე იშვიათია პროგრამაში წარმოდგენილი იყოს მთლიანად ბახი და მით უფრო, ერთი კრებულის მთელი პირველი ტომი.

ვლადიმირ ფელცმანი ნოტებით უკრავდა... მართალია, ამის უამრავი მაგალითი გვაქვს (თუნდაც რიხტერი), მაგრამ ფელცმანი საკმაოდ ჩაღრმავებული იყო ნოტებში, ამიტომ არაერთხელ წაუცდა თითი არასწორ ნოტზე. შესრულება გახლდათ საოცრად მუსიკალური, განსაკუთრებით აღსანიშნავია ფუგის დაკვრის ხელოვნება, თემების შრეებად ჩვენება, მაგრამ... ეს ყველაფერი რამდენადმე სცილდებოდა ბახს, მის სტილს, რიტმულ მოთხოვნას, მკაფიოობას... თუმცა მან კონცერტამდე ერთი დღით ადრე ჩატარებულ მასტერ-კლასზე გაანადგურა ქართველი პიანისტები ბახის არასწორად შესრულების გამო. რას ვიზამთ, მას ფელცმანისებურად ესმის ბახი, მაგრამ უდავოდ მაღალი დონის პიანისტი გახლავთ.

მესამე დღეს კი საფორტეპიანო დუეტებმა დააგვირგვინა თბილისობისადმი მიძღვნილი კონცერტები, პროგრამაში იყო მოცარტის, ბრამსის, რახმანინოვის ნაწარმოებები ორი როიალისთვის.

კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა მუსიკალურ საზოგადოებას და თბილისს სამი შესანიშნავი დღე მიუძღვნა.

***ალექსანდრე ბერიძე***



იკითხეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალი „გზა“

CMYK

# ბოლოს და ბოლოს, ფრიდონ ინჯია დამნაშავეა თუ ხალხის რჩეული?



გასულ კვირას გენერალურმა პროკურატურამ განცხადებით პარლამენტის საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეს, როლანდ გილიგაშვილს მიმართა. პროკურატურა ითხოვს, კავშირგაბმულობის ყოფილ მინისტრს, ფრიდონ ინჯიას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დადასტურებისთანავე მოეხსნას იმუნიტეტი და დაპატიმრებულ იქნას. პარლამენტი პროკურატურის წინადადების გაზიარებას არ აპირებს. უფრო მეტიც, უახლოეს დღეებში ყოფილ ფოსტის მინისტრს პარლამენტი დეპუტატის მანდატით საბოლოოდ დაასაჩუქრებს.

როლანდ გილიგაშვილი გენპროკურატურის ამ წინადადებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს: „მიმაჩნია, რომ პარლამენტმა პირველ რიგში უნდა განიხილოს ინჯიას უფლებამოსილების დადასტურების საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც დეპუტატობის უფლებამოსილების დადასტურება მოხდება, მაშინვე განიხილება უფლებამოსილების მოხსნის საკითხი. რეგლამენტის მიხედვით, როდესაც პროკურატურის წინადადება შემოდის, იგი 5 დღის განმავლობაში უნდა გადაიჭრას. თუმცა ამჯერად ვერც წერილის მიღებიდან დავიწყებთ ათვლას, რადგან ინჯია ჯერ არ არის პარლამენტის წევრი".

აღსანიშნავია, რომ უკვე საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, რაც პროკურატურის მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ხულიგნობაში დადანაშაულებული ყოფილი ფოსტის მინისტრი მშობლიურმა რაიონმა დეპუტატად აირჩია. ერთ-ერთი პარლამენტარის ცნობით, ფრიდონ ინჯიამ არჩევნები საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით მოიგო. ასეთ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ინჯიას ხმა მისცეს მათაც, ვინც თავის დროზე პროკურატურაში მოწმედ დაკითხვისას ყოფილი მინისტრი ხულიგნობაში ამხილა.

ფაქტია, ინჯიას დეპუტატის უფლებამოსილების დადასტურება პარლამენტში გაჭიანურდა.

ამის მიზეზი კი ის არის, რომ ყოფილი კავშირგაბმულობის მინისტრი ისევ „ეგრისის" პრეზიდენტი აღმოჩნდა. დეპუტატის სტატუსის შესახებ კანონი კი ითვალისწინებს, რომ თუ უფლებამოსილების დადასტურებამდე პარლამენტის წევრი არ შეწყვეტს სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას, პარლამენტი დეპუტატის მანდატის გაცემაზე თავს შეიკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ინჯიას წარმომადგენელმა პარლამენტს უკვე წარუდგინა დოკუმენტი — საოქმო ჩანაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ ინჯია გადაყენებულია პრეზიდენტობიდან, გილიგაშვილი მაინც სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება:

— იმის გამო, რომ სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია ხდება სასამართლოში და, შესაბამისად, პრეზიდენტობის იურიდიული ძალაც მანამდე რჩება, სანამ სასამართლოშივე არ მოხდება მისი რეგისტრაციიდან მოხსნა.

მაშ ასე, დაპირებისამებრ, ინჯიას წარმომადგენელი ამ კვირას პარლამენტს სასამართლოს გადაწყვეტილებას წარუდგენს და, შესაბამისად, საპროცედურო საკითხების თავმჯდომარის განცხადებით, ამ კვირასვე ინჯიას დეპუტატად დაამტკიცებენ. ამის შემდეგ, დაახლოებით 5 დღის ვადაში, პარლამენტში დადგება ინჯიას დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნის საკითხი. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ინჯიამ ხმათა უმრავლესობით აქაც გაიმარჯვოს და დეპუტატის იმუნიტეტი შეინარჩუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სომხეთის პარლამენტის გამოცდილებას გავიხსენებთ, პროკურატურას უფლება აქვს, ინჯია დარბაზიდანვე გაიყვანოს ხელბორკილდადებული.

თუმცა ეს ნაკლებად არის მოსალოდნელი, თუნდაც იმიტომ, რომ ინჯიაზე განრისხებული „მოქალაქეთა კავშირის" რამდენიმე დეპუტატის გარდა, საეჭვოა, ინჯია ციხისთვის ვინმემ გაიმეტოს.

ასეა თუ ისე, „ახალი მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის, ლევან გაჩეჩილაძის თქმით, იგი ინჯიას სასამართლომდე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას არ აპირებს და ამისკენ სხვებსაც მოუწოდებს: „თუ ინჯია სისხლის სამართლის დამნაშავეა, ხომ შეიძლება ამის ყვირილით კი არა, პროფესიონალურად დამტკიცება. თუ დაუმტკიცდება, რომ ის სისხლის სამართლის დამნაშავეა და ბოროტად გამოიყენა თანამდებობა, მივესალმები იმას, რომ დაუსჯელობის პრინციპს გადავუსვათ ხაზი და ვიღაცა დაისაჯოს. ჩვენ ვართ ცივილიზებული ხალხი და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მისი ბრალეულობა. ამ საკითხში მე მჭირდება პროფესიონალური დამტკიცება და არა წივილკივილი იმიტომ, რომ ხალხმა გაიგოს — ვიღაც-ვიღაცები პარლამენტში მაგარი ბიჭები არიანო".

ინჯიასკენ იხრება ელენე თევდორაძეც. იგი გაკვირვებულია პროკურატურის მიერ პარლამენტში გაგზავნილი წერილით: „როცა პროკურატურა ითხოვს, რომ ვცნოთ დეპუტატად და აქვე შევუწყვიტოთ ინჯიას უფლებამოსილება, ამით პარლამენტის თავმოყვარეობა ილახება... არჩევნები ჩუმად არ ჩატარებულა. ინჯიას კანდიდატურამ რეგისტრაცია გაიარა. მიკვირს, იმ დროს რას ელოდებოდა პროკურატურა! მასალა, რომელიც პროკურატურას უდევს, ახალი შექმნილი არ არის, სანქციაც არის ძებნის შესახებ გაცემული. სად იყო აქამდე პროკურატურა?! ამ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს ხალხისთვის მაინც უნდა ეცა პატივი, რომ მეორეჯერ არ მისულიყო საარჩევნო უბნებში. თუმცა აქვე გეტყვით, რომ მე სიმართლის მხარეზე დავდგები".

კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ თვით კობა დავითაშვილი, რომელიც 1996 წლიდან აცხადებს, — ინჯია სისხლის სამართლის დამნაშავეაო, ყოფილი ფოსტის მინისტრის დეპუტატობის უფლებამოსილების დამტკიცების მომხრეა და ამის მიზეზად ხალხის ნებას ასახელებს. თუმცა, მისივე განცხადებით, როგორც კი პარლამენტში დადგება ინჯიას იმუნიტეტის მოხსნის საკითხი, იგი პირველი დააჭერს პულტს ხელს.

ასე რომ, უახლოეს მომავალში პარლამენტში ინჯიას გამოჩენას უნდა ველოდოთ.

არავინ უწყის, როდის დაბრუნდება ევროპიდან ყოფილი ფოსტის მინისტრი. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ის უკვე საქართველოშია.

***მარინა მამისაშვილი***

# უცნაური ტრაგედია ფოთის ტრასაზე...

საშინელი და ტრაგიკული ავტოსაგზაო შემთხვევები მკითხველისთვის არახალია. მაგრამ ის, რაც სენაკი-ფოთის გზაზე, სოფელ ჭალადიდთან მოხდა, საქართველოს კი არა, ალბათ, მსოფლიო მასშტაბის სენსაციებს განეკუთვნება. ადგილობრივი სამართალდამცავებიც დაბნეულნი არიან — მომხდარი ფაქტი, არსებული კანონმდებლობით ავტოსაგზაო შემთხვევებს არ განეკუთვნება. არადა, გზაზე მომხდარ ამ შემთხვევას ერთი ადამიანის დაღუპვა და მეორის მძიმედ დაზიანება მოჰყვა — საქმე გამოძიებას მოითხოვს...

ახლა საქმის არსს გაგაცნობთ:

2 ნოემბერს, დილის 11 საათზე, აბსოლუტური ხილვადობისა და საუკეთესო გზის პირობებში, ერთმანეთს საშინელი ძალით შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავი ორი ველოსიპედისტი. შეჯახების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა 76 წლის შალვა პერტახია, ხოლო 34 წლის შოთა კურტანიძე კი სხეულის მძიმე დაზიანებით ქ. ფოთის საავადმყოფოში მოათავსეს.



საგზაო პოლიციელთა განცხადებით, რომლებიც პირველნი მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, შეჯახების დროს ტრასაზე არავითარი ტრანსპორტი არ მოძრაობდა. ექსპერტიზამ ასევე დააფიქსირა ველოსიპედისტთა სიფხიზლე. ეს კიდევ უფრო უცნაურს ხდის გარემოებას — ფირმა „ლენდ როვერის" მიერ ახლახან გამოშვებული ველოსიპედის საუკეთესო მოდელი 80კმ/სთ-მდე სიჩქარეს ავითარებს (ესეც, შესაბამისი ინერციისა და გზის პირობებში). საეჭვოა, ჭალადიდელ პერტახიას ან კურტანიძეს ამ ფირმის ველოსიპედები ჰქონოდათ — „ლენდ როვერი" ფოთელი გლეხისთვის საკმაოდ ძვირი — 1500 დოლარი ღირს. დავუშვათ წარმოუდგენელი — ჭალადიდელი გლეხები (სხვათა შორის, ველოსიპედი ამ მხარეში საკმაოდ პოპულარული ტრანსპორტია) არნახული სისწრაფით მიაქანებდნენ პრესტიჟულ, დანჯღრეულ ველოსიპედებს. მაინც შეუძლებელია, რვა მეტრიანი სიგანის გზაზე ერთმანეთისთვის მხარი ვერ აექციათ.

საფიქრებელია, რომ ველოსიპედისტებს აქ ხშირად მოძრავმა ტრაილერებმა შეუვიწროვეს გზა, ერთმანეთს მხარი ვერ აუქციეს და ასფალტზე ვარდნის შედეგად მიღებული ტრავმებით ერთი მათგანი დაიღუპა, მეორე კი საავადმყოფოში მოხვდა (გზის პირას ჯიხურები, მრავალწლიანი ნარგავები და თხრილებია ჩაყოლებული. ამდენად, კრიტიკულ ვითარებაში გზიდან გადასვლა თითქმის შეუძლებელია).

კანონმდებლობის მიხედვით ველოსიპედისტი ქვეითად მოსიარულის რანგში გადის. ამდენად, მძიმე შედეგით დასრულებული შეჯახება გაუხსნელ საგზაო შემთხვევად არავის დააწვება კისერზე. ის, უბრალოდ, „უბედურ შემთხვევად" იქნა გაფორმებული.

***დაჩი გრძელიშვილი***

**რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულის ოჯახს.**

ბოლო დროს მოარული ხმების ეპიცენტრში უშიშროების სამინისტრო აღმოჩნდა. თბილისში ჭორაობენ, უშიშროებას თავისი კუთვნილი შენობიდან აძევებენ და ქალაქგარეთ უპირებენ მიბრძანებასო. საზოგადოებამ ეს ფაქტი უშიშროებისადმი გაკეთებულ არც ისე თავაზიან ჟესტად აღიქვა — „კგბ" ისე ვეღარ ქუხს, როგორც წინათ, უშიშროებას უწინ ვინ გაუბედავდა ამასო.

ჭორები უშიშროების სამინისტროს შენობის მომავალი მფლობელის ვინაობასაც ამხელენ — თურმე მასზე პრეზიდენტის ძმისშვილს, ნუგზარ შევარდნაძეს უჭირავს თვალი და იქ ფეშენებელური სასტუმროს მოწყობას აპირებს, რომელიც „განსაკუთრებული" სტუმრებისთვის იქნება განკუთვნილი.

ოფიციალური ვერსიით, უშიშროების სამინისტროს მისამართის შეცვლის მიზეზად შენობის მცირე ფართს ასახელებენ. მაგრამ სკეპტიკოსებს ამ შემთხვევაში სხვა არგუმენტი მოჰყავთ — თუ შენობა უწინ იტევდა თანამშრომლებს, ახლა რა ხდება, მით უმეტეს, ასობით თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვესო (შტატების შემცირების გამო). ეს კონტრარგუმენტი ჭკუასთან ახლოს არის და საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ უნდა იყოს.

ისიც ითქვა, ამ ფაქტმა განსაკუთრებით უშიშროების რიგითი თანამშრომლები გაალიზიანა (რომლებიც ხელფასის სისტემატური დაგვიანების გამო გულშეღონებულნი არიან, ისევე როგორც ბიუჯეტის შემყურე არაერთი სამსახური) — ქალაქის გარეუბანში სამსახურში სასიარულოდ ფული აღარ გვექნებაო.

მართლა შეიცვლის თუ არა უშიშროების სამინისტრო მისამართს? აქვთ თუ არა „ჩეკისტებს" რაიმე ცნობა შენობის მომავალი მფლობელის ვინაობის შესახებ და ბოლოს, როგორ უყურებს ამ ფაქტს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა? ამ კითხვებზე გვიპასუხებს უშიშროების მინისტრის აპარატის უფროსი **ბიჭიკო ლეჟავა**.

— ის, რასაც თქვენ ბრძანებთ, არ არის ჭორი, მაგრამ უშიშროების სამინისტრო სხვაგან გადაყავთო, ეს არ არის მართალი... ეს შენობა, სადაც დღესდღეობით ვართ, არანაირად არ შეესაბამება სპეცსამსახურისთვის საჭირო პარამეტრებსა და მოთხოვნებს.

**— რა პარამეტრებს გულისხმობთ?**

— შენობის ტიპს, კაბინეტების განლაგებას და, რაც მთავარია, საიდუმლოების დაცვის ხარისხს. არც ეს შენობა, სადაც უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა და რამდენიმე სამსახურია განლაგებული და არც ის, რომელიც სანაპიროზე მდებარეობს (იქ არის რამდენიმე წამყვანი სამსახური) არ აკმაყოფილებს სპეცსამსახურისთვის აუცილებელ სტანდარტებს. ჩვენ ვმუშაობთ ძლიერი სპეცსამსახურის ჩამოსაყალიბებლად.



## ვინ „დაიპყრობს" უშიშროებას?

ამისთვის ერთ-ერთი პირობაა მოხერხებული შენობა. უშიშროების სამსახურსაც უნდა მოეძებნოს შესაფერისი შენობა. ეს არის ჭორების სათავე, თორემ ის, რომ აქედან ვიღაცას უნდა გაგვაგდოს ან უკვე გაგვისტუმრა, ფაქტის არასწორი ინტერპრეტაციაა.

**— ე.ი. ეს თქვენი სამინისტროს ინიციატივით ხდება... ახალი შენობაც ხომ არ შეგირჩევიათ?**

— ერთია, ჩვენი სურვილი და მეორე — ჩვენ რეალურად შევიდეთ ამ შენობაში. მიმდინარეობს მუშაობა და ალბათ, ეს საკითხი მალე გადაწყდება.

**— რომელ შენობას გულისხმობთ, რომელიც დიღომში, სასტუმრო „უშბის" უკან მდებარეობს?**

— შეიძლება მასაც... ამ შენობაზეც არის საუბარი.

**— ქალაქგარეთ გადასვლა მუშაობაში არ შეგიშლით ხელს?**

— ამ ამბავს სანამ თქვენ შეიტყობდით, მანამ თვითონ თანამშრომლები სვამდნენ საკითხს, თუ რამდენად ეფექტური იქნებოდა ჩვენი იქ გადასვლა. სამუშაო პირობები არა გვაქვს. გაგიგონიათ, ზამთარში კაცს ხელები ისე ეყინებოდეს, რომ ცნობას ვერ წერდეს?..

ანალოგიურად ისმებოდა საკითხი, როცა დაზვერვა სხვაგან გადადიოდა, მაგრამ ამით ტრაგედია არ შექმნილა. შეიძლება ქართველი კაცის ბუნებაა ისეთი, ყველაფერი ცხვირწინ უნდა, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხერხდება. არც ის არის აუცილებელი, რომ უშიშროების სამსახური მაინცდამაინც ქალაქის ცენტრში იყოს.

**— თქვენ ფართის სიმცირეს ასახელებთ მისამართის შეცვლის მიზეზად, მავანნი კი ამბობენ, უშიშროებაში ისეთი შემცირება მოხდა, რაც აქვთ, ის ფართიც ზედმეტიაო.**

— თქვენი არგუმენტები არ მგონია, ოპერმუშაკებიდან მოდიოდეს. ეს ალბათ მომსახურე პერსონალის ან მანდილოსნების ნათქვამია, რომელთაც უნდათ ცენტრში იყვნენ, რომ ქალაქში უფრო ხშირად გავიდნენ ხოლმე, თორემ ჩვენი თანამშრომლები ისეთ რამეს უძლებენ, ამასაც აიტანენ.

**— უშიშროების თანამშრომლები ინფორმირებული ხალხი ხართ. ალბათ, გაიგებდით, რომ თქვენი სამინისტროს შენობაზე თვალი ნუგზარ შევარდნაძეს უჭირავს.**

— ესეც ჭორია, რომელიც ძალიან აბსტრაქტულად მეჩვენება.

**— მეტსაც ამბობენ, პრეზიდენტის ძმისშვილი ამ შენობაში სასტუმროს მოწყობას აპირებსო.**

— რა სასასტუმრო შენობა ეს არის?

**— პირიქით, ასე თქვეს, სწორედ სასტუმროსთვის არის ზედგამოჭრილიო.**

— პირველად მესმის, რომ ამ შენობაში ნუგზარ შევარდნაძეს უნდა გადმოსვლა და ჩვენ იმიტომ გადავდივართ.

**— გნებავთ მეორე ვერსიასაც გეტყვით, თურმე შესაძლოა აქ კონტროლის პალატა შემოასახლონ.**

— ჩვენ გვინდა ამ შენობიდან გასვლა და ვინ შემოვა აქ, ამას შესაბამისი უწყება გადაწყვეტს. გარედან შესაძლოა ეს შენობა დიდი ჩანდეს, მაგრამ ფართი შიგნიდან პატარაა.

**— იმ პერსპექტივისთვის, რომელიც მე გამანდეს, დიდი ფართი არც არის საჭირო. ამბობენ, აქ ისეთი სასტუმრო იქნება, რომელიც მცირერიცხოვან (მაგრამ განსაკუთრებულ) სტუმრებს მოემსახურებაო.**

— ჩვენ შენობა მოგვცენ და აქ რაც უნდათ, ის გააკეთონ... არ არის მართალი, რომ ვიღაც ძალას გვატანს.

**— ზოგი პოლიტიკოსი ამბობს, უშიშროება ბოლო დროს დასუსტდა, ის ძალა აღარ შესწევს, თორემ ამას ადრე ვინ გაუბედავდაო...**

— რა უნდა ვქნათ?.. დროშებით უნდა გამოვიდეთ, რომ უშიშროება ვართ, თუ რა? ბოლოდროინდელ შედეგებს თუ გადახედავთ, უშიშროების სამსახური თანდათან ფეხზე დგება (ეს არ არის ადვილი ჩვენი დაფინანსების ფონზე) და თანდათანობით ასრულებს იმ ფუნქციას, რაც მის კანონშია ჩადებული. ეს არ არის ისეთი მარტივი სამსახური, რომ ყველაფერი გარეთ გამოიტანო და სააშკარაოზე დადო, მით უმეტეს ის, რასაც „საიდუმლო" აწერია. ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ძლიერი ანტიტერორისტული სამსახურის შექმნაა. ეს მნიშვნელოვანია გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოსთვის.

**— გეთანხმებით, რომ დროშები არ უნდა აფრიალოთ, მაგრამ ბოლოდროინდელ მოვლენებში შსს-ს მუშაობა უფრო ჩანს.**

— ყველა ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან მოვლენაში სერიოზული წვლილი შეიტანა უშიშროების სამინისტრომ... ავიღოთ, თუნდაც არშემდგარი ტერაქტი პრეზიდენტზე და პატიმრების ბოლოდროინდელი გაქცევის ფაქტი... დიდ პატივს ვცემ ჩვენს ყოფილ თანამშრომლებს, მაგრამ ზოგი მათგანი ნაწყენია სამსახურიდან დათხოვის გამო და მათ ინფორმაციებზე დაყრდნობით პრესაში ხშირად ისეთი პუბლიკაციები ქვეყნდება, რაც შორს არის სინამდვილისგან.

P.S. უშიშროებამ ფაქტის კომენტირებისას ჩვეულებისამებრ „ისიტყვაძუნწა". ჯერჯერობით, უშიშროების შენობის მოსალოდნელი პრივატიზაციის საკითხზე ქონების მართვის სამინისტროც დუმს, თუმცა სიმართლე მომავალში მაინც გამოაშკარავდება. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, ვინ „დაიპყრობს" უშიშროებას.

***იზო რიკაძე***

# მთაწმინდაზე 3 მილიარდიანი ლას-ვეგასი აშენდება?!

გასულ კვირას პარლამენტში კიდევ ერთხელ გაიჟღერა მთაწმინდის ზემო პლატოზე ე.წ. „ლას-ვეგასის“ აშენების საკითხმა. ამ თემისადმი ინტერესი ხელისუფლებაშიც და საზოგადოებაშიც ჯერ არ განელებულა. მართლაცდა, რა ხდება სინამდვილეში, რა შენდება მთაწმინდაზე? და საერთოდ, რომელიმე პოლიტიკური ან ეკონომიკური წრეების ინტერესთან ხომ არ გვაქვს საქმე. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ თვით იდეის ავტორს, არქიტექტორსა და აკადემიკოს **ბ-ნ გიორგი ჩახავას** ვესაუბრეთ. დიალოგი ასეთი საინტერესო დეტალით დაიწყო:

— თავდაპირველად მინდა განმარტება გავაკეთო: ტურისტული და გასართობი კომპლექსი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ფუნიკულიორზე კი არ მოეწყობა, არამედ მის უკანა ზედა პლატოზე. ფუნიკულიორს თავისი პატრონი ჰყავს, მგონი ვიღაცას შეუსყიდია და ჩვენ იქ არავინ მიგვაკარებს.


გიორგი ჩახავა

**— რატომ აილეთ აქცენტი მაინცდამაინც მთაწმინდაზე? ხომ შეიძლებოდა სხვა ადგილიც შეგერჩიათ? მშენებლობის მინისტრი, მგონი, თბილისის ზღვაზე საუბრობდა.**

— დიახ, ასე იყო, მაგრამ მთაწმინდა თბილისის კოლორიტია, დედაქალაქის მეორე იარუსი. აქედან დანახულ თბილისს სხვა ეფექტი აქვს. თბილისის ზღვას კი, გარდა იმისა, რომ ტერიტორია არ აქვს საკმარისი, არ შეუძლია თბილისური სული წარმოადგინოს. დავუბრუნდეთ ისევ მთაწმინდას. მე შევისწავლე ზედა პლატოს მიწები, რომელთა უმრავლესობა გადარეცხილია. სოფლის მეურნეობისთვის ის არ ვარგა და რამდენიმე წელიწადში უდაბნოდ იქცევა. რატომ იქნება ცუდი, თუ ჩვენ იქ გავაკეთებთ დიდ პარკს, გასართობ კომპლექსს და ტურისტულ ცენტრს. ბიუჯეტში შემოსავლები ხომ შევა? ვერ ვხედავ ამ იდეის საწინააღმდეგო საფუძვლიან არგუმენტებს.

**— „ლას-ვეგასი“ ხშირად კაზინოებთან ასოცირდება. რას გულისხმობთ გასართობ ინდუსტრიაში? და საერთოდ, ხომ არ იქმნება საშიშროება, რომ მთაწმინდის ზედა პლატო ბულვარულ-ვულგარულ ადგილად იქცეს?**

— ლას-ვეგასში, რა თქმა უნდა, არის კაზინოები, მაგრამ იქ არის ასევე კარუსელები, სათამაშო ავტომატები და ათასი გასართობი რამ. არ ვიცი, რატომ აღიქვამენ უარყოფითად ლას-ვეგასს, თუ არ გვინდა კაზინოები, კი ბატონო, ნუ გავაკეთებთ. ეს ჩემი გადასაწყვეტი უკვე აღარ არის. ე.წ. ლას-ვეგასი ამერიკული შტრიხებისაგან თავისუფალი უნდა იყოს. ის ქართული, ეროვნული ელემენტებით უნდა გავამდიდროთ. მე ასე წარმომიდგენია: მოეწყოს ღვინის სახლი, ქორწინების სახლი, ათასი რამ შეიძლება მოიფიქროს კაცმა. მადლობა ღმერთს, ჩვენი კულტურა და ისტორია ხელს გვიწყობს. ასეთი ქალაქი (ლას-ვეგასი) ყველა ქვეყნისთვის სანატრელია. ის უამრავ ტურისტს იზიდავს და უდიდესი შემოსავალი აქვს სახელმწიფოს. რაც შეეხება მის ბულვარულ-ვულგარულ ადგილად ქცევას, ამაზე საზოგადოებამ, ქალაქის და რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს, თორემ ყველაზე პრესტიჟულ ადგილსაც კი შეიძლება საეჭვო რეპუტაცია მიეცეს. ჰოლანდიაში ბორდელები დაუკანონებიათ — ასე


*80-იან წლებში ამერიკაში, ნიუ-იორკში ჩატარდა კონკურსი მსოფლიოს საუკეთესო შენობათა გამოსავლენად. ეს შენობა (ალბათ იცანით, იქ ახლა საგზაო დეპარტამენტია) სსრკ-ში ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა. შენობის მთავარი ავტორია არქიტექტორი გიორგი ჩახავა*

ჩათვალა საჭიროდ ხალხმა და იმიტომ. ჩვენთანაც ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, რას სად მიუჩინოს ადგილი. ჩვენ კი არა გვგონია, მთაწმინდის გაუფასურება გვინდოდეს.

**— ბატონო გიორგი, ერთი რამ მინდა დავაზუსტო: თქვენ ამბობთ, რომ ამ კომპლექსისთვის საჭიროა 10კმ², პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში კი ექვსი დააფიქსირეთ. ამაზე ჩხენკელმაც გააკეთა აქცენტი. რასთან გვაქვს საქმე?**

— ტერიტორია, რომელზეც მე ვსაუბრობ (ზედა პლატო) მთლიანად არის 10კმ². ხოლო კომპლექსი ექვსზეც შეიძლება გაშენდეს და ოთხზეც. მე ვამბობ, რომ უნდა გამოიყოს 10კმ² მთლიანად. ხომ შეიძლება მერე ჩვენმა მომავალმა თაობებმა გააფართოონ. საერთოდ, პარლამენტში უცნაური ბრალდებები წამოაყენეს. თუ გახსოვთ, დეპუტატმა შაიშმელაშვილმა (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე) მითხრა, ამორალურად მოიქეცით, ჯერ პრეზიდენტს რომ მოუყევით მაგ იდეაზე და მერე მერ. როგორც მოქალაქეს, არ მაქვს უფლება ისე მივმართო ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს, რომ სხვას არ დავეკითხო? რა შუაშია აქ ამორალობა, არ მესმის. ბატონ ჩხენკელს კი შეიძლება წერილი წაკითხული არ ჰქონდა ან თანამშრომლებმა მოახსენეს არასწორად (იგულისხმება ის წერილი, რომელშიც პრეზიდენტმა ჩხენკელს იდეის განსახორციელებელი სამუშაოები დაავალა).

**— საინტერესოა, რა გახდა მაინცდამაინც ამ საკითხის საპარლამენტო განხილვის რეალური მიზეზი. სხდომის თავმჯდომარემ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პრეზიდენტის ბრძანებულებისადმი უყურადღებობა დაასახელა. სხვა უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის ბრძანებულებები არ სრულდება, მაგრამ სხდომას არავინ იწვევს. ახლა კი მე ვფიქრობ აქ სხვა მიზნებია. შეიძლება სუბიექტურიც.**

— ამ რამდენიმე თვის წინ ბატონ ჟვანიას ვაცნობე ჩემს გეგმაზე. პარლამენტის თავმჯდომარემ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს მიმართა. კომიტეტმა კი თავის მხრივ სხდომა მოიწვია. სხდომის მოწვევაში დიდი დახმარება გამიწია დეპუტატმა რევაზ ყიფიანმა. ის აქტიურად თანაუგრძნობს ჩემს პროექტს და მეც გვერდით ამოვიყენე, როგორც ძველი მეგობარი და კარგი იურისტი. სხვა სუბიექტური მიზეზები არ ყოფილა.

**— ამ პროექტის განხორციელებაში რომელიმე ფინანსური და პოლიტიკური წრეების ინტერესი ხომ არ იმალება?**

— არა. მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, არც ერთ პოლიტიკურ მოძრაობაში ჩართული არ ვარ. მე არქიტექტორი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ. საქართველოში ჩემი ხალხის სიყვარულმა ჩამომიყვანა, თორემ რა ხანია, იალტაში ვმოღვაწეობ, იქ ჩემი ფირმა მაქვს. რამდენიმე დღის წინ იქიდან დამირეკეს, რა ხდება, იცით? იალტაშიც უნდათ, რომ ანალოგიური პროექტი განახორციელონ. იალტა თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადდა და მათ ახლა ბევრი კარგი შესაძლებლობა ექმნებათ. ამ პროექტის განხორციელება ამერიკელებმა ივალდებულეს, იმათ იციან ჩემი საქართველოში ჩამოსვლის მიზანიც, სხედან ახლა და ელიან, როდის ჩავუტან მე მათ მზა პროექტს. მერე განსჯიან, სად ჩადონ ფული და სად დააფინანსონ ეს კომპლექსი — იალტაში თუ თბილისში. თუ ჩვენ ძალიან გავაჭიანურეთ პროცესი, ამერიკელები ფულს იალტაში დააბანდებენ. არადა, 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ჩვენს ვარიანტს მოიწონებენ. თბილისი არა მარტო შავი ზღვის აუზის ქვეყნებს მოემსახურება, არამედ შუა აზიასაც, ახლო აღმოსავლეთსაც. ჩვენი ტერიტორია როგორც „აბრეშუმის გზის“ კვანძზე მყოფი ქვეყანა, უცხოელებისთვის ძალზე მომგებიანია და ეს უნდა გამოვიყენოთ.

**— რამდენი დაჯდება კომპლექსის მშენებლობა?**

— დაახლოებით 3 მილიარდი სჭირდება მთლიანად. ბუნებრივია, ამ თანხას უცხოელები გაიღებენ. ჩვენ ყველაფერი კარგად გავთვალეთ, დიდი საქმე გაკეთდება ტურიზმის აღორძინებისა და ქვეყნის შემოსავლების საქმეში. ჯერჯერობით კი, რაც ჩვენს ბიუჯეტს ევალება — საპროექტო სამუშაოების დაფინანსება, ესეც ვერ ხერხდება. ჯერ სააქციო საზოგადოება უნდა შეიქმნას, რომელთანაც უცხო ფირმა ხელშეკრულებას გააფორმებს (სახელმწიფოსთან ისინი არ ითანამშრომლებენ, ხომ შეიძლება მთავრობა შეიცვალოს?!), მერე უნდა მოვიძიოთ გრანტი და გამოვაცხადოთ საერთაშორისო კონკურსი. მოკლედ, ყოველივეს სათავეში ახალგაზრდა კაცი უნდა ჩაუდგეს, თორემ მე უკვე ასაკოვანი ვარ. ისე ნუ ვიფიქრებთ, როგორც ერთი ხელისუფალი შემეკითხა: იქ სახინკლის გახსნა არ შეიძლება? აუ, რა კარგი შემოსავალი იქნებოდაო...

**— რას გვეტყოდით იმაზე, რომ მთაწმინდა დაცული ძეგლების ნუსხაში შედის და აქ რაიმეს აშენება აკრძალულია.**

— მე ფუნიკულიორს და მამადავითს არ ვეხები. კომპლექსი გაშენდება მთაწმინდის მხოლოდ ზედა პლატოზე და ნაწილობრივ გადავა უძოს მთაზე.

**— ბატონო გიორგი, საქართველოში თუ იღებთ კერძო შეკვეთებს და რომელიმე მაღალჩინოსნის სახლზე თუ მუშაობთ?**

— საზღვარგარეთ ძალიან ბევრი სახლი ამიშენებია, მაგრამ აქ — ცოტა. სამწუხაროდ, საქართველოში დამკვეთის ფსიქოლოგია და გემოვნება მაღალი არ არის. ცუდის აშენებას მირჩევნია, სულ არ ავაშენო. სახლისთვის ორი მომენტია მნიშვნელოვანი. შეუქმნას ადამიანს ფიზიკური და ფსიქოლოგიური კომფორტი. ამას წინათ ერთმა ჩინოსანმა წყნეთში წამიყვანა. იქ ნაკვეთი იყიდა ოცდაათ ათასად, დამათვალიერებინა, სახლის აშენება უნდოდა. ადგილი საშინლად არ მომეწონა. ვუთხარი, გამოცვალე-მეთქი. არ გამოცვალა, იმიტომ რომ მარცხნივ ერთი მინისტრის კოტეჯი იდგა, მარჯვნივ — მეორის. ირგვლივ სულ ხელისუფლების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ჰოდა, არ გამოცვალა. მეც ხელი აღარ მოვკიდე. არ გამოვიდოდა ისეთი, მე რომ მინდოდა. მზე არ იქნებოდა საკმარისი და ა.შ. ათასი ნიუანსი იყო.

# — ხალხის სიყვარულით ვზივარ პარლამენტში... თორემ შინ ისეთი „კნიაგინია“ მყავს, ვარსკვლავებს ეთამაშება...


ვახტანგ ბოჭორიშვილი

ქართული პოლიტიკის რეალობაში შესაძლო ახალ სკანდალს, დაახლოებით ასეთი სახე ექნება — ზვიადისტებისა და მოქავშირის ალიანსი. ბათუმური ბლოკის ზოგიერთმა წარმომადგენელმა პრესასთან საუბრისას განაცხადა და კიდეც, რომ ფრაქცია XXI საუკუნის ლიდერი **ვახტანგ ბოჭორიშვილი** (რომელიც პარლამენტში ექსპრეზიდენტის მომხრეთა ხმად აღიქმება) 99%-ით მხარს უჭერს ზურაბ ჟვანიას და მის აზრებს. მართალია, თავად ვახტანგ ბოჭორიშვილი ამ დუეტს ცხადად არ ადასტურებს, მაგრამ არც აღშფოთებული უარყოფს. სავარაუდოდ, ახალი სკანდალი მტკივნეულ გამოხმაურებას (ოპოზიციის მხრიდან) სწორედ ამ კვირას ჰპოვებს. განცხადებების გაკეთებას აპირებს ბოჭორიშვილიც. მათ შორის, „თავდასხმა“ აქვს განზრახული პოლიციაზეც. ცხელი მოვლენების კვალდაკვალ, ცხელ გულზე ვინახულეთ ბატონი ვახტანგი. ინტერვიუ კი ზვიადისტების პოლიციასთან ურთიერთობით დაიწყო.

— ალავიძისა და მღებრიშვილის ხალხმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს — თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ხალხი დაარბიეს. სარჩელი დაზარალებულებმა შეიტანეს, ამიტომ ჩვენ აღარ შევიტანთ. სასამართლოს ალავიძეს და თარგამაძეს ამ კვირაში მეც მოვუწყობ პარლამენტში. ვნახო ერთი, რით იმართლებენ თავს.

**— იმ ფაქტს როგორ უყურებთ, ზვიადისტებმა თავისუფლების მოედანი გამსახურდიას მოედნად რომ მოიხსენიეს?**

— საკითხის ასე დაყენებას არ ვეთანხმები. ქუჩებისთვის სახელების დარქმევის უფლება ხელისუფლებას აქვს მხოლოდ და თუ ისინი ფიქრობენ, რომ ისევ ხელისუფლებაში არიან, ეს მთლად საღი ჯანმრთელობიდან არ უნდა გამომდინარეობდეს.

**— ექსპრეზიდენტის ქვრივთან რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— ჩემთვის ქალბატონი მანანა პოლიტიკური ფიგურა არ არის. პატივს ვცემ, როგორც გამსახურდიას ქვრივს და მორჩა. ჩვენ, ფაქტობრივად, არ ვთანამშრომლობთ მასთან არც ავად, არც კარგად.

**— თქვენი ბლოკის წევრებმა ჟვანიასთან ალიანსში დაგდეს ბრალი. რა უდევს საფუძვლად ასეთ სენსაციურ განაცხადს? უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ ოპოზიციური ბლოკით მოსულს გიხდებათ ოპოზიციონერობის მტკიცება?**

— არა მარტო ჟვანიასთან, შევარდნაძესთან მეგობრობაც მბრალდება. მე რომ მიკროფონთან გინებით ვიკლებდე საპარლამენტო უმრავლესობას, მაშინ ეს საუბარი არც შედგებოდა. კაცო, მაინცდამაინც „სამსართულიანი“ უნდა ავაგო?! ხომ შეიძლება წყნარად, მშვიდად ვესაუბროთ ერთმანეთს. ზოგს ასე ჰგონია, თუ არ ილანძღე და ვირტუოზულად არ იგინე, არ ხარ ოპოზიციაში. ესეც ჩვენი უბედურებაა. ისე, წინა პარლამენტი მაინც სულ მასხარაობა იყო.

**არა მარტო ჟვანიასთან, შევარდნაძესთან მეგობრობაც მბრალდება. ჟვანია ჩემი უფროსია. ვინც მასთან მჭიდრო ალიანსს მაბრალებს, ან გიჟია, ან პროვოკატორი. დააყენონ ის კაცი თავის ადგილზე და დამაყენონ მეც.**

ეტყობა, ზოგს გული სწყდება, რომ ეს ცირკი ახლაც არ მეორდება.

**— მახსოვს, თავად განაცხადეთ, რომ ჟვანიას მიმართ ზოგჯერ მართლაც გიჩნდებათ მეგობრული გრძნობები.**

— ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც ჩვენთვის მისაღებია და ჟვანიაც მხარს უჭერს, აგრესიული რატომ უნდა ვიყო? ჩემზე ამბობენ, სადღაც-სადღაც დაძვრებაო. კი არ დავძვრები, დავდივარ. ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეა და საკითხებს მასთან ვათანხმებ, აბა ვისთან?! მე დიდად კმაყოფილი ვარ მისით, როცა პარლამენტმა 1991-92 წლების მოვლენები ცნო, როგორც კრიმინალური გზით ხელისუფლების გადატრიალება. 20 აპრილის დადგენილებაზე მოგახსენებთ. ამის გამო მაშინ ჟვანიას შავი დღეც დაადგა. წამოუხტნენ მისიანები და შეუცვივდნენ ოთახში — როგორ, აბა ჩვენ ციხეში უნდა წავიდეთო?

**— ფაქტია, ამ აღიარების მიუხედავად, არც სასამართლო შემდგარა და მით უმეტეს, ციხეში არავინ წასულა.**

— ახლა ჩვენ რომ ვუკიჟინოთ, უნდა წახვიდეთ ციხეშიო, სამოქალაქო ომი დაიწყება. ისედაც დაქცეულები ვართ და ეს ხომ სულ დაგვღუპავს. ამიტომ, ამომრჩეველმა უნდა ისწავლოს შეფასება, განსაკუთრებით თბილისის და კახეთის მოსახლეობამ. მაპატიონ კახელებმა, მე თვითონ თელაველი ვარ და იქ ხალხი დაბეჩავებულია. იძახიან, „შაჩვეული ჭირი გვირჩევნია შაუჩვეველსაო“. ასეა თბილისის დიდი ნაწილიც. არჩევნებში 10 ლარი დაურიგეს და მერე 500 ლარის საღირალი ცხვირში ამოადინეს. როცა ახალი არჩევნები დაინიშნება, ეს უნდა გაითვალისწინოს ელექტორატმა, თორემ დე გოლივით არავინ მოიქცევა — ნებაყოფლობით რომ დატოვა პოსტი და მეორედ მაინც აირჩია ხალხმა.

**— როგორც ვიცი, თქვენმა ფრაქციამ რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი მოამზადა ხე-ტყისა და მეღვინეობის შესახებ. პროექტებს პარლამენტის თავმჯდომარეც გასცნობია. მოიწონა?**

— უარყოფითი პოზიცია არ დაუფიქსირებია და ძალიან გამიხარდა, ე.ი. მოეწონა. ვიცი, ამასაც გამოაბამენ ახლა კუდს, მაგრამ რა ვქნა?! ჩუმად ხომ არ გავიყვან გვერდით და ხომ არ ვეტყვი — ბატონო ზურაბ, არ მოიწონოთ-მეთქი. ვეუბნები ყველას თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომ არავითარი ალიანსი არ მაქვს ჟვანიასთან. ალიანსი ხალხის სიყვარულთან მაქვს, თორემ რა მინდა 78 წლის კაცს პარლამენტში?! დავჯდებოდი ახლა სახლში ჩემს შვილებთან და შვილიშვილებთან და ვიქნებოდი გემრიელად, „კნიაგინია“ კიდევ ისეთი მყავს, ვარსკვლავებს ეთამაშება.

**— თუ არ ვცდები, თქვენს ბლოკთან კონფლიქტი გქონდათ სააკაშვილის მინისტრად დანიშვნის გამოც?**

— მოდით, ნუ დავარქმევთ კონფლიქტს. უბრალოდ, ძლივს დავარწმუნე უმცირესობა, რომ სააკაშვილზე უკეთესი სმკ-ს არავინ ჰყავდა. 19-მა კაცმა ოპოზიციიდან მაინც არ დაუჭირა მხარი. იუსტიციის სამინისტროსთან ყოველდღე გვაქვს საქმე და მაძლევდა ხელს იქ მტრულად განწყობილი კაცის მისვლა? მიკვირს, რატომ არ აქვთ ოპოზიციაში ზოგს დიპლომატიის ელემენტარული, გონივრული ნიჭი.

**— იუსტიციის სამინისტროსთან ურთიერთობაში პოლიტპატიმრებს გულისხმობთ?**

— ჰო. 20 აპრილიდან დღემდე პოლიტპატიმართა უმრავლესობა ციხიდან გამოსულია. იქ 50-მდე კაცია დარჩენილი — 104-ე და 105-ე მუხლებით რომ სხედან. რაც შეეხება გამოსულებს, ზოგიერთი პოლიციამ ხელახლა დაიჭირა — ზვიადისტი ხარ, ცხოვრება ძლივს დავაწყვეთ და ვერ აგარევინებთო. მერე ეს ხალხი მე დამიკავშირდა, მე ჟვანიასთან მივედი, მან კი ალავიძეს დაურეკა და გამოაშვებინა. აბა მე რამდენიც არ უნდა მეყვირა, ვინ გამიგონებდა. ამის გამო მადლობელი არ ვიყო ამ კაცის? ამ პარლამენტში, პირველ რიგში, ჟვანიას აქვს მოსმენის და გაგების უნარი.

**— მოკლედ, ექსპრეზიდენტისა და პრეზიდენტის მომხრეებს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება?!**

— ჟვანია ჩემი უფროსია. ბოლოს და ბოლოს, შვებულებაში რომ მივდივარ, მაშინ მას უნდა დავუწერო განცხადება. ვინც მასთან მჭიდრო ალიანსს მაბრალებს, ან გიჟია, ან პროვოკატორი. დააყენონ ის კაცი თავის ადგილზე და დამაყენონ მეც. რაც შეეხება პრეზიდენტს, პრეზიდენტია და ეჭვი არ მეპარება, დღე და ღამე არ სძინავს ფიქრით და დარდით. მაგრამ ერთი ჯარისკაცივით არ დაემართოს — სახლში რომ მოლონიერებული დაბრუნდა და დედას ისე ჩაეხუტა, რომ შემოეხრჩო. იმის თქმა მინდა, რომ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკაა ძლიერი, საშინაო კი — ყველა ვხედავთ.

*გვერდი მოამზადა ქეთი ბერეკაშვილმა*

# ვის ეკუთვნის „იბერია“

ტელეკომპანია „იბერიას“ სასამართლო პროცესები, შეიძლება ითქვას, „დაებედა“. საფოსტო ბანკთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგ იგი ფირმა „ომეგამ“ შეისყიდა. ამ გარიგებამ ახალ სკანდალს დაუდო საფუძველი.

სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრება ტელეკომპანია „იბერიის“ დირექტორი, კახა გაგლოშვილი.

— **რატომ გახდა აუცილებელი ტელეკომპანიის გაყიდვა?**

— „იბერიამ“ თავის დროზე ვერ შეძლო საფოსტო ბანკის ვალის დაფარვა და ამის გამო გადაწყდა, რომ მისი აქციების 80% აუქციონზე გაყიდულიყო. ცხადია, ეს ფაქტი ჩვენთვის და საერთოდ, კოლექტივისთვის საკმაოდ მძიმე იყო. ბევრი ვიბრძოლეთ ტელევიზიის შესანარჩუნებლად. ბოლოს, ვარჩიეთ, მოლაპარაკება გვეწარმოებინა იმ კლიენტებთან, რომელთაც სურდათ ტელეკომპანიის აქციების შეძენა. ერთ-ერთი ასეთი აღმოჩნდა „ომეგა“. მან ჩვენთვის შედარებით მისაღები პირობები შემოგვთავაზა: ჩვენ გვრჩებოდა აღმასრულებელი რგოლი, მე ვრჩებოდი ორგანიზაციის დირექტორად, ტელეკომპანია უნდა ყოფილიყო ობიექტური. „ომეგას“ მთავარი ინტერესი კი კომერციული იყო. მოლაპარაკებები მეტად მოკლე დროში ვაწარმოეთ, გადაწყვეტილებების მიღება, ფაქტობრივად, ცაიტნოტში მოხდა.

— **პირობები ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია?**

— პირობები ხელშეკრულებაში არ იყო დაფიქსირებული. გარიგება, როგორც გითხარით, ძალიან სწრაფად მოხდა, მოლაპარაკებების მეორე დღეს რეგისტრაციის ბოლო ვადა იყო, რეგისტრაცია რომ არ მომხდარიყო, ტელეკომპანია აუქციონზე გაიყიდებოდა. მოლაპარაკებებს ესწრებოდა რამდენიმე ადამიანი, მათგან ორი — პარლამენტის დეპუტატი. მოგეხსენებათ, თავად ზაზა ოქუაშვილი და მისი მეუღლე დეპუტატები არიან.

— **ვინ იყვნენ ეს დეპუტატები?**

— ერთი „აღორძინების“ წარმომადგენელია, მეორე — არა.

— **მოლაპარაკებებს უშუალოდ ვისთან აწარმოებდით?**

— ზაზა ოქუაშვილთან და მის მეუღლესთან, ნატო ჩხეიძესთან.

— **აქციების რა რაოდენობა შეისყიდა თქვენგან „ომეგამ“?**

— 100%. განსხვავება თანხაშიც იყო და აღმასრულებელ რგოლსაც გვითმობდნენ. აუქციონზე გაყიდვის შემთხვევაში კი ამის გარანტია არ გვქონდა. უნდა ითქვას, რომ შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ტელეკომპანიის ვა-





ლის დაფარვას და დანარჩენი თანხის ორ ნაწილად გადმორიცხვას, არ შესრულდა. პირველი ნაწილი მეორე დღესვე, დანარჩენი კი ორი თვის შემდეგ უნდა მიგვეღო. მათ თანხა არ გადაუხდიათ.

— **მოწინააღმდეგე მხარე იმ არგუმენტს იშველიებს, რომ რეალური დავალიანება წარდგენილს აჭარბებდა.**

— ეს ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა. ტელეკომპანიის გაყიდვის აუცილებლობა იმიტომ გაჩნდა, რომ ვალებს ვერ ვფარავდით. ყველა ვალი ჩამოწერილი და დაჯამებული იყო. მისი დამალვა უაზრობა იქნებოდა, რადგან, როგორც ვთქვი, გაყიდვის მიზანი სწორედ ვალის დაფარვა გახლდათ. თანაც ასეთი ტყუილის აღმოჩენა ძალიან მარტივად შეიძლება საბუღალტრო დოკუმენტებში. დღესდღეობით, ცდილობენ, ამით ახსნან გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობა, მაგრამ ამის გამართლება შეუძლებელია. თანაც გაუთვალისწინებელი ხარჯები (თუ ასეთი გამოჩნდებოდა) გადასახდელი თანხის მეორე ნახევრიდან გამოიქვითებოდა. ასე რომ, პრობლემა ესეც არ იყო. მეორე დღესვე უნდა გაფორმებულიყო ყველა იურიდიული საკითხი, რასაც მათ ზერელედ შეხედეს. დაგვპირდნენ, თანხას მეორე დღეს მიიღებთო. ორი-სამი დღის შემდეგ კი თვალით აღარავინ გვინახავს. ხუთი დღის შემდეგ შევიტყვეთ, რომ მათ უკვე დაეყენებინათ დირექტოროზიდან ჩემი მოხსნის საკითხი.

— **მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება სიტყვიერი იყო, თქვენ სასამართლო პროცესი მოიგეთ. რა არგუმენტი გაგაჩნდათ?**

— არ იყო ჩვენი (ტელეკომპანიის დამფუძნებლების) მეუღლეების ნოტარიალური თანხმობა აქციათა გაყიდვის თაობაზე. ჩვენ მათ შევახსენეთ კიდეც ამის შესახებ. მათ კი ეს ფაქტი მნიშვნელოვნად არ მიიჩნიეს. არადა, კანონის მიხედვით, როდესაც ადამიანი ასხვისებს კერძო ქონებას, თუ ეს ქონება მეუღლეების თანაცხოვრების პერიოდშია შეძენილი და არ არსებობს მეუღლის თანხმობა, გარიგება ბათილად ითვლება.

სამივე დამფუძნებლის მეუღლეთა სარჩელი შეტანილ იქნა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში. სასამართლომ 20 ოქტომბერს ბათილად ცნო ჩვენსა და „ომეგას“ შორის არსებული გარიგება. აქციათა 100%-ის მფლობელებად ისევ ჩვენ გვაღიარეს. პარტნიორთა კრებამ დამნიშნა დირექტორის თანამდებობაზე.

— **მაგრამ მიუხედავად ამისა, თქვენ ვერ შედიხართ ტელეკომპანიის ოფისში?**

— ამჟამად „იბერიის“ ოფისს „ომეგას“ შეიარაღებული დაცვა იცავს და იქ შესვლის საშუალებას არ გვაძლევს. შესაბამისი ბრძანების შემთხვევაში ალბათ ისვრიან კიდეც. გვემუქრებიან, მიგვანიშნებენ, რომ „ომეგას“ უკან ძალოვანი სტრუქტურის ინტერესი დგას და ისინი მოახერხებენ მის დაცვას.

მე კიდევ ერთ უცნაურ რამეს გეტყვით: „ომეგა“ აპირებს, რომ საინფორმაციო გამოშვებით გავიდეს ეთერში. ცხადია, ამას ჩვენს საწინააღმდეგოდ და ცილისწამებისთვის გამოიყენებს. მე მივმართე საქართველოს ტელეცენტრის დირექტორს ნუგზარ ბეგალიშვილს — გარკვეული პრობლემების გამო გამოერთოთ ჩვენი გადამცემი. ეს არ მოხდა. შემდეგ მივწერე, სარემონტო სამუშაოების გამო ტექნიკური პერსონალი უნდა ავიდეს ანძაზე და გთხოვთ, სამუშაო პირობები შეუქმნათ-მეთქი. პერსონალი არ აუშვეს. ამის შემდეგ მივედი ბეგალიშვილთან კაბინეტში და ვთხოვე გადამცემის გამორთვა. დამეთანხმა, რომ ამის მოთხოვნის სრული უფლება გაქვს, მაგრამ არ მინდა და არ გამოვრთავო. ასევე მიპასუხა ტექნიკური პერსონალის შესახებაც — არ მინდა და არ ვუშვებო. ვკითხე, ხომ იცით, რომ ეს უკანონო ქმედებაა-მეთქი. ვიცი, მაგრამ ასე გადავწყვიტეო. ამის შემდეგ გამოვაქვეყნეთ განცხადება კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის სახელზე, რომელსაც ვაუწყეთ სამინისტროში არსებული უკანონობის თაობაზე. რეაგირება არ მოჰყოლია. გადამცემი დღესაც ჩართულია და მას, ფაქტობრივად, უკანონო მფლობელი მოიხმარს.

მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, „ომეგას“ უკან შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეული ინტერესები დგას. მათ ინტერესს უშუალოდ შსს-ს მაღალი ეშელონების წარმომადგენლები ლობირებენ. სხვანაირად, გამოვრიცხავ, რომ კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მინისტრს შეეტყო ამგვარი უკანონობის შესახებ და არაფერი ეღონა.

— **„ომეგამ“ საპასუხო სარჩელი აღძრა?**

— მან სარჩელი შეიტანა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში. ითხოვენ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რისი უფლება არა აქვს, რადგან გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ პროცესში მონაწილე მხარეს შეუძლია. „ომეგა“ ამ პროცესში მხარედ არ მონაწილეობს.

P.S. მიუხედავად დიდი მცდელობისა, გარიგების მეორე მხარის წარმომადგენლებთან, უშუალო მონაწილეებთან — ზაზა ოქუაშვილსა და მის მეუღლესთან ნატო ჩხეიძესთან დაკავშირება არ მოხერხდა. ჩვენ მიერ მოპოვებულ ოთხ კოორდინატზე, მათ შორის, მობილურ ტელეფონზე, არავინ პასუხობდა.

*მაია გაბუნია*

# 8000-ზე (?!) მეტი იშვიათი ექსპონატი მიითვისეს!..



**დადიანისეული სასახლე**

ზუგდიდის სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებიდან დაკარგული ნივთების ჩამონათვალი 150 თაბახის ფურცელზეც კი არ ეტევა. საერთო ჯამში მუზეუმიდან გამქრალია 8000(?!) ერთეულზე მეტი ექსპონატი. მათ შორის უამრავია ოქრო-ვერცხლისაგან დამზადებული ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც სახელმწიფო და რელიგიური მნიშვნელობის რელიკვიებია. იმის მაგივრად, რომ მათ თვალისჩინივით გავფრთხილებოდით, დღეს ეს იშვიათი ნივთები ყოფილი პარტიული ბოსების სახლების ინტერიერისა და მათ შთამომავალთა სამშვენისებად ქცეულა. ზოგიერთი მათგანი კი უცხოელი კოლექციონერების ხელშია.

ზუგდიდის სახელმწიფო-ეთნოგრაფიული მუზეუმი 1921 წელს დაარსდა ყოფილ სამეგრელოს მთავართა სასახლეებში, იქ დაცული არქივებისა და ნივთების ბაზაზე. ამჟამად მუზეუმი მოთავსებულია ზუგდიდის დადიანისეულ ორ სასახლეში, სადაც მთავრების ქონებასთან ერთად გამოფენილია ამ მხარეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთები. აგრეთვე მუზეუმშია დაცული სამეგრელოს ეკლესიების საკუთრება: ჯვრები, ხატები, საეკლესიო ჭურჭელი და სხვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძისა და ოჯახის სხვა წევრთა პირადი ნივთები და ოქრო-ვერცხლისაგან დამზადებული სამკაულები. სამწუხაროდ, აღნიშნული განძეულობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუზეუმიდან დაკარგულია და ზოგიერთი ალბათ ქართველი ხალხისათვის სამუდამოდაც.

ზუგდიდის მუზეუმიდან დიდი რაოდენობით გამქრალი ექსპონატების შესახებ პირველად განგაშის მაუწყებელი სიგნალი 1991 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაისმა. კერძოდ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 8 ივლისის №633 განკარგულების საფუძველზე საქართველოს კულტურის სამინისტროზე დაქვემდებარებული ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გადაეცა მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, როგორც ფილიალის სტრუქტურული დანაყოფი. აკადემიის 1988 წლის დადგენილებისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ბრძანების შესაბამისად გამოიყო კომისია, რომელსაც დაევალა, ჩაეტარებინა ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის სრული ინვენტარიზაცია და შეჯერება.

ინვენტარიზაცია მუზეუმში 1991 წლის მაისამდე, ე.ი. ორწელიწად-ნახევარი გაგრძელდა და კომისიამ სამუზეუმო ექსპონატების მნიშვნელოვანი ზარალი გამოავლინა. აღმოჩნდა, რომ 1922 წლიდან 1969 წლამდე დაკარგულია 7620(?!) ერთეული სამუზეუმო ექსპონატი.

ზუგდიდის მუზეუმის აღწერის შედეგები 1991 წელს გადაეგზავნა ზუგდიდის პროკურატურას. 1991-1993 წლებში რეგიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო გამოძიების საქმე მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძრა. მაგრამ, რატომღაც, ზუგდიდის პროკურატურა რეგიონში სტაბილიზაციის დამყარების შემდეგაც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გულგრილობას იჩენდა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი იხსენებს: „დიდი ხნის მანძილზე ადგილობრივ პროკურატურას ვთხოვდი, რომ გამოძიება ჩაეტარებინა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიიღო წერილი, სადაც ნათქვამია, რომ „ეროვნული საგანძურის დატაცების ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული ჯერ არ გახსნილა“. მოკლედ, პროკურატურა დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა. საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ დაკარგული ძვირფასი ნივთები ჩამოიწერებოდა. მაგრამ 1994 წელს ზუგდიდის სახელმწიფო მუზეუმში ახალი დირექტორი დაინიშნა. მუშაობის დაწყებიდანვე მისი ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც ხელახლა დაევალა მუზეუმში დაცული ექსპონატების აღწერა-ინვენტარიზაცია, რის შემდეგაც გამოვლინდა უამრავი სხვადასხვა სახის დანაშაული. კერძოდ, ექსპონატთა სარეგისტრაციო წიგნში ფიქსირებული მრავალი ფასეულობა არ ემთხვევა მუზეუმში რეალურად დაცულს, ამოშლილია ნივთების დასახელება და მათ მაგივრად გაკეთებულია სხვა წარწერები, არ არსებობს ექსპონატთა პასპორტები და სხვა. მაგალითად, ერთ ადგილზე მითითებულია:

„ოქროს მონეტა“ — 2 ცალი და წონა, მეორე ადგილზე „ოქროს მონეტა“ — 1 ცალი და წონა ისე, რომ განსაზღვრული არ არის მისი ნომინალი, როცა ამ უკანასკნელს ენიჭება უმთავრესი მნიშვნელობა. დაკარგულია ხატი, რომელიც სარეგისტრაციო წიგნში დაფიქსირებულია, როგორც „პატარა ხატი“, თითქოს ხატის მხატვრულ ან რელიგიურ ღირსებას ხელოვნების ნიმუშის სიდიდე განსაზღვრავდეს, მსგავსი საეჭვო ჩანაწერები კი სარეგისტრაციო წიგნებში მრავლადაა, — აცხადებს მუზეუმის დირექცია.

მუზეუმის დირექტორმა ვერსად ნახა დადიანისეული ძვირფასი ჭურჭელი. ან რას ნახავდა, როცა ის დაუდგენელ პირებს 1993 წელს მოუპარავთ. არსად ჩანს 160 ერთეული ძველი საბრძოლო იარაღი, რომელიც თურმე სამხედრო ბატალიონისათვის(?!) გადაუციათ (ნეტავ, რად უნდოდათ თანამედროვე ჯარისკაცებს ფეოდალური ხანის საჭურველი?). არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1988 წელს გამოყოფილმა კომისიამ, რომელმაც მუზეუმის ინვენტარიზაცია გააკეთა, დარღვევები მხოლოდ 1969 წლამდე დააფიქსირა და ყველაფერი ფონდის გარდაცვლილ მცველს დააბრალა. უფრო მეტიც, ახალი დირექტორის ჯემალ როგავას მიერ შექმნილმა კომისიამ მუზეუმში ვერავითარი დარღვევის ან დანაკარგის დაფიქსირება ვერ შეძლო. ყოველივე ამის შემდეგ 1997 წელს ჯემალ როგავამ თანამდებობა დატოვა.

ნებისმიერი ზუგდიდელი გეტყვით, თუ ექსპონატების რა სიუხვით გამოირჩეოდა მათი მუზეუმი, რომელიც ყოველ წელიწადს, ყოფილი პარტიული ბოსების გამო, ასეულობით ძვირფას ნივთს კარგავდა. მათი განცხადებით, ექსპონატების ერთი ნაწილი ადგილობრივ და რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელობას თავიანთი სახლების ინტერიერის გასალამაზებლად და მეუღლეების გულის მოსაგებად მიჰქონდათ, ხოლო მეორე ნაწილი — რუსეთიდან ჩამოსული მაღალი რანგის ჩინოვნიკთა მოქრთამვას ხმარდებოდა.

ჯერ კიდევ მხნედ მყოფი ყოფილი პარტიული ბოსები თავიანთი კავშირების წყალობით ზეგავლენას ახდენენ სამართალდამცველ ორგანოებზე და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რას უნდა დავაბრალოთ აღნიშნული საქმისადმი სამხარეო პროკურატურის გულგრილობა? უფრო მეტიც, სამხარეო პროკურატურა ამ საქმეს, როგორც უპერსპექტივოს, ისე აფასებს და ამიტომაც მას დავიწყების მტვერი ედება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯემალ როგავას „ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა“ მუზეუმიდან დაკარგულ ექსპონატებთან დაკავშირებით, მუზეუმის თანამშრომელთა გაღიზიანება და მწვავე პროტესტი გამოიწვია. ისინი როგავას დაუპირისპირდნენ და აიძულეს, განცხადება დაეწერა თანამდებობის დატოვების შესახებ. როგორც ამ საქმეში ჩახედული რამდენიმე პირი აცხადებს, მუზეუმის თანამშრომლების ასეთი მოქმედება თბილისიდან იმართებოდა ზუგდიდის ყოფილი ქალაქკომის და რაიკომის მდივნების მიერ. თუ რატომ, ამის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს.

ბოლოს, არ შეიძლება არაფერი ითქვას მუზეუმის მთავარი მცველის ლილი ბერაიას განცხადების შესახებ, რომელიც ამ თანამდებობაზე 1985 წლიდანაა. როგორც ის ამტკიცებს, მან ფონდები არსებული სახით გადაიბარა წინამორბედისაგან და მისი მთავარი მცველობის პერიოდში მუზეუმიდან არაფერი დაკარგულა(?!). ამაზე თუ უთქვამთ, „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებსო“. თუნდაც ეს ასე იყოს, მაშინ რატომ არ ატეხა ბერაიამ განგაში 1985 წელს, როცა 8.000-მდე ექსპონატი ვერ მიითვალა?

ამ შემთხვევაში გამოსავალი ერთადერთია. ფონდების შეჯერება-ინვენტარიზაციას ხელი უნდა მოკიდონ სამართალდამცველმა ორგანოებმა, რომლებიც სპეციალისტებისა და ექსპერტების დახმარებით შეძლებენ ჭეშმარიტების დადგენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიდან უკვალოდ გამქრალი დაახლოებით 8000 უნიკალური ექსპონატი შთამომავლობისათვის სამუდამოდ დაკარგული დარჩება.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# კონკორდატი

გადამწყვეტ ფაზაში შედის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხი, რომელიც განსაკუთრებული ხელშეკრულების (ანუ კონკორდატის) საფუძველზე უნდა დარეგულირდეს. უმთავრესი და თავდაპირველი, რაც ამ ხელშეკრულების პროექტს წინ უნდა უსწრებდეს, მისი რანგის, სტატუსის განსაზღვრა და საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელებაა.

საპატრიარქოს თხოვნა იყო, გაფორმებულიყო „კონსტიტუციური ხელშეკრულება“. პრაქტიკულად „კონსტიტუციური ხელშეკრულება“ ეს არის ახალი ტერმინი და ჯერ არსად არ არის გათვალისწინებული ოფიციალურ დოკუმენტებში. თუ ხელშეკრულებას კონსტიტუციურის რანგი ეძლევა, მაშინ ასეთივე მაღალი უნდა იყოს მისი რანგი სამართლებრივი აქტების იერარქიაშიც, რაც კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის გზით უნდა დაფიქსირდეს. სწორედ ეს საკითხი წარმოადგენდა დისკუსიის მთავარ თემას ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის პერიოდში, რომელმაც უკვე დაასრულა ამ საკითხის განხილვა. ფაქტობრივად, კონკორდატთან დაკავშირებული აღნიშნული საკითხი ორ ნაწილად გაიყო: ხელშეკრულების სტატუსი. და, აქედან გამომდინარე, მისი რანგის განსაზღვრა და კონსტიტუციის მე-9 მუხლში ცვლილებისა და დამატების შეტანა. კონსტიტუციის დღეს არსებული რედაქციის მიხედვით მე-9 მუხლში, სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმნიშვნელოვანეს როლს ქვეყნის ისტორიაში. საპატრიარქოს განმარტებით, საქართველოს ეკლესია არასრული დასახელებითაა ჩაწერილი და იგი კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირდეს, როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია და აქვე, ამავე მუხლში მოხდეს დამატება, რომლითაც დადგინდება სახელმწიფოსაგან ეკლესიის დამოუკიდებლობა: „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა განისაზღვრება ხელშეკრულებით“.

საპატრიარქოსთვის აუცილებელია გარკვეული იყოს, რა დონის სამართლებრივ დოკუმენტს ეწერება ხელი, სად დგას იგი სამართლებრივ იერარქიაში, იქნება თუ არა იგი საერთაშორისო ხელშეკრულებებზე და ორგანულ კანონზე მაღლა მდგომი თავისი სტატუსით, და ითხოვს, რომ რანგით ის იყოს „კონსტიტუციის შემდგომ გამომდინარე“ (გ. ანდრიაძე).

ფორმულირება, რომელიც ნორმატიული აქტების თანრიგობრივ ჩამონათვალს ეხება და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ინტერფრაქციული ჯგუფის დიდი ნაწილი მხარს უჭერს, ასეთია — საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს კონსტიტუციური ხელშეკრულება.

საპატრიარქო ეჭვობს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკონსტიტუციო ძალის მინიჭებას სხვა რელიგიური მიმდინარეობები შეუშლიან ხელს. ამ ძალების არსებობას კი საპარლამენტო განხილვა წარმოაჩენს. საპატრიარქოს საპარლამენტო მდივნის გიორგი ანდრიაძის თქმით, შეიძლება არსებობდეს სხვა გლობალური თანამედროვე სექტანტური მიმართულების ძალები, რომლებმაც თავისი თავი ამ მხრივ აშკარად არ დააფიქსირონ, მაგრამ გარკვეული გავლენიანი პიროვნებების პირით დააფიქსირებენ თავის უარყოფით დამოკიდებულებას.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხელშეკრულების პროექტი გამოქვეყნებული უნდა იყოს ერთი თვის განმავლობაში, საზოგადოებამ თავისი აზრი გამოთქვას და მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება პარლამენტს კენჭი უყაროს მას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საპატრიარქოს ახალი მხარდამჭერი გამოუჩნდა „ახალი მოძრაობის“ სახით. ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე ამ საკითხს ორგანიზაციის პრიორიტეტად აცხადებს და ამბობს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მხოლოდ საკონსტიტუციო კანონს უნდა ემყარებოდეს. ხელშეკრულების რანგის განსაზღვრის საკითხთან მიმართებაში იგი თვლის, რომ ეს უნდა იყოს უმაღლესი რანგის დოკუმენტი.

მოგეხსენებათ, ორიოდ თვე რჩება ქრისტეშობიდან 2000 წლის გასრულებამდე. კაცობრიობა XX საუკუნეში გადასასვლელად ემზადება. ამ თარიღის აღსანიშნავად განსაკუთრებულად ემზადება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც. ალბათ სასურველია, თუ ამ თარიღისათვის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთდამოკიდებულება ოფიციალურად იქნება განსაზღვრულ-მოწესრიგებული.

*მამუკა გიორგაძე*

# ქართული ჯიპი, დაინტერესებული სომხები და კორუმპირებული ქართველები

ალბათ, „ქართული ჯიპის“ არათუ წარმოებაზე, ხსენებაზეც მავანს ირონიულად ჩაეცინება. ქართველებს გვიყვარს ხოლმე ირონიული ჩაცინება. ისე, ნამდვილად ირონიული სურათია — განვითარებული დასავლეთი ელვის სისწრაფით მიქრის ტექნიკური პროგრესისკენ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ალაგ-ალაგ, მაგრამ მაინც ღირსეულად ცდილობენ მისთვის ფეხის აწყობას. რიგი ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისა ამ გზაზე მიჩანჩალებს, ჩვენ კი ერთ ადგილას ვდგავართ და პირდაღებულნი ვუცქერით, როგორ იცვლება მსოფლიო. თუმცა, მთლად პირდაღებულნიც არა — ჩვენთან მშვენიერი სასახლეებიც შენდება და ზოგიერთი ჩინოვნიკი „მეგობრების დახმარებით“ შეძენილი „ბეემვე“ — „მერსედესებითაც“ დაქრის.

... გელა ბაცაცაშვილი ინვალიდია — აფხაზეთის ომში დაჭრილს ცალი ფილტვი ამოაჭრეს და ხელიც დაზიანებული აქვს. ამას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი სრულიად მარტოს, თავისი ვაჟის დახმარებით რაღაც სამ თვეში მაღალი გამავლობის ჯიპი აეწყო. საკუთარ თავზე და მიღწევებზე ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარს. ზემოთ ნახსენებ ჯიპზე კი, რომელიც ათზე მეტი სხვადასხვა მარკის მანქანათა დეტალებითაა აწყობილი, ხელის ჩაქნევით ამბობს: „ეს რა არის... ეს არაფერია. უბრალოდ, ნაწილები მქონდა და გავერთე. ბევრად უკეთესი და ძლიერი მანქანის აწყობა შემიძლია, სახსრები რომ იყოს. თანაც ისე, რომ ყველა დეტალი საქართველოში დამზადდება“.

... ალბათ, ჩვენი მწარე სინამდვილის გამოხატულებაა ქართული ჯიპის სახელწოდებაც — მას „ტანჯულა“ ჰქვია. ყოველგვარი საჭირო პირობების გარეშე სამ თვეში აწყობილი მანქანის სახელზე თვითონ სევდიანი ღიმილით ამბობს: „მე და ჩემი ბიჭი დაგვტანჯა და იმიტომ. მისი აწყობა ამდენ ხანს არ უნდა გამგრძელებოდა“.

**— ვინმე რომ დაინტერესდეს და ყველა საჭირო დეტალი ერთ დღეში მოგიტანოთ, ასეთ ავტომობილს რამდენ ხანში ააწყობთ?**

— ალბათ, თვე-ნახევარში, შეიძლება ნაკლებშიც.

**— მანქანის კორპუსმა დიდად დამაინტერესა — ჩვეულებრივ, ასეთ დროს სხვა მანქანის ძარას გადააკეთებენ ხოლმე, „ჭრიან“, „კერავენ“ და ა.შ. „ტანჯულა“ საგულდაგულოდ დავათვალიერე, მაგრამ ვერც რომელიმე მანქანის ძარას მივამსგავსე და დიზაინი თუ მისი შესრულებაც საკმაოდ მაღალხარისხიანია...**

— მანქანის კორპუსი მე თვითონ გამოვკვერე — „ელიავაზე“ ნაყიდი მილიმეტრნახევრიანი ლითონის ფურცლებისგან (ამ ზომის ლითონს რკინის კარზე იყენებენ. — დ.გ.), მერე დავგრუნტე, შევღებე და შედეგიც სახეზეა. ამ მანქანით სანადიროდ დავდივარ ხოლმე ძალიან ხშირად — მთებში და ტყე-ღრეში კი მანქანას დიდი ძალა ადგება — კორპუსი ისევ ისეა, ახალივით. არც გაბზარულა სადმე და არც დეფორმირებულა.

**— მანქანას ოფიციალურ მაჩვენებლებში „ასპროცენტიანი ბლოკირება“ უწერია. რაც იმას ნიშნავს, რომ ოთხივე ბორბალს გაწევა აქვს. როგორ მოახერხეთ კუსტარულად „4X4“ ჯიპის დამზადება?**




ტექნიკური მონაცემები

**ტიპი:** მაღალი გამავლობის ჯიპი
**სახელწოდება:** „ტანჯულა“
**წარმომავლობა:** საქართველო
**სრული წონა:** 2.475 კგ
**ტვირთამწეობა:** 2.000 კგ
**ადგილების რაოდ:** 5
**ძრავი:** „მერსედესი“, დიზელი
**სიმძლავრე:** 72 ცხ/ძ.
**სიჩქარე:** 140 კმ/სთ
**დაშორება მიწიდან:** 30,2 სმ
**სახურავი:** 1,5 სმ, ლითონი, გასაწევი „ლუკით“
**ავზის მოცულობა:** 70 ლ ორივე გვერდზე დამონტაჟებული 20 ლიტრიანი „კანისტრები“.
**საწვავის ხარჯი:** ქალაქის რეჟიმში — 8 ლ/100 კმ. უგზოობაში 10 ლ/100 კმ.



**ამ ჯიპს გუთანს დავუბამ და ვახვნევინებ. ნებისმიერი უცხოური ჯიპი ამომიდგეს და იგივე გააკეთოს — ძარა თუ შუაზე არ გაუწყდება...**

— მისი დიფერი (ე.წ. ხიდი, რომელიც „კარდანის“ საშუალებით ბორბლებს ძრავასთან აკავშირებს — დ.გ.) სამი მანქანის, „ვოლგის“, „უაზისა“ და „ბეტეერის“ კომპონენტებით დავამზადე. — „ჩულოკები“ „უაზისაა“, გული — „ვოლგის“, რედუქტორი კი „ბეტეერისა“. შედეგად ასპროცენტიანი ბლოკირება, „4X4“ სისტემა მივიღე. შეგიძლიათ თავადაც გამოცადოთ — „ტანჯულა“ ისეთ ადგილებში გაივლის, ტრაქტორი „ბელორუსიც“ რომ „დაბუქსავდება“, ყოფილა შემთხვევები, როცა სამივე ბორბალი ტალახში იყო ჩაფლული, მაგრამ მეოთხეს „ამოუთრევია“.

**— „ტანჯულას“ კორპუსზე ნახმარი ლითონის სისქე — 1,5 მმ-ია. მას დიდ სიმტკიცეს აძლევს, მაგრამ ამის გამო გაზრდილ წონას რომელი ძრავა უძლებს?**

— „მერსედესის“ დიზელის ძრავა გავჩარხე. „ტანჯულას“ მთლიანი წონა 2,5 ტონას აღწევს, მაგრამ სწორ გზაზე უპრობლემოდ ავითარებს 140 კმ/სთ-ს. მას რესორებიც უყენია და ზამბარებიც. რესორებზე მხოლოდ დატვირთვის შემდეგ „ჯდება“ და 2 ტონა ტვირთის წაღება შეუძლია. საჭისთვის BMW-ს მექანიზმი გამოვიყენე, რომელიც ჰიდრავლიკაზე მუშაობს. ასე რომ, ნებისმიერი ტვირთის, უგზოობის თუ სხვა ექსტრემალურ პირობებში „რული“ არასოდეს გაგექცევათ...

*... გელა ბაცაცაშვილს თავისი პირველი „მოძრავი ტრანსპორტი“ — მოტოციკლეტი რვა წლის ასაკში აუწყვია. „მოგვიანებით, თოთხმეტი წლისა ამ მოტოციკლეტით შეჯიბრებებშიც ვმონაწილეობდი...“ — იგონებს იგი. „ტანჯულას“ გარდა, ავტონაწილებით მოფენილ ეზოში კიდევ სამი-ოთხი ნახევრად აწყობილი ავტომობილი დავლანდეთ.*

— ამ მანქანით ჩემმა ბიჭმა 190 კმ/სთ განავითარა, მერე შემეშინდა, რამე ხიფათს არ მოეწიოს-მეთქი და ისევ დავშალე — *ამბობს ნაწილებად ქცეულ „საშუალო კლასის“ ავტომობილზე და სხვადასხვა ზომისა თუ წონის დეტალებში მიიკვლევს გზას. დავინტერესდი, „ტანჯულას“ გარდა, კიდევ რაიმე საინტერესო მოდელი ხომ არ გაქვთ-მეთქი დამზადებული.*

— ეჰ, ხომ გეუბნები, „ტანჯულა“ არაფერია, ისეთ რამეს გააკეთებდა კაცი, ფული რომ იყოს. აგერ, ეს მანქანა პნევმატურ ტრანსმისიაზეა — ღილაკის დაჭერით მისი მიწიდან დაშორება იზრდება ან მცირდება იმის მიხედვით, თუ როგორ გზაზე მიდიხართ (მსგავსი სისტემა ახლახან გამოუშვა „აუდიმ“, „ოლროადის“ მარკაზე და დიდი აჟიოტაჟიც გამოიწვია... — დ.გ.)

*... თვითნასწავლი კონსტრუქტორი სინანულით დაჰყურებს ჩონჩხადქცეულ მანქანას.*

— ეს „ჰამერის“ პრინციპზე მქონდა ჩაფიქრებული. ოთხივე ბორბალზე „გიტარა“ ექნებოდა და ოთხივე მათგანი დამოუკიდებლად იბრუნებდა. სულ რაღაც სამიოდე დეტალიღა მრჩებოდა, „ბეტეერის“ დიფერიდან. მაგრამ ტანკშემკეთებელ ქარხანაში სამასი დოლარი მომთხოვეს — ამდენი ფული კი ნაღდად არ მაქვს. არადა, ვიცი, უნდა დაჭრან და ჯართში ჩააბარონ. ზოგჯერ თავს ველარ ვიკავებ ხოლმე და ყველაფერზე ხელს ვიქნევ. ამ „ჰამერის“ ტიპის მანქანის ნახაზები ორჯერ დავწვი, მაგრამ მერე გადამივლის ხოლმე და ისევ არ ვეშვები, აი, ასეთ ტანჯვა-წვალებაში ვარ...

იცით, ეს მანქანა ჩვენი ჯარისთვის მისწრება იქნებოდა. ჯარისთვისაც და ხალხისთვისაც — მისი ყველა დეტალის დამზადება ხომ საქართველოში შეიძლება. რამდენი ადამიანი დასაქმდება და სარჩოს გაიჩენს.

**— ალბათ, ძრავას შემოტანა რუსეთიდან ან უცხოეთიდან ჩაიფიქრეთ...**

— არა, მე თვითონ ვიყავი ქუთაისის ავტოქარხანაში და შევამოწმე — იქ ნებისმიერი კლასისა და გამძლეობის დიზელის ძრავას დამზადება შეუძლიათ. მარტო ძრავას კი არა, ნებისმიერი სხვა დეტალის. დანარჩენი, ნაკლები სირთულის ნაწილები კი რამდენიმე ჩარხის საქმეა და ერთი პატარა საამქროთი თვეში ერთ ასეთ ავტომობილს ავაწყობ. — ნებისმიერი საარმიო პროფილის, — კავშირგაბმულობით დაწყებული და სასწრაფოთი დამთავრებული. უცხოეთიდან ასეთი მანქანების, თანაც ამორტიზებულ მდგომარეობაში შემოყვანა მინიმუმ 20-30 ათასი დოლარი დაჯდება. ჩემი პროექტის ავტომობილი კი 5-7 ათასი.

**— ნუთუ, ამ იდეით არავინ დაინტერესებულა?**

— სომხეთის თავდაცვის სამინისტროდან იყო ხალხი ჩამოსული, ყველაფერი დეტალურად ნახეს — სასომხეთში წასვლას და იქ მუშაობას, თან დიდ ფულსაც მთავაზობდნენ, მაგრამ არ დავთანხმდი, საქართველოს დატოვება მეძნელება. მერე ქართველებიც იყვნენ, სასაზღვრო ჯარებიდან — ამფიბიის გაკეთებაზე ვლაპარაკობდით. მაქსიმუმ 8 ათას დოლარს გამოგიყოფთო, — მითხრეს. ვკითხე, უცხოეთიდან რომ დანჯღრეული ტექნიკა შემოგყავთ, ასეთი იქ რა დაგიჯდებათ-მეთქი... 100-120 ათასიო, მაგრამ იქ გარანტიებსაც იძლევიანო. ახლაც, გაზეთის საშუალებითაც ვაცხადებ — ავაწყობ ამფიბიას, გამოსაცდელად პირველი მე ჩავჯდები და ჩემს ცოლ-შვილსაც ჩავსხამ, თბილისის ზღვას ჯერ სიგრძეზე გადავცურავ, მერე სიგანეზე!

მაგრამ ჩვენებს ხომ საქმე არ აინტერესებთ. ბოლოს იმ სასაზღვროს ხალხმა ისეთი რამე შემომთავაზა, გადავირიე კაცი: თუ გინდა, სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევისათვის 50 ათას დოლარს ჩაგირიცხავთ, მაგრამ 40 ათასი უკან, ხელზე უნდა მოგვცეო...

**— ბატონო გელა, ახლა სად მუშაობთ, ოჯახს რით ინახავთ?**

— არსად. პენსიონერი ვარ, ომის მონაწილე. ხელის ნაცვლად პროთეზი მაქვს და ფილტვიც ამომაჭრეს...

*... მის თვალებში უსაზღვრო სევდამ დაისადგურა. თავი ველარ შევიკავე და გულწრფელად ვკითხე, — რატომ არის-მეთქი თქვენნაირი კაცი ასე უპატრონოდ.*

*— რა ვქნა, არავის ვჭირდებიო, ნაღვლიანად მითხრა და ოთახის გაულესავ კედლებს მოავლო თვალი... ბავშვი ჰყოლია საოპერაციო და ფულს ვერ ვშოულობო, ბოლოს, სხვათა შორის ჩაილაპარაკა — რას ვიზამ, ჩემი „ტანჯულას“ გაყიდვა მომიწევსო.*

*ჩემდა უნებურად, ქართველი ჩინოვნიკების შევსებული დეკლარაციები და მათი მოკრძალებული ანგარიშები, „ბიზნესმენობის პერიოდში მოგროვილი“, სულ რაღაც ორასი-სამათი ათასი დოლარი გამახსენდა.*

*უკანასკნელი ირონიული მომენტი ჩვენს წერილში: ქართული მანქანის აწყობას 5-7 ათასი დოლარი სჭირდება. ზოგ-ზოგ სახელმწიფო შენობის კედლებში კი ყოველდღიურად ნამუსგარეცხილი „კორუფციონერების“ გასარეცხი მილიონები ტრიალებს...*

***დაჩი გრძელიშვილი***

# ქუთაისელი ინვალიდი მხარის გუბერნატორს თვითდაწვით ემუქრება?!



ასეთ გადაწყვეტილებამდე მისვლა ფიქრითაც კი ძალზე ძნელი და გამოუსავლობიდან გამოსავალია, აღარაფერს ვამბობთ ჩანაფიქრის რეალიზებაზე.

48 წლის ზაურ სამხარაძე შსს-ში მუშაობდა იურისტად. 1991 წლიდან პირველი ჯგუფის ინვალიდია (როგორც თვითონ ამბობს, ტრავმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ მოსვლია)... მისი დიაგნოზი — ზურგის ტვინის ტრავმული დაჟეჟილობაა და მისივე განცხადებით — საქართველოში ლამის თვითონ არის ერთადერთი.

როგორც მარტოხელა და ორგანის მუშაკი, პანსიონატ „წყალწითელაში“ მოათავსეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე ზრუნვა სახელმწიფომ ითავა და თუ ეს ასეა, ზ. სამხარაძე დახმარებას სწორედ იმათგან ითხოვს, ვისაც ეს ევალება.

საქმე კი იქამდე მივიდა, რომ უპასუხოდ და უყურადღებოდ დარჩენილმა ზ. სამხარაძემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში თემურ შაშიაშვილის, მისი მეუღლის და ძმის სახელზე სარჩელი შეიტანა... სასამართლოსგან პასუხი არ მიუღია, ოღონდ როგორც თავად ამბობს, ეგ იყო, შუამავლებმა იწყეს დინება და ურჩევდნენ — სარჩელი გამოიტანე და ყველაფერი მოგვარდებაო.

დაპირების აღარ სჯერა და ზაურ სამხარაძე პარლამენტის წინ საზარელი თვითმკვლელობით(!) — თვითდაწვით იმუქრება.

„კვირის პალიტრა“ ზაურ სამხარაძეს შეხვდა...

**— ბატონო ზაურ, როგორ დაიწყო ყველაფერი...**

— 1997 წელს გუბერნატორს მკურნალობაში დახმარება ვთხოვე... დაპირებას დაპირებაზე მაძლევდა — ოღონდ სიტყვიერად... პირისპირ შემპირდა — გერმანიაში წაგიყვან და გიმკურნალებო...

**— მისი მეუღლე და ძმა რაღა შუაშია?**

— ერთხელაც რომ მივაკითხე (1999წ), გუბერნატორი საფრანგეთში იმყოფებოდა... მისმა ძმამ „გული აიჩუყა“ — ასეთი ახალგაზრდა კაცი ხარ, ჩემდათავად გზის ფულად 300 დოლარს გავიღებო... შაშიაშვილის მეუღლემ, — ჩემი დიდი ორგანიზაციაც გვერდში დაგიდგებაო, — შემპირდა... მეორე დღეს ავთანდილ შაშიაშვილმა (ძმა) პანსიონატში მომინახულა — თემურს ველაპარაკე, ჩამოვალ და ყველაფერს გავაკეთებ — ასე მითხრაო... მის მეუღლესაც დავურეკე — იმან კიდევ — თუ ამ არჩევნებში „მოქალაქეთა კავშირმა“ გაიმარჯვა (მაშინ სწორედ საარჩევნო ბატალიები იყო), ჩათვალე, რომ უკვე გერმანიიდან მელაპარაკებიო... ყველაფერი კარგი აგიხდეთ, გაიმარჯვეს „მოქალაქეებმა“, მაგრამ ჩემი საშველი არადა არ ჩანს...

**— რატომ შეეცადეთ გუბერნატორის ეზოში დაგეწვათ თავი?**

— არც მიფიქრია... უბრალოდ პასუხისთვის მივედი, როცა უეცრად 7-8 მანქანით პოლიციის ოპერმუშაკები მოცვივდნენ და ალყა შემომარტყეს... ქალაქის პოლიციის უფროსმა თითზე დამიხვია — თქვენ ახლა პანსიონატში წადით და პასუხს მე მოგიტანთო. ღირსებაშელახულმა მივატოვე იქაურობა... არც ველოდი და არც არავის მოუკითხავს ჩემთვის. ინვალიდს მსოფლიოში არავინ უპირისპირდება, აქ კი გუბერნატორმა პოლიციელები დამასია...

ამდენი წვალების შემდეგ მოვინდომე 2000 წლის 1 იანვარი ჩემი ბენზინით დაწვით „მიმელოცა“ შაშიაშვილისთვის. წინასწარ ვაცნობე და ის იყო, რომ 31 დეკემბერს თავისი ფეხით მეახლა და კიდევ ერთხელ დამპირდა, როგორც ბევრჯერ... მეორე დღეს კი თბილისიდან მივიღე ანონიმური მუქარის წერილი — შაშიაშვილს შეეშვიო...

— ბოლო პერიოდში ყველა შეხვედრაზე მლანძღავდა. გაიძახოდა — ჭიათურიდან მე ჩამოვიყვანე და ყველა პირობა შევუქმენი, ვისაც ჩავაცვი — იმან გამხადაო... ამ ცილისწამებამ მოთმინებიდან გამომიყვანა და ახლა უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს უმოძრაო ინვალიდმა ხალხის თვალწინ თავის დაწვა გადავწყვიტე...

უკვე ორ დოზა ტრამალს ვიკეთებ, ნარკომანად მაქციეს, ონკოლოგიურში აღრიცხვაზე ვერ ავდივარ, რადგან ფული არ მაქვს — თორემ პროფესორმა თქვა — ოპერაციის შემდეგ ინვალიდის ეტლს გადავაგდებინებო.

აჭარიდან ჩამომაკითხეს, დოლარებიც მაძლიეს — ოღონდ წამოდი, შაშიაშვილზე და იმერეთზე ილაპარაკე და მოგარჩენთო. (რასაც მალაპარაკებდნენ, მიხვდებით ალბათ). არ ვქენი — ჩემი დაინვალიდებული ფეხებით არ ვივაჭრებ...

ოთხი წელია ძიძგნიან ჩემს ნერვულ სისტემას, ოთხი წელია მილახავენ უფლებებს... ამიტომ ვითხოვ შაშიაშვილების ოჯახისაგან 15 000 ლარს მოყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სასამართლოზეც თუ ვერაფერს მივაღწევ, თვის ბოლოს აქციას მაინც მოვაწყობ — პარლამენტის წინ დავიწვავ თავს...

***ნანა თვალაბეიშვილი, ქუთაისი***

# პრეცედენტი გამეორების საშიშროებით...

არცთუ მთლად უსისხლოდ (სამწუხაროდ, რუსეთის ტერიტორიაზე 150მ-ის სიღრმეში გადასვლისას, ცუდი ხილვადობის გამო, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდნენ და დაიღუპნენ სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი იოკიმე ბალახაშვილი და მესაზღვრე ნოდარ ჯაბუშანური, მესამე მესაზღვრე მძიმედ დაიჭრა) დამთავრდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან საქართველოში გადმოსული შეიარაღებული ჩეჩნების „ვოიაჟი" — ისინი უკან გააბრუნეს. ყოველ შემთხვევაში, მათ კვალს (პირდაპირი გაგებითაც) ისევ რუსეთის საზღვართან მივყავართ, თუმცა თავად რუსეთის მხარე კვლავ დაჟინებით იმეორებს — ჩვენმა მესაზღვრეებმა საარტილერიო ცეცხლით უკუაგდეს შეიარაღებული ჩეჩენი ბოევიკები, რომლებიც მეზობელი საქართველოდან შემოსვლას აპირებდნენო.

ასეა თუ ისე, რა დაუჯერებლადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საქართველოს ხელისუფლებამ მეტნაკლები წარმატებით გაართვა თავი იმ კრიტიკულ სიტუაციას, რაც 19 ოქტომბერს შეიარაღებული ჩეჩნების ინგუშეთიდან პირიქითა ხევსურეთში გადმოსვლას მოჰყვა.

როგორც ახლა ირკვევა, ამ, დაახლოებით სამოცკაციან, არც ისე ცუდად აღჭურვილ რაზმს, მთებიდან კი არა, შუა ჩეჩნეთიდან აუღია გეზი საქართველოსკენ, ანუ იმ ადგილებიდან წამოსულა, რომლებსაც, მოსკოვის არაერთი განცხადებით, გულმოდგინედ აკონტროლებენ რუსეთის ფედერალური ნაწილები.

რაზმმა ავტომობილებით შეუფერხებლად გამოიარა რუსი სამხედროების არანაკლებ 9(!) საგუშაგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა უძველესი ანდაზა — ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო!

შემდგომში მათ გადაკვეთეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ადმინისტრაციული საზღვარი და 19 ოქტომბერს უკვე ამ რესპუბლიკის სამხრეთი საზღვრიდან შემოვიდნენ ასას ხეობაში. სოფელ ახიელში ძროხაც კი იყიდეს (ხევსურები ამბობდნენ, საკმაოდ ზრდილობიანად იქცეოდნენო) — ეტყობოდათ, გზას, განსაკუთრებით თოვლით დაფარული მთაგრეხილების გადმოლახვას, არაქათი გამოეცალა მათთვის.

და აი, აქ საკმაოდ ოპერატიულად იმოქმედა ქართველი მესაზღვრეების (ძირითადად აქაურების) ძალზე პატარა ჯგუფმა — მათ თოვლზე შენიშნეს საზღვრიდან მომავალი მრავალი ნაკვალევი და რაციით დაუყოვნებლივ აცნობეს შტაბს.

ის, რომ საქართველო-ინგუშეთის საზღვარზე ქართველი მესაზღვრეების ძალზე მცირე ძალები დგანან, დასამალი არ არის, მთავარი ყურადღება მაინც საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის 83 კმ-იან მონაკვეთზეა გადატანილი. მიუხედავად ამისა, მესაზღვრეებმა საზღვრის დარღვევის ფაქტზე დროულად მოახდინეს რეაგირება, რაშიც გადამწყვეტი როლი თანამედროვე, ულტრამოკლე ტალღაზე მომუშავე რადიოგადამცემმა ითამაშა, რომელიც (ისევე, როგორც ბევრი სხვა ელექტრონული ტექნიკა) ამერიკელებმა აჩუქეს ჩხეიძის უწყებას.

იმავე დღის საღამოს შეიარაღებული ჩეჩნების ახლოს დაეშვა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შვეულმფრენი მოტოსამანევრო სპეცჯგუფთან ერთად, იმის გასარკვევად, თუ რა მიზნით შემოვიდნენ საქართველოში ისინი.

პარალელურად დაიწყო მესაზღვრეების, თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების შემადგენლობიდან დამატებითი ძალების გადასროლა ასას ხეობის გასამაგრებლად. მიუხედავად მრავალი გაუგებრობისა თუ პრობლემისა, სამივე ძალოვანი სტრუქტურის დანაყოფები, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეცჯგუფთან ერთად, საკმაოდ შეთანხმებულად მოქმედებდა, რაც მისასალმებელია.

ფაქტობრივად, ორი-სამი დღის განმავლობაში (19-21 ოქტომბერი) ინფორმაციას, ჩეჩნების გადმოსვლის შესახებ, მასმედიაში არ გაუჟონავს და ეს ფაქტი საზოგადოების ფართო მასებისთვის



უცნობი იყო.

ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, სულაც არ არის სასიამოვნო, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები ინფორმაციას უმალავენ ჟურნალისტებს და უკრძალავენ შემთხვევის ადგილზე ჩასვლას. თუმცა ამ მოვლენას მეორე მხარეც აქვს — ადგილობრივმა მცხოვრებმა ერთ-ერთ ქართულ სატელევიზიო არხს დაბეჯითებით აუწყა, რომ თავისი თვალით ნახა 157 შეიარაღებული ჩეჩენი და, რაც მთავარია, მათი მეთაური რუსლან გელაევი. ამ სატელევიზიო არხმაც მთელ საქართველოს პირველმა მოჰფინა სენსაციური ცნობა, ხოლო ერთი საათის შემდეგ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები მთელი ხმით გაჰკიოდნენ — საქართველოში თავს აფარებს ჩეჩენთა დიდი რაზმი თვით გელაევის მეთაურობით, რასაც ადრეც ვამბობდით, ხოლო ოფიციალური თბილისი უარზე იდგაო.

სინამდვილეში, 19 ოქტომბერს საქართველოში 157 ჩეჩენი არ გადმოსულა (საინტერესოა, იმ ხევსურმა როგორ დათვალა ზუსტად 157 კაცი. ისინი რა, სააღლუმოდ დაწყობილნი იდგნენ და ელოდნენ, ცხვრებივით როდის დაითვლიდნენ?!) და მათ შორის არც გელაევი ყოფილა, რომელმაც, სხვათა შორის, სახელიც შეიცვალა (რუსლანი ძალიან რუსულად ჟღერსო!) და გარეგნობაც. გრძელწვერა გელაევის ცნობა რუსეთის ФСБ-ს აგენტებსაც გაუჭირდებათ, არათუ ხევსურ გლეხს.

სამაგიეროდ, ისევ სენსაციას გამოკიდებულმა ზოგიერთმა ტელეკომპანიამ მოსკოვს ახალი კარტი გადაუშალა იმ საინფორმაციო ომში, რაც საქართველოს წინააღმდეგ უკვე გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

იაფფასიან და, რაც მთავარია, არაობიექტურ სენსაციას საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები არ უნდა ეწირებოდეს, მით უმეტეს, მასმედიის მხრიდან, თორემ ბევრ ქართველ პოლიტიკოსსა თუ ჩინოვნიკს ის არაერთხელ გაუყიდია.

დავუბრუნდეთ საზღვრის დამრღვევ ჩეჩენთა რაზმს. რა მიზნით გამოიარეს მათ ასეთი რთული და, რაც მთავარია, საშიში გზა?

ერთ-ერთი ვერსიით, ჩეჩნების ამ ჯგუფმა ნიადაგი მოსინჯა, თუ რამდენად რეალური იქნებოდა დროებით საქართველოს ტერიტორიისთვის თავის შეფარება, დასვენება და ძალების აღდგენა ან სულაც საქართველოს გავლით გადასვლა სხვა მეზობელ (აზერბაიჯანი, თურქეთი) ქვეყნებში.

ოფიციალური თბილისის სწორმა და, საბედნიეროდ, არცთუ ისე დაგვიანებულმა რეაქციამ ჩეჩნებს ამის საშუალება არ მისცა, რითაც გამოირიცხა ასეთი პრეცედენტის შექმნა.

თუმცა პრეცედენტი მაინც შეიქმნა, ოღონდ სხვა სახით — ამ რაზმმა ქართველებს თავისი 25 კაცი დაუტოვა სამკურნალოდ! ხვალ და ზეგ შეიძლება უკვე სხვა ჩეჩნებმა (მათ შორის დაჭრილებმაც) მოაშურონ ჩვენს ტერიტორიას მკურნალობისა და თავშესაფრის სათხოვნელად.

მაგრამ ჩეჩნების მიერ 19 ოქტომბერს საქართველოში დროებით გადმოსვლას კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზი და მიზანიც ჰქონდა. იგი ერთგვარად უნიკალური ხასიათისაც კია. თუმცა ეს გარემოება დიდი საიდუმლოების ბურუსშია გახვეული და მისი გაზეთის ფურცლებზე გამოტანა შეუძლებელია (ჯერჯერობით მაინც).

ქართველი მესაზღვრეები არ გამორიცხავენ ანალოგიურ შემთხვევებს მომავალშიც, მათ შორის საქართველო-დაღესტნის საზღვარზეც. საქმე ის გახლავთ, რომ რუს მესაზღვრეებს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი მეტ-ნაკლებად კარგად აქვთ გამაგრებული, რასაც ვერ ვიტყვით ინგუშეთისა და დაღესტნის მიმართულებით.

ამას თავისებური გამართლება აქვს — ქართველი მესაზღვრეებისა არ იყოს, მათ რუს კოლეგებსაც საკმაოდ უჭირთ. თუმცა ტოცკის უწყებას დღემდე იმედი სერგეევის უწყებისა ჰქონდა — სწორედ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დანაყოფებს, შინაგანი ჯარების ნაწილებთან ერთად, უნდა ჩაეკეტათ ჩეჩნეთის ადმინისტრაციული საზღვრები ინგუშეთთან და დაღესტანთან (თუკი რუსები მესაზღვრეებს ჩააყენებდნენ ინგუშეთ-ჩეჩნეთისა და დაღესტან-ჩეჩნეთის ადმინისტრაციულ საზღვრებზე, ამით პირდაპირ აღიარებდნენ, რომ ჩეჩნეთი არ შედის რუსეთის ფედერაციაში), მაგრამ ეს არ მოხდა — ჩეჩენი მებრძოლები საკმაოდ იოლად მიდი-მოდიან ამ საზღვრებზე (განსაკუთრებით კი ინგუშეთის მიმართულებით), ხშირად კი რუსული ბლოკპოსტების პირდაპირი მოსყიდვითაც, რისი უშუალო თვითმხილველიც რამდენიმე დღის წინ თავად საქართველოც გახდა.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### Ka-50-2 თურქეთს „უტევს"



ოქტომბრის ბოლოს მეზობელ თურქეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ჩვენთვის ასევე მეზობელი რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიხაილ კასიანოვი და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობასთან ერთად შესთავაზა რუსეთის სიამაყე — საბრძოლო შვეულმფრენი Ka-50-2 „შავი ზვიგენიც".

სამხედრო გვერდის მეშვეობით მკითხველმა იცის, რომ თურქეთის არმიას გამოცხადებული ჰქონდა ტენდერი ახალი შეიარაღების, მათ შორის ტანკებისა და შვეულმფრენების შესაძენად. ბოლო მონაცემების თანახმად, შვეულმფრენების ტენდერი ამერიკულმა AH-1Z-მა მოიგო, თუმცა ამას კრემლისთვის ხელი არ შეუშლია, ოფიციალური ანკარისთვის თავისი წინადადება შეეთავაზებინა — 2 მლრდ აშშ დოლარის სანაცვლოდ რუსეთი თურქეთს „შავი ზვიგენის" ლიცენზიური წარმოების უფლებას აძლევს, თანაც თურქებს (მათ მხოლოდ 145 საბრძოლო შვეულმფრენი სჭირდებათ), საშუალება ექნებათ, დანარჩენი წარმოებული შვეულმფრენი მესამე ქვეყნებს მიჰყიდონ. ამერიკელები კი ამის უფლებას ანკარას არ აძლევენ და თანაც თავის „სუპერკობრებში" ორჯერ მეტს მოითხოვენ.

თუკი რუსული შვეულმფრენები მაინც მოხვდება თურქეთში (იქ მათ „შავი ზვიგენის" მაგივრად „ერდოგანს" უწოდებენ), ეს მოსკოვის უდიდესი გამარჯვება იქნება, რადგან იგი NATO-ს წევრი კიდევ ერთი ქვეყნის (საბერძნეთი უკვე რამდენიმე წელია, ყიდულობს რუსული წარმოების მობილურ საზენიტო-სარაკეტო სისტემებს და ახლა საჰაერო ბალიშიანი სადესანტო ხომალდების ყიდვასაც აპირებს) იარაღის ბაზრის დაპყრობას შეძლებს.

Ka-50-2 „ერდოგანი", ფაქტობრივად, იგივე „შავი ზვიგენია", თუმცა მისი ელექტრონიკა ისრაელის ერთ-ერთი ფირმის მიერაა დამონტაჟებული და ეკიპაჟის ორკაციანი კაბინაც ფორმით განსხვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ „შავი ზვიგენი" უკვე ორი ათეული წელია დაფრინავს, მისი ფართომასშტაბიანი სერიული წარმოება რუსეთმა დღემდე ვერ მოახერხა, მას შეიარაღებაში მხოლოდ 20-მდე „შავი ზვიგენი" აქვს. სტატიის ავტორი საკმაოდ კარგად იცნობს ამ შვეულმფრენს და შეუძლია აღნიშნოს, რომ „შავი ზვიგენი" მართლაც საუკეთესო შვეულმფრენი იქნებოდა, რომ არა ერთი წმინდა კონსტრუქციული თავისებურება — მისი ორივე საჰაერო ხრახნი ერთმანეთის თავზეა განთავსებული და საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავს. მკვეთრი ვირაჟის დროს კი საჰაერო ხრახნები ზოგჯერ ერთმანეთს ეჯახება და შვეულმფრენი ვარდება. ამ მიზეზით სამი კატასტროფა უკვე მოხდა.

### Ил-18 კურსს ასცდა



გასულ კვირას ჩკალოვსკში დაკრძალეს 25 ოქტომბერს ბათუმთან ავიაკატასტროფაში დაღუპული Ил-18 თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები.

მტირალას მთასთან შეჯახების შემდეგ სულ დაიღუპა 84 ადამიანი — ეკიპაჟის 11 წევრი და 73 მგზავრი.

სატვირთო-სამგზავრო Ил-18 თითქმის 30 წლისა იყო და რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-8 განსაკუთრებული დანიშნულების საავიაციო დივიზიას ეკუთვნოდა. ოდესღაც გამოშვებული 700-მდე Ил-18-დან რუსებს 60-მდე ასეთი მანქანაღა თუ დარჩათ. ამ თვითმფრინავით თავის დროზე ხრუშჩოვი და ბრეჟნევიც კი დაფრინავდნენ, რადგან იგი ერთ-ერთ საიმედო საჰაერო ლაინერად ითვლებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, 1959 წლიდან 1977 წლამდე 16-მა ერთეულმა Ил-18-მა განიცადა კატასტროფა, მათ შორის 5-ჯერ უამინდობისას, სწორედ ეს თვითმფრინავები დაეჯახნენ მთებს დაშვების მომენტში, ანუ ისე, როგორც ეს 25 ოქტომბერს ბათუმთან მოხდა.

ამჟამად მიმდინარეობს კატასტროფის ადგილზე ნაპოვნი ორი „შავი ყუთის" გაშიფვრა, თუმცა გამოძიების დამთავრებამდე რუსი მაღალჩინოსანი სამხედროები აცხადებენ, რომ Ил-18-ის ეკიპაჟი სწორად მოქმედებდა და ამასთან თვითმფრინავიც სრულ წესრიგში იყო. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — მაშინ რამ განაპირობა კატასტროფა? რუსეთის პრესაში კანტიკუნტად უკვე გაისმის ხმები, რომ მთავარი დამნაშავეა ბათუმის აეროპორტის სადისპეტჩერო სამსახური, რომელმაც Ил-18-ის ეკიპაჟს აეროდრომზე დაშვების არასწორი მარშრუტი მისცა. სიმართლეს, ეტყობა, გამოძიება დაადგენს (თუ იგი, რა თქმა უნდა, სამართლიანი იქნება), ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ Ил-18-ის სიმაღლის მზომი ბარომეტრული ხელსაწყო დაყენებული იყო მოსკოვის პირობებში, ხოლო ბათუმთან მან შეიძლება რამდენიმე ასეული მეტრის ცდომილება მისცა და თვითმფრინავის ეკიპაჟი შეაცდინა ფრენის რეალური სიმაღლის დადგენაში.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# „კურსკის" დაღუპვის საიდუმლოება ნელ-ნელა ცხადდება




„კურსკის" ტრაგიკული ეპოპეა ჯერ არ დამთავრებულა. ისევე, როგორც აგვისტოში, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება დაღუპული „კურსკის" ეკიპაჟის გადასარჩენად იყო მიმართული, ამჯერად მილიონობით ადამიანი გაფაციცებით ადევნებს თვალს, თუ კიდევ რამდენი დაღუპული მეზღვაურის ნეშტს გამოსტაცებენ მყვინთავები ულმობელ ზღვას...

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის გენერალიტეტი და, უპირველესად, სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა, კატეგორიული წინააღმდეგი იყო „კურსკის" გახსნისა, პრეზიდენტ პუტინის სურვილს გვერდი ვერ აუარეს. თანაც, თავად პუტინი თავისივე ნათქვამის ტყვე შეიქნა — იგი „კურსკის" დაღუპული ეკიპაჟის ახლობლებს ნეშტების ამოსვენებას შეჰპირდა.

წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის წევრის კაპიტან-ლეიტენანტ კოლესნიკოვის მიერ სიცოცხლის ბოლო წუთებში დაწერილმა ბარათმა მთელ მსოფლიოს ამცნო, თუ როგორ უსინდისოდ ტყუოდა რუსეთის ოფიციოზი, როდესაც ამტკიცებდა — „კურსკის" თითქმის მთელი ეკიპაჟი ავარიიდან სამ წუთში დაიღუპაო. არადა მე-9 ნაკვეთურს ცოცხლად გადარჩენილი 23 მეზღვაური აფარებდა თავს...

ასე რომ, მათი გადარჩენა შეიძლებოდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ავარიის ადგილზე დაუყოვნებლივ (არა უმეტეს 12-20 სთ-ისა) ჩავიდოდნენ მაღალპროფესიონალი ნორვეგიელი მყვინთავები ულტრათანამედროვე წყალქვეშა-სამაშველო აპარატურით.

ჩვენს მკითხველს ალბათ ემახსოვრება, რომ ჯერ კიდევ აგვისტოში „კვირის პალიტრამ" გამოთქვა გაკვირვება იმის გამო, თუ რატომ არ ისარგებლეს „კურსკის" ეკიპაჟის გადარჩენილმა წევრებმა ინდივიდუალური სამაშველო კოსტიუმებით, რომლებიც 100 მ-ის სიღრმიდან ავტონომიურად ამოყვინთვის და გადარჩენის შანსს იძლეოდა. როგორც 12 დაღუპული მეზღვაურის ნეშტის ამოსვენებისას გამოირკვა, მათ უმეტესობას ეცვა სპეციალური დათბუნული საცვალი, რომლებსაც სწორედ სამაშველო კოსტიუმების ქვეშ იცვამენ. ეტყობა, ისინი ცდილობდნენ, ამ გზით ეშველათ თავისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გააღეს მე-9 ნაკვეთურის ლუკი ძირითად კორპუსში, იგი შესაძლებელია, „კურსკის" ზღვის ფსკერზე დიდი სიჩქარით შეჯახებისას დაზიანდა.

მე-8 ნაკვეთურში გაკეთებული ნახვრეტის შემდეგ მყვინთავებმა მე-3 ნაკვეთურისკენ გადაინაცვლეს, რადგან მეზღვაურ დიმიტრი კოლესნიკოვის ბოლო წერილმა საქმე გააადვილა, იქ ეწერა, რომ ავარიის შემდეგ მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ნაკვეთურებში მყოფი, ცოცხლად გადარჩენილი 23 მეზღვაური მე-9 ნაკვეთურში გადავიდა: „ყველა მეზღვაური მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ნაკვეთურიდან მეცხრისკენ დაიძრა. იქ უკვე 23 კაცია. ჩვენ ეს გადაწყვეტილება მაშინვე მივიღეთ, მაგრამ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ააღწევს ზედა ბაქნამდე".

მაგრამ მე-3 ნაკვეთურში მალევე შეწყდა საძიებო სამუშაოები, რადგან იქ შეყვანილმა დისტანციურად მართვადმა ტელეკამერამ საშინელი დეფორმაციისა და ნგრევის კვალი გამოაჩინა, რაც, ეტყობა, „კურსკის" წინა, პირველ სატორპედო ნაკვეთურში მომხდარი საშინელი აფეთქების შედეგი იყო. მე-3 ნაკვეთურში ამოჭრილი ტექნოლოგიური ნახვრეტი ისევ დაიგმანა და მყვინთავებმა მე-4 ნაკვეთურის თავზე დაიწყეს ახალი ჭრილის გაკეთება.

იმის გამო, რომ საბჭოთა და შემდგომში რუსული ატომური წყალქვეშა ნავების კორპუსი ორი შრისგან შედგება, მათზე მეტალის (ამ შემთხვევაში ტიტანის) ამოჭრა ძალიან გაძნელდებოდა.

თვით მდიდარი ამერიკელებიც კი ერთკორპუსიან ატომურ წყალქვეშა ნავებს აგებენ, რუსი კონსტრუქტორების აზრით, ორკორპუსიანი წყალქვეშა სუბმარინები განსაკუთრებით ზემტკიცე და ჩაუძირავი უნდა ყოფილიყო, თუმცა „კომსომოლეცისა" და „კურსკის" კატასტროფებმა ძალზე საეჭვო გახადა ეს მოსაზრება.

მყვინთავებს სამუშაოებში დამატებით პრობლემებს უქმნის სპეციალური რეზინის ფენა, რომლითაც „კურსკის" გარე კორპუსია დაფარული. ამ რეზინის ფენას ერთგვარი „სტელსის" როლი უნდა ეთამაშა და მოწინააღმდეგის ხომალდების ჰიდროაკუსტიკური ლოკატორებისთვის „უხილავი" გაეხადა „კურსკი".

გარდა ამისა, „კურსკის" პირველ და მეორე კორპუსს შორის გადის ათობით მილი და სხვადასხვა დანიშნულების სადენი, საჭიროა მათი გადაჭრა და მოცილება. მაგრამ მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, მყვინთავები აუცილებლად შეაღწევენ მე-4 ნაკვეთურში (სტატიის დაწერის დროისთვის ჯერ კიდევ არ იყვნენ შესული), სადაც მათ დაღუპული მეზღვაურების გარდა, საიდუმლო დოკუმენტებიც ეგულებათ.

დღეს უკვე აღარც თავად რუსი ადმირალები უარყოფენ, რომ პირველ რიგში მათ „კურსკიდან" მშიფრავი მანქანის, საიდუმლო კოდებისა და სხვა სპეცაპარატურის ამოღება სურთ, რათა იგი ამერიკულ ან ბრიტანულ წყალქვეშა ნავებს არ ჩაუვარდეთ ხელში, მით უმეტეს, რომ ზღვის სიღრმე აქ სულ 108 მ-მდეა.

კრემლი აცხადებს, „კურსკის" კატასტროფის მიზეზებს უკვე 8 ნოემბერს გამოვაქვეყნებთო. თუმცა მანამდე რუსი ადმირალები მაინც დაბეჯითებით ამტკიცებენ, „კურსკს" დასავლური წყალქვეშა ნავი შეეჯახა და ჩაძირაო.

ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი ფიქრობს, კატასტროფის დამდგენი კომისიის დასკვნის გამოქვეყნება 8 ნოემბრისთვის შემთხვევით როდია განზრახული — ერთი დღით ადრე, 7 ნოემბერს, აშშ-ში ახალი პრეზიდენტის არჩევნები შედგება. მათი აზრით, პუტინსა და კლინტონს შორის „კურსკის" დაღუპვის მეორე დღესვე შედგა ძალზე გასაიდუმლოებული სატელეფონო საუბარი. გადაწყვიტეს, დაემალათ „კურსკის" დაღუპვის ნამდვილი მიზეზი.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ 8 ნოემბერს, თუმცა მანამდე, მე-4 და სხვა ნაკვეთურების გახსნის შემთხვევაში, ბევრი საინტერესო რამ შეიძლება ამოტივტივდეს ზედაპირზე.

# „სროლა რომ არ აეტეხათ, უთუოდ, ცოცხლად ავიყვანდით“

***აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობიდან: „1941 წლის ბოლოსა და 1942 წლის პირველ ნახევარში შავი ზღვისპირეთის ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებულ იქნა ათობით ათასი საბჭოთა მოქალაქე. ქალაქ სოხუმის ქუჩები, საზოგადოებრივი შენობები თუ საცხოვრებელი სახლები დევნილი მოსახლეობით აივსო. გახშირდა ქურდობის, ხულიგნობის, ყაჩაღობის, მკვლელობისა და სხვა სახის მძიმე დანაშაულობანი. უპასპორტო, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არმქონე პირთა დიდი ჯგუფები კიდევ უფრო ართულებენ ოპერატიულ ვითარებას. განსაკუთრებით გავრცელდა სპეკულაცია და პროდუქტის ყალბი ბარათებით ვაჭრობა...“***

***მკითხველს ვთავაზობთ იმდროინდელი მოვლენების უშუალო მონაწილის, სამართალდამცავი ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკის, თადარიგის მაიორ უშანგი ვეკუას მოგონებებს:***



უშანგი ვეკუა, 1942 წ.

— 1942 წლის ივნისში, როცა ფაშისტები საქართველოს კარიბჭესთან იყვნენ მომდგარნი, მოულოდნელად გამომიძახა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა გაგუამ და ასეთი რამ მითხრა: „აგენტი გვატყობინებს, რომ სოხუმში ევაკუირებულთა შორის უნდა იყოს ვინმე ანდრეი ზელენევი — უწინ თაღლითობისთვის ნასამართლევი და ამჟამად ძებნილი შუახნის მამაკაცი. იგი, სავარაუდოდ, სტავროპოლიდან ჩამოვიდა და თან მცირე ზომის სტამბა ჩამოიტანა. გზაში ვიღაცისთვის უთქვამს, სოხუმში პროდუქტის ტალონების ბეჭდვას ვაპირებ და თუ გსურს, დამხმარედ აგიყვანო. იმ „ვიღაცამ“ (მისი ვინაობა ვერ დავადგინეთ) ამის თაობაზე საკუთარ ნათესავს უამბო, იმან კიდევ — სხვას და ბოლოს და ბოლოს ხმა ჩვენამდეც მოვიდა. მოგეხსენება, ყალბი ბარათების ბეჭდვა უმძიმესი დანაშაულია, ამიტომ ეს ადამიანი სასწრაფოდ უნდა გავაუვნებელვყოთ. ზელენევის პოვნა რთულია, რადგან არც მისი ასაკი და გარეგნული ნიშნები ვიცით და არც ის — ნამდვილად ანდრეი ზელენევია თუ მხოლოდ ამ გვარ-სახელს ამოფარებული სხვა პიროვნება. იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ, შესაძლოა, იგი სოხუმში არც კი იყოს. ერთი რამ ვიცი დანამდვილებით: გუდაუთა-სოხუმის მონაკვეთი ცხენებშებმული ფურგონით გამოიარა. ამ კაცის პოვნას შენ გავალებ. ვინმე დაიხმარე და ერთ კვირაში შედეგი მაცნობე“.

22 წლისა ვიყავი, მილიციაში სულ წელიწადნახევარი მქონდა ნამსახურევი და კომისრის ასეთმა დავალებამ, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა. ქალაქი ლტოლვილებითა და მათი კუთვნილი წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონლით იყო გადაჭედილი. ზოგ ქუჩაში გავლა თითქმის წარმოუდგენელი იყო. ევაკუირებულთაგან მხოლოდ მცირე ნაწილს მოეხერხებინა შედარებით ხეირიანად დაბინავება, დანარჩენები პირდაპირ პარკებსა და საავტომობილო გზებზე აგებდნენ ფიცრულებს, ან კიდევ ურმებსა თუ ფურგონებში ცხოვრობდნენ. ასეთ ორომტრიალში უცნობის კი არა, ნაცნობი ადამიანის მონახვაც კი ჭირდა, მაგრამ, ვაი, შენს უშანგის — სხვა რა გზა დამრჩენოდა... გაგუას სმენაზე დავუდექი, „არის!“-მეთქი და კაბინეტიდან გამოვედი.

პირველ რიგში, ვანო შონია ვიპოვე. ოპერმუშაკი იყო, ერთი წლით ჩემზე უმცროსი, მაგრამ რამდენიმე რთული საქმის გახსნა და საშიში ბანდიტების დაკავება უკვე მოესწრო. გაგუას დავალება გავაცანი და ამ საქმეში თანამონაწილეობა ვთხოვე. სიამოვნებით დამთანხმდა და მაშინვე ქალაქის სარეგისტრაციო-გამანაწილებელი პუნქტისკენ გავწიეთ.

წესით და კანონით, ქალაქში ჩამოსულ თითოეულ ევაკუირებულს პირველ რიგში ამ პუნქტისთვის უნდა მიემართა. ლტოლვილთა დიდი ნაწილი აღნიშნულ კანონს არ ასრულებდა, მაგრამ მაინც მქონდა იმედი, რომ ძებნილის აქაურ მისამართს თუ არა, იმას მაინც გავიგებდი, სოხუმის რომელ უბანში იყვნენ სტავროპოლელები განაწილებული.

შონიასთან ერთად რამდენიმე საათს ვიქექებოდი ქაღალდებში. იქ სულ ორი ზელენევი ვიპოვეთ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო არც ერთი არ გამოდგა — ერთი მოსკოველი ქალი იყო, მეორე კი 90-ს მიტანებული ოდესელი მოხუცი. სამაგიეროდ, სტავროპოლიდან ჩამოსულთა ადგილსამყოფელი დავადგინეთ. ისინი, ძირითადად, №3 საშუალო სკოლასა და მის მახლობლად მდებარე შენობებში განეთავსებინათ. ნაწილიც იმავე უბანში, ოღონდ ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა. ჩვენც პირდაპირ იქით გავეშურეთ, მაგრამ შუა გზაზე მოქმედების გეგმის შეცვლა გადავწყვიტეთ. მილიციელის ფორმაში გამოწყობილებს, შესაძლოა, დამნაშავენი დაგვეფრთხო, ამიტომ სამოქალაქო ტანსაცმლით შევინიღბეთ და შებინდებისას უბანს სხვადასხვა მხრიდან მივადექით.

ლეგენდის თანახმად, მე — სოხუმელი მუშა, ჩემს ნათესავს ნიკოლაი ზელენევს ვეძებდი, რომელიც თითქოსდა სტავროპოლში ცხოვრობდა. არ იყო გამორიცხული, რომ ძებნაში ვინმე იქაური დამხმარებოდა და ეთქვა, ნიკოლაის არ ვიცნობ, მაგრამ აი, აქვე ანდრეი ზელენევი ცხოვრობსო... ამის შანსი, ალბათ, ძალზე მცირე იყო, მაგრამ „ცდა ბედის მონახევრეაო“ და კარდაკარ წანწალს შევუდექი. ამასობაში ვანო შონია ქორვაჭრის როლს თამაშობდა: სტავროპოლელების ცხენებსა და ფურგონებს ათვალიერებდა, ვითომც მათი ყიდვა და შემდეგ ზუგდიდში გაყიდვა სურდა...

ღამის ორ საათამდე ვიხეტიალეთ ასე და მერე ერთმანეთს წინასწარ დათქმულ ადგილზე შევხვდით. სატრაბახო არაფერი გვქონდა. ზელენევს ვერსად მივაგენი. შონიაც ამაოდ გარჯილა: „რამდენიმე ფურგონის პატრონს ვესაუბრე და სასხვათაშორისოდ ვკითხე, სოხუმამდე ვისთან ერთად ჩამოხვედით-მეთქი, მაგრამ შუახნის მამაკაცის თაობაზე არავის არაფერი უთქვამს, თავად პატრონები კი მოხუცები და ქალები არიან“.

დილით სახალხო კომისრის თანაშემწემ უფლება მოგვცა ძიების მიმდინარეობისას ქალაქში მხოლოდ სამოქალაქო ტანსაცმლით გვევლო და ამის შემდეგ კვლავ №3 სკოლისკენ გავემართეთ. საღამოს ვანოს შევხვდი. მოფარებულ ადგილას გამიყვანა და მეუბნება: „ახლახან ერთი ხანში შესული კაცი ვიპოვე. ბრეზენტით გადახურული ფურგონი ჰყავს. ვეუბნები, ძიაკაცო, დამათვალიერებინე შენი ჯაბახანა, ყიდვა მინდა-მეთქი. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არაო. ისეთი ფასი ვუთხარი, სამ მასეთს იყიდდა ადამიანი, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე — არ ვყიდი, მორჩა და გათავდაო. ერთ ადგილას ბრეზენტი გახეული იყო, შევიჭყიტე და მწვანედ შეღებილი ორი გრძელი ყუთი დავინახე, იარაღისას ჰგავდა. ჩემი ამ ქმედების გამო ბერიკაცი ძალიან განაწყენდა და იქიდან სულ კინწისკვრით გამომაგდო. წინააღმდეგობა განგებ არ გამიწევია. დარწმუნებული ვარ, იმ ყუთებში სტამბაა. ვიფიქრეთ: მილიციაში გავიქცეთ, რამდენიმე კაცი წამოვიყვანოთ, ფურგონიც გავჩხრიკოთ და ის ბებერიც დავაკავოთ-თქო“.

ასეც მოვიქეცით, მაგრამ კიდევ ორ ოპერმუშაკთან ერთად იმ ფურგონს რომ მივუახლოვდით, ელდა გვეცა — შიგ ყუთები აღარ ეწყო და აღარც ბერიკაცი ჩანდა სადმე. მთელი უბანი სულ ტყუილად შემოვირბინეთ. ისღა მოვახერხეთ, გვეპოვა რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც ზურგზე ტვირთმოკიდებული ორი მამაკაცი დაინახეს. როგორც ჩანს, მძიმე ყუთები მიჰქონდათ, თუმცა მაინც თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენო, — ერთხმად გვაუწყეს. მოწმეთა დაკითხვისას შემდეგი გაირკვა: მამა-შვილი გრიგორი და ანდრეი გურევიჩები (ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, ჩვენ მიერ ძებნილი ანდრეი ზელენევი იყო) სოხუმში სტავროპოლელ დევნილებთან ერთად ჩამოსულან. ვერც ერთმა დაკითხულმა ვერ გვითხრა, რა ეწყო იმ ყუთებში. ძებნილთა კვალი დავკარგეთ, სამაგიეროდ, უკვე კარგად ვიცოდით მათი გარეგნობა და იმედი გვქონდა, მამა-შვილს უახლოეს დღეებში დავაკავებდით. თურმე, ვცდებოდით.

ერთ თვეზე მეტი გავიდა, გაქცეულები თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ვერც ჩვენმა ინფორმატორებმა გვიშველეს — ცნობები გურევიჩების შესახებ სოხუმში ვერაფრით მოიპოვეს. მე და შონიამ კომისრისგან საყვედური მივიღეთ, თუმცა, ალბათ, გაგუაც ხვდებოდა, რომ მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

ფრონტის ხაზი გვიახლოვდებოდა. სოხუმში უკიდურესად გართულდა კრიმინოგენული ვითარება. საქმე თავზესაყრელი გვქონდა და მამა-შვილი თანდათან დაგვავიწყდა. ვვარაუდობდით, რომ ისინი აფხაზეთიდან წავიდნენ და სწორედ ამ დროს სოხუმში დიდი რაოდენობით გამოჩნდა პურის, შაქრისა და სხვა სურსათის ყალბი ტალონი. „ინტუიცია მკარნახობს, ეს ბარათები თქვენ მიერ გაშვებულთა ნახელავია! — შეგვიტია განრისხებულმა სახალხო კომისარმა. — რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, დამნაშავენი იპოვეთ და თანაც, ძალიან მალე!“

ყალბი ტალონები ასობით ევაკუირებულსა და სოხუმის მკვიდრს აღმოვუჩინეთ. დაძაბული მუშაობის შედეგად გავედით გამყიდველებზეც — ლენინგრადიდან დევნილთა ჯგუფზე. დაკავებულებმა განაცხადეს, ბარათებს კვირაში ერთხელ, ნაცნობი პირებისგან, მამა-შვილ ვასილიევებისგან ვყიდულობთო. ზელენევი, გურევიჩები, ვასილიევები — უთუოდ ერთი და იგივე პირები იყვნენ. ლენინგრადელები მათ ყოველ კვირა დღეს ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარში ხვდებოდნენ. დაკავების ოპერაციაც სწორედ იქ უნდა გაგვეხორციელებინა.

შეხვედრა დღის ორ საათზე იყო დანიშნული, მაგრამ პოზიციები დილიდანვე დავიკავეთ. მომცრო შენობასთან, სადაც მამა-შვილი უნდა მოსულიყო, ექვსი მილიციელი განვლაგდით. ერთი სიმინდს ყიდდა, მეორე — ვაშლს, მე რაღაც ძონძები დავიჭირე და შიგადაშიგ ვიღაცებს ვთავაზობდი, სულ ერთი წლის ნახმარია, იყიდეთ-მეთქი.

ორს ათი წუთი რომ აკლდა, იქვე სამი ლენინგრადელიც აიტუზა. შეთანხმებული ვიყავით, მოვიდოდა თუ არა მამა-შვილი, მყიდველებს, ვითომც არაფერიაო, მათთან ლაპარაკი უნდა წამოეწყოთ. ამ დროს დავესხმებოდით თავს. გახდა ორი საათი, სამის ათი წუთი, სამის ნახევარი... ძებნილები არსად ჩანდნენ. ლენინგრადელები ადგილზე ცმუკავდნენ, ნერვიულობდნენ. ალბათ, ფიქრობდნენ, ვასილიევები თუ არ გამოჩნდებიან, ჩეკისტები ცემით ამოგვხდიან სულსო.

ოპერაციის ხელმძღვანელი თავად გახლდით და გადავწყვიტე, ძებნილებს სამ საათამდე დავლოდებოდი. იმის გაფიქრებაც კი არ მინდოდა, რომ მამა-შვილს რაღაც მიზეზთა გამო, ხაფანგში ვერც ამჯერად გავაბამდით. ბიჭებს თვალით ვანიშნე, ყველაფერი რიგზეა-მეთქი და ძონძებით ვაჭრობა განვაგრძე. ვიღაც თვალებზე ქუდჩამოფხატული კაცი მომიახლოვდა და ჩემი საქონლის თვალიერება დაიწყო. ერთი კი გავიფიქრე, ამ სიცხეში, ნეტავ, არ სცხელა-მეთქი? მაგრამ რა დროს ეგ იყო. საცაა ისინი უნდა გამოჩენილიყვნენ.

უცებ, შევნიშნე, რომ ის ქუდიანი მახლობლად მყოფ ლენინგრადელებს ათვალიერებს. თავში გამიელვა — ნუთუ, ეს არის-მეთქი ერთ-ერთი ძებნილი? ასაკი ემთხვეოდა — 40-45 წლისა იყო, თითქოს გარეგნული ნიშნებიც ისეთივე ჰქონდა... დგას ჩემ წინ, ვითომც ჭინჭებს არჩევს, სინამდვილეში კი თვალს არ აცილებს ჩვენს სატყუარას — ლენინგრადელთა ჯგუფს. ვეცე და გავაკავო? მაგრამ ის რომ არ იყოს? ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი და შესაძლოა, ოპერაცია ჩავშალო — დამნაშავენი დავაფრთხო... საუბედუროდ, ლენინგრადელები ზურგით დგანან, თორემ ამ კაცს დაინახავდნენ და მათი რეაქციით შევიტყობდი, ის იყო თუ არა... თითქოს ჩემი აზრი გამოიცნოო, ერთ-ერთი მათგანი შემობრუნდა, ჩემ წინ მდგომს ჩააშტერდა და ხელით მანიშნა, ეგ არისო.



კვლავ დავაგვიანე. მარჯვენა ხელი ძონძებში გამეხლართა და სანამ „ნაგანს“ ამოვიღებდი, დამნაშავე თვალსა და ხელშუა გამისხლტა. დახლებს შორის ოსტატურად გაძვრა-გამოძვრა, რევოლვერიდან ჰაერში გაისროლა და გაუჩინარდა. ბაზარში წარმოუდგენელი აყალმაყალი ატყდა. ბიჭებმა გვიან დააფიქსირეს ყოველივე, ბოროტმოქმედს გამოუდგნენ, მაგრამ სულ ამაოდ. გაგვექცა! განყოფილებაში პირში ჩალაგამოვლებულები დავბრუნდით. ნამდვილად არ მეგონა, ასეთ ეშმაკ და ფრთხილ მოწინააღმდეგესთან თუ მქონდა საქმე.

გავიდა რამდენიმე დღე. ბოროტმოქმედთა კვალზე ვერაფრით დავდექით, არადა, ქალაქში, ხან აქ, ხან იქ, გამოჩნდებოდა ხოლმე ყალბი ტალონები. აგვისტოს დასაწყისში რუსეთის ქალაქებიდან ჩვენთან დაჭრილი მილიციელები ჩამოიყვანეს. რაიგანყოფილებაში მითხრეს, ერთ-ერთი მათგანი სტავროპოლის მხარიდან არისო. ჩემი სამსახურებრივი ულუფა — შავი პური, შაქრის ნატეხები და ჩაი — ნაჭერში გავახვიე და რუსი კოლეგის სანახავად ჰოსპიტალს მივაკითხე. დაჭრილი მილიციის კაპიტანი აღმოჩნდა, გვარად ნიკიფოროვი. უკანასკნელ ხანს სტავროპოლში მომრავლებულ ყაჩაღებს დასდევდა თურმე და ბანდიტის ტყვიით მხარში დაჭრილა. სოხუმში მოღვაწე მამა-შვილის თაობაზე რომ ვაუწყე, იმთავითვე მომიგო, მაგათ ძალიან კარგად ვიცნობ, ანდრეი და გრიგორი ბელოვები არიანო.

„უფროსი ბელოვი საბჭოთა კავშირის დამნაშავეთა სამყაროში კარგად ცნობილი ადამიანია, მეტსახელად „ბელი“, — მითხრა კაპიტანმა. — პირველი „სროკი“ ჯიბგირობისთვის ჯერ კიდევ მეფის დროს მოიხადა. მერე თაღლითობას მიჰყო ხელი. ძირითადად, ყალბ დოკუმენტებს ამზადებდა და ამის გამო კიდევ ორჯერ იჯდა საპატიმროში. ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. შვილიც არაფერში უდებს ტოლს. საერთოდ კი, ჩვენში დარჩეს და, ორივე ნაღდი ხელოვანია. თავისივე დამზადებული ხელსაწყოებით ისეთ საბუთებს აკეთებენ, სპეციალისტებიც კი ვერ არჩევენ ნამდვილისგან. მათ ბუნაგს ერთხელ მივაგენი, მაგრამ საოცრად ფრთხილები არიან და დამიძვრნენ. სამაგიეროდ, მცირე ზომის სტამბა და სხვა საბეჭდი ხელსაწყოები ჩავიგდე ხელთ. მათ დანახვაზე მილიციაში ყველამ პირი დააღო — საუცხოო ნამუშევრები იყო. დღემდე ვერ გამიგია, ციხეში ნათრევმა, გაუნათლებელმა ხალხმა, როგორ შეძლო ასეთი რთული კონსტრუქციის შექმნა. უკანასკნელად ბელოვების შესახებ ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე შევიტყვე. ინფორმატორმა ამბავი მოიტანა, მამა-შვილი პროდუქტის ტალონების დასაბეჭდ დაზგას აკეთებსო. ხუტორს, სადაც ისინი გვეგულებოდნენ, ალყა შემოვარტყით, მაგრამ წარმატებას ამჯერადაც ვერ მივაღწიეთ. ჩვენს მისვლამდე რამდენიმე საათით ადრე დაეტოვებინათ ბუნაგი“.

ნიკიფოროვს მადლობა გადავუხადე და განყოფილებაში დავბრუნდი. მეორე დღეს, შონიასთან ერთად, ძიების გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ მოვლენები მოულოდნელად შეიცვალა და დამნაშავეთა დაკავებისთვის უკვე ვეღარ მოვიცალეთ.

1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გერმანელთა პირველი სამთო-მსროლელი დივიზიები შეტევაზე გადმოვიდნენ და ქლუხორის უღელტეხილს მოადგნენ. 23 აგვისტოს მდგომარეობა უფრო დამძიმდა. მტერმა აფხაზეთის მაღალმთიან სოფლებში დესანტი ჩამოსხა. აფხაზეთის სახალხო კომისრის ბრძანებისამებრ, სოხუმის მილიციის თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა სოფელ ფსხუს მიმართულებით გაგვგზავნეს.

თავდაუზოგავი ბრძოლები ორი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა და მხოლოდ შინსახკომის განსაკუთრებული რაზმების დახმარების შედეგად მოვახერხეთ დივერსანტ-პარაშუტისტების განადგურება. მთებში ძალიან ბევრი მებრძოლი დაგვეღუპა. საუბედუროდ, მათ შორის იყო ჩემი მეგობარი ვანო შონიაც, რომელიც იქვე მივაბარეთ მიწას. თვის ბოლოს კი ფსხუში გაგუას ბრძანება მოვიდა: 15 მილიციელი სასწრაფოდ დაბრუნდეს სოხუმშიო!

აღმოჩნდა, რომ სოხუმში ამ დროს სრული განუკითხაობა სუფევდა. სამართალდამცავთა ნაკლებობამ და ჯაშუშებისა თუ პანიკიორების მოქმედებამ ქალაქში არნახული არეულობა გამოიწვია. ცხენებზე ამხედრებულნი სოხუმისკენ მოვიჩქაროდით. გზაზე დაგვიღამდა და დაქანცულებმა მდინარის პირას რამდენიმე საათით დასვენება გადავწყვიტეთ. განგებამ ინება, რომ ჩემი ძველი ნაცნობები, მამა-შვილი ბელოვები, იმ ღამით მენახა.

ის იყო ჩავთვლიმე, რომ გუშაგმა გამაღვიძა — ადგილობრივი მოსახლე მოვიდა და რაზმის მეთაურის ნახვა სურსო. ხანში შესული აფხაზი მწყემსი აღმოჩნდა. მეუბნება, სამი დღეა, მახლობლად ორი უცნობი მამაკაცი დაძრწისო: „გუშინ ცხვარი წამართვეს და დამემუქრნენ, ჩვენ შესახებ კრინტი არსად დაძრა, თორემ მოგკლავთო. ერთს ავტომატი აქვს, მეორეს — „მაუზერი“. მდინარის გადაღმა მთა რომ მოჩანს, იქ იმალებიან. ნამდვილად „შპიონები“ არიან“.

იმ ადგილამდე, მწყემსი რომ მიჩვენებდა, 8-10 კილომეტრი მაინც იქნებოდა. ოთხი მებრძოლი გავაღვიძე, გუშაგს ვუთხარი, გათენებამდე თუ არ დავბრუნდით, აქ დარჩენილები სოხუმში წადით-თქო, შემდეგ ცხენებს მოვახტით, მწყემსიც ვიახლეთ და უცნობთა ადგილსამყოფლისკენ დავიძარით.

ერთ ადგილას მეგზურმა გვირჩია, სჯობს ცხენები აქვე დავტოვოთ და გზას ფეხით გავუყვეთ, თორემ ფლოქვების ხმას აუცილებლად გაიგონებენ და მიიმალებიანო. ასეც მოვიქეცით. ჩამოვქვეითდით, ცხენები დავაბით, იარაღი მოვიმარჯვეთ და აღმართს შევუყევით. მალე ღამის სიბნელეში კოცონი შევნიშნეთ. მწყემსმა ხელი იქით გაიშვირა, ნამდვილად ის „შპიონები“ არიან, მაგრამ მე წინ ვეღარ წამოვალ, იარაღი არ მაქვსო. ორ-ორი მებრძოლი ფლანგებზე გავგზავნე, თავად კი პირდაპირ წავედი. მალე ცეცხლის შუქზე ორი ადამიანის სილუეტი დავინახე. ერთს თავი მუხლებში ჩაერგო, ალბათ, ეძინა, მეორე კოცონს მალიმალ ფიჩხს აყრიდა. დაახლოებით 50 ნაბიჯში მივუახლოვდი და ბალახში ჩავწექი. ცოტა მოცდა იყო საჭირო, სანამ ბიჭები შემოუვლიდნენ.

ათიოდ წუთი გაუნძრევლად ვიწექი, მერე ცოცვით კიდევ უფრო ახლოს მივედი და შევძახე: „არ გაინძრეთ, ალყაში ხართ მოქცეული!“ მძინარემ თავი წამოყო. მისი სახე კარგად გავარჩიე. მოხუცი კაცი იყო, ჭაღარა. მეორეს რომ დავაკვირდი, ელდა მეცა — ის იყო, ბაზარში რომ გამექცა!

წამიც და, ორივემ დააძრო იარაღი და ჩემი მიმართულებით ატეხა სროლა. ტყვიებმა სულ ახლოს ჩამიწუილეს, მაგრამ ბედად, არც ერთი არ მომხვდა. გვერდით ლოდი ეგდო და იმას ამოვეფარე. ამასობაში ბიჭებმაც გახსნეს საპასუხო ცეცხლი. კოცონის შუქზე მოწინააღმდეგეები კარგ სამიზნეს წარმოადგენდნენ და რამდენიმე წამში ყველაფერი დასრულდა. ტყვიით განგმირულებს ჯიბეები გავუსინჯეთ. გულის ჯიბეში ორივეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ედო. საბუთების მიხედვით მამა-შვილი ბელოვები აღმოჩნდნენ...

80 წლის ვარ. დღემდე ვფიქრობ, ბელოვების შესახებ — იმ ღამით სროლა რომ არ აეტეხათ, უთუოდ ცოცხლად ავიყვანდით-მეთქი და მიუხედავად იმისა, რომ ყალბი საბუთების დამზადებისთვის მაშინ დახვრეტას უსჯიდნენ, ეგებ, რაღაცნაირად გადარჩენილიყვნენ... ხომ უშვებდნენ ზოგიერთ პატიმარს ფრონტის წინა ხაზზე, „შტრაფნოი“ ბატალიონებში... არადა, მართლაც ნიჭიერები იყვნენ, ის უბედურები. ტყეში გადამალული მათი კუთვნილი მინისტამბით მოგვიანებით უკვე ოფიციალურად ბეჭდავდა ხელისუფლება პროდუქტის ბარათებს.

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## –მეც წავალ კონცერტზე...

ქუთაისელ თემურ კოხრეიძეს, რომელსაც ყველა ჭიჭიკიჩს ეძახის, მამა გარდაეცვალა და ოჯახი გლოვამ მოიცვა. ერთ დღეს, რომ იტყვიან, მკვდარი გაცივებული არ იყო, ვაჟმა სთხოვა:

— მამი, ჩემი ამხანაგები კონცერტზე მიდიან და მეც გამიშვი.



ჭიჭიკიჩმა კატეგორიული უარი სტკიცა. მალე ბიჭს ამხანაგებმა მიაკითხეს, იგი ისევ მივიდა მამასთან და ისევ სთხოვა, გამიშვიო. ჭიჭიკიჩი მაინც დიდ უარზე იდგა. მეზობლებმა და ოჯახის წევრებმაც უთხრეს, — გაუშვი, რა უჭირს, ბავშვია, წავიდესო. შეწუხებული ჭიჭიკიჩი შვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— კაი, შვილო, წადი და შენც რომ მოგიკვდება მამა, მეც წავალ კონცერტზე.

**მარიამ შეყილაძე**

## –ყავა რად გინდა?!

მაშინ, ათი წლის წინ, სკოლა ახალი დამთავრებული გვქონდა... ერთი ჩვენი თანაკლასელი გ. მეფორია თბილისში ნამყოფი არ იყო და გადაწყვიტა, ერთი დღით დედაქალაქში გაესეირნა.



საღამოს მატარებელს გამოჰყვა, — დილით თბილისში იყო. დღის განმავლობაში თბილისის ქუჩებში იხეტიალა, დაათვალიერა, რისი დათვალიერებაც მოასწრო და საღამოს, დაღლილ-დაქანცულმა ვაგზალს მიაშურა. მატარებლის გასვლამდე დრო ჰქონდა. ჯიბეში ცოტა ფული კიდევ დარჩენოდა. იქვე ვაგზალთან გოგო გაიცნო და კაფეში დაპატიჟა (შეგახსენებთ, რომ სამეგრელოში ყავას კოფეს ეძახიან. ჩვენმა თანაკლასელმა არ იცოდა თუ კოფეს ქართულად ყავა ერქვა), სხვა სასმელ-საჭმელთან ერთად გოგონამ ყავაც შეუკვეთა. გ. მეფორიამ იფიქრა: ეს ყავა ძალიან ძვირი ეღირება, ფული რომ არ მეყოს, ხომ შევრცხვები ახალგაცნობილ გოგოსთანო და უმალ შესთავაზა, — ყავა რად გინდა, კოფე დავლიოთო.

**რ. შამუგია, მ. არქანია**

## სრულ განაკვეთზე...

თითქმის ას წელს მიტანებული აქსენტი მცველად მუშაობდა სოფლის სასაფლაოზე, რომლის ტერიტორია ისე საიმედოდ იყო შემორაგვული კაპიტალური ღობით, რომ დარაჯებს (აქსენტის შემცვლელიც ჰყავდა) საქმე არაფერი ჰქონდათ, ალბათ ამიტომაც, ასეთ იოლ სამსახურზე, სოფელში ბევრ სხვასაც ეჭირა თვალი.



ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან აქსენტის მეზობელი, უკუღმართობითა და ენაკვიმატობით ცნობილი სარდიონი მივიდა და იდუმალი ხმით ჰკითხა:

— ბატონო პლატონ, აქსენტი ხელფასს რამდენს იღებს სასაფლაოს მცველობაში?

— 50 მანეთს — უპასუხა შეფიქრიანებულმა თავმჯდომარემ, რომელსაც გულში ეჭვი შეეპარა, სარდიონსაც ხომ არ გაუჩნდა მცველად მუშაობის სურვილიო.

— რატომ ასე ცოტას? — ხაზგასმული ინტერესით იკითხა სარდიონმა.

— ხომ იცი, აქსენტი და ოქრობილა (აქსენტის შემცვლელი) ნახევარ-ნახევარ განაკვეთზე გვყავს აყვანილი და სამუშაოზე დღეგამოშვებით დადიან!

— ჰოო, რახან ასეა, აწი აქსენტის სრულ განაკვეთზე აყვანა და მისთვის თვეში 100 მანეთის მიცემა მოგიწევს. ოქრობილა კი საერთოდ აღარც დაგჭირდება ალბათ.

— რატომ?!

— გარდაიცვალა წუხელ ჩვენი აქსენტი და აწი სულ სასაფლაოზე არ იქნება? — „განმარტა“ სარდიონმა.

**როლანდ თავაძე, ოზურგეთი**

## იუმორესკა ამათ ნამუსი აქვთ?!

— სულ დაგვღუპა ამ კაპიტალისტურმა წყობამ, კაცო, სულ... — მეხუთე სირჩა კონიაკი გადახუხა პროკოფი მაღლაფერიძემ.

— შენ რომელზე მეუბნები? — ჩაეკითხა რაჟდენა ბაძაღუა.



— კაცო, ჩემი შვილიშვილი როა, კუკურა, იმიზა უკითხავს მათემატიკის მასწავლებელს, რამდენია ექვსჯერ ექვსიო...

— მერე, კაცო?

— ამას უპასუხია, შტერს, ოცდახუთიო, არაა შტერი?! თუ ძმა ხარ? ახლა, ბავშვმა, მეხუთე კლასში როა, არ უნდა იცოდეს, რამდენია ექვსჯერ ექვსი?

— აბა რა, უკვე დიდია.

— ხოდა, ახლა თურმე ჯარიმაა. შვილიშვილის პასუხიზა მე გადამახდევინეს 5 ლარი... ახლა მაგან რომ სულ ასე შეცდომით უპასუხოს, სადაა ამდენი 5 ლარი თუ გიყვარდე? კვირაში ოთხჯერ აქვენ მათემატიკა.

— აბა, აბა, რა დრო მევიდა, კაცო? არადა, არც ბაღნები გვიწყობენ ხელს, კომპიუტერი და კომპიუტერი, მეტი არაფერი უნდათ. ასეთ ადვილ პასუხს რომ ბავშვი ვერ უპასუხებს, ჩემო იმმანო... ჩვენ ათასებში „ვჩალიჩობდით“ მაგათ ასაკში... გახსოვს?

— მაგი კი, მარა, მაინც მახსოვს, შენ გახსოვს. რამდენია ექვსჯერ ექვსი?

— ოცდაექვსი, შე კაცო...

— აბა, რა... ჩვენი „ზაკალკა“ სხვაა მაინც, აბა? ახლანდელმა ბაღნებმა ისიც არ იციან, რამდენია ორჯერ ხუთი.

— ოცდახუთი, შე კაცო... რა მოგივიდა?!

— ხოო... ხა, ხა, ხა... დებილი თაობა მოდის... დაასხი, თუ ძმა ხარ!

**მურმან მერკვილიშვილი**

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მექრთამე: რას ამბობ, ძმაო, ახლა მექრთამეობაზე ისეთი ამბებია, ქრთამი რომ ავიღო, ქრთამი უნდა მომცე!

**ვალერი ფხაკაძე, ქუთაისი**



— ალო, ჟორა კიკვიძე თქვენთან ცხოვრობს?

— არა, ტო!

— ხმაზე გიცანი, შენ ხარ, შენ, ჟორაია!

— მერე ამას ცხოვრებას ეძახი?

**ზვიადი და ზურა, არალი**



— ექიმო, თავი და ხელი ერთდროულად მტკივა.

— ა, შენ ანალგინი. შუაზე გატეხე და ერთდროულად დალიე, ოღონდ არ შეგეშალოს, ერთი ნატეხი თავისაა, მეორე კი ხელის.

**ზვიადი და ზურა, არალი**



— იცი, სკლეროზი დამჩემდა!

— რავა!

— რავა და აი, ხომ გითხარი, რა ჰქვია, კაცო... მჭადის სახელი რომ დაგავიწყდება კაცს!

— ყველი, შე კაცო.

**ზვიადი და ზურა, არალი**

მიხო და მარო რადიოს უსმენენ. დიქტორი რუსულ ენაზე გადმოსცემს ამინდის პროგნოზს:

— ვ მასკვე ტუმან ი გალალიოდ.

— გაიგე, ქალო, მოსკოვში თუმანი ყოფილა კარალიოკი — გადაუთარგმნა მიხომ მაროს.

**პაატა წიქარიშვილი, ხაშური**





ბიჭი ქვემოდან ეძახის ძმაკაცს:

— ზვიადი, ზვიადი...

გადმოდგა ქალი ფანჯარაში და:

— სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო!

**თემურ ქაშიბაძე, ხონი**



— მამი, რა განსხვავებაა თოფსა და ტყვიამფრქვევს შორის?

— აი, მე და შენ რომ გავჩუმდეთ და დედაჩემმა და დედაშენმა ჩართონ.

**ნინო დემეტრაძე, ტყიბული**

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**

# ისევ თქვენთვის ვფიქრობ... თორემ, შევარდნაძე რომ გადადგება, მაგით მე რა?..

მაშინ, როცა მოქალაქეთა კავშირი კორუფციის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აცხადებს, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია თავისი ლიდერის თამადობით მასობრივი გამოსვლებისთვის სამზადისს იწყებს და ამის შესახებ მთელ საქართველოს ამცნობს.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ოფისში მისულებს პარტიის ლიდერი **ირაკლი წერეთელი** ოპტიმისტურ და თანაც მებრძოლ ხასიათზე დაგვხვდა, — მთავარია, საზოგადოება ერთიანი ძალით გამოვიდეს და პოლიცია ვერაფერს დაგვაკლებსო.

— **ბატონო ირაკლი, ამ ბოლო დროს რაღაც კონსოლიდაციებსა და მასობრივ გამოსვლებზე დაიწყეთ ლაპარაკი. მაინც რას აპირებთ?**

— ვერ ხედავთ, რა დღეშია ხალხი? სასწრაფოდ თუ არ შეიცვალა რაიმე, კატასტროფამდე მივალთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დასრულდეს ეს აუტანელი ყოფა? სწორედ ამიტომ დავიწყეთ ლაპარაკი ანტისამთავრობო სახალხო გამოსვლებზე, რომლის მიზანიც იქნება არსებული მდგომარეობის რადიკალური და ძირფესვიანი შეცვლა. ცხოვრების ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ იდეაა. ამ იდეის განხორციელება კი ხალხის კეთილ ნებასა და სურვილზე იქნება დამოკიდებული.

— **ამ იდეის განხორციელებაში სხვა პოლიტიკური ძალები თუ დაგიჭერენ მხარს?**

— ჩვენ პოლიტიკურ ძალებზე არ ვართ ორიენტირებულნი, რაში გვჭირდება. ყველა პოლიტიკური პარტია რომ



„მეუბნებიან, — ადრე რა მაგარი ლიდერი იყავიო... მე ახლა უფრო მაგარი ლიდერი ვარ...“

მაინც ვერ შემაშინებენ...

შევკრიბოთ, მრავალრიცხოვანით დაწყებული და მცირერიცხოვნით დამთავრებული, თავის თავმჯდომარეებიან-მოკავშირეებიანად 5-7 პროცენტზე მეტი არ გამოვა. მათაც ამბიციები და ბოლმა ახრჩობთ. ასე რომ, ჩვენი ერთადერთი დასაყრდენი ღმერთი და ერია. თუ შევძელით და ერი ჩვენკენ შემოვაბრუნეთ, ეს პარტიები მერე თავადვე მოცუნცულდებიან.

— **საზოგადოება, რომელზეც თქვენ იმედს ამყარებთ, ძალიან ხომ არ დაიღალა ამ უშედეგო გამოსვლებითა და მიტინგებით? დაგიდგებიან გვერდით?**

— როგორ? ეს ჯან-ღონით სავსე და გარეგნულად მშვენიერი ახალგაზრდობა ისეა დაღლილი, რომ ბრძოლა აღარ შეუძლია? ამას როგორ დამაჯერებთ? კი ბატონო, თუკი დაღლილები არიან, უნდა დაისვენონ, მაგრამ ამ ათი წლის მანძილზე რით ვეღარ დაისვენეს? ეს საყოველთაო გამოსვლები და მიტინგები თვითმიზანი კი არ არის! თუკი არსებული მძიმე სიტუაციიდან თავის დასაღწევად ვინმე უკეთეს იდეას შემოგვთავაზებს, უარს ნამდვილად არ ვიტყვით, მაგრამ მიმაჩნია, რომ მასობრივი გამოსვლები ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებაა. აგერ, ყაზბეგში გაზი გადაუკეტეს მოსახლეობას. როგორც კი ხალხი ქუჩაში გამოვიდა, მაშინვე ისევ ჩართეს. ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ამ მთავრობის შეცვლა? იუგოსლავიამ და პერუმ როგორ უნდა გვაჯობონ?

— **ე.ი. გინდათ თქვათ, რომ ხალხს სტიმული სჭირდება და ამ სტიმულის მიმცემი სწორედ თქვენ იქნებით?**

— იცით რა, აქ ყველაზე მთავარი საზოგადოების აქტივობაა. აი, მოდიან ხოლმე ჩემთან და მეუბნებიან, ადრე რა მაგარი ლიდერი იყავიო. მე ახლა უფრო მაგარი ლიდერი ვარ, მაგრამ ადრე ხალხი იყო აქტიური. იმ რაოდენობის ხალხი უნდა შეიკრიბოს პარლამენტის შენობის წინ, რომ მთავრობა იძულებული გახდეს, ჩამოცუნცულდეს კიბეზე და შინ წავიდეს. პატარ-პატარა მიტინგებით არაფერი გამოვა — ისე დაგვარბევენ, როგორც ზვიადისტებს არბევენ ხოლმე. დიდ გამოსვლას კი ვერ დაარბევენ — არც შეეცდებიან. 50 ათას კაცს როგორ მოერევა პოლიცია?

— **რატომაც ვერ მოერევა? — 80 ათასი პოლიციელი ჰყავს საქართველოს.**

— რაო? ვინ მოგატყუათ? 80 ათასი პოლიციელი არა, ისა... 80 ათასი ამ უწყებას თავის დამლაგებლიან-დარაჯიანად არ ეყოლება. ვინ მისცა ამდენი პოლიციელი ამ, მაპატიეთ და, მათხოვარ საქართველოს. მაშინ რაღა უჭირდათ. პოლიციაში შეიძლება მუშაობდეს მაქსიმუმ 20 ათასი კაცი, ვისაც ქუჩაში გამოსვლა და მიტინგის დარბევა შეუძლია. რას იზამენ, 20 ათასივეს თბილისში გამოიძახებენ? ქუთაისს ან სხვა ქალაქს პოლიციის გარეშე დატოვებენ? თუ არადა, იმდენი თუ შევძელით, რომ ჩვენი მიტინგის გამო საქართველოს მთელი პოლიცია თბილისში ჩამოიყვანეს, გაგვიმარჯვია და ეგ არის. მერე კიდევ, ვერ დაარბევს 20 ათასი კაცი 50 ათასს იმიტომ, რომ ეს მშიერი პოლიციელებიც ჩვენს მხარეს გადმოვლენ. დღეს იცით, რატომ არბევენ მიტინგებს? — იმიტომ, რომ ამ ხალხს პატივს არ სცემენ. მე რომ მკითხოთ, არც არიან პატივისცემის ღირსნი. აი, როცა გამოვა საზოგადოება და მთელ მსოფლიოს დაანახვებს, რომ ეროვნული ღირსება



გააჩნია, მერე ვეღარც დაარბევენ და ხმასაც ვერ გასცემენ. გვინდა, რომ გაპანღურდეს დღევანდელი ულირსი პარლამენტი უმრავლესობიდან დაწყებული, ოპოზიციით დამთავრებული. ზოგს ჰგონია, რომ ჩვენ პრეზიდენტის გასამართლებას და იმპიჩმენტს ვაპირებთ. არა, ბატონო, რევანშისტული ქმედებები ჩემს ქრისტიანულ ბუნებაში არ ზის. სხვათა შორის, იცით, რატომ არ გროვდება ეს ხალხი და არ იწყება დიდი გამოსვლები? ღმერთია მოწმე, რომ ჩემ გარდა და კიდევ რამდენიმე კაცის გარდა, ყველას პირადი ანგარიშსწორებისთვის უნდა ხალხის აზვირთებაცა და პოლიტიკაში მოსვლაც. ჩვენ არავის გასამართლებას და კედელთან მიყენებას არ ვაპირებთ. პრეზიდენტი უნდა ადგეს და თავისი ნებით გადადგეს.

— **და იმედი გაქვთ, რომ რაკი თქვენ ეტყვით, გადადგება?**

— არა, ჩემს სიტყვაზე არა, ერის და ხალხის სიტყვაზე გადადგება. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, 50 ათასი კაცი დგას პარლამენტის შენობის წინ, არ იშლება და მოითხოვს, რომ მთავრობა გადადგეს. ეს უკვე ეროვნული დაუმორჩილებლობაა.

— **ალბათ პრეზიდენტის შემცვლელიც შერჩეული გყავთ.**

— ვისაც ხალხი აირჩევს, პრეზიდენტიც ის იქნება. შერჩეული ჯერ არავინ გვყავს.

— **ამბობენ, ამ ბოლო დროს ბევრს ესიზმრება პრეზიდენტობაო. თქვენც ხომ არ გესიზმრებათ?**

— არა, არ მესიზმრება და საერთოდ, სიზმრებზე ლაპარაკი არ მჩვევია, არც პოლიტიკაში და არც რელიგიაში.

— **როგორც ვიცი, პოლიციასთან მოლაპარაკებასაც აპირებთ.**

— ჰო, მაგრამ ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. ახლა რომ მათთან მოლაპარაკება გავმართოთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდებთ. ჯერ ხალხი უნდა შეგროვდეს, ხოლო როდესაც უკვე დაიწყება საყოველთაო გამოსვლები, პოლიციას მოვუწოდებთ, არ ჩაერიონ და მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგი დაამყარონ.

— **ე.ი. ყოველგვარ შეიარაღებულ დაპირისპირებას გამორიცხავთ?**

— რა თქმა უნდა. არანაირი შეიარაღებული დაპირისპირება არ მოხდება. სადაც 50 ათასი კაცი იდგება, იქ „პარადს“ სხვები ვერ წაიყვანენ — გამორიცხულია. 50 ათასი... თქვენ ეს ცოტა ხომ არ გგონიათ? ვის ექნება მათთან შებმის თავი? პატარ-პატარა გამოსვლებს კი არ დავიწყებთ. ერთხელ გამოვალთ და თანაც ისე, რომ ღირდეს.

— **50 ათასი კაცი პარლამენტის შენობის წინ რომ ვერ დაეტევა?**

— დაეტევა, ნუ გეშინიათ. ჩვენც ასე გვეგონა, ერთხელ არხანგელსკში, „ჩორნაია ვარონაში“ 30 კაცი რომ შეგვყრეკეს. ვერანაირად ვერ ვეტეოდით. ადგნენ და გააავებული ნაგაზი შემოუშვეს. ისე შევვიწროვდით, რომ 20 კაცი კიდევ დაამატეს და ისე გადაგვიყვანეს.

— **იმედია, მომიტინგეებსაც არ მიუქსევთ ნაგაზებს...**

— არა, ნაგაზები რა საჭიროა. 100 ათასი კაცი არ იყო 9 აპრილს? თუ ვერ დაეტევა, რუსთაველზე გაიშლება — უფრო მშვენიერი სანახაობა იქნება. ასე რომ, ეგ არ არის პრობლემა, მაგაზე ნუ ინერვიულებთ. ნეტა მილიონი მოვიდეს და დავტევთ როგორმე. რას იზამს ასეთ დროს პოლიცია, ისვრის? ვარიანტი არ არის. თუ ისვრის, კიდევ უარესი მათთვის, მაგრამ არ არსებობს. 50 ათასი კაცი იქით დაარბევს მათ. ეგენი ზვიადისტებს ერევიან, თორემ განა ჩვენც მოგვერევიან.

— **როცა მოქალაქეთა კავშირმა კორუფციასა და უსამართლობასთან ბრძოლა დაიწყო, ახლა მოგინდათ მიტინგები და მასობრივი გამოსვლები?**

— რაო? რა ბრძოლა დაიწყო? ეს არის უბრალოდ შიში და ბრძოლა არა კორუფციის წინააღმდეგ, არამედ საკუთარი თავის გადასარჩენად. თუ საზოგადოება ამ ხრიკებს და მოქკავშირის „ფოჩიან კანფეტებს“ წამოეგება, ღმერთმა შეარგოს. თქვენ რა გგონიათ, თუ მოქალაქეთა კავშირი რაიმე კარგს გააკეთებს, გამოვალ და ვიყვირებ, არა, კარგად არ იქცევიან-მეთქი? ოღონდ მაგათ რაიმე გააკეთონ, ვინ დაუშლით, მაგრამ არ გააკეთებენ, ვარიანტი არ არსებობს. შეიძლება ერთი-ორი წაიკნავლონ. მერე რა, ამით რა გამოვა? პრეზიდენტის გასამართლებლად და გადასარჩენად რომელიმე მინისტრის მოადგილეს გაატყავებენ და საქმეც ამით დამთავრდება. აბა, ჩაჩხიანი რა დასაჭერი იყო? გჯერათ, რომ ჩაჩხიანზე მეტად კორუმპირებული მთავრობაში სხვა ვერავინ იპოვეს? დაიჭერენ მესამე და მეოთხე ეშელონის ხალხს და კორუფციას ვებრძვითო. ამას წინათ, ნუგზარ შევარდნაძე აჩვენეს ტელევიზიით — გადასინჯეს და ვერაფერი დარღვევა ვერ უპოვესო. ნუგზარ შევარდნაძე იმის ჩიტია, რომ რაც დაარღვია, დოკუმენტებში ასახოს? ის კი არ უნდა ეძებო, დოკუმენტებში როგორ არის გაფორმებული, უნდა ჰკითხო, საიდან აქვს ამხელა სახლი, 16 სართულიანი ოფისი და ა.შ. რატომ მე არ მაქვს? მთელი საქართველო მიცნობს და ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. ახლა რაღაც ზღაპრები მოიგონეს — თურმე ვილაცებს ბაბუები ჰყოლიათ რევოლუციამდე მილიონერები, კომუნისტების დროს ეს ქონება მიწაში ჩაუმარხავთ და ელოდებოდნენ, როდის გადაყირავდებოდა კომუნისტური რეჟიმი, რომ ბაბუის დანატოვარი ქონება ამოეთხარათ. კარგით რა, ვის ატყუებენ?

— **თქვენ რას ჰპირდებით ხალხს, თუკი ხელისუფლებაში მოხვალთ?**

— ჩვენ ხალხს ვთავაზობთ — გინდათ გეშველოთ? მაშინ გამოდით და ერთად ვიბრძოლოთ. თუ არ გინდათ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ისევ მათთვის ვფიქრობ, თორემ შევარდნაძე რომ გადადგება, მე რა?.. სანამ საქართველო ჩვენი პარტიის ირგვლივ არ გაერთიანდება, ქვეყანას არაფერი ეშველება. არ გახსოვთ, „მრგვალ მაგიდას“ რა დაემართა? — სანამ ჩვენთან იყვნენ, კომუნისტების ჩამიჩუმიც კი არ ისმოდა, მიწაზე იყვნენ გართხმულები და ხოხავდნენ ჩვენ წინაშე ვითარცა ქვეწარმავლები. როგორც კი ჩვენი „მოტეხვა“ გადაწყვიტეს, აგერ, თქვენი თვალით ნახეთ, რაც დაემართათ. ამიტომ, თუ საქართველოს ხსნა და გადარჩენა სურს, ჩვენი პარტიის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება.

— **დაახლოებით რამდენ ხანში ვარაუდობთ 50 ათასი კაცის მოგროვებას?**

— არ ვიცი, ძნელია წინასწარ განსაზღვრო. იცით რა, სხვათა შორის, ამბობენ, რომ ახლა მეორედ მოსვლის წინა პერიოდია და შეიძლება ვერც მოესწროს... ამბობენ, მეორედ მოსვლა მოულოდნელად მოხდება და ძალიან ცოტა გადარჩებაო... არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ცდას არ დავაკლებთ. ურჩევნიათ, დაგვიჯერონ და გამოგვყვნენ, თორემ აგერ, ათი წელი ხომ იტეხენ კისერს და ხერხემალს, უარესი დაემართებათ. აბსოლუტურად უცერემონიოდ ვაცხადებ, რომ საქართველოს მომავალი კეთილდღეობის გარანტი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და მისი ლიდერია.

*ხათუნა ყვირალაშვილი*

## რას გვეტყვი, მამაო?

*მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს არქიმანდრიტი* ***მამა რაფაელი***

— **როგორ ხსნის მართლმადიდებელი ეკლესია სვეტიცხოვლის კედელზე გამოსახულ ზოდიაქოს ნიშნებს?**

— ძველად ზოდიაქოს ნიშნებს იყენებდნენ ასტრონომიული დაკვირვებებისა და გამოთვლებისათვის, გვხვდება ძველ ვარსკვლავურ რუკებშიც. ამიტომ ისინი შეიძლება იყოს როგორც კალენდრის გამოსახულება და არ ჰქონდეს მაგიური მნიშვნელობა.

ზოდიაქოს ნიშნები, როგორც თილისმა, მიუღებელია ქრისტიანობისთვის.

— **შეიძლება თუ არა იმ ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობა, სადაც ფულადი ჯილდოებია დაწესებული?**

— ინტელექტუალურ თამაშებში არის გარკვეული კონკურსის სახე, ე.წ. ფასიანი გამოცდისა. თვით საკითხის დაყენება არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ზნეობას, მაგრამ ამ თამაშებით გატაცებას შეუძლია აზარტისა და მეტოქეობის გამოწვევა. ამიტომ ამ საქმიანობით გატაცება ცოდვად ჩაითვლება. თავისთავად ფულის შოვნა არ არის ცოდვა, რადგან წმინდა მამებს მიაჩნდათ, რომ ფულის გამოყენება შეიძლება სასიკეთო საქმეებისთვის. მაგრამ ფული, სამწუხაროდ, ჩვენს ვნებიან გულს იპყრობს ხოლმე. წმ. იოანე ოქროპირი წერდა, — მინახავს ხალხი, ვინც აგროვებდა ფულს გლახაკებისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანი თანხის შეგროვების შემდეგ შესძულებია ეს გლახაკნი.

რაც შეეხება მღვდელმსახურთ, მათი მონაწილეობა ასეთ თამაშებში დაუშვებელია.

— **როგორ უნდა მივეგებოთ მღვდელმსახურს?**

— მღვდელმსახურისგან უნდა გამოვითხოვოთ კურთხევა.

— **ვარ მორწმუნე. ხშირად ვანთებ სანთლებს და დავდივარ ეკლესიაში. სანთლების ანთებისას და პირჯვრის გადაწერისას მიტყდება მთქნარება, ზოგჯერ ისეთი, რომ ცრემლები მდის. ასე მემართება მაშინაც, თუ რომელიმე ეკლესიას ჩავუვლი და პირჯვარს გადავიწერ. ეს უბრალო დამთხვევაა, თუ რაიმეს მიმანიშნებელი?**

— ბოროტ ძალას სურს ადამიანი ღმერთს განაშოროს. ეს შეიძლება ვიგულვოთ თქვენი მთქნარების მიზეზად. რაც შეეხება ცრემლებს, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ემოციური მდგომარეობის შედეგი და ამიტომ საჭიროა გაარკვიოთ ამ ცრემლების წარმოშობის მიზეზი.

— **არც მე და არც ჩემს მშობლებს არ გვახსოვს, იყვნენ თუ არა ჩემი პაპა-ბებია მონათლულები. როგორ მოვიქცეთ, შეიძლება თუ არა წირვის დროს მათი სახელების მოსახსენებელში ჩაწერა?**

— როგორც წესი, კომუნისტურ-ბოლშევიკური დიქტატურის წლებამდე ქართველი ადამიანები ინათლებოდნენ მართლმადიდებლურად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მდგომარეობა გართულდა: იყვნენ მონათლულნიც, იყვნენ უნათლავნიც და იყვნენ ნათლობის დაუძინებელი მტრებიც. ამიტომ, თუ რაიმე ეჭვი არსებობს თქვენი წინაპრების მიმართ, სჯობს თავი შეიკავოთ მოსახსენებელში ჩაწერისაგან და მათ სახელზე გასცეთ მოწყალება.

— **ზოგჯერ იტყვიან ხოლმე, — მადიანი ჭამა ჯანმრთელობის ნიშანიაო. ეკლესიურად როგორ ესატყვისება ეს განაცხადი რეალობას?**

— წმ. ეფრემ ასურელი გვამცნობს: „ნუ უსმენ საკუთარი თავის მაამებელი ადამიანების რჩევას, რომელთაც თავი საკუთარი მუცლისა და ხორციელი ვნებების მონებად გაიხადეს“. და საერთოდაც, ბოროტ რჩევებს უფრო მეტად ერიდე, ვიდრე მტრებს.

— **რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების პროცესში?**

— როდესაც საქმეს აკეთებთ, მიაპყარით ყურადღება, თუ რა სულიერი აღჭურვილობით ასრულებთ მას — ბუზღუნითა და მრისხანებით, უკმაყოფილებით, უქმსიტყვაობით, მკრეხელური აზრებით თუ ლოცვითა და ღვთივგასხივოსნებით.

— **რომელი რელიგიური წიგნები უნდა ვიკითხოთ?**

— ყველა ის სამოძღვრებო და საგანმანათლებლო რელიგიური წიგნი, რომელიც არ ეყრდნობა წმინდა წერილსა და წმინდა მამათა სწავლებებს — ამოღებულ უნდა იქნეს თქვენი საკითხავებიდან, რარიგ მჭევრმეტყველურად და ხატოვნად არ უნდა იყოს დაწერილი.

— **მონათლული ვარ სიონში. ნათლიები სომხები არიან. ვითვლები თუ არა მართლმადიდებლური წესით მონათლულად, თუ ხელახლა უნდა მოვინათლო?**

— თუ ნათლიები მართლმადიდებლები არიან, მაშინ ისინი თავისთავად ითვლებიან ნათლიებად — თუ არა, თქვენ მაინც ხართ მონათლული, რადგან მღვდელმა ჩაატარა საიდუმლო და მოგნათლათ მართლმადიდებლური წესით!

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ კუპონის საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 32*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწინები გინიოხობენ

**3 წლის ქეთევან ცერცვაძეს** ეუბნება მამიდაშვილი:

— იცი, მე ბორჯომში მივდივარ დასასვენებლად.

— მე კი კოკა-კოლაში, — უპასუხა ქეთევანმა.

**3 წლის ხატია** ღამის ქოთანზე ზის და თან ყვირის:

— დედიკო, დედიკო, მოდი ჩქარა!

— რა იყო, ხატია? — ეკითხება დედა.

— მგონი, კუჭი შემეშალა.

**5 წლის გიორგი ქიგრაშვილი** უყურებს თავის პატარა დაიკო სალომეს, როგორ წოვს ძუძუს და დედას ეუბნება:

— რაღაც არ მახსოვს, ჩემთვის ძუძუ გეწოვებინა.

**5 წლის აჩის** ვერ გაუგია, რას ნიშნავს ყურის დაგდება (მოსმენა) და გაკვირვებით ეკითხება ბებოს:

— ბებო, ყური უნდა მოვიჭრათ და დავაგდოთ?

**ნანიკო და ნინიკო კუტივაძეები** დედას ეფერებიან:

— კიდევ ერთ დაიკოს გაგვიჩენ, დედი?

— გაგიჩენთ, დედა გენაცვალოს, თქვენ თუ გაგეხარდებათ, აბა, რას ვიზამ, — პასუხობს დედა.

— ძმიკოსაც გაგვიჩენ?

— კი, დედიკო, გაგიჩენთ.

გახარებული ნინიკო ყელზე ეხვევა დედას:

— ლეკვსაც გაგვიჩენ, დედი?

**3 წლის ანუკა ჭოლოკავა** ბებიას ეუბნება: — ბებო, იცი ჩემი ბაღის მასწავლებელი კრედიტში გავიდა.

## იპოვეთ 13 განსხვავება



## I ანდაზვორდი




**თარაზულად:** 1. „ნუ... სხვასაო, გადაგხდება თავსაო“; 4. „კარგი... მათრახს არ დაირტყამსო“. 6. „ურემი რომ გადაბრუნდება... მას უკან გამოჩნდებაო“; 7. „ჭინჭრის ძირში... ამოვაო“; 10. „...გატეხას თავის გატეხა სჯობიაო“; 13. „კატა ვერ შესწვდა... პარასკევია დღესაო“; 14. „კვიცი... ხტისო“; 15. „ხარი ხართან რომ დააბა, ან... იცვლის ან ფერსაო“.

**შვეულად:** 1. „ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი... გამოჩხრიკაო“; 2. „ახალი... კარგად გვის, ძველი მოიტანს ქვიშასაო“; 3. „ქარის მოტანილს... წაიღებსო“; 5. „კარგი... კარგი ძმობის დარიაო“; 6. „ერთი თხილის... ცხრა ძმამ გაიყოო; 8. „მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი...; 9. „ქვევრს რასაც... იმასვე ამოგძახებსო“; 11. „კარგი... დედის გულის ვარდიაო“; 12. „ვისაც... უნდა, ფეხიც უნდა დაისველოსო“.

*მოამზადა რუსუდან გელოვანმა*

## მოთხრობა–გამოცანა

ერთმანეთს შეხვდა სამი მეგობარი: მოქანდაკე თეთრაძე, მევიოლინე შავაძე და მხატვარი წითურიძე. „კარგია, რომ ერთი ჩვენგანი ქერაა, მეორე შავგვრემანი, ხოლო მესამე წითური, მაგრამ არც ერთს არა გვაქვს ჩვენი გვარის შესაბამისი ფერის თმა“, — შენიშნა შავგვრემანმა. „შენ მართალი ხარ“, — დაუდასტურა თეთრაძემ.

რა ფერის თმა აქვს მხატვარს, თუ ცნობილია, რომ თეთრაძეს აქვს შავი თმა? (პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:*** ანი ზვიადაძემ, ტარიელ წირღვავამ, ზურა და მონიკა ტყეშელაშვილებმა, ლუკა ფერაძემ, სალომე სანდაძემ, ნათია და გაგა ლომაძეებმა, ნინო კავკასიძემ, ანა ქადეიშვილმა, დათო ბადალოვმა, ზაზა და გოგი შონიებმა, თემურ ჟვანიამ, გიგა ჩემინავამ, გიორგი მოისწრაფიშვილმა, ჯაბა წურწუმიამ, კახა მიქელაძემ, მახო და დათო შედანიებმა, ვანო ღვალაძემ, ბექა მჭედლიძემ, ნინო კემულარიამ, ცირა შანავამ, ციაკო გეთიამ, თეონა გოგაძემ, მაია, გიპაჩო, ინდირა და გიგა გიგანებმა, ლელა ბაკურაძემ, ეკა და ნინო ლორთქიფანიძეებმა, სოფიკო კემულარიამ, სოფო, თამთა და გიორგი გახარიებმა, ინგა და თორნიკე ჭილაშვილებმა, სოფიკო გძელიშვილმა, მარი და ანა მაღალდაძეებმა, ნათია ბეკურაშვილმა, მარი და ანი ჩიქოვანებმა, სალომე ჯანელიძემ, რევაზ ვაშაკიძემ, ლაშა ართილაყვამ, ხატია ხატიაშვილმა, დიანა, თამუნა და მიშიკო ომანიძეებმა, დიმიტრი სვანიძემ, ნინო ტომარაძემ, ლექსო დათუნაშვილმა, ლადო ქანთარიამ, კოკა ბენდელიანმა, გიორგი ოზბეთელაშვილმა, კახა ბერძენიშვილმა, სალომე ცინცაბაძემ და თორნიკე გაგნიძემ.

***სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:*** 10 წლის განმავლობაში მათ ეყოლათ 6 საერთო შვილი.

## II რებუსი




## III ტესტი

### რამდენად გონიერი ხარ

**ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს თითო საერთო სიტყვა შეუსაბამეთ. სწორი პასუხი — 1 ქულა.**

1. თაგვი, გალია
2. ანტენა, ეკრანი
3. დრო, მაჯა
4. მჟავე, ჩაი
5. ნემსი, ვარდი
6. კურორტი, სოდა
7. ჩიტი, მშვიდობა

0-2 ქულა: უფრო მეტი გონიერება გმართებს.

3-5 ქულა: ჭკვიანი ხარ.

6-7 ქულა: ა, ტალანტი!

## სახალისო გამოცანა

IV

უცნაური ცხოველია,
მუდამ ყურებდაცქვეტილი,
მას მუცელზე ჩანთაში ჰყავს,
პაწაწინა თავის შვილი.

**V მოძებნეთ დაბოლოება, რომელიც საერთოა ექვსივე სიტყვისთვის**




**VI გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით**




**გამოიცანით, რომელ მაიმუნს ეკუთვნის ჩრდილი**



## გამაფერადე ფერადი ფანქრებით



**აპოვნინეთ ქურდბაცაცა ყვანჩალას მეორე ცალი წინდა და ხელთათმანი**



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

*აქტიური თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით 15 წლის ნინო ტომარაძეს*

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

**ამ გვერდს მთლიანად მკითხველს და მის სატკივარს ვუთმობთ... სატკივარი ხშირად პირადულს სცილდება, სხვათა ყურთასმენასაც ითხოვს და ალბათ იმიტომაც გვენდობიან და გვწერენ, რათა გავახმიანოთ... ისმინეთ!**

# ყვირილის ხეობის გასაჭირი



„კვირის პალიტრას“

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას დღეს სამაჩაბლოს სახელით მოიხსენიებენ, არადა, როცა ოლქი შეიქმნა, მის საზღვრებში მოექცა ქსნის საერისთავოს ნაწილი, მდინარე ყვირილის ხეობის იმერეთის გარკვეული ტერიტორია და კუდაროს ხეობის რაჭის რამდენიმე სოფელი. ამიტომ არასწორია „სამაჩაბლოს“ ხმარება, როდესაც ყოფილი სამხრეთ ოსეთის პრობლემებზე გვიხდება საუბარი.

ეს ისე, სხვათა შორის.

ახლა კი ყვირილის ხეობის იმ სოფლების სატკივარზე გიამბობთ, რომლებიც დღესაც ვერ გარკვეულან, ვინ არის მათი პატრონი. ამ ხეობის რვა სოფელი: სინაგური, თედელეთი, ხახიეთი, ჯალაბეთი, პატარა პერევი, ტბეთი, ზემო და ქვემო ქარძმანი ოლქის შექმნიდან 1991 წლამდე ჯავის რაიონის შემადგენლობაში შედიოდა, არადა, ეს ხეობა წონის გადასასვლელამდე ისტორიულად იმერეთის სამეფოს, აბაშიძეთა გვარის სამფლობელო გახლდათ. ისტორიული წყაროების მიხედვით, ოსური მოსახლეობა აქ XX ს-ის შუა ხანებში გამოჩენილა, ისიც რამდენიმე კომლი, რომელიც შემდგომ ისე გაზრდილა, რომ XX საუკუნის ბოლოს ამ სოფლების ქართულ მოსახლეობას კიდეც გადააჭარბა. თედელეთში, ჯალაბეთში, ტბეთში და აწ უკვე 1991 წლის მიწისძვრისგან მკვდარ სოფელ ხახიეთში მთლიანად ოსური მოსახლეობა იყო, სინაგურსა და პატარა პერევში კი შერეული, ხოლო ზემო და ქვემო ქარძმანი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. ხეობაში არასოდეს შექმნილა პრობლემა. შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე თანდელოვები და დეკანოიძეები, გაგიევები და ბახტურიძეები, ჯუსოევები და კუსიანები...

როცა ცხინვალში ომი ბობოქრობდა, სინაგურში, თედელეთში, ქარძმანში დიდხანს, ძალიან დიდხანს ისევ იქმნებოდა ქართულ-ოსური ოჯახები, ისევ მღეროდნენ „მრავალჟამიერს“ და „ოვორაიდას“, ისევ ცეკვავდნენ „ქართულსა“ და „სიმდს“, ისევ ისმებოდა „სირჩა“... ისევ ხვდებოდნენ საჩხერელ ნაცნობ-მეგობრებს, საჩხერის ბაზარში ისევ იყიდებოდა „ოსური ყველი“, კარტოფილი, ლობიო, კომბოსტო, ხორცი და ამ მიწის ყველანაირი ბარაქა. ცხინვალში ჩვენ არაფერი გვესაქმებაო, — ამბობდნენ აქაური ოსები... მაგრამ ბოროტმა ძალებმა იქაც გააღვივეს შუღლის მარცვალი, თუმცა იარაღამდე საქმე არ მისულა.

მოყვრებთან ომობანას თამაშს ბევრმა მშვიდობიანად წასვლა ამჯობინა და თანდათან დაიცალა ხეობა. ამას თან დაერთო 1991 წლის ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც მიწაში ჩაიტანა სოფელი ხახიეთი, თავისი 46 მცხოვრებით. ამ სოფლიდან მხოლოდ ორი ადამიანი გადაურჩა სიკვდილს. ისინი, ბედად, სოფელში არ იმყოფებოდნენ.

მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია ზემო ქარძმანისა და სინაგურის საშუალო სკოლები, საავადმყოფო, კლუბი და სხვა ნაგებობები. უსახლკაროდ დარჩა მოსახლეობის 90%. მშველელი კი არსაიდან ჩანდა.

ჯავის რაიონში ომის ქარცეცხლი ტრიალებდა, საჩხერის რაიონის ხელმძღვანელობა კი, რომელსაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებულებით გადმოეცა ზემოთ აღნიშნული სოფლები, ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, რომელი ერთი სოფლისთვის გაეწოდებინა დახმარების ხელი, მაშინ ხომ საჩხერის რაიონის ყველა სოფელს ერთნაირად უჭირდა.

ასე თანდათან დაიცალა ხეობა.

დარჩა მხოლოდ რამდენიმე კომლი — რამდენიმე ბუხრიდან ამომავალი კვამლი, დარჩა ღვთისა და საკუთარი თავის ანაბარა... ხნავენ, თესავენ, თიბავენ; ზაფხულში, ისედაც მთაში მცხოვრებნი, თავიანთი პირუტყვით უფრო მაღალ მთებს მიაშურებენ, პირველი ყინვების დაწყებამდე ალპურ საძოვრებზე რჩებიან და შემოდგომაზე უბრუნდებიან ოჯახებს, რათა „ბარის“ მოსავალი აიღონ, დააბინაონ და გრძელი ზამთრის მოლოდინში „ქარძმანულას“ ღვინით ქვევრები აათავიანონ...

გრძელი ზამთარი დაუბედათ აქაურებს ღმერთმა.

უვლიან ძროხას და ღორს, ცხვარსა და თხას, ყველანაირ ოთხფეხს და ორფეხს. ხარი და ცხენი ხომ თითქმის ყველა ოჯახშია, მაგრამ როგორც გითხარით, აქაურებს პატრონი არ ჰყავთ — ვერა და ვერ გაირკვა დღემდე ამ ხალხის ბედი.

ვერ გაარკვია თვით ხალხმაც, სამართალი სად ეძებოს, ჯავასა თუ საჩხერეში. სასკოლო ასაკის ბავშვები სკოლის გარეშე რჩებიან, არადა პირველკლასელებს უჭირთ 5-6 კილომეტრზე მეზობელ პერევის ან ჯრიის სკოლებში სიარული. ამას რომ თავი დავანებოთ, ახალშობილის მშობელმა არ იცის, სად აიღოს ბავშვის დაბადების მოწმობა. ამიტომ ამ ხეობის ბავშვები დაბადების მოწმობის გარეშე რჩებიან.

საქართველოს ხელისუფლება სიტყვით თუ მაინც ეწევა სამაჩაბლოელ ლტოლვილებსა თუ თამარაშენში დარჩენილთ, ამ ხეობის მოსახლეობა ერთხელაც არ გახსენებია. არავის უფიქრია, რით ცხოვრობენ იქ დარჩენილები. მოვა დრო, ისინიც აიყრებიან და მტერსაც ეს უნდა.

აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს აქაურ მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობა არ მიაღებინეს (არადა მოსახლეობას ამის სურვილი ჰქონდა), მაგრამ როდესაც ვიღაცას ხმები დასჭირდა საპარლამენტო არჩევნებისთვის, დედაბუდიანად ჩამოყარეს სოფელ პერევის საარჩევნო უბანში.

მათზე ფიქრით გული არ სტკენია ვინმეს. ხეობაში კი, თუ რამ სიმდიდრე დალანდეს, ყველას თვალი დაადგეს. ვერა და ვერ გადაწყდა დღემდე ტყეების საქმე, რომელიც ვერაფრით გაიყვეს ჯავისა და საჩხერის სატყეოებმა, არადა ეს მდიდარი ხეობა ორივე მხარეს უშლის საღერღელს.

არავინ იფიქროს, აქაურები შიმშილით კვდებიანო, მაგრამ ვაკუუმი შიმშილზე უარესია. ტელევიზია მათთვის არ არსებობს და გაზეთი. ყვირილის ღრმა ხეობაში გამოკეტილ მოსახლეობას ისევ მაღალი მთების იმედი აქვს, აბა სხვას ვის ენდონ, ვინ გაუწვდის საშველად ხელს. ისინი მადლს ამ მთების ჯანსაღ ჰავას სწირავენ, თორემ თუ დასჭირდათ, სადაა ექიმი?!

გადის დრო, ყველაფერი იცვლება.

იქნებ ოდესმე ამ ხალხისთვისაც შეიცვალოს ყოფითი პირობები და იქნებ მათაც თქვან, პატრონი გამოგვიჩნდაო...

***ნუკრი ლობჟანიძე***
***საჩხერის რაიონი,***
***სოფელი ჯრია***

„კვირის პალიტრას“

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია მიიღო საქართველოს მოსახლეობამ. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომელსაც ეს პროექტი არ გაითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს და მის გულშემატკივარს, საქართველოს განსახლების, ქალაქდაგეგმარებისა და მიწის ფონდის რაციონალურ-კომპლექსურად გამოყენების მრავალწლიანი კვლევების ავტორს, დამებადა ზოგიერთი შეკითხვა, ეჭვი და სურვილი, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

## ფიქსირებული გადასახადი ხომ ჩვენი გაყვლეფაა?

როგორც ცნობილია, ნავთობი არა მხოლოდ ენერგეტიკის უმთავრესი წყაროა, არამედ თანამედროვე ქიმიური მრეწველობის განვითარების აუცილებელი ნედლეულიც.



# ნავთობსადენის საკითხის რატიფიკაციასთან დაკავშირებით

მოსახლეობის რაოდენობისა და მოთხოვნილებების უწყვეტი ზრდა, ცხადია, ნავთობზე მოთხოვნილებასაც ზრდის, ანუ მისი ფასი, უწყვეტად თუ არა, პერიოდულად მაინც აიწევს. ეს მოსალოდნელია, რადგან ნავთობის მარაგი შეზღუდულია და მისი ამოწურვაც გარდაუვალია, რაც მეცნიერულად დაასაბუთეს თვით დასავლელმა მეცნიერებმა. მათ მონოგრაფიაში ნათლად არის ლაპარაკი ენერგორესურსების ამოწურვით მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ძვრებზე. აქედან გამომდინარე, ეს კარგად იცის იმ დასავლეთმა, საითაც 40 წლის მანძილზე უნდა გადაედინოს უძვირფასესი საბადო-ნედლეული, რომელიც მათი მოგების ზრდის საფუძველთა საფუძველი იქნება.

ცნობილია, რომ ნავთობის პროდუქტების გაყიდვას უფრო მეტი მოგება მოაქვს, ვიდრე ნედლეულისას, ამიტომ ლოგიკურად მიჩნდება ეჭვი:

— რამდენად მიზანშეწონილია საერთოდ, რომ კასპიის ზღვის აუზის ნავთობი გადაიქაჩოს დასავლეთში, როგორც ნედლეული?

— არ სჯობს, რომ ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა განვითარდეს და გავყიდოთ გადამუშავებით მიღებული ნაწარმი, ვიდრე ნედლეული, როგორც ეს სჩვევიათ კოლონიებს, რომელთა გაყვლეფის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება არ აკლია დასავლეთს?

— აქედან გამომდინარე, ეგებ საქართველოს ნავთობი მაინც არ გავყიდოთ და ვიფიქროთ მისი გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე?

— განა მიზანშეწონილია და, მით უფრო სატრაბახო, რომ ნავთობის გატარებისას დავკმაყოფილდეთ ფიქსირებული გადასახადით და არ მოვითხოვოთ მუდმივად მზარდი მოგების პროცენტი? კიდევ ხომ არ ვტყუვდებით „მეგობრების“ დიდი გამოცდილებით?

## სტაბილურობა თუ სხვათა საომარი მოედანი?

პარლამენტი დიდ ყურადღებას აქცევს პროექტის პოლიტიკურ მხარეს. აღნიშნავენ — იგი არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და მშვიდობის მყარი გარანტი, რადგან ამ პროექტის განხორციელებით სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი არა მარტო საქართველოს მეზობლები, არამედ, როგორც იტყვიან, „ცხრა მთის“ იქითური ქვეყნებიც.

კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვასწავლის, რომ ომებს ინტერესთა დაპირისპირება იწვევს. ინტერესები კი უმეტესწილად ეკონომიკის არასტაბილიზებითაა განპირობებული. ეკონომიკის კრიზისი კი უკავშირდება მოსახლეობისა და მისი მოთხოვნილების ჯერჯერობით ძნელად მართვად ზრდას.

ეს არგუმენტი კვლავ მაეჭვებს: ნავთობსადენით დაინტერესებულ რომელიმე ორ ქვეყანას შორის ინტერესთა დაპირისპირება საქართველოს სტაბილურობის საფუძველი გახდება თუ სავარაუდო დიდი ომისა? ხომ არსებობს ქვეყნები, რომელთაც არ გააჩნიათ გლობალური საერთაშორისო ფუნქცია?

## დღეს იაფი ხვალ ყველაზე ძვირფასი გახდება!

კარგად არის ცნობილი, რომ ტერიტორიების ღირებულება ცვალებადია და მას აქვს მატების ტენდენცია, გაძვირების ტენდენცია.

როგორც ზემოხსენებულ მონოგრაფიაშია გაშუქებული, ენერგორესურსების სასრულობა სულ უფრო წინ წამოწევს ეკონომიკის იმ დარგებს, რომლებიც მზის ენერგიის სასრულობაზეა დაფუძნებული. ნავთობის, ქვანახშირის და სხვა ენერგორესურსების ნაცვლად გაიზრდება სოფლის მეურნეობის, თევზჭერისა და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობათა როლი და მნიშვნელობა. ეს კი ნიშნავს მოთხოვნილების ზრდას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. საქართველოს პირობებში ეს არის მისი ვაკეები, ანუ მთელი მიწის ფონდის მხოლოდ 30%, ანუ ეს არის იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, სადაც გაივლის ნავთობსადენი და მისი გარანტირებული დაცვის 22 კმ სიგანის მიწის ზოლი.

ასეთი სიგანის ზოლი გულისხმობს ისეთ კლდოვან ციცაბო ფერდობებსაც, სადაც საუკუნეთა მანძილზე არც ხე ამოსულა და არც შენობა აუშენებიათ. იგი არის არა მარტო მთიან ზონებში, რომელთა გადაკვეთასაც გვერდს ვერ აუვლის ხსენებული ნავთობსადენი, არამედ თვით თბილისის შუაგულშიც, მდ. ვერეს ხეობაში, ანუ ბარშიც და ა.შ. ისინი მიჩნეული იყო უვარგისად.

ამ ტერიტორიათა „უვარგისობის“ დამკვიდრებული აზრი ისევე შეიცვალა, როგორც ადრე ურწყავი თუ დაჭაობებული ადგილებისა.

სპეციალური გამოკვლევები საპირისპიროს ამტკიცებს. კერძოდ, იმას, რომ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და მით უფრო, 40 წლიან მომავალში, ასეთი მთიანი ტერიტორიების გამოყენება უფრო რაციონალური და სასურველი იქნება, ვიდრე ვაკე ტერიტორიებისა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ ნავთობსადენის მშენებლობისა თუ მისი 40 წლიანი ექსპლუატაციის განმავლობაში, ვერ დასაბუთდება მიწის რეალური ფასი და დაზარალდება ჩვენი მოსახლეობა, რომელიც ასეთ უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაშია და წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდება.

## კაპიტალიზმი და ქრისტიანობა შეუთავსებელია

ზემოაღნიშნული ეჭვები და უნდობლობა ჩემთვის სავსებით ცხადია შემდეგიდან გამომდინარე:

— ე.წ. ქრისტიანი დასავლეთი რეალურად მოქმედებდა ქრისტიანული მოძღვრების საწინააღმდეგოდ და თვალთმაქცური ცხოვრების წესებს ამკვიდრებდა არა მარტო საკუთარ, არამედ სხვის ქვეყნებშიც.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა ქონების დაგროვების წინააღმდეგია. ყველა კაპიტალისტური ქვეყნის ანუ დასავლეთის საზოგადოების უმთავრეს მასტიმულირებელ ბერკეტად კი მიჩნეულია სწორედ ქონების დაგროვება. იმავე დასავლეთმა არაერთი ჯვაროსნული ომი გადაიხადა მაჰმადიანთა გასაყლეტ-გასაძარცვად. დასავლეთის ქვეყნები საძარცვად არაერთხელ დაერივნენ ერთმანეთსაც. ვფიქრობ, დასკვნა ნათელია, — დასავლეთის ცხოვრების წესი მოჩვენებითია. კაპიტალიზმი და ქრისტიანობა შეუთავსებელია, მოჩვენებითია, სიყალბეა ძირშივე.

შეგვიძლია თვალდახუჭული ვენდოთ ასეთი ცხოვრების წესის მქონე სახელმწიფოებს?

1973 წელს დევიდ როკფელერმა სთხოვა ზბიგნევ ბჟეზინსკის, მსოფლიოს სამართავად შეექმნა სამმხრივი კომისია — მულტიმილიონერებისა და მათი მრჩევლების დახურული კლუბი. ეს სამმხრივი კომისია აერთიანებს აშშ-ის, დასავლეთი ევროპისა და იაპონიის (თუმცა აღმოსავლეთია, — ჯ.მ.) უმსხვილესი მონოპოლიების ხელმძღვანელებს. განა ლოგიკური არ არის შეკითხვა — ვენდოთ მათ ეჭვის გარეშე? ვერწმუნოთ ბილ კლინტონს, რომელმაც კრემლში განაცხადა, — მომხრე ვართ ძლიერი რუსეთის შექმნისაო? არ არის ეს კიდევ მოჩვენებითი სიკეთე?

ვფიქრობ, ისტორიის ანალიზმა თუ საკუთარმა გამოცდილებამ თვალიც უნდა აგვიხილოს და ყურთასმენაც გაგვიმახვილოს და არა პირიქით.

ჩემი წერილი, ცხადია, ვერ შეაჩერებს ნავთობსადენის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროცესისადმი ოპტიმისტურად განწყობილი საზოგადოების ნაწილს, მაგრამ თუ დააფიქრებს საზოგადოების იმ წევრებს მაინც, რომელთაც მიწას გააყიდვინებენ, მაშინ ვალმოხდილად მივიჩნევ ჩემს მოქალაქეობრივ ქართველურ ვალს.

***ჯუმბერ მალაღურაძე***

# იქნებ თქვენ მაინც მიაწვდინოთ ხმა...

„კვირის პალიტრას“

ამ შემთხვევაში საქმე ეხება გლდანის მასივში ჩვეულებრივი ავტობუსების გაუქმებას. ეს პროცესი ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყო. თავდაპირველად გააუქმეს №52, შემდეგ კი №22 ავტობუსი (წრიული). ზაფხულში ქალაქის ტრანსპორტის მესვეურებმა მორიგი „სიურპრიზი“ მოგვიმზადეს: გაუქმდა №23 (გლდანის V-V მ/რ — კოლმეურნეობის მოედანი) და №24 (გლდანის V-V მ/რ — უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი) მარშრუტის ავტობუსები, რომლებითაც სარგებლობდნენ არა მარტო გლდანისა და მუხიანის მასივების, არამედ ნაძალადევის, დიღმის და საბურთალოს მცხოვრებნიც, თუმცა, ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით. აღვნიშნავთ, რომ სექტემბრის დასაწყისში რამდენიმე დღის მანძილზე №23 და №24 მარშრუტები ჩაანაცვლეს 50 თეთრიანი მიკროავტობუსებით, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენს ისედაც მწირ ბიუჯეტს. თუმცა არსებული სამარშრუტო ხაზების (№30, №100, №77, №128) მფლობელთა გაფიცვის შემდეგ, მათ აეკრძალათ მოძრაობა. ამჟამად სატრანსპორტო ბაზარი მთლიანად დაიპყრო ხსენებულმა სამარშრუტო ხაზებმა, რომელთაც ხელს არ აძლევს იაფი ავტობუსების არსებობა. მით უმეტეს, რომ ისინი ვერ ავსებენ გაუქმებულ №23 და №24 ავტობუსთა მარშრუტებს. ეს მოვლენები გაშუქდა ტელევიზიითა და პრესით, თუმცა უცბად ატეხილი აჟიოტაჟი მალევე ჩაცხრა. გვაქვს ინფორმაცია, რომ მერიამ გამოყო თანხები ავტობუსების შესაკეთებლად, მაგრამ შედეგი ძალიან იგვიანებს. ვეჭვობთ, ეს თანხა სხვა მიმართულებით არ წავიდეს.

ჩვენ რვა წლის მანძილზე ვიტანთ უკიდურეს გაჭირვებას, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. მხოლოდ №33 ავტობუსის იმედით, რომელიც დროდადრო მუშაობს, თანაც დიდი ინტერვალებით და ყოველგვარი გრაფიკის გარეშე, ფონს ვერ გავალთ. აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად განახლდეს №23 და №24 საქალაქო ავტობუსების (და არა სამარშრუტო ტაქსების) მოძრაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იზოლაციის საფრთხე გვემუქრება და იძულებულნი ვიქნებით მივმართოთ პროტესტის უკიდურეს ზომებს.

პატივცემულო რედაქციავ, უმორჩილესად გთხოვთ, ხმა მიაწვდინოთ ქალაქის შესაბამის სტრუქტურათა ხელმძღვანელებს, რომელნიც, იმედია, გულგრილნი არ დარჩებიან უტრანსპორტოდ დარჩენილ თანამოქალაქეთა გასაჭირის მიმართ.

***გლდანის მასივის მცხოვრებნი (51 ხელმოწერა)***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:


5 ქაბაბის საკაზმი მცენარე


6 სხვა ქალაქიდან ჩამოსული მსახიობთა კოლექტივის გამოსვლა


9 ხილი


10 ხაშხაშის მოუმწიფებელი რძიანი წვენისგან მოპოვებული ნარკოტიკული ნივთიერება


11 ტუჩების ოდნავი მოძრაობით ჭამა


15 წელიწადის დრო

17 დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს

18 ფეხის კვრა


19 რანგი, თანრიგი


20 საგანგებოდ მოწყობილი, ამაღლებული ადგილი ორატორისათვის


24 რომელიმე ნივთიერების ნაერთი ჟანგბადთან


25 ქსოვილის კიდეზე მოვლებული ზოლი


26 ოთხწლეულის უდიდესი ასპარეზობა


29 საგანგებოდ არჩეულ და გამოცემულ ნაწარმოებთა ერთობლიობა


32 მტკვრის მარცხენა შენაკადი


33 წიგნად შეკვრა

34 კაშკაშა წითელი


35 ეთეროვანი ზეთი

## შვეულად:


1 საასპარეზო ხალიჩა


2 უმაღლესი ხარისხის მინა

3 ღონის გამოლევა, დაქანცვა


4 სივრცე გემის ფსკერსა და ქვედა გემბანს შორის


5 მტკივანი ადგილის გასათბობად დადებული დასველებული ტილო

7 დამცინავი ანუ ...


8 ძაფების გროვის აწეწ-დაწეწა


12 სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში


13 ქანქარის წონასწორობის მდგომარეობიდან უდიდესი გადახრა

14 საქონლის შემოტანა-გატანის აკრძალვა


16 ქართული ხალხური საკრავი


21 უფსკრულში გადავარდნა


22 ქალის სასიმღერო ხმა



23 ფრანგული კონიაკი


27 სიმტკიცის ეტალონი


28 რუმინული ყველი


30 წვრილი ჩხირი


31 სითხის ზომა

კროსვორდი შეადგინა *რამაზ ალანიამ*

**„კვირის პალიტრა“ №44 კროსვორდის პასუხები:**
**თარაზულად:** 1. ჰიპოკრატე; 4. მწვერვალი; 9. ავიცენა; 10. როდენი; 11. ინდიგო; 15. ინსტრუმენტი; 17. გორი; 18. ბუქი; 19. ზურმუხტი; 20. ბროწეული; 24. დაფა; 25. ცხრა; 26. არახნოლოგია; 29. ლიდერი; 32. პალასი; 33. ბანკეტი; 34. იონიზაცია; 35. კინოფილმი.
**შვეულად:** 1. ჰიდროლოგი; 2. ომლეტი; 3. ტივი; 5. წონა; 6. ვარდნა; 7. იდეოლოგია; 8. უცენზურო; 12. გასათხოვარი; 13. გინეკოლოგია; 14. ტრიუმფი; 16. მუხლუხო; 21. ოდეკოლონი; 22. ზოოპარკი; 23. ლაბირინთი; 27. დრეიფი; 28. ბალონი; 30. ბაყი; 31. ეტლი.

# ეგზოტიკური ცხოველების ზოოპარკი „ჩვენი პლანეტის მონსტრები"

საორის სასახლე, ყოველდღე, 10-18 სთ.



თქვენ გელით დაუვიწყარი შეხვედრა ტროპიკების ულამაზეს და სახიფათო სამყაროსთან



01.15 „აუზი" — საფრანგეთი



ამ კრიმინალური ისტორიის გმირები [illegible] ... საფრანგეთის ერთ-ერთი პოპულარული მსახიობი გახდა. რეჟ. ჟაკ დერე. მთ. როლებში: ალენ დელონი, რომი შნაიდერი, მორის მორნე.

16.30 „სიყვარულის მონა" — რუსეთი



ფილმის მოქმედება სამოქალაქო [illegible] ... როლებში: ე. სოლოვეი, ი. ნახაპეტოვი, ა. კალიაგინი ო. ბასილაშვილი, კ. გრიგორიევა, ნ. პასტუხოვი.

14.00 „რობინ ჰუდი — ქურდების პრინცი" — აშშ



ფილმი სათავგადასავლო ჟანრისაა. [illegible] ... მოიპოვა" მთელ მსოფლიოში. რეჟ. კევინ რეინოლდსი. მთ. როლებში: კევინ კოსტნერი, მერი ელიზაბეტ მასტრანტონიო.

01.30 „მთვლემარე ღრმული" — აშშ



ნიუ-იორკის პოლიციის ინსპექტორი [illegible] ... ლეგენდის სწორედ რომ არ სჯერა... რეჟ. ტიმ ბერტონი. მთ. როლებში: ჯონი დეპი, კრისტინა რიჩი, მირანდა რიჩარდსონი.



კომპიუტერული კომპანია „PULSAR"

კომპიუტერული პრინტერების და ორგტექნიკის სათადარიგო ნაწილები

1000 & 1 წვრილმანი

კომპაქტ-დისკები ფართო ასორტიმენტით დაბალ ფასებში

კომპიუტერების და ორგტექნიკის შეკეთება.

ვაჟა ფშაველას გამზირი № 16 I სართული

☎ 33-08-71



ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## ორშაბათი, 6 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 17.00 50-50 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 19.05, 02.15 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 23.10 მოამბე 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 21.40 "XX საუკუნე" 22.40 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 23.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.05 "კომუნიკატორი" 00.45 ქართ. მხ.ფილმი "სიყვარული ქალსა შენსა"

19.00 ინფორმაცია 19.30 სკოლა 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.50 ოქროს მართვე 21.20 საქართველოს მატიანე 21.50 კინოს ისტორიები 22.00 ინფორმაცია 22.15 სუპერ-მატჩი 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 მხ.ფ. "ასტრონავტის ცოლი"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00 60 წუთი 08.55 სერიალი "ბლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი "საიდუმლო მასალები" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 17.00 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მეზობელი გოგონები" 18.00, 21.00, 22.50, 02.30 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 სერიალი "სპეცრაზმი" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.45 მხ.ფ. "გაალეთ, პოლიციაა". რეჟ. კლოდ ზიდი 02.10 კლასიკა

14.00 სერიალი "ადამიანები და მანეკენები" 15.30 მხ.ფ. "უგრიუმ-მდინარე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15, 21.30 მუსიკა 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "ღმერთები და მონსტრები".

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "აკრძალული სიყვარული" 11.45, 20.40, 22.40, 00.30 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმი 19.10 "Co.მედია" მხ.ფ. "მაიამის რაფსოდია". 20.50 "პრემიერა" ქართული მოკლ. მხ.ფ. 21.10 პროგრამა "F" მხ.ფ. "სრული დაბნელება". 25.55 "ბრავო" მხ.ფ. "მარჯვენე სიყვარული". 00.45 "ღამურა" მხ.ფ. "ზეცის ტყვეები" 02.40 ნონ-სტოპი

09.00, 15.45, 21.40, 02.20 მუსიკა 09.15, 18.15 მულტფილმი "მულანი" 09.40 სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" 10.30 მხ.ფ. "მეცხრე კარიბჭე" 12.45 ინტელექტ-კლუბი "რა, სად, როდის" 13.45 მხ.ფ. "ჩიტუნა" 16.00 დოკ. [illegible] ... ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.00 დოკ. ფილმი "მწერების იმპერია" 22.00 მხ.ფ. "დღის სინათლე" 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "ჭკუის კოლოფი უილ ჰანტინგი"

**VII არხი** 09.50 „ანკუდა" 10.10 დოკ.ფილმი „ცხოველთა სამყარო" 11.10 ნახატი ფილმი 11.35 „თიკო ვირტუალურ სამყაროში" 12.10 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 [illegible] ... 19.00 „ანკუდა" 19.30 DW-საინფორმაციო გამოშვება 20.00 „ეკრანული სახეები" [illegible] ... ფანტასტიკა. მთავარ როლში ჯეფ ფეიბი.

**1 ПБК** 09.00, 11.00, 16.00. 19.00 Новости. 09.10 Х/Ф "ПРОЕКТ "АЛЬФ" 11.10 Смак. 11.30 Смехопанорама. 12.05 Х/Ф "УЗНИК ЗАМКА ИФ". 13.25 Песня года 13.55, 16.15 Х/Ф "ЛОУРЕНС АРАВИЙСКИЙ". 18.15 Чтобы помнили. О. Борисов. 19.15 Ералаш. 19.30 Х/Ф "СКАЛА". 22.00 Время. 22.40 Х/Ф "МОСКВА НА ГУДЗОНЕ". 00.50 Х/Ф "ПРИБЫТИЕ".

**РТР** 08.30 Х/Ф "МОБИ ДИК". 11.00 Доброе утро, Россия. 11.50 Сто к одному. 12.35, 19.45 Сам себе режиссер. 13.05 Сериал "ДРУЗЬЯ-2". 13.35 Золотой ключ. 13.55 Сериал "КОМИССАР РЕКС". 15.00, 21.00 Вести. 15.20 Х/Ф "ИГРА НА МИЛЛИОНЫ". Россия, 1991. 17.10 Док. фильм. 18.10 Разговор с Америкой - Дж. Буш или А. Гор. 18.45 Моя семья. 20.15 Городок. 21.30 Задорная компания. 23.35 Х/Ф "ОСНОВНЫЕ ЦВЕТА". США, 1998.

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "АНТОША РЫБКИН". 1005 "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 11.20 "Вчера в итогах". 12.45 "Куклы". 13.30 "Итого". 13.55 Х/Ф "НОЧНОЕ ПРОИСШЕСТВИЕ". 15.35 Россия. XX век. Взгляд на власть. 17.25 Х/Ф "СОБАЧЬЕ СЕРДЦЕ". 20.35 Х/Ф "ВОСТОК-ЗАПАД". 23.45 Док. фильм. 00.50 "Тушите свет". 01.05 Х/Ф "КЛЕТКА ДЛЯ БЕЗУМЦЕВ-1". 02.55 Футбольный клуб.

## სამშაბათი, 7 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 11.05, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 12.40 ჯანმრთელობა 13.00 ნაშუადღევს 14.00 რამპა 14.05 მეალომანია 14.35 ეკო-დაიჯესტი 15.15 მხ.ფ. "სიყვარული ქალსა შენსა" 16.45 ფორტუნა 17.25 ინტერპანორამა 17.40 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.55 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 დრო და ადამიანები. რუზველტი 21.55 ჩვენი ენა ქართული 22.00 "100 გრადუსი" 22.40 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 23.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.05 "ჯეოპოპი" 00.45 მხ.ფილმი "შესანიშნავი შვიდეული"

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 19.50 ჭოგრიტი 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.50 სტუდია "რე" 21.40 ექვსიდან ოცამდე 22.00 ინფორმაცია 22.15 წარსულის ისტორია 22.35 ჰიტ-პარადი 22.55 მხ.ფ. "ანა კარენინა"

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "ბლანკოს ქვრივი" 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მეზობელი გოგონები" 18.00, 21.00, 22.50, 03.00 კურიერი 18.20 სერიალი "სპეცრაზმი" 19.10 "პერეკრიოსტოკი" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 სერიალი "შტრაუსების დინასტია". 23.40 ჩემპიონთა ლიგა "რეინჯერსი"-"მონაკო" 01.40 სიმფონიები 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 03.10 კლასიკა

14.00 სერიალი "ადამიანები და მანეკენები" 15.30 მხ.ფ. "უგრიუმ-მდინარე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15, 21.30, 23.50 მუსიკა 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "სიცილიელები".

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "ზეცის ტყვეები" 11.50, 20.35, 00.25 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ბიჭი როგორ იქნება". 20.50 პროგრამა "F" მხ.ფ. "მინისქვეშეთი". 22.35 "ბრავო". მხ.ფ. "ბრწყინვალე მომავალი". 00.40 "ღამურა" მხ.ფ. "მოკალით ზოი". 02.15 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15 მულტფილმი "მულანი" 09.40 მხ.ფ. "დღის სინათლე" 12.00 დოკ. ფილმი "მწერების იმპერია" 12.30 მხ. ფილმი "ჭკუის კოლოფი უილ [ჰანტინგი]" [illegible] ... 18.15 მულტფილმი "დონ კიხოტი" 20.00 ევროპის სტადიონებზე 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.00 დოკ. ფილმი "ხანმეტი მე-20" 22.30 მხ. ფილმი "მგზავრი 57" 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "გაქცეულები" 01.50 მუსიკა

**VII არხი** 09.50 „ანკუდა" 10.15 დოკ.ფილმი „ცხოველთა სამყარო" 10.45 [illegible] ... 19.00 „ანკუდა" 19.30 DW-საინფორმაციო გამოშვება 20.00 [illegible] ... „კაპიტან გრანტის შვილები". 01.30 ტელესერიალი „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე"

**1 ПБК** 08.45 Слово пастыря. 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Х/Ф "НЕ МОЖЕТ БЫТЬ!". 11.10 Пока все дома. 11.45 Х/Ф "УЗНИК ЗАМКА ИФ". 13.35 Играй гармонь, любимая. 14.05 Х/Ф "ЦАРЕУБИЙЦА". 16.15 Дисней-клуб. 16.40 Церемония вручения премии "Золотой граммофон". 18.45 "Ералаш". 19.10 Х/Ф "МОСКВА СЛЕЗАМ НЕ ВЕРИТ". 22.00 "Время". 22.40 Х/Ф "ЧЕРНЫЙ ПЕС". 00.25 Х/Ф "ПИРЫ ВАЛТАСАРА, ИЛИ НОЧЬ СО СТАЛИНЫМ".

**РТР** 08.30 Мультфильм. 09.40 Фестиваль "Виктория". 11.20, 18.10 Аншлаг. 12.20 Городок. 12.55 Х/Ф "ИСПЫТАНИЕ ВЕРНОСТИ". 15.00, 21.00 Вести. 15.20 Диалоги о животных. 16.15 Планета Земля. 17.15 Док. фильм. 19.15, 21.30 Х/Ф "ЛЮБИТЬ ПО-РУССКИ". Россия, 1995 г. 01.10 Любить по-русски - Евгений Матвеев и его любимые женщины. 01.50 Кинескоп.

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "В ДОБРЫЙ ЧАС". 11.15 Х/Ф "БЕЗ ВИДИМЫХ ПРИЧИН". 12.45 Фитиль. 13.30 Х/Ф "СРАВНЯТЬСЯ С ОТЦОМ". 15.35 Россия. XX век. Взгляд на власть. 17.40 Профессия-репортер. 18.05 Х/Ф "МОСКОВСКИЕ КАНИКУЛЫ". Россия, 1995 г. 20.45 Футбол. "Спартак" - "Реал". 23.45 Док. фильм. 00.50 "Тушите свет". 01.05 Х/Ф "КЛЕТКА ДЛЯ БЕЗУМЦЕВ-2". 02.55 Дневник лиги чемпионов.

## ოთხშაბათი, 8 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 "100 გრადუსი" 11.10, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.10 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 12.40 ტელეზღაპარი "ნაცარქექია" 13.00 ნაშუადღევს 14.05 მრავალსახეობა 14.25 ჩვენი მისამართია 15.10 მხ.ფ. "პლაჟი" 17.00 50-50 17.50 მუს. პაუზა 18.00 ვესტნიკი 19.05, 03.00 ვიდეოპატრული-02 19.20 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 მაესტრო 22.20 "საქმე" 22.45 "ფსიქოანალიტიკოსი" 23.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.10 მე ქალი ვარ 00.40 "კომუნიკატორი" 01.15 მხ.ფილმი "აუზი"

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 19.50 ორატორი 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.50 მოკლემეტრ. მხ.ფ. 21.00 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავები 21.30 ოპტიმისტები 22.00 ინფორმაცია 22.15 ბუდარია 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 პროფესიონალი 23.25 მხ.ფ. "წარსულის აჩრდილები"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "ბლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი "შტრაუსების დინასტია" 10.40 სერიალი "მეზობელი გოგონები" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.15 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მეზობელი გოგონები" 18.00, 21.00, 23.00, 03.00 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 სერიალი "სპეცრაზმი" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 23.40 ჩემპიონთა ლიგა: "პანათინაიკოსი"-"იუვენტუსი" 01.40 სიმფონიები 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 03.10 კლასიკა

14.00 სერიალი "ადამიანები და მანეკენები" 15.30 მხ.ფ. "უგრიუმ-მდინარე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15, 21.30, 23.50 მუსიკა 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "მარლოუ სადაა?".

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "ბრწყინვალე მომავალი". 11.50, 20.40, 00.25 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმი 19.10 "Co.მედია" მხ.ფ. "ბლეფი". 20.50 პროგრამა "F" მხ.ფილმი "მაფიოზი". 22.40 "ბრავო" მხ.ფ. "მეექვსე გრძნობა". 00.40 "ღამურა" მხ. ფილმი "ველურობა". 00.35 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "დონ კიხოტი" 09.45 მხ.ფ. "მგზავრი 57" 11.10 ევროპის სტადიონებზე 11.35 დოკ. ფილმი "ხანმეტი მე-20" 13.05 მხ. ფილმი "გაქცეულები" 14.40, 02.30 მუსიკა 14.55, 18.50 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.10 მხ.ფ. "თომას კრაუნის საქმე" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "ექვს საათზე" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.05 დოკ. ფილმი "ლუის ბუნუელი - ოქროს საუკუნე" 22.10 მხ. ფილმი "სიყვარულსა და ომში" 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "მკვლელი და [illegible]"

**VII არხი** [illegible] ... 10.45 მუსიკალური ტაიმაუტი 11.10 ნახატი ფილმი 11.35 „ავტოპილოტი" 12.20 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.00 „ანკუდა" 19.30 DW-საინფორმაციო გამოშვება 20.00 „ეკრანული სახეები": მხ.ფ. „იმოქმედე დაო" კომედია. მთავარ როლში ვუპი გოლდბერგი. 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.00 „კინოკლუბი" - მხ.ფ „ნათლია-2-ვენდეტა". მძაფრსიუჟეტიანი. როლებში: კრისტოფერ უოკენი, ბრუს დევისონი. 01.30 ტელესერიალი „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე"

**1 ПБК** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.55 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Другая жизнь. 12.20 Смехопанорама. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10 Х/Ф "ЧЕРНЫЙ ТРЕУГОЛЬНИК". 15.30 "Вместе". 16.20 Мультазбука. 16.45 Зов джунглей. 17.15 "... До 16 и старше". 19.25 "Все путешествия Кусто". 19.55 Жди меня. 20.40, 23.00 Сериал "НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ...". 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 00.10 Х/Ф "ДИКАЯ ОХОТА". 01.10 Шахматные короли.

**РТР** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 10.35 Мультфильм. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-1". 18.30 Х/Ф "ПУТЕШЕСТВИЯ ГУЛЛИВЕРА". Англия. 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.30 Подробности. 21.50 Х/Ф "ПРО БИЗНЕСМЕНА ФОМУ". Россия, 1993 г. 23.40 "Обовсем". Семен Альтов. 00.30 После "Вестей". 00.40 Сериал "ПРОФИЛЬ УБИЙЦЫ". 01.40 Мужчина и женчина. 02.35 Дежурная часть.

**НТВ** 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 Большие деньги. 07.50, 09.20, 18.35 Впрок. 08.20, 09.45 Карданный вал. 08.35 Мультфильм. 09.55 Док. фильм. 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "ОДНАЖДЫ ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ". 15.35 Россия. XX век. Взгляд на власть. 17.30 "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.45 Фуибольный клуб. 20.35 Совершенно секретно. 21.20 Х/Ф "ЗАМОРОЖЕННЫЙ". 23.35 Футбол. ПСВ - "Андерлехт". 01.50 Сегодня в полночь.

## ხუთშაბათი, 9 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ძილის წინ" 09.50 ტელემაღაზია 09.55, 0.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 თბილისი, თბილისელები 11.00 მუსიკალური პაუზა 11.05, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23 მოამბე 12.15 "ფსიქოანალიტიკოსი" 12.35 საქმე 13 ნაშუადღევს 14.00 მე ქალი ვარ 14.30 დრო და ადამიანები. რუზველტი 14.45 ენერგია 15.15 მხ "აუზი" 17.00 დიდების ზღაპარი 17.25 ოვერტაიმი .40 მესაკუთრე 17.55 რამპა 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.25 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 15 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "თბილისის დრო 22.00 კედელი 22.40 ტელესერიალი "ფსიქოანალიტიკოსი" 23.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.05 "ტელეინტერვიუ". ანტონიო ბანდერასი 00.40 მხ.ფილმი "უზადოდ"

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო არა იყო რა 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.[illegible] ავტოსპორტი 21.10 ქაკიზი 21.35 დოსიე 22.00 ინფორმაცია 22.15 შვიდეული 23.15 მხ.ფ. "თეთრი კბილის ლეგენდა" 00.45 ჰიტ-პარადი

07.00 მუსიკა. 07.30 ტექსავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი .55 სერიალი "ბლანკოს ქვრივი" 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მეზობელი გოგონები" 18.00, 23.00, 01.45 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 სერიალი "სპეცრაზმი" 0 სერიალი "სამანტა" 21.50 სერიალი "ნიკი" 00.05 მხ.ფ. "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" 01.55 კლასიკა

14.00 სერიალი "ადამიანები და მანეკენები" 15.30 მხ.ფ. "უგრიუმ-მდინარე" ; 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15, 21.30, 23.50 მუსიკა 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "სატანის სპორტი"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "მეექვსე გრძნობა". 11.45, 22.20 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "სამყარო" ფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "მარტო სახლში" 20.45 პროგრამა "F" მხ.ფ. "ვერცხლის ტყვე" 22.35 "ბრავო". მხ.ფ. "დავაჰყრობ მონა". 00. "ღამურა" მხ.ფ. [illegible] "უბრალოდ სისხლი" 02.00 ნონ-სტოპი

987 444

09.00 ინფორმაცია "დ" 09.15, 18.15 მულტფილმი "დონ კიხოტი" 09.45 სიყვარულსა და ომში" 11.55 "ევროპის სტადიონე" 12.20 დოკ. ფილმი "ლუის ბუნუელი - ოქროს ხანა" 13.30 მხ. ფილმი "მკვლელი და მკვლელი" 15.40, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქა" 16.30 მხ.ფ. "სიყვარულის მონა" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "სალამის ექვს საათზე" 20.25, ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო გრამა "ცხრის ნახევარზე" 21.00 "საუბრები სტუდ" 21.50, 02.20 [illegible] ფილმი "საკანი" [illegible] პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფ "დრაკულა"

**VII არხი** 09.50 „ანკუდა" 10.15 დოკ.ფილმი „ცხოველთა სამყარო" 10.45 მუსიკალური ტაიმაუტი 11.10 ნახატი ფილმი 11.55 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.00 „ანკუდა" 19.30 DW-საინფორმაციო გამოშვება 20.00 „ეკრანული სახეები" - „ქურდი" კომედია. მთ. როლში ვუპი გოლდბერგი. 22.05 მუსიკალური [illegible] 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.(კინოკლუბი), - მხ.ფ „[illegible]". [illegible] როლებში: ლორენს ფიშბორნი, [illegible] 01.30 ტელესერიალი „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე".

**1 ПБК** 07.00 Телеканал "Добрутро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.15 Новоі. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БЫНЯ". 11.25 Другая жизнь. 12.20 С легкиаром. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.1/Ф "ЧЕРНЫЙ ТРЕУГОЛЬНИК". 15.30 "Всте". 16.20 Мультазбука. 16.45 Програм100%. 17.15 "... До 16 и старше". 19.25 "Вспутешествия Кусто". 20.00 Человек и зако20.40, 23.00 Сериал "НА УГЛУ У ПАТРИАРИХ...". 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.Время. 00.10 Концерт в Кремле. Реи Чарлз1.30 Сериал "МАЙК ХАММЕР".

## პარასკევი, 10 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 საუბრები ლიტერატურაზე 11.10, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ფსიქოანალიტიკოსი" 12.35 ეძიე ქალი 13.00 ნაშუადღევს 14.05 ტელე-სინე-ვიდეო 14.35 რამპა 14.40 პოპინფო 15.15 მხ.ფ. "უზადოდ" 17.00 50-50 17.50 მუსიკალური პაუზა 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.25 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 "მოსკოვი-თბილისი" 22.20 არტ-ექსპრესი 22.40 ტელესერიალი "ფსიქოანალიტიკოსი" 23.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.10 O₂ 00.30 მხ.ფილმი "სამყაროს უძველესი პროფესია"

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 20.00 სამას სამოცი 20.15 მოკლემეტრ. მხ.ფ. 21.20 ანტრე 22.00 ინფორმაცია 22.15 ახალზეთის ტელევიზია 22.55 ჰიტ-პარადი 23.00 მხ.ფ. "ბანკირცხული"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "ბლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი "ნიკიტა" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მეზობელი გოგონები" 18.00, 21.00, 23.00, 02.40 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 დოკ. ფილმი "მშვიდობით მეოცე საუკუნევ" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "დგაფუნი" რეჟ. რონ ხაუარდი. როლში: ჯონ კენდი. 02.10 სერიალი "წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 02.50 კლასიკა

14.00 მხ.ფ. "რობინ ჰუდი - ქურდების პრინცი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15, 21.30, 23.50 მუსიკა 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "სულების კარნავალი". 00.20 გადაცემა "რატომ?"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "დავაჰყრობ მონა". 11.35, 21.00, 01.30 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმი 19.00 "მადიანი" 19.20 "Co.მედია" მხ.ფ. "ამბითქვება წარსულიდან". 21.15 პროგრამა "F" მხ.ფ. "ბეტმენი" 23.35 "ბრავო". მხ.ფ. "ნათესავი ბეტა". 01.40 "ღამურა" მხ.ფილმი 03.00 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "ანასტასია" 09.40 მხ.ფ. "საკანი" 11.30 "საუბრები სტუდიაში" 12.20 მხ. ფილმი "დრაკულა" 14.25, 02.40 მუსიკა 14.40, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.20 მხ.ფ. "ანგელოზების ქალაქი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "სალამის ექვს საათზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.00 დოკ. ფილმი "მერილინი - ლეგენდარული სინამდვილე" 22.00 მხ. ფილმი "ფოტოგრაფი" 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "სასახელო ბიჭები"

**VII არხი** 09.50 „ანკუდა" 10.15 დოკ.ფილმი „ცხოველთა [სამყარო]" [illegible] ... ფილმი თქვენი თხოვნით 19.00 „ანკუდა" 19.30 DW-საინფორმაციო გამოშვება 20.00 „ეკრანული სახეები": მხ.ფ. „ალისა საოცრებათა სამყაროში" ფილმ-ზღაპარი. როლებში: ვუპი გოლდბერგი, ქრისტოფერ ლოიდი, პიტერ უსტინოვი. 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.00 „თიკო ვირტუალურ სამყაროში" 23.10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. 01.15 „კინოკლუბი" - მხ.ფ. „ანგელოზები და მწერები" ეროტიკული მელოდრამა. როლებში: კრისტინ სკოტ თომასი, პეტსი კენზიტი, მარკ რაილენსი.

**1 ПБК** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.40 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Другая жизнь. 12.20 Пока все дома. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10 Х/Ф "ЧЕРНЫЙ ТРЕУГОЛЬНИК". 15.30 "Вместе". 16.20 Х/Ф "ВОЛШЕБНЫЙ ПОРТРЕТ". 17.15 "... До 16 и старше". 19.25 С легким паром. 20.00, 22.45 Концерт посвященный дню милиции. 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 01.55 Х/Ф "ПОЛИЦЕЙСКИЙ".

**РТР** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30 Тысяча и один день. 10.20, 02.20 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-1". 18.30 Х/Ф "ШПАНА". 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.30 Подробности. 21.50 С днем милиции. Концерт Аллы Пугачевой. 00.30 После "Вестей". 00.40 В пятницу вечером.

**НТВ** 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 Большие деньги. 07.50, 09.20, 18.35 Впрок. 08.20, 09.45 Карданный вал. 08.35 Мультфильм. 09.55 Док. фильм. 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "УЛИЦА ПОЛНА НЕОЖИДАННОСТЕЙ". 14.45 Фитиль. 15.30 "Герой дня без галстука". 16.00 "Старый телевизор". 17.30 Улица сезам. 17.55 Сериал "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.45 Сериал "СТРАСТЬ". 20.40 Х/Ф "РЕЙНДЖЕР ИЗ АТОМНОЙ ЗОНЫ". 22.05 Телеигра "О, счастливчик". 23.45 "Женский взгляд". 00.20 Тушите свет. 00.35 Х/Ф "АМЕРИКАНСКИЙ ЖИГОЛО". США, 1980 г.

## შაბათი, 11 ნოემბერი

10.00 დილის პაემანი 11.35, 13.15 მუს. პაუზა 11.40 ფრანგული პროგრამა "ჩემი სახლი" 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.15 ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ 13.20 მხ.ფ. "თავისუფლებისათვის შობილნი" 15.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 15.15 საქართველო, დრო, მოვლენები 15.40 საქართველო-ისრაელის მეგობრობის კონცერტი 16.25 მულტსერიალი "კვაზიმოდო" 16.50 მთელი ტელევიზია 17.10 აბდაუბდა 17.30 საქართველო და გარე სამყარო 17.50 მხიარული კარუსელი 18.10 ახალზეთი - მესამე გზა 18.30 ნაცნობი სახეები. გ. ჭირაქაძე 19.00 ვესტნიკი 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.00 ტაიმ-აუტი 20.45 აზრი 20.55 მაესტრო 22.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.45 აუდიტორია 23.25 მეალომანია. მუსიკალური ჰიტ-პარადი 00.15 ულტრა 00.30 "ილუზიონი". მხ.ფ. "ალექსანდრე დიდი"

19.00 ინფორმაცია 19.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია" 20.20 იყო და არა იყო რა. 20.50 დასაბამიდან 21.00 საფრანგეთის ტელევიზიის პროგრამა 22.00 ინფორმაცია 22.15 ახლო ხედი 23.15 ჰიტ-პარადი 23.25 მხ.ფ. "სასიყვარულო გზავნილი"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 სერიალი "კოლომბო" 13.40 სიმფონიები 14.05 სერიალი "ნაზი შხამი" 15.00 მხ.ფილმი 17.10 სერიალი "კომპიუტერული ომები" 17.45 ტექს ავერი 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი "რობინზონების ოჯახის თავგადასავალი" 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი "ნაზი შხამი" 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "ძალი ზეგავლენის ქვეშ" რეჟ. ჯონ კასავეტესი. 01.10 სერიალი "წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 01.40 ღამის ჯაზი

12.00 მხ.ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბში" 14.10, 17.15 მუსიკა 15.00 მხ.ფ. "ფუფლი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.15 მხ.ფილმი 21.00 "ვარსკვლავები". 22.00 მხ.ფილმი "ხეზე ამძვრალი" 00.20 მხ. ფილმი "ცოლქმრული ღალატის ტექნიკა"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "ნათესავი ბეტა". 11.45, 12.45, 15.15, 17.45, 21.05, 23.30, 01.15 კლიპ-მიქსი 12.00 "მადიანი" 12.20, 18.00 მულტფილმი 13.00, 15.30 მხ.ფილმი "მაჰარაჯას ქალიშვილი" 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ზაფანგი მშობლებისათვის". 21.20 პროგრამა "F" მხ.ფ. "ბეტმენის დაბრუნება". 23.45 "ბრავო" მხ.ფ. "გამაგიჟე!". 01.30 "ღამურა" მხ.ფილმი "მძინარე ველი". 03.25 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "ანასტასია" 09.40 მხ.ფ. "ფოტოგრაფი" 11.20, 21.55, 01.50 მუსიკა 11.35 დოკ. ფილმი "მერილინი - ლეგენდარული სინამდვილე" 12.30 "ლომონი და ლომონათი" 12.50 მხ.ფ. "სასახელო ბიჭები" 15.10, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.10 მხ.ფ. "საკანი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა [illegible] ... 22.00 მხ. ფილმი "გაქცეული მატარებელი" 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "მისტერიები"

**VII არხი** 17.00 ანონსი 17.15 სპორტული ინფორმაცია 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით 19.00 „ანკუდა" 19.40 მუსიკა თხოვნით. 19.55 „ბედნიერი ერი" 20.00 „ეკრანული სახეები"-მხ.ფ. „ბნელში" ცხოვრებისეული. მთავარ როლში ვუპი გოლდბერგი. 20.55 ფილმების რეკლამა 21.00 ანონსი 21.05 ტელეგაზეთი 21.15 სპორტული [illegible]

**1 ПБК** 09.00, 11.00, 16.00. 19.00 Новости. 09.15 Программа 100 %. 09.40 Х/Ф "АЛЬФ". 10.15 В мире животных. 11.10 Смак. 11.30 Смехопанорама. 12.10 Х/Ф "САМЫЙ ПОСЛЕДНИЙ ДЕНЬ". 13.55 Играй гармонь, любимая. 14.25 Живая природа. 15.05 Здоровье. 15.40 История одного шедевра. 16.10 Х/Ф "БАФФИ". 17.10 КОАПП. 17.40 Дисней-клуб. 18.10 Серебряный шар. 19.45 Ералаш. 20.00 Х/Ф "УБИЙСТВО, ТУМАН И ПРИЗРАКИ". 22.00 Время. 22.40 Х/Ф "СВЫТОША". 00.45 Х/Ф "ДЖОННИ-МНЕМОНИК".

**РТР** 08.30 Диалоги о рыбалке. 09.00 Х/Ф "КОРОЛЕВСКАЯ ОХОТА". 10.30 Мультфильм. 11.00 Доброе утро, страна. 11.50 Сто к одному. 12.35 Сам себе режиссер. 13.05 "ДРУЗЬЯ-2". 13.35 Золотой ключ. 13.55 "КОМИССАР РЕКС". 15.00, 21.00 Вести. 15.20 Х/Ф "ДЕЛО ПЕСТРЫХ". 17.00 Международная панорама. 18.00 Моя семья. 20.00 Тв бинго шоу. 21.30 Городок. 22.10 Простые вещи. 22.25 Х/Ф "САБРИНА". 00.55 Х/Ф "МАМА, НЕ ГОРЮЙ".

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Сериал "ДЕВУШКИ ИЗ ЛИДО". 10.15, 21.05 Телеигра "О, счастливчик". 11.20 Чистосердечное признание. 11.50 Женский взгляд. 12.25 "Полундра". 13.25 "Большие деньги". 13.55 Х/Ф "ВПЕРВЫЕ ЗАМУЖЕМ". 15.40 "В нашу гавань заходили корабли". 16.40 Свидетель века. 17.25 Депрессия. 17.50 Интересное кино. 18.20 Дог-шоу. 18.50 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.35 "Один день". 21.50 Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 23.45 Х/Ф "РОККИ-5". 01.40 Антропология.

## კვირა, 12 ნოემბერი

10.00 "მეტრონომი" 11.05 ფრანგული პროგრამა 11.20 მხიარული კარუსელი 11.40 ზუმი 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.35 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 13.35 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 13.50 მულტფილმი "მოგზაურობა მელონიაში" 15.00, 20.00, 00.10 მოამბე 15.15 რეგიონი 15.40 ზღვარი 16.50 მუსიკალური ოქტაგონი 17.25 მულტფილმი "კვაზიმოდო" 17.50 "ეძიე ქალი" 17.10 გლობუსი 17.40 პირველად იყო სიტყვა 18.10 კომუნიკატორი 18.40 მუნდიალი 19.05 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.25 ეკო-დაიჯესტი 20.45 ფორტუნა 21.25 კონცერტი 22.15 დიდების ზღაპარი 22.40 "საქართველო არის ესე" 23.05 სატელევიზიო კინოდარბაზი. "სადღეგრძელო" 23.45 2X2 00.25 მაესტრო 01.00 მხ. ფილმი "ერიკ ბროკოვიჩი"

19.00 იყო და არა იყო რა 19.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია" 20.20 შვიდეული 21.20 ვარსკვლავები გვამცნობენ 21.30 მხ.ფ. "გორაკზე მდებარე სახლის მოჩვენება" 23.15 ჰიტ-პარადი 23.25 მე-7 ცა

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 სერიალი "კოლომბო" 12.10 სიმფონიები 12.30 სერიალი "ნაზი შხამი" 13.15 მხ.ფილმი 17.10 მწერები 17.30 სერიალი "კოლომბო" 18.00, 02.40 კურიერი 18.15 "კოლომბო" 19.15 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი "ნაზი შხამი" 21.00 60 წუთი 22.05 სერიალი "საიდუმლო მასალები" 22.50 ჯეოსელის კინოკლუბი 02.10 კლასიკა

12.00 ინდ. მხ.ფილმი "როგორც სამი მუშკეტერი" 15.00 მხ.ფ. "ადამიანი მთვარეზე" 18.00, 21.00 მსოფლიო სპორტი 19.00 მხ.ფილმი "ვედრება" 20.30 "დღეს" 22.00 მხ.ფ. "ვატერლოო" 00.20 ჯაზ-პარნასი 00.40 მხ.ფილმი "ღამე"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "გამაგიჟე". 11.30, 14.00, 16.00, 17.45, 20.25, 01.00 კლიპ-მიქსი 12.00, 18.00 მულტფილმი 12.30 მხ.ფ. "ციხეში მინდა!". 14.20 მხ.ფ. "შეყვარებული[illegible]" 16.20 მხ.ფ. "მაფია". 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ნუ ემუქრები სამხრეთ ცენტრალს" 20.40 პროგრამა "F" მხ.ფ. "ბეტმენი სამუდამოდ". 23.00 "ბრავო" მხ.ფ. "სილამაზე ამერიკულად". 01.15 "ღამურა" მხ.ფილმი "უდაბნოს დედოფალ პრისცილას თავგადასავალი". 02.55 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "არასტასია" 09.40 მხ.ფ. "გაქცეული მატარებელი" 11.35 "ბელისიმო" 11.55 კომედია "ინდუსტრიის კლინიკა" 12.10 "ევროპის სტადიონებზე" 12.40 მხ. ფილმი "მისტერიები" 14.15, 16.50, 18.55 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" 18.00, 20.55, 21.05, 23.10, 02.40 მუსიკა 20.00 რა, სად, როდის? 21.25 მხ. ფილმი "დიდი იმედები" 23.25 დოკ. ფილმი "როცა ჩვენ მეფენი ვიყავით" 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.25 [illegible]

**VII არხი** [illegible] ინფორმაცია 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.00 „ანკუდა" 19.25 ტელეგაზეთი 19.40 მუსიკა თხოვნით. 19.55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. „ჩელსი" - „ლიდსი" 22.05 ტელეგაზეთი 22.10 ამინდის პროგნოზი 22.15 სპორტული ინფორმაცია 22.20 „ავტოპილოტი" 22.40 საფეხბურთო მიმოხილვა - „90 წუთი" 23.10 მუსიკალური ტაიმაუტი 23.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 01.10 „კინოკლუბი" - მხ.ფ „ორბაზი". ეროტიკული კომედია. როლებში: [illegible]

**1 ПБК** 08.45 Слово пастыря. 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Армейский магазин. 09.40, 17.30 Дисней-клуб. 10.05 Утренняя звезда. 11.10 "Непутевые заметки". 11.30 Пока все дома. 12.10 Х/Ф "ПОДАРОК ОДИНОКОЙ ЖЕНЩИНЕ". 13.40 Утренняя почта. 14.15 Клуб путешественников. 15.00 Эх, Семеновна! 15.40 История одного шедевра. 16.10 Х/Ф "БАФФИ". 17.00 Умницы и умники 17.55 Х/Ф "ГЛУХОМАНЬ". 19.15 Вечер Людмилы Гурченко. 21.35 Х/Ф "БЛОКПОСТ". 23.30 "Времена". Программа Владимира Познера. 00.25 Время футбола. 01.10 Х/Ф "КУКЛА".

**РТР** 08.30 Мультфильмы. 09.30 Папа, мама, я - спортивная семья. 10.15 Почта РТР. 10.45 Доброе утро, страна. 11.15 Аншлаг. 12.15 Городок. 12.45 Русское лото. 13.25 Федерация. 14.10 Парламентский час. 15.00 Вести. 15.20 Диалоги о животных. 16.00 Планета Земля. 17.00 Футбол. "Алания" - "Спартак", ЦСКА - "Локомотив". 19.00 Зеркало. 20.25 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО". 21.50 Х/Ф "НА ДЕРИБАСОВСКОЙ ХОРОШАЯ ПОГОДА, ИЛИ НА БРАЙТОН-БИЧ ОПЯТЬ ИДУТ ДОЖДИ". 23.55 Х/Ф "СЕДЬМОЕ ЗНАМЕНИЕ". США-ФРГ. 01.45 "Футбол + ТВ".

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15, 21.50 Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 10.15 Телеигра. 11.15 Х/Ф "НАЧАТЬ СНАЧАЛА". 13.30 "Служба спасения". 14.00 Сериал "ЕЕ ЗВАЛИ НИКИТА". 14.55 Профессия-репортер. 15.15 Фитиль. 15.30 Третий тайм. 16.30 "Рублевая зона". 17.25 "Большие родители". 17.55 "Путешествия натуралиста". 18.25 Без рецепта. 18.55 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.00, 23.00 Итоги. 21.35 "Куклы". 23.25 Х/Ф "НА ГРАНИЦЕ". 01.20 Сериал "ПАДШИЕ АНГЕЛЫ".





# საბურთალოს მაცხოვრებელთათვის

ქიოსკი ალიტრა ჟურნალ-გაზეთების გამოწერა სახლიდან გაუსვლელად

საფოსტო ყუთი დამონტაჟებით, უფასოდ!

ტელ: 33-26-73





## შ.პ.ს. „ფავორიტი"

გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში

წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების — რედაქტირება, დაკაბადონება, ბეჭდვას და აწყობას ნებისმიერ ენაზე

მუყაოს ყუთების დამზადებას, ნებისმიერი კონფიგურაციის მყარ ზედაპირზე ტრაფარეტული და ტამპონურ ბეჭდვას; ასევე საკანცელარიო საქონლის ფართო ასორტიმენტს

ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი 20

ტელ.: 70 84 14; 899 58 96 91, 899 51 60 89



## თეატრალური აფიშა



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

9 ნოემბერი — ნ. დუმბაძე — საბრალდებო დასკვნა

10 ნოემბერი — თ. ჭილაძე — ნაზის დღე

11 ნოემბერი — უ. შექსპირი — მაკბეტი

12 ნოემბერი — ილია ჭავჭავაძე — „კაცია-ადამიანი?!"

დასაწყისი 17სთ

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

9 ნოემბერი — ა. გარნიე — სასიყვარულო ბარათები

10 ნოემბერი — ა. სტრინდბერგი — მამა

11 ნოემბერი — რ. კლდიაშვილი — სამოთხე

12 ნოემბერი (დილით) — მედეა კუჭუხიძე — ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...

სპექტაკლების დასაწყისი დილით 12სთ, საღამოს 18სთ

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი

6 ნოემბერი — მანანა სანტაძე — დედა-დედოფალი

7 ნოემბერი — გიორგი გეგეჭკორის სპექტაკლი — მონატრება

9 ნოემბერი — მარი ჯანაშიას სპექტაკლი — კარმენი

დასაწყისი 18სთ

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური სახელმწიფო თეატრი

10 ნოემბერი — ბაბაჯანას ქორწილი — დასაწყისი 12, 15სთ

11 ნოემბერი — მერძევე გაგო — დასაწყისი 17სთ

სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

1 ნოემბერი — აკა მორჩილაძე — ფილიაშვილის ქუჩის ქალები

12 ნოემბერი — ჰაროლდ პინტერი — ლალატი

დასაწყისი 18სთ

## ბინები

სასწრაფოდ! დიღუბეში 1 ოთახიანი 7(8) ბინა, რკინის კარით, „ატმორით", ტელეფონით, მიშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 6.600$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ბინა №68. ტელ: 35-34-36; 34-56-65

სასწრაფოდ! 2-ოთახიანი მშენებარე ბინის კარკასი გადახურულ-აშენებულ სახლში, ხილიანის ქუჩის დასაწყისში, IV სართულზე, 2 ხვედი წერტილით, დიდი ჰოლით. ს/ფ 68 კვმ. ოთახები – (25+20)კვმ, სამზარეულო – 12 კვმ. ხედი იფურება მთაწმინდისკენ. ბინა ბარდება 2001 წლის ივნისში. ს/ფ 13.000$. ტელ: 33-50-69. ზაზა; 899 10-66-31; 899 54-18-74

4-ოთახიანი 3(9), ჩეხური პროექტის, ხარემონტო ბინა ტელეფონით, ორი აივნით, ავტოფარეხით (ორი მანქანისათვის), ნაწილი გათვალისწინებულია საჯინურედ (10 კვმ). ავტოფარეხის გაგრძელებაზე არის 50 კვმ-ზე მეტი მიწის ფართობი, სხვადასხვა ჩეხილით. მის: დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, მე-5 კორპ. ბინა №6. ტელ: 60-67-74. გულიკო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## მილოცვა

**ძვირფასო ქალბატონო ქეთევან!**

საყვარელო დეიდა ქეთო! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს თქვენი სითბო და სიკეთე.

*გეხვევით – პალიტრელები*

**გიგიკო ვაშაკიძეს**

გიგიკო, ჩვენო პირველო შვილიშვილო, სიცოცხლევ და სამყაროვ! გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა გაგაძლიეროს, გაგამრავლოს, კარგად გიმყოფოს ყველა ახლობელი. ბედნიერად და ლაღად გეცხოვროს. გკოცნით, გეხვევით.

*შენი საყვარელი ბებიები მანანა და ნათელი*

ი. ჭავჭავაძის სახელობის, ყვარლის №1 საშ. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს ამავე სკოლის დირექტორს **ნუნუ ჩახნაშვილს** დაბადების დღეს – 7 ნოემბერს, უსურვებს ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას.

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ხელფასით, საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული – 400 მარკა თვეში და 4 კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 4-13-86 (ქუთაისში)

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ელექტრული ნემსით და ანესთეზიით, მარაჯის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: თოხებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ელექტრული ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, აზმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ავიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

სწრაფად ავიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

„ცხრაკლიტული"! შეამოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოსადგომის უსაფრთხოება. საკეტის შეკეთება, ახლის დამატება ან კარზე ტყავის გადაკვრა ხომ არ გსურთ? ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

COMPUTER COMPANY PULSAR – „კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კატრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 მაღ „პულსარი"

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამზარეულოზე შალითების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20; 95-38-61. ნოდარი, ვალერი

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება). კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამზარეულოზე შალითების გადაკვრა-დარბილებას, სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

იურიდიული ფირმა გთავაზობთ საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო სამართალში, ფირმების და კავშირების რეგისტრაციას იაფად; კონსულტაციებს, კონტრაქტების მომზადებას და ა.შ. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-7 სართ. ოთახი №707. ტელ: 37-69-73; 68-31-97; 899 50-24-11

ყურადღება! მშობლებო! დაეხმარეთ შვილებს ზრდაში: 5-10 სმ – სიმაღლეში მომატება; გახდომა ფრანგულად, ეფექტურად, შიმშილობის გარეშე (5-12 კგ), ერთ თვეში. ტელ: 52-65-18. თამარი; 61-75-81. მზია

საბჭოური და საზღვარგარეთული მაცივრების შეკეთება გარანტიით. ტელ: 69-25-91; 899 55-53-84. მერაბი

სილამაზის სალონი „სტილი" – თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დეპილატორით (თმა მცირდება და ქრება); ეპილაცია ინდივიდუალური პროფრამის ნემსით, ანესთეზიით; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5 ლარი; შეღებვა – 10-15 ლარი. ქიმიური დახვევა-გასწორება – 10-15 ლარი. ასევე წარმოებს კოსმეტიკის და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, სტილისტი ლალი. ტ: 96-22-89; 94-01-82

სილამაზის სალონი „სტილი" გთავაზობთ შეღავათიან ფასებში კოსმეტიკურ მომსახურებას: ძველი, ჩირური მეჭეჭის, კლეპატრასა და ნევუსების რეცეპტურით სახის გაწმენდა ოპერაციის გარეშე; ნაოჭების გასწორება; ჩირქოვანი გამონაყრის გაქრობა. აგრეთვე წარმოებს კოსმეტიკისა და მაკიაჟის კურსები. მის: აღმაშენებლის გამზ. №115 (შაბათ-კვირის გარდა, წინასწარი ჩაწერით). ტელ: 94-01-82 (სამ.); 96-22-89 (ბინა). რუსუდან გოგია

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის №23 (მეტროსთან). VI სად. (ეზოდან), ბინა 1. ტელ: 35-20-06. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს 18-20 სთ, შაბათს 12-16 სთ.

მეჭეჭებისა და სხვა წარმონაქმნების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 [illegible] ტელ: 95-65-54

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის. აბრეშუმის ქ. №166. IX კორპ. IV სად. ბინა №46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი ძაღვალა ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან ამზადებს მალამოებს, საყენებს და სხნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პოლიართრიტს, თავის ტკივილებს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში, სრული გარანტიით. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება ყოველდღე, 13-16 სთ. ტელ: 34-05-69; 34-62-51

ბავშვებში ენურეზის (უნებლიე შარდვა), ეპილეფსიის, ენაბლუობის, ალერგიის, დიათეზის, ცერებრალური დამბლის მკურნალობა, სიმაღლეში მომატება, 5-10 სმ-ით – მხოლოდ უნიკალური ბალახებით, სპეციალურად ბავშვებისათვის. ტელ: 95-33-47

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული ეფექტით!!! მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, ღისკის ამოვარდნა (დისკოზი), სახსრების დაავადებანი (ანთება, მარილები). ექიმის კონსულტაციები უფასოა. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"), ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11. ტელ: 61-02-97; 69-91-92

სიმაღლეში ჩამორჩენა ბავშვების ხშირი პრობლემაა. დაგეხმარებით ჰორმონების გარეშე (ვარჯიშით და მასაჟით), უახლესი მეთოდით. ასევე ვმკურნალობთ ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიებს, ქალურ დაავადებებს (კისტები, პოლიკისტოზები, ფიბრომა). ტელ: 52-53-36; 899 56-05-98. ხათუნა; 93-61-72; 899 57-13-71. ეკა

სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შევასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). გაიცემა სერტიფიკატი. ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგი (ფსიქოლოგი), ბინაზე მისვლით, შეღავათიან ფასად მოამზადებს მოსწავლეებს ყველა საგანში – IV კლასის ჩათვლით, ხოლო მე-11 კლასის ჩათვლით ყველა ჰუმანიტარულ საგანში. ტელ: 38-13-21; 37-34-51

სტუდენტებსა და მოსწავლეებს ვასწავლი სასაუბრო რუსულ ენას მოკლე დროში. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ტელ: 62-88-64; 62-82-30

ვასწავლი რუსულ ენას. თითოეულ მსურველთან ვმუშაობ ცალკე, ინდივიდუალური პროგრამით, თქვენი სურვილებისა და მონაცემების შესაბამისად. აგრეთვე ვთარგმნი ნებისმიერი შინაარსისა და სირთულის ტექსტებს. ვმუშაობ ბინაზე, მუხიანის II მ/რ-ში. ტელ: 93-65-82; 63-69-82 (საღამოს); 62-92-33; 94-32-50 (დილით). მარინა

ვარ ფილოლოგი (ასპირანტი). მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. აგრეთვე შევასწავლი უცხოელებსაც სასაუბრო ქართულ ენას. 39-43-55; 39-54-45. თეა

ვამზადებ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ: 32-16-04. ელისო

მსურველებს ვიწვევთ გიტარის შემსწავლელ კურსებზე. პოპულარული ქართული, რუსული, ინგლისური სიმღერების და კლასიკის შესასწავლად. შეისწავლება ტექნიკური შესავლები, აკომპანირება, ორიგინალური საშემსრულებლო ტექნიკა. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო ფირმების გიტარები. ტელ: 96-22-33

## იყიდება

ან იცვლება!!! ავტომანქანა „კამაზი" (ფურა) საუკეთესო მდგომარეობაში, კომერციულ ფართზე, ქალაქის ცენტრში, თანხის დამატებით. ფასი 7.800$. ტელ: 76-07-13 (საღამოს)

სასწრაფოდ! ტავერნა-ბარი „გეა", მუშა მდგომარეობაში. ს/ფ – 105 კვმ. მის: კეტევანის ქ. №4. ტელ: 99-71-58

1. ძველებური, ყავისფერი ვიტრინა, თავისივე პატარა რვაკუთხედი ვიტრინა-ბარით. ფასი 900$; 2. „რაკუშკების" ფარდა. ფასი 100 ლარი. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

ნებისმიერი სახის ობლიგაციებს: ავტომობილისა და ტრაქტორის, აგრეთვე საოჯახო ნივთების (ვიდეომაგნიტოფონი, ვიდეოკამერა, მაცივარი, საკერავი მანქანა და სხვა) უმაღლეს ფასად. ტელ: 95-87-06. დალი

## სხვადასხვა

საქველმოქმედო ორგანიზაცია „უშვილობის პრობლემიან ოჯახთა კავშირი" გთავაზობთ: ყველა საჭირო ინფორმაციას, თანადგომას, თქვენს ინტერესებზე ზრუნვას. აგრეთვე იწვევს პოტენციურ „სუროგატ დედებს" (ქალი, რომლის საშვილოსნოშიც გადააქვთ სხვა ქალისა და მამაკაცის ნაყოფი). მის: 23-ე ბავშვთა პოლიკლინიკა, ოთახი №30 (მეტრო „ახმეტელთან")

ვაკეში მდებარე კერძო საბავშვო ბაღი სპ. მკურნეობის ნატურალური პროდუქტებით და სხვა საუკეთესო პირობებით, 15 ნოემბრისათვის აკომპლექტებს ჯგუფს, 10 ბავშვის ოდენობით. აღსაზრდელებს სურვილის მიხედვით, შეასწავლიან: ქართულს, რუსულს, ინგლისურს, არითმეტიკას, მუსიკას. ტელ: 29-29-03

ვიწვევთ კერძო საბავშვო ბაღში და განხანგრძლივებულ ჯგუფში სკოლის მოსწავლეებს 3-დან 12 წლამდე, კვებით, სწავლებით ყველა საგანში (ენები, ხატვა და ა.შ.), ექიმის მომსახურებით, 9 საათიდან 21 საათამდე. მის: ბორჯომის ქ. №9. ტელ: 34-15-61; 38-88-89

## ხსოვნა



**ლამარა კალანდაძის ხსოვნას**

ლამარა კალანდაძე აღარ არის! და რას ნიშნავს ეს, მისი ყოფილი მოსწავლეებისთვის, კოლეგებისთვის? – გაუსაძლის მწუხარებას, დიდ ტკივილს.

წავიდა ჩვენგან საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ქალბატონი ლამარა კალანდაძე და დაგვიტოვა მონატრების მწვავე სურვილი. ის იყო ყველასაგან გამორჩეული – ჰუმანიზმით, კეთილშობილებით, ტაქტით, უაღრესად განონასწორებული, ბავშვების საყვარელი მასწავლებელი, შეუვალი ობიექტურობითა და დედაშვილური დამოკიდებულებით.

ამ ქვეყნიდან წასული ადამიანი აქ ტოვებს იმას, რამაც იყო აზრი მისი არსებობისა. ლამარა კალანდაძის მთელი ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდის წინაშე დანთებული სანთელი იყო, რომელსაც დროის მსახვრალი ხელი ვერავერს დააკლებს.

გემშვიდობებით, ქალბატონი ლამარა. ღმერთმა იქ დაამკვიდროს თქვენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

*თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი*



**რამაზ არევაძის ხსოვნას**

ჩემო მოურჩენელო ტკივილო და გაუხელებელო სევდავ! უკვე 6 თვეა, რაც ასე მოულოდნელად გადასახლდი ზეციურ სამყაროში, არადა, რამდენი ოცნება დაგრჩა განუხორციელებელი.

მთლად დაცარიელდა ჩემთვის ეს ქვეყანა. უშენოდ თენდება, უშენოდ ღამდება, მაგრამ ერთგული ფიქრი კვლავაც არ მაშორებს შენთან და სულ მგონია, ისევ შენს ხარაგაულში ხარ წასული და ისევ შემოაღებ კარს ან სახლის აივნიდან გადმომძახებ: ზოვა, ჩამოვიდე?

შენი ღიმილი სულ თვალწინ მიდგას და სწორედ ეს მეხმარება განაცრისფერებული დღეების გადატანაში.

ახლა ჩემთვის ყველაზე შვების მომგვრელი ლამაზი წარსულია, შენთან ერთად გატარებული ყოველი საათი და წუთი. ჩემო რამაზ, წახვედი და „მოგონებად დამრჩა წარსული.".

*შენი ზოვა*



**გია არწივიძის გახსენება**

ორი წელი გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ. დატოვე ერთი წლის ზურიკელა, რომელიც დღეს მამას [illegible]

გვაკლიხარ შენი იუმორით, სიცილით, თანადგომით.

ღმერთმა განათლოს შენი უკვდავი სული.

*ნაზი, დათო ლობჟანიძეები*

**ბიძინა გიორგაძის ხსოვნას**



ჩემო ბიძინა, ჩემო ოქროს კაცო, რა ძნელია უშენოდ ცხოვრება. უკვე მეოთხე თვეა, ჩვენთან აღარა ხარ. შენს დაბადების დღეს, 12 ნოემბერს უშენოდ უნდა შევხვდეთ, გულდამწვარი შენი ცოლ-შვილი და ახლობლები. 74 წლის ხდებოდი, მაგრამ მუდამ ახალგაზრდული შემართებით იყავი. ამიტომ ყველასთვის ძალიან მტკივნეულია შენი სიკვდილი.

ჩემო ბრძენო, ოჯახის ბურჯო, შენს შვილებსა და შვილიშვილებს ძალიან სჭირდებოდათ შენი თანადგომა. დღე არ გავა, შვილიშვილებმა არ გაგიხსენონ. პატარა სანდრო რამდენჯერაც შემოვა, ოთახებს შემოივლის და გკითხულობს: ბაბუა სად არის? შორს წავიდა? როდის მოვა?

ბიძინა, ძალიან გვაკლიხარ, მაგრამ რა ვქნათ, ღმერთსაც კარგი ჰყვარებია.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო გულმართალო ადამიანო.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*


უფასო განცხადებების გაზეთი

36 გვერდზე

სიტყვა და საქმე

33-10-03 33-10-05



ყოველ ნომერში: 5000-მდე განცხადება,

დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი

# ჩაერთე და მოიგე...

## 16.X-30.XII.2000

## 18+30=48

SIM ბარათი | ავანსი | ჩართვა

•

**საყოფაცხოვრებო ტექნიკა**
SIEMENS

•

**დასვენება საზღვარგარეთ**

•

# ავტომანქანა

## 250-877

წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გახდეთ ჯეოსელის აბონენტი და 21 ოქტომბრიდან ყოველ შაბათს 21.00. საათზე სტუდია „მაესტროს" ბლოკში, პირდაპირ ეთერში დაელოდოთ იღბალს.

ამ დროს თქვენი ტელეფონი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს! პირველ გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვ ნენ ჯეოსელის ქსელში 16-დან 20 ოქტომბრის ჩათვლით. 28 ოქტომბრის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჯეოსელის ქსელში 21- დან 27 ოქტომბრის ჩათვლით და ა.შ.

- წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილეობას არ ღებულობენ ჯეოსელის თანამშრომლები, დილერები და მათი ოჯახის წევრები;

ჯეოსელი GSM

# „კარგი ნერვები მაქვს“

*იმგვარი აღიარება, როგორიც* **ჰარისონ ფორდმა** *მოიპოვა, მხოლოდ ერთეულების ხვედრია. ჰოლივუდის ვარსკვლავი თავისი ახალი ფილმის „სიმართლის ჩრდილებისა“ და ინტერნეტში მის შესახებ გავრცელებული ჭორების შესახებ გვესაუბრება.*

— **მისტერ ფორდ, ინტერვიუში პირველ შეკითხვად რას ელით ხოლმე?**

— პირველი შეკითხვა სხვადასხვა ხასიათისაა, მაგრამ ბოლო შეკითხვა ყოველთვის ასეთია: „რას აპირებს ინდიანა ჯონს IV“? ალბათ პასუხი თქვენც გაინტერესებთ და ამიტომაც გეტყვით: გვყავს სცენარის ავტორი, გვაქვს პატარა იდეა და თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, გაისად საინტერესო ფილმში მიხილავთ.

— **რომელ ორ შეკითხვას გისვამენ ხოლმე „სიმართლის ჩრდილებთან“ დაკავშირებით?**

— პირველი შეკითხვა ასეთია: „ყოველთვის გმირებს თამაშობდით, ახლა არამზადას რატომ ასახიერებთ?“ მეორე კითხვა კი არის: „გჯერათ ზებუნებრივისა?“ და მე ვპასუხობ ხოლმე: 1. მაყურებელი ჩემგან ნორმალურ საქციელს ელის. რაღა დაგიმალოთ და, მომწონს მისი გაოცება. თანაც შეგახსენებთ, რომ ყოველთვის კარგ ბიჭებს და, მით უმეტეს, გმირებს არ ვასახიერებდი: ხან ადვოკატი ვიყავი, ხან ექიმი ან ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრილი შტატების პრეზიდენტი... ხოლო რაც შეეხება მეორე კითხვას, მჯერა, რომ არსებობს ქვეცნობიერი. ფილმში „სიმართლის ჩრდილები“ სწორედ ქვეცნობიერის საშუალებით ვცდილობ ჩემს ცოლს, რომელსაც მიშელ პფაიფერი თამაშობს, მეხსიერება, წარსულის მოგონებები დავუბრუნო.

— **დიდებული ფილმია, პროფესიონალური. თქვენც ბრწყინვალედ თამაშობთ. პროფესიონალს რომ გიწოდებენ, ქათინაურად მიიჩნევთ? და რა არის პროფესიონალიზმი?**

— რაღა თქმა უნდა, მსიამოვნებს, პროფესიონალად რომ მაღიარებენ. პროფესიონალიზმი კი არის პასუხისმგებლობა, კონცენტრაცია, სიტუაციაში ადვილად გარკვევა, თავის დაჭერის ხელოვნება.

— **არაპროფესიონალიზმი გაღიზიანებთ?**

— ხდება ხოლმე, მაგრამ ვცდილობ, თავი შევიკავო. თუმცა, ძალიან მაწუხებს ვინმეს არაპროფესიონალურობა: მოუმზადებლობა, არაპუნქტუალურობა, შექმნილ სიტუაციაში შეუსაბამო საქციელი. ისე კი, არაპროფესიონალები დიდი ეგოისტები არიან: ყველაფერზე კამათობენ, სხვების აზრებს აბიაბრუებენ, მხოლოდ თავიანთი სულელური შეხედულებების ჭეშმარიტებისა სწამთ.



— **დღეს რა უნდა ჩაგეცვათ, ამაზე იფიქრეთ?**

— დიახ, და ამაზე, ალბათ, თქვენც დაფიქრდით, არა? მაგრამ თქვენს შეკითხვაში ფარული სურვილიც გამოსჭვივის — გინდათ გაიგოთ, მინდოდა თუ არა გარკვეული შთაბეჭდილების მოხდენა, არა? მაშინ გეტყვით, რომ სამოსი ადამიანის დამცავი საშუალებაა. ამიტომაც, დიახ, ვფიქრობ ხოლმე, რომელ სიტუაციაში როგორი და რა ფერის სამოსი ჩავიცვა, რომ შესაბამისად გამოვიყურებოდე; მით უმეტეს, როცა იცი, რომ აუცილებლად ფოტოს გადაგიღებენ.

— **ხელებს და განსაკუთრებით სხეულის მოვლას დიდ დროს უთმობთ?**

— ქირურგის როლს რომ ვთამაშობდი, ხელებს მართლაც ვუვლიდი, ვალდებული ვიყავი. საერთოდ კი — არა. ხოლო როცა ეკრანზე ისეთი ადამიანის განსახიერება გიწევს, რომლის ცხოვრებაშიც სხეული განსაკუთრებულ როლს თამაშობს, რაღა თქმა უნდა, მაშინ ცდილობ, კარგად გამოიყურებოდე.

— **სვამთ?**

— მხოლოდ შესაბამის სიტუაციაში ერთ-ორ ჭიქას.

— **ჰოტელის ნომერში ოთახის შერჩევისას?**

— ოთახის მოცულობას და მორთულობას ყურადღებას არ ვაქცევ, ოღონდ აუცილებლად უნდა მქონდეს ყურთბალიში და ოთახის ფანჯარა იღებოდეს. მიყვარს სუფთა ჰაერი.

— **არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სახელით მოგმართავენ?**

— ცხადია. ჩემი სკოლისა თუ უნივერსიტეტის ყველა მეგობარი და ოჯახის წევრები.

— **ხანგრძლივი გადაღებების შემდეგ შინ რომ ბრუნდებით, პირველ რიგში რას აკეთებთ?**

— იმას, რასაც ყველა ნორმალური ადამიანი: ჩემი მისვლის მომენტში თუ ოჯახის წევრები სადილობენ, მეც სუფრას მივუჯდები, თუ სძინავთ, მეც ვწვები, თუ ბავშვები სკოლაში მიდიან, მიმყავს მანქანით.

— **გაქვთ რაიმე განსაკუთრებული ჩვევა?**

— კონსერვატორი და წესრიგის მოყვარული გახლავართ. მაგალითად, ჩემი არყოფნის დროს ჩემს ოთახში თუ ვინმე ნივთებს გადააადგილებს, ისევ თავის ადგილს მივუჩენ ხოლმე. მტვრის გამწმენდისას შანდალს ან საფერფლეს თუნდაც ორი-სამი სანტიმეტრით რომ გასწევენ, მაშინვე ვამჩნევ და თავის ადგილს მივუჩენ.

— **ძალიან შეხმატკბილებული ოჯახი გაქვთ. ასეთივე ჩანს თქვენი ქორწინება ფილმშიც „სიმართლის ჩრდილები“, ვიდრე საბოლოოდ გაირკვეოდეს, რომ თქვენი გმირი, ნორმან სპენსერი, თავის ქორწინებას მხოლოდ სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო უფრთხილდება. რაიმე მსგავსი თქვენს ოჯახურ ცხოვრებაშიც ხომ არ ხდება?**

— დამშვიდდით, არა. და საერთოდ, მაგ თეორიას არ ვიზიარებ.

— **მაგრამ იგი არსებობს. „სიმართლის ჩრდილების“ შესახებ დაწერილ ერთ-ერთ რეცენზიაში წერია: „ქალები ძალიან ცდებიან, როცა გათხოვებისას ინდივიდუალურობას თმობენ. ამით ქმრებისთვის ნაკლებმიმზიდველნი ხდებიან. და თუ გაიგებენ, ქმრები სხვებს უთვალთვალებენ, გიჟდებიან, სიმართლე საბედისწერო გამოდგება ხოლმე.**

— ამაზე ადამიანმა ცინიკურად უნდა იცინოს. მაინც საიდან მოგაქვთ ეგ აზრები?

— **ინტერნეტიდან.**

— გასაგებია. ინტერნეტის დონეც ეგ არის. ძალიან საშიში რამეა ეგ ინტერნეტი. ყველა ინფორმაციას ანონიმურად ავრცელებს.

— **ეს ხომ მხოლოდ აზრია. გინდ გაიზიარეთ, გინდ არა, თქვენი ნებაა.**

— ვიცი, მაგრამ ინტერნეტი მარტო აზრებს კი არა, ჭორებსაც ავრცელებს. ჯულია ორმონდი და მე „საბრინაში“ პარტნიორები ვიყავით. ინტერნეტმა ჭორი გაავრცელა, ვითომ მე და ჯულია კონექტიკუტში ერთად ვცხოვრობდით, გოლფს ვთამაშობდით, რისი თამაშიც საერთოდ არ ვიცი და საღამოობით სავახშმოდ რესტორანში მივდიოდით ,ან რაღაც გემრიელს შინ ვიმზადებდით. ჟურნალებისაგან განსხვავებით, რომელსაც მსგავსი სისულელისთვის შეიძლება უჩივლო, ვერასოდეს გაიგებ, ინტერნეტში საიდან მოხვდა ეს ინფორმაცია.

— **ეს ასე ძალიან გაღელვებთ?**

— მე კი არ მაღელვებს, ინტერნეტის დონეზე ლაპარაკობს.

— **თქვენ არაფერი გაღელვებთ?**

— დროთა განმავლობაში ნერვების დაოკების ხელოვნებას დავეუფლე. პოპულარობასთან ერთად ცხოვრებაც ვისწავლე. თავიდან კი ძალიან მიჭირდა.

— **გიჭირდათ? თქვენს ბედს ხომ მილიონობით ადამიანი შენატრის. მსოფლიოს უპოპულარულესი მსახიობი ხართ.**

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასეთ სახელს მოვიხვეჭდი და ასე გავმდიდრდებოდი. ჩემი პროფესია მიყვარს და კარიერისთვის წარმატება და პოპულარობა აუცილებელი იყო, მაგრამ ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, როცა იგი მძიმე ტვირთად იქცევა ხოლმე. საერთოდ, არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა.

— **და ეს ცხოვრებას გიშხამავთ?**

— რატომ ასე მკაცრად? პოპულარობა ცხოვრებას ვერ მომიშხამავს. ჩემი სამუშაოთი ვამაყობ და დიდებას დადებითი მხარეც აქვს: ადამიანების სიყვარულს ვგრძნობ, კბილის ექიმი არ მალოდინებს, რესტორანში მაშინვე მთავაზობენ მაგიდას, მაგრამ არის მომენტები, როცა მაწუხებს. საერთოდ, ძალიან მიყვარს ქუჩებში მარტო ხეტიალი და ფიქრი. ამას ახლა მხოლოდ მსოფლიოს ერთ-ორ უკაცრიელ ადგილას თუ გავაკეთებ და ეს მდგომარეობა არასოდეს გამოსწორდება, ვიდრე ცოცხალი ვარ.

P.S. *გაქექილმა ამერიკელმა პროდიუსერებმა განიზრახეს წყალქვეშა ნავი „კურსკის“ ტრაგედია ფილმად გადაიღონ. ვიდრე მთელი მსოფლიო წყალქვეშა ნავის დაღუპვას დასტიროდა, მათ მონახეს ადამიანი, რომელიც სცენარს დაწერს ახალი ფილმისათვის. ფილმს უდავოდ დიდი წარმატება ელის, ვინაიდან ერთ-ერთ მთავარ როლს ჰარისონ ფორდი ითამაშებს. ფორდის გმირი ოფიცერი ცდილობს რადიაციის გაჟონვის შეჩერებას.*

*მსახიობს 20 მლნ დოლარს გადაუხდიან.*

***შტერნი №40***

# ბრიჯიდ ფონდა:
## „მომმართეთ მხოლოდ სახელით“



ბრიჯიდ ფონდას — ამერიკული კინემატოგრაფის ერთ-ერთი ცნობილი დინასტიის — ფონდების ოჯახის შვილს თავისი გვარი ხელსაც კი უშლიდა, გამხდარიყო მსახიობი. ბრიჯიდის ბაბუა გახლავთ ლეგენდარული ჰენრი ფონდა, მამა — ცნობილი მსახიობი პიტერ ფონდა, მამიდა — ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯეინ ფონდა. როცა პიტერმა შეიტყო ქალიშვილის განზრახვა, უთხრა, — ამ გვარით მსახიობად გახდომა არც ისე იოლი იქნებაო. მაგრამ ბრიჯიდს არ შეშინებია სიძნელეების. ბავშვობიდან ეთაყვანებოდა ბაბუას, რომელიც ყოველთვის ათამამებდა უსაშველოდ მორცხვ გოგონას.

მიუხედავად დიდი სურვილისა, ბრიჯიდს იმის გაფიქრებაზეც კი ფერი მისდიოდა, რომ სცენაზე უნდა გამოსულიყო. ბრძენი ჰენრი ნელ-ნელა შეუდგა შვილიშვილის სცენისთვის მომზადებას. დიდი მსახიობი შესანიშნავად ხატავდა და გოგონასაც ასწავლა ფერებთან ურთიერთობა. ძალიან მალე ბრიჯიდმა დეკორაციების გაფორმება დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო, გაქრობოდა სცენის შიში. მალე პატარა როლის თამაშიც შეძლო. ადრეული ბავშვობა ბრიჯიდის მეხსიერებაში დარჩა, როგორც ნათელი, ფერადოვანი დრო. ბაბუა და შვილიშვილი დიდ დროს ატარებდნენ ორანჟერეაში, უვლიდნენ ყვავილებს... მამა ბრიჯიდის წარმოდგენაში იყო თავისუფლების განსახიერება. ვინ არ მიდიოდა მათ ოჯახში! გოგონას ანებივრებდნენ მამის მეგობრები — ნიკოლსონი და ჰოპერი. ისინი მისთვის იყვნენ არა ამომავალი ვარსკვლავები, არამედ უბრალოდ ჯეკი და დენისი.

სამწუხაროდ, ეს იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა. პიტერს უფრო და უფრო იზიდავდა ჰიპური ცხოვრება — სმა, ნარკოტიკები და ორგიები. ოჯახში ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა. „უდარდელი მხედრის“ (რომელშიც ბრწყინვალედ ითამაშეს ჰენრიმ, ნიკოლსონმა და ჰოპერმა) გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ ცოლ-ქმარი გაიყარა. ბრიჯიდი, ძმასა და დედასთან ერთად, ცალკე დასახლდა. იგი არასოდეს საყვედურობდა მამას — ყურადღებას არ გვაკლებდა მე და ჩემს ძმას. არდადეგებზე ერთად ვმოგზაურობდით მისი ნავით. თუმცა, ჩვენგან მაინც შორს იყო, მას ხომ თავისი ცხოვრება ჰქონდა, — იხსენებს ბრიჯიდი.

ბრიჯიდმა სწავლა განაგრძო ერთ-ერთ პრესტიჟულ და ცნობილ დრამატული ხელოვნების სკოლაში — სტრასბურგის თეატრალურ ინსტიტუტში. აქ გოგონას განუცხადეს — თუ არ ივარგებ, შენი გვარისა და წარმომავლობის გამო არავინ დაგიწყებს ფერებასო.

მართლაც, სხვებზე უფრო მკაცრად ეპყრობოდნენ და სწორედ ეს დაეხმარა დამწყებ მსახიობს. ცდილობდა, ყოფილიყო არა კიდევ ერთი ფონდა, არამედ მსახიობი, სახელად ბრიჯიდი! იქნებ სწორედ ამიტომაც, მისი სამსახიობო დებიუტი ჰოლივუდიდან შორს, ბრიტანეთში შედგა. ითამაშა ეპიზოდური როლი ცნობილი ინგლისელი რეჟისორის, ფრენკ რიდეს კინონოველაში. ბრიჯიდი თითქმის შიშველი თამაშობდა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და პრესამ ამომავალი პორნოვარსკვლავი უწოდა. თვითონ მსახიობი კი სულ სხვაგვარად ფიქრობდა, — თუ სცენას გამომსახველობას შემატებს, წინააღმდეგი არა ვარ, კადრში გავშიშვლდეო. ეს ნათქვამი ნათლად წარმოაჩენს ბრიჯიდის დამოკიდებულებას არჩეული პროფესიისადმი.

1989 წელს ინგლისელი რეჟისორის, მაიკლ კეტონ-ჯონსის ფილმში „აურზაური“ ნათამაშებმა როლმა კრიტიკოსები აიძულა, ბრიჯიდი სერიოზულ მსახიობად ეღიარებინათ.

ინგლისშივე ეწვია პირველი სიყვარულიც. მისი რჩეული გახდა რეჟისორი ლიდ რაისდელი, რომელმაც გადაიღო ფილმში „ტყავის ქურთუკები“. ამ ნათელმა, მაგრამ ძალზე ხანმოკლე რომანმა დაცილების შემდეგ ისეთი ტკივილი დაუტოვა ბრიჯიდს, რომ დღემდე თავს არიდებს ამაზე საუბარს... შემდეგ გაიცნო წითური ერიკ შტოლცი. ერიკთან ერთად ითამაშა ფილმში „სხეული დასვენების და მოძრაობის დროს“. ამ კინოსურათმა ორივეს წარმატება მოუტანა. შემდეგ ფილმში მისი პარტნიორები იყვნენ: ალ პაჩინო, ნიქოლ კიდმანი, რობერტ დე ნირო... კრიტიკა ქებას არ იშურებდა... მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? 1998 წელს ბრიჯიდი ერიკს დაშორდა. დაშორების მიზეზებზე არ ლაპარაკობს — ჩემი პირადი ცხოვრება მხოლოდ ჩემი საქმეაო.

ბრიჯიდი წარმატებით თამაშობს ფილმებში. შარშან პარტნიორობას უწევდა ბილ პულმანს საშინელებათა ფილმში „ლეიქ-ფლესიდი — შიშის ტბა“. ამჟამად მონაწილეობს ამერიკაში პოპულარული მომღერლისა და მსახიობის დუაიტ იოკამას სარეჟისორო დებიუტში „სამოთხიდან სამხრეთში, დასავლეთიდან — ჯოჯოხეთში“. დუაიტი ყოველთვის ეთაყვანებოდა ბრიჯიდის ნიჭს და როცა ერთმანეთს შეხვდნენ, აღფრთოვანებულმა განაცხადა: „ის არა მარტო ბრწყინვალე მსახიობი, არამედ შესანიშნავი ადამიანია; ძლიერი, მიზანსწრაფული, საოცრად ქალური, ნაზი და მიმზიდველი და, რა თქმა უნდა, ძალიან ჭკვიანი“.

გადაიზრდება თუ არა მათი მეგობრობა სიყვარულში, არავინ იცის.

— ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით. დუაიტი ძალიან კარგია; თუმცა ძნელია თქმა, რა იქნება შემდეგ. მართალია, ჯერ წინ მივდივარ, მაგრამ მიღწეულზე გაჩერება არ შეიძლება — მე ხომ ფონდა ვარ! ამიტომ მეტი უნდა ვიმუშაო, რათა დავამტკიცო, რომ მართლაც ღირსი ვარ ამ გვარის ტარებისა, — ამბობს ბრიჯიდი.

***ტვ-პარკი №41***

## აი, ვინ ვარ...

◆ *„ტიტანიკის“ შემდეგ მილიონობით მაყურებელს სურდა ჩემი და დი კაპრიოს გმირების ბედის უკუღმართობით ჩაძირული სიყვარული რეალურ ცხოვრებაში მაინც შემდგარიყო.*

◆ *მე რეჟისორის თანაშემწე ჯონ ტრიპტონი ავირჩიე და უკვე გოგონაც შეგვეძინა.*

◆ *ლეონარდო კი სადაცაა ბრაზილიელ სუპერმოდელს უიზელ ბუნდჩენს შეირთავს.*



***„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ შეკითხვას — „აბა, ახლა ვინ ვარ?“ სწორი პასუხი (მსახიობი ქეით უინსლეტი) გასცა თამარ ჩიჩუამ და 13 წლის თიკა ბუზაძემ, თბილისი***




ორიოდე კვირის წინ ემზარ ჩაჩხიანს უზენაესმა სასამართლომ 3 თვით წინასწარი პატიმრობა „მიუსაჯა". შეგახსენებთ, მისი გვარი ერთ-ერთი პირველი იყო იმ სიაში, რომელიც კონტროლის პალატამ პროკურატურას გადასცა. კონტროლის პალატის მასალებში, სხვა დარღვევებთან ერთად, მისი ერთ-ერთი „შედარებით უწყინარი ცოდვა" ამოტივტივდა — ჩაჩხიანის ფირმას ჟინვალჰესი თვეში 20 დოლარად ჰქონდა ნაქირავები.

ყველაფერი 1994 წლის პირველი მაისიდან დაიწყო, როდესაც, ერთი მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტ „საქენერგოსა" (მისი

# ვის გინდათ ჟინვალჰესი... 20 დოლარად?!



თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა მეტრეველი) და მეორე მხრივ შპს „ჟინერს" (გენ. დირექტორი ემზარ ჩაჩხიანი) შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ჟინერს" გადაეცა ჟინვალჰესი. სანაცვლოდ კი თვეში 18 მლნ კუპონი უნდა გადაეხადა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინდელი კურსით 1 დოლარი 950 ათას კუპონს უდრიდა (ეროვნული ბანკის მონაცემებით, 1 დოლარს დაახლოებით ერთი მილიონი კუპონი შეესაბამებოდა). გამოდის, რომ ამხელა ენერგეტიკული და წყალმომარაგების ობიექტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიზერულ თანხად — თვეში სულ რაღაც 20 დოლარად მიაქირავეს. გარდა ამისა, ხელშეკრულების თანახმად, შპს „ჟინერი" ანუ მოიჯარე, სრულიად თავისუფალი იყო თავის საქმიანობაში. ასე რომ, ჩაჩხიანის ფირმამ სახელმწიფოსაგან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ჩალის ფასად, სტრატეგიული ობიექტის განკარგვის უფლება მოიპოვა.

მოგვიანებით ჟინვალჰესი საქენერგოგენერაციიდან წყალკანალის ბალანსზე გადავიდა, რადგან იგი არა მარტო ენერგეტიკული, არამედ წყალმომარაგების დანიშნულების ობიექტიცაა. თბილისის წყლით მომარაგების 80% ამ წყალსატევზე მოდის, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებას ჰესის დატვირთვის მხოლოდ 7% ხმარდება. „ჟინერთან" დადებულ ხელშეკრულებას ვადა 1999 წლის პირველ მაისს გაუვიდა, მაგრამ ამავე ხელშეკრულების თანახმად, ვადის ამოწურვის შემდეგ მოიჯარეს ხელშეკრულების განახლების უპირატესი უფლება ეძლეოდა. ამ დროისათვის, რატომღაც, ჟინვალის არენდით მფლობელი აღმოჩნდა „ჟინვალის განვითარების ჯგუფი" (კონსორციუმი), რომლის დამფუძნებლებიც არიან თავად „ჟინერი" და მის გარდა, არაბეთსა და კვიპროსში — ოფშორულ ზონაში — დაარსებული სამი ფირმა. თავად ერთობლივი საწარმო „ჟინვალის განვითარების ჯგუფი" კი ირლანდიაშია რეგისტრირებული (ამ ბოლო დროს საქართველოში ძალიან მომრავლდა ირლანდიური წარმოშობის საწარმოები, „მადნეულის" ირგვლივ ატეხილ სკანდალში ფიგურირებს ქართველი გლეხების მიერ, რატომღაც, ირლანდიაში დაარსებული ფირმაც. ეს უბრალოდ, ინფორმაციისათვის, ირლანდიაზე გაგვახსენდა, თორემ ამ კონკრეტულ ფაქტთან „მადნეულს" არავითარი კავშირი არ აქვს).

ხელშეკრულების პირობებით ისარგებლა „ჟინვალის განვითარების ჯგუფმა", ჟინვალჰესი მომდევნო 5 წლით დაისაკუთრა და ქართულ მხარესთან მეტად კაბალური ხელშეკრულების გაფორმებას აპირებდა.

ალბათ, ყველაფერი უცხოური ფირმის სასარგებლოდ დამთავრდებოდა, რომ არა მსოფლიო ბანკი. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯუდი ო. კონორმა საქართველოს პრეზიდენტს წერილი გამოუგზავნა და შეახსენა საქართველოს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც პრივატიზება საჯარო წესით უნდა განხორციელდეს (საქართველოს მთავრობას მსოფლიო ბანკთან წლების წინ აქვს ნაკისრი ვალდებულება, რომ ყველა ობიექტის პრივატიზება კონკურსის წესით განხორციელდება. ხოლო „ჟინვალის განვითარების ჯგუფს", იმავე საქართველოს მთავრობის უნიათობით, ყოველგვარი ტენდერის გარეშე ავტომატურად გადაეცა ჟინვალჰესი).

მსოფლიო ბანკის წერილს პრეზიდენტმა უპასუხა ბრძანებულებით, რომელიც თბილისის მერიას ავალებდა, მოლაპარაკება გაემართა საქართველოს სახელით პრივატიზაციის პროცესში მონაწილე სხვა ინვესტორებთან.

პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო „ჟინვალის განვითარების ჯგუფმა" საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ინვესტიციების დავათა ცენტრში. ისინი ქართული მხარისაგან 28 მლნ აშშ დოლარს ითხოვენ. კონსორციუმის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ 3 მლნ მისვლა-მოსვლაში, ჟინვალის სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავებასა და იურიდიულ კონსულტაციებში დახარჯეს, დანარჩენი 25 მილიონი კი ის სავარაუდო მოგება იყო, რომელსაც ისინი ან მიიღებდნენ ჟინვალჰესიდან, ან არა.

საგულისხმოა ისიც, რომ ჟინვალჰესის სარეაბილიტაციოდ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება აპირებდა ხელშეკრულება გაეფორმებინა ისეთ ფირმასთან, რომელსაც სათანადო არც თანხები და არც გამოცდილება არ გააჩნდა. „ჟინვალის განვითარების ჯგუფი" ცდილობდა სახელმწიფო გარანტიით აეღო 60 მლნ-იანი კრედიტი. სპეციალისტების აზრით, ჰესის რეაბილიტაციას მხოლოდ 20 მლნ დოლარი ესაჭიროებოდა. ხოლო დანარჩენი 40 მლნ ვის ჯიბეშიც წავიდოდა, ძნელი მისახვედრი არ არის.

გარდა ამისა, უცხოელი ინვესტორის მიერ შემოთავაზებული პირობების კაბალურობაზე მეტყველებს ისიც, რომ კონტრაქტის დადებიდან 30 დღის შემდეგ ენერგეტიკის საბითუმო ბაზარი იძულებული ხდებოდა, მთლიანად შეეძინა ჟინვალჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია. თუმცა, საინტერესოა, რატომ უნდა ჩაგვეყენებინა ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში კონსორციუმი, როცა მსგავსი უფლებები გაცილებით უფრო ცნობილ ენერგეტიკულ ფირმა „ეი-ი-ეს თელას"-საც არა აქვს.

აქვეა გასათვალისწინებელი მეორე ფაქტორიც: „წყალკანალიც" ვალდებული ხდებოდა ელექტროენერგია ჟინვალჰესისაგან შეესყიდა და თუ მომხმარებელი პროდუქციის საფასურს დროულად არ გადაიხდიდა, ეს ორგანიზაციაც კონსორციუმის საკუთრებაში გადადიოდა.

დაგვეთანხმებით, რომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ შექმნილ ხელშეკრულებათა შორის, რომლებიც სამწუხაროდ, როგორც დღეს ირკვევა, ჩვენს მთავრობას მრავლად აქვს გაფორმებული უცხოელ თუ ქართველ ინვესტორებთან, ეს ერთ-ერთი „საუკეთესოა".

ამჟამად თბილისის მერია აპირებს მოიწვიოს საერთაშორისო აუდიტები, აღრიცხოს „ჟინვალის განვითარების ჯგუფის" მიერ გაწეული ხარჯები და ჟინვალის გაყიდვისას ტენდერის პირობებში ამ თანხის გასტუმრებაც ჩადოს. ალბათ, ეს იდეალური ვარიანტია.

ხოლო, თუკი სასამართლოში სასიარულოდ გახდა საქმე (რომ აღარაფერი ვთქვათ სოლიდურ გადასახადზე), სავარაუდოდ ეს პროცესი 1-2 წლით გაიჭიმება. არადა, ჟინვალჰესი გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებს. წყალსაცავი და გვირაბი იმდენად დაზიანებულია, რომ შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს წყალმა ჯებირი გადმოლახოს და არა მარტო იქაურ მოსახლეობას, თბილისსაც დაემუქროს წალეკვით.

*ნათია გოგსაძე*



## კითხვა-პასუხი

***სხვადასხვა სახეობისა და შეფერილობის თაფლს შორის რომელი გამოირჩევა უმაღლესი სამკურნალო თვისებით და როგორ განვასხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან?***

*მკითხველი*

თაფლის ხარისხს, გემოს, ფერსა და სუნს მის სამკურნალო ეფექტთან ერთად განსაზღვრავს ის მცენარე, რომლითაც იკვებება ფუტკარი. მეფუტკრეობაში ყველაზე მაღალი ხარისხით გამოირჩევა აკაციის თაფლი. მისი გამოცნობა კი შეიძლება გამჭვირვალე ფერითა და ნაზი არომატით. იგი გვიან შაქრდება. აკაციის თაფლს იყენებენ თირკმლების, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებისას. ასევე მაღალხარისხოვანია ცაცხვის თაფლი სპეციფიკური მკვეთრი არომატითა და გამჭვირვალე ფერით. მისი ამოცნობა ადვილია, რადგან შაქრდება წვრილ კრისტალებად. იგი სასარგებლოა ანგინის, ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმის, კუჭ-ნაწლავის, თირკმლების, დამწვრობის, ჩირქოვანი ჭრილობების სამკურნალოდ.

*სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო*

***როგორც შევიტყვეთ, სამოქალაქო აქტების ორგანოებში არ ატარებენ რეგისტრაციაში მცირეწლოვან დასაქორწინებელ წყვილებს, რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?***

*ნინო გ.*

საქართველოში საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი, თუმცა 16 წლის ასაკიდანაც დაიშვება დაქორწინება, ოღონდ ამისთვის აუცილებელია მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობა. ხოლო, თუ მშობლები უარს იტყვიან შვილების ქორწინებაზე, დაქორწინების ნებართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ.

*მოქალაქეთა აქტების რეგისტრაციის ორგანო*

***ბავშვი მეშვიდე თვეშია, მაგრამ კბილები ჯერაც არ ამოსვლია. მაინტერესებს, ძალიან ხომ არ არის დაგვიანებული და რაიმე დაავადებას ხომ არ გვაუწყებს?***

*მზია შანიძე, თბილისი*

სარძევე კბილების ამოჭრა ბავშვს 6 თვის ასაკიდან ეწყება, თუმცა, შესაძლოა, 8-10 თვის ასაკშიც არ ჰქონდეს პატარას კბილი და ეს სახიფათო არ არის, რადგან კბილების ამოსვლა ინდივიდუალურია და იგი სხვადასხვა ხანგრძლივობით მიმდინარეობს. სასურველია მიმართოთ პედიატრს, რომელიც დაადგენს კბილების დაგვიანებით ამოსვლის მიზეზს.

*სტომატოლოგიური პოლიკლინიკა*

***საკუთარი ბინის პატრონმა ბებიამ ჩამწერა ბინაში, სადაც ჩაწერილია მამაც. ბებია გარდაიცვალა 1992 წელს. მამამ ბინა მემკვიდრეობით გადაიფორმა 2000 წელს და ჩემი თანხმობის გარეშე გაყიდა. ჰქონდა თუ არა ამის უფლება?***

*მაკა ჯავაშვილი*

ბინა რაკი კერძოა და პირველი რიგის მემკვიდრე (მამა) მისი მფლობელია, მას აქვს სრული უფლება, არავის დაეკითხოს ბინის გაჩუქება-განკარგვაზე. შვილიშვილი ამ შემთხვევაში პირველი რიგის მემკვიდრედ ვერ ჩაითვლება, რადგან პირდაპირი მემკვიდრე — მამა ცოცხალია.

*ადვოკატთა კოლეგი*

***სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეებისათვის როდიდან არის გათვალისწინებული შეღავათის გაწევა გაზით მომარაგების დროს?***

*სამამულო ომის ვეტერანი*

სამამულო ომის მონაწილეებისთვის მიმდინარე წლის ბოლო ორი თვის (ნოემბერ-დეკემბერი) ჩათვლით გათვალისწინებულია გაზის მოხმარებისას შეღავათი 40 კუბმეტრის ოდენობით თვეში. ხოლო სამამულო ომის ვეტერანებსა და ინვალიდებს ამავე თვეებში გაეწევათ 100%-იანი შეღავათი გაზით მომარაგებაში. ეს შეღავათი ვრცელდება თბილისის მოსახლეობაზე.

*თბილგაზის ადმინისტრაცია*

***რუსი მეუღლე გარდამეცვალა. აქვს თუ არა შვილს უფლება, გახდეს რუსეთის მოქალაქე, თუკი ამჟამად დედის ქართულ გვარს ატარებს?***

*ელენა ჭრელაშვილი, თელავი*

რუსეთის მოქალაქეობის მსურველმა არჩევანი უნდა გააკეთოს, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეობა სურს, რადგან საქართველოში ორმაგი მოქალაქეობა არ არის გათვალისწინებული და რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავს.

*ნოტარიუსი*

***ეკუთვნის თუ არა სამამულო ომის მონაწილისა და ინვალიდის (რომელიც 1939 წელს წავიდა ომში და 1946 წელს ჩამოვიდა), ქვრივს გარდაცვლილი მეუღლის პენსია?***

*ჩიტაური*

სამამულო ომის მონაწილისა და ინვალიდის ქვრივს გარდაცვლილი მეუღლის პენსია დაენიშნება, მაგრამ რაოდენობრივად მისი ოდენობა იგივე იქნება, რასაც ქვრივი შრომის ინვალიდობით ან მოხუცებულობით ღებულობს.

*ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

## ჩვენ გვწერენ!

***გთხოვთ გვაცნობოთ, ავტომანქანების ახალი ტექდათვალიერება როდიდან შედის ძალაში?***

*ფ. ჯანიაშვილი, თბილისი*

2000 წლის 11 ოქტომბერს ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ტექდათვალიერების შეცვლილი ტარიფების შესახებ, რომლის მიხედვითაც შემცირდა ეკოლოგიის, დიაგნოსტიკის, სამოქალაქო დაზღვევის, ფირნიშის გადასახადები. საგზაო ფონდის შემცირებული ტარიფი კი ძალაში შევა მომავალი წლის 1 იანვრიდან და იგი მსუბუქი ავტომანქანებისთვის 5 ლარით განისაზღვრება.

ამჟამად მოქმედი სადაზღვევო თანხა მსუბუქ ავტომობილებზე განისაზღვრება ძრავის კუბური მოცულობის მიხედვით: 1200-მდე კუბური სანტიმეტრის მქონე მანქანებისთვის შესატანი თანხა 11 ლარი და 30 თეთრია, 1201-1800-მდე — 15 ლარი, 1801-2200 — 18,75 ლარი; 2201-2500 — 22,5 ლარი; 2500-ზე მეტისთვის — 26,25 ლარი.

სამგზავრო ავტობუსებისთვის სადაზღვევო თანხა იანგარიშება დასაჯდომ ადგილთა რაოდენობის მიხედვით. 25-მდე ადგილისთვის თანხა 26,25 ლარია, 25-ზე ზევით — 33,75 ლარი, ტრამვაი, ტროლეიბუსისთვის — 26,25 ლარი.

სატვირთო ავტომანქანებზე კი სადაზღვევო თანხა იანგარიშება ტვირთამწეობის მიხედვით: 2 ტონამდე ტვირთამწეობისთვის თანხა განისაზღვრება 33,75 ლარით, 2 ტონაზე მეტისთვის — 45 ლარი, მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანისთვის — 41,25 ლარი, დამატებით მისაბმელზე — 7,5 ლარი, მოტოციკლზე — 7,5 ლარი, სხვა ავტომობილებზე — 45 ლარი.

ეკოლოგიური უსაფრთხოების ტარიფი ყველა მარკისა და მოდელის ავტომანქანებისთვის 5 ლარია, დიაგნოსტიკური შემოწმების გადასახადი კი დამოკიდებულია ავტომანქანების კლასიფიკაციასა და კატეგორიაზე და გამოიანგარიშება შემდეგნაირად: მსუბუქი ავტომანქანებისათვის — 7 ლარი, 25 ადგილიანი ა/მანქანებისათვის — 10 ლარი, 25-ზე მეტი ადგილის მქონეთათვის — 13 ლარი, სატვირთო ა/მანქანებისათვის 2 ტონამდე — 10 ლარი, 2 ტონაზე მეტი ტვირთამწეობისათვის — 13 ლარი.

ფირნიშის თანხა კი ნაცვლად ადრინდელი 4,7 ლარისა, გახდა 1 ლარი.

*თამაზ ლვინაძე, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრის უფროსი, პოლიციის მაიორი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 4 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9650 |
| გერმანული მარკა | 0,8636 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 2.8384 |
| ევრო | 1,6891 |
| რუსული რუბლი | 0,0706 |
| თურქული ლირა (10.000) | 0,0290 |

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.
გარანტია — 10 წელი
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის" შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 63-05-26; 99-86-09; 38-37-89; 877-43-85-69



შტამპების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი არასამთავრობო ორგანიზაციები
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. [illegible] მეთოდით, რომელსაც [illegible] ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით




ტელეფონი: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი A1; A2; A3

# რუსეთ-ევროკავშირის სამიტი



პარიზში გაიმართა რუსეთ-ევროკავშირის სამიტი. გაზეთ „ფიგაროს“ აზრით, ევროკავშირთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად რუსეთს დღეს საფრანგეთი ესაჭიროება. პუტინი მოერია საკუთარ თავს (არ სურდა ფრანგ ლიდერებთან შეხვედრა) და გაემგზავრა სამიტზე. უნდა აღინიშნოს, რომ წავიდა ელცინისა და შირაკის ხვევნა-კოცნის დრო. პუტინის სტილი სხვაგვარია (ფრანგების მიერ ჩეჩნეთის ომის კრიტიკულმა შეფასებამ საფრანგეთსა და რუსეთს შორის სიტუაცია დაძაბა). პარიზელმა ფსიქოლოგებმა შირაკისა და პუტინის „ხასიათების შეუთავსებლობის“ ჰიპოთეზაც კი წამოაყენეს. დასავლელი პოლიტიკოსები ხუმრობდნენ, ცივ ურთიერთობას გაზი გაათბობსო, მაგრამ ელისეს სასახლე დიდ პოლიტიკურ „ძვრებს“ არ ელოდება. რუსი დიპლომატების აზრით, მთავარი ის კი არ არის, რაც ერთმანეთთან გვაშორებს, არამედ ის, რაც გვაერთიანებს.

რაც მთავარია, რუსეთის ხელშია სერიოზული ეკონომიკური კოზირი. მოსკოვს თავისებური „საჩუქარი“ მიართვეს — მაღალი ფასები ნავთობზე (ევროპელებისათვისაც კი წარმოუდგენლად მაღალი), რამაც ბიძგი მისცა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის გაფართოებას. სამიტზე შეთანხმდნენ ენერგეტიკის საკითხზე გრძელვადიანი თანამშრომლობის თაობაზე. ლაპარაკია ევროპაში არა მარტო ნავთობისა და გაზის, არამედ ელექტროენერგიის მიწოდებაზე. ბოლო დროს შორეული აღმოსავლეთის მოვლენებმა ევროპელებს მიავიწყა რუსეთის პოლიტიკის პრობლემები ჩრდილოეთ კავკასიაში (ერთი წლის წინ რუსეთ-ევროკავშირის სამიტზე, ჰელსინკში, დიდი დრო დაეთმო პუტინის თავის მართლებას ჩეჩნეთის გამო). პარიზში კი გადაწყვიტეს, რომ საერთოდ არ განეხილათ ეს პრობლემა, მაგრამ მაინც არ გამოვიდა ამ საკითხის გვერდის ავლა და დაადგინეს, რომ „აუცილებელია მოიძებნოს პოლიტიკური გადაწყვეტილება სუვერენიტეტისა და რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თაობაზე“. უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის საზოგადოებამ ჩეჩნეთში რუსული პოლიტიკის მიმართ თავისი უკმაყოფილება დემონსტრაციით გამოხატა. ხალხის დასაშოშმინებლად სერგეი იასტრჟემბსკის გამოწვევაც გახდა საჭირო. ამ საკითხზე ბჭობა პუტინმა დაასრულა ფრაზით: „ჩვენ რა, თავდაცვის უფლება არა გვქავს?“

სამიტზე რუსეთმა წარმოადგინა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გეგმები; ევროკავშირმა — უშიშროებისა და თავდაცვის საერთოევროპული პოლიტიკის ფორმირებისა და ნატოს გაფართოების შესახებ ილაპარაკა. ევროკავშირმა მოსკოვს თავისი ეკონომიკური პრეტენზიები წაუყენა: ევროპას აღელვებს რუსეთის საბანკო და სადაზღვევო მომსახურების ბაზრის მდგომარეობა, მესაკუთრის ინტერესების დაცვა სახელმწიფო დონეზე.

ძალზე თავდაჭერილმა პუტინმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „დღეს პრეზიდენტი შირაკი ევროპას მიიჩნევს ატლანტიკიდან ურალამდე და იმის იქითაც. მიმაჩნია, რომ ეს სწორი მიდგომაა, რატომ არ უნდა დაინახოს ევროპამ ის, რაც ურალს იქით არსებობს? და თუ საფრანგეთის თანამშრომლობა რუსეთთან პოზიტიურად წარიმართება, რატომაც არა?! ეს ყველაფერი ისტორიული პერსპექტივაა“. მიუხედავად იმისა, რომ პუტინს მაინცდამაინც არ უყვარს პრესასთან მუსაიფი, პარიზში იგი უხვად აძლევდა ინტერვიუს წამყვან ტელეარხებს, რითაც ფრანგების გული მოიგო. ის ამბობდა, რომ უყვარს ფრანგული ღვინო, სიმღერები და ფრანგული კინო. რაც შეეხება პროტოკოლს, აეროპორტში პუტინს სოფლის მეურნეობის მინისტრი დახვდა (საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის წევრები რიგრიგობით ხვდებიან ძვირფას სტუმრებს). დახვედრის ცერემონიის „დაბალი დონე“ კომპენსირებულ იქნა პუტინის რეზიდენციაში ჟაკ შირაკის დაუგეგმავი ვიზიტით. საფრანგეთის პრეზიდენტს პროტოკოლი ამგვარად თვით ბილ კლინტონის გულისთვისაც არ დაურღვევია. სანამ „ერთმანეთით მოხიბლული“ პრეზიდენტები საუბრობდნენ, ლუდმილა პუტინა პარიზს ეცნობოდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე პრეზიდენტის მეუღლის ბერნადეტ შირაკის საქველმოქმედო ფონდმა „ახალი ხიდი“, რომელიც სასწავლებლად იწვევს სტუდენტებს რუსეთიდან. რუსეთის პირველმა ლედიმ მოინახულა პარიზის „სავიზიტო ბარათი“ ეიფელის კოშკი. სამწუხაროდ, უამინდობის გამო ვერსალის პარკები და ბაღები დაკეტილი დახვდა. თვით ბრწყინვალე სასახლემ კი, რასაკვირველია, ენით აუწერელი შთაბეჭდილება დატოვა.

ელისეს სასახლეში საფრანგეთის პრეზიდენტმა დიდ დარბაზში 300 კაციანი სუფრა გაშალა. სხვათა შორის, პუტინთან შეხვედრას იმედოვნებდა ქართველი მოქანდაკე ზურაბ წერეთელი, მაგრამ ამ ბედნიერთა რიცხვში, როგორც ჩანს, ვერ მოხვდა.

რუსეთის პრეზიდენტი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო მეფის რუსეთის ვალებმა. ეს მოვლენა კურიოზულ ეპიზოდად იქცა: საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა მეფის რუსეთის ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ურჩია რუსეთისთვის ინდივიდუალური წესით მოეთხოვათ პასუხი. მოკლედ, ურჩია რუსეთის წინააღმდეგ საქმე სასამართლოში შეეტანათ.

***რუსული პრესის მიხედვით.***

# სიტუაცია კვლავ გაურკვეველია

პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ბარაქის ბრძანებით, ისრაელის შვეულმფრენებმა საჰაერო დარტყმა მიაყენეს პალესტინის სამხედრო ორგანიზაციების შტაბბინას. ისრაელელებმა პალესტინის ხელისუფლება წინასწარ გააფრთხილეს საჰაერო აქციის მოწყობის შესახებ და ამიტომაც ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. დემონსტრაციული თავდასხმა პრემიერის მიმართ კიდევ ერთი საყვედურის საბაბი გახდა. ისრაელის ხუთმა შვეულმფრენმა დაანგრია ორგანიზაციების „ფათახისა“ და „ტანზიმის“ შტაბბინები, აგრეთვე პალესტინის გვარდიის ელიტარული ქვედანაყოფის — „რაზმი-17“-ის ყაზარმები. საქმე ის არის, რომ ბარაქის „თავდასხმამ“ არაფერი შეჰმატა მის ავტორიტეტს. მეორე დილით ისრაელის მასმედიამ დასცინა პრემიერ მინისტრის „თავდასხმებს“. ებრაელები ელოდნენ არა „სათამაშო“ იერიშს, არამედ ისრაელის კომანდოსების „საფირმო“ რეიდებს ავტონომიის ტერიტორიაზე. უფრო ეფექტური იქნებოდა პალესტინელებისთვის ფინანსური წყარო გადაეკეტათ — ამბობენ კომენტატორები.

ბარაქი მხოლოდ ამ ფაქტისთვის როდი გააკრიტიკეს. ახლახან არდადეგების შემდეგ გაიმართა ქნესეთის პირველი სხდომა, რომელშიც ბარაქი 120-დან მხოლოდ 30 ხმას აკონტროლებს. მის მიმართ პრეტენზიები გამოთქვა ოპოზიციის ლიდერმა არიელ შარონმა. ბარაქს საყვედურობდნენ პალესტინელების მიმართ დათმობებისა და სისუსტის გამოჩენის გამო, რაც კარგად გამოიყენა არაფატმა და ამჟამინდელ კრიზისამდე მიგვიყვანაო. ქნესეთის სხდომის დღეს ბარაქმა ულტრარელიგიურ პარტიასთან „შასთან“ დადო ხელშეკრულება, რომელმაც აღუთქვა, რომ მხარს არ დაუჭერდა მთავრობის უნდობლობის ვოტუმს. ამის სანაცვლოდ პრემიერი სექტემბერში აღიარებული „ანტიკლერიკალური რევოლუციის“ გაუქმებას დაჰპირდა, რის გამოც რუსულენოვანი ისრაელელების (ელექტორატის 20%) მხარდაჭერა დაკარგა. „ანტიკლერიკალური რევოლუციაც“ სწორედ იმ რუსებზე იყო გათვლილი, რომლებიც წინააღმდეგნი არიან მკაცრი რელიგიური კანონებისა. მეთვალყურეები ირწმუნებიან, რომ ბარაქი და შარონი შეთანხმდნენ, რადგან არც ერთ მათგანს ხელს არ აძლევს არჩევნები. საზოგადოებრიობის გამოკითხვის შედეგად ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ იმარჯვებს. ასე რომ, ერთადერთი გამოსავალი ბარაქისა და შარონისათვის კოალიციური მთავრობაა. რის მეშვეობითაც ჩამოიშორებენ კონკურენტს. თუნდაც დროებით უნდა შეიქმნას საგანგებო მდგომარეობა, რის შემდეგაც ბარაქი გამოაცხადებს თავისი გადადგომის შესახებ. ეს „პატარა პოლიტიკური ხრიკია“. გადაყენებულ იქნება მხოლოდ პრემიერ-მინისტრი და არა ქნესეთის დეპუტატი, რომელსაც არჩევნების დროს თავისი კანდიდატურის წამოყენება შეუძლია პრემიერ-მინისტრის პოსტზე. ბარაქისა და შარონის მოლაპარაკება თუ მოხერხდა, ეს იქნება ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებების დასასრული. პალესტინელები არასოდეს შეურიგდებიან იმ ხელისუფლებას, სადაც შარონი ფიგურირებს. არაფატი აუცილებლად გამოაცხადებს თავისი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. მოვლენის ასეთი განვითარება კი მომაკვდინებელია ბარაქისთვის.

***კომერსანტი №205***

# დემოკრატია, არჩევნები, ფული...



არავინ იცის საიდან მოდიან საზოგადო მოღვაწეები. პოლიტოლოგები და ჟურნალისტები წინასაარჩევნო პერიოდში დაწვრილებით სწავლობენ მომავალი გუბერნატორის და პრეზიდენტის ცხოვრებას. ვერც იმაზე უპასუხებს ვინმე, რატომ ხარჯავენ მილიონობით დოლარს თანამდებობისთვის, რომელმაც შეიძლება თვეში მხოლოდ 2-3 ათასი მოუტანოს. მაგალითად, წელს აშშ-ში, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, საარაკო თანხა დაიხარჯა. სტატისტიკის თანახმად აშშ-ში 513.200 საარჩევნო თანამდებობაა — სენატორიდან შერიფამდე და ყველა დონის არჩევნებზე მთლიანად 14 მლრდ დოლარზე მეტი დაიხარჯა. თუმცა პოლიტკონსულტანტები ჩვეულებრივ ფიქსირებულ ხელფასს იღებენ, მაგრამ პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში მისი მინიმუმი ორმაგდება, ასე რომ, ჯორჯ ბუში-უმცროსის და ალბერტ გორის მთავარი კონსულტანტები პრემიის სახით რამდენიმე მილიონ დოლარს მიიღებენ. გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკური კონსულტანტების რიცხვი ძალზე გაიზარდა. ერთი რამ ფაქტია, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა აქვს არჩევნებთან, ახლა ფულში ცურავს. მაგალითად, აშშ-ში ფედერალური დონის არჩევნებში, ანუ კონგრესში მოსახვედრად 3 მლნ დოლარზე მეტი უნდა გადაიხადოს. ამა წლის ზაფხულში კონგრესმენის კანდიდატების ოფიციალურ ფონდში 653 მლნ დოლარი იდო. ვიცე-პრეზიდენტმა გორმა და გუბერნატორმა ბუშმა თავ-თავისი საარჩევნო კამპანიისათვის თითოეულმა 67,56 მლნ დოლარი შეაგროვა. ეს სრული თანხა არ არის. შარშან გაზაფხულზე საპრეზიდენტო არჩევნების შუალედში, სოციოლოგიურ გამოკითხვებზე, რეკლამებსა და ამომრჩევლებთან ურთიერთობებზე 446,6 მლნ დოლარი დაიხარჯა. „საარჩევნო კამპანიები ძალიან ჰგავს შეიარაღებულ სრბოლას, — ამბობს ცნობილი პოლიტკონსულტანტი პიტერ ფენი, — როგორც კი ერთი მეტოქე დაიქირავებს კიდევ ერთ სოციოლოგს, კონკურენტი მაშინვე ორს აიყვანს. ამიტომ წინასწარ ვერავინ იტყვის, რამდენი მილიარდი დაიხარჯება მომავალში“.

***ნოვიე იზვესტია №197***

# დორენკო 5 ათას რუბლს გადაიხდის

ამას წინათ მოსკოვის ოსტანკინოს სასამართლომ, როგორც იქნა, მიიღო გადაწყვეტილება კონფლიქტის თაობაზე, რომელიც თითქმის ერთი წელია, რაც მიმდინარეობს ქალაქის მერის მეუღლის ელენა ბატურინასა და ტელეჟურნალისტ სერგეი დორენკოს შორის.

შეგახსენებთ, რომ ქ-მა ელენამ სარჩელი სასამართლო ინსტანციაში მას შემდეგ აღძრა, რაც 1999 წლის 12 დეკემბერს დორენკომ ეთერში გაუშვა ცნობა, თითქოს მერის ოჯახმა ნიუ-იორკში ბინა შეიძინა. რამდენადაც ოჯახის თავი, ლუჟკოვი ისედაც პერმანენტულადაა ჩაბმული ჟურნალისტსა და OPT-ს წინააღმდეგ დაპირისპირებაში, ამჯერად პატივს და ღირსებას სუსტი ნახევარი იცავდა. ელენა ბატურინამ სასამართლოს მოსთხოვა, გაებათილებინა ბ-ნ დორენკოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია და მორალური ზარალისათვის დაეკისრებინა ფულადი ანაზღაურება — დორენკოსაგან 400 ათასი დოლარი, ტელეარხისაგან კი — 100 ათასი დოლარი.



რამდენიმე სხდომისა და განხილვის გადადების შემდეგ მოსკოვის ოსტანკინოს სასამართლომ მოსარჩელეს დაუჭირა მხარი და დაავალა OPT-ს, 10 დღის მანძილზე უარყოს დორენკოს ინფორმაცია პროგრამით „ვრემია“. რაც შეეხება საკომპენსაციო თანხას, იგი, ალბათ, არ დააკმაყოფილებდა მერის მეუღლეს. სასამართლომ დაადგინა: სერგეი დორენკომ და OPT-მ გადაუხადონ მოსარჩელეს 5-5 ათასი რუბლი.

***დენგი №43***

# კოსოვოში ზომიერმა სეპარატიზმმა გაიმარჯვა



კოსოვოში გაიმართა ადგილობრივი არჩევნები. იგი უთუოდ დიდ როლს ითამაშებს ამ მხარის შემდგომ ბედზე. კოსოვოს არჩევნებში მხოლოდ ალბანელები მონაწილეობდნენ, სერბებმა კენჭისყრაზე უარი თქვეს და არჩევნებს „პოლიტიკური ცინიზმი“ უწოდეს. საქმე ის არის, რომ ბოლო წლის განმავლობაში კოსოვოდან გასახლებულ იქნა რამდენიმე ასეული ათასი სერბი, ამიტომაც მათ გარეშე არჩევნები ლეგიტიმურად არ უნდა ჩაითვალოს. ხელისუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა ბატონ რუგოვასა (იგი კოსოვოელ ალბანელთა ისტორიული ლიდერია, „პასიური წინააღმდეგობის გაწევის“ იდეოლოგი) და კოსოვოს გათავისუფლების ყოფილი არმიის ბაზაზე შექმნილ პარტიებს შორის.

კოსოვოს არჩევნებს ერთსულოვნად მიესალმა მთელი დასავლეთი. გაეროს მისიის თავკაცმა კოსოვოში ბერნარ კუშნერმა, რომლის გადაწყვეტილებითაც ჩატარდა არჩევნები, განაცხადა, რომ „ეს დემოკრატიის გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია“, მაგრამ იუგოსლავიის ახალი პრეზიდენტი ვოისლავ კოშტუნიცა ბატონი კუშნერის ენთუზიაზმს არ იზიარებს. მას მიაჩნია, რომ კოსოვოში სერბების გარეშე სტაბილიზაცია ვერ მოხერხდება. ამ პოზიციას სავსებით უჭერს მხარს მოსკოვიც. იგი კოსოვოს არჩევნების გადაწევას ითხოვდა, თუნდაც ერთი წლით.

არჩევნებში მონაწილე კოსოვოელ ალბანელთა პარტიების განსხვავებულობის მიუხედავად, ისინი ერთ რამეში სრულიად ეთანხმებიან ერთმანეთს — კოსოვო დამოუკიდებელი უნდა იყოს. ბატონ რუგოვას თქმით, „არჩევნები ხელს შეუწყობს მხარის დამოუკიდებლობას“. იგი იმის მომხრეა, რომ კოსოვოს სტატუსი განისაზღვროს რეფერენდუმზე ან გადაწყდეს გაეროს წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გზით, მერმის კი ჩატარდეს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.

მაგრამ დაჩქარებული გზით იუგოსლავიიდან კოსოვოს გამოყოფის ანუ ბალკანეთზე ახალი კრიზისის შანსი მაინც არსებობს. კოსოვოელი სერბები მზად არიან როგორც ალბანელებთან, ასევე გაეროს მისიასთან სათანამშრომლოდ. ისინი იმედოვნებენ, რომ კოსოვოს საერთაშორისო ადმინისტრაცია ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში დროებით დანიშნავს მათ წარმომადგენლებს და ამით უზრუნველყოფს სერბების მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, განდევნილი სერბების კოსოვოში დაბრუნების შემდეგ კი გაიმართება დამატებითი არჩევნები.

***იზვესტია №207***

# თეთრი სახლი 200 წლისაა

ვაშინგტონში, პენსილვანია-ავენიუს №1600-ში მდებარე მსოფლიოში ლამის ყველაზე ღირსშესანიშნავ შენობას — თეთრ სახლს 200 წელი შეუსრულდა.

ამერიკის შეერთებული შტატების აღმასრულებელი ხელისუფლების რეზიდენციისა და კანცელარიის მშენებლობა პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა დაიწყო, მაგრამ თავად ამ შენობაში ცხოვრებას ველარ მოესწრო. აქ პირველი დასახლდა ამერიკის მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი, ისიც თავისი პრეზიდენტობის მიწურულს, 1800 წლის 1 ნოემბერს. მის შემდეგ 40 პრეზიდენტი სახლობდა აქ და ყოველი მათგანი თავისებურ შეფასებას აძლევდა თეთრ სახლში გატარებულ წლებს. მაგალითად, 38-ე პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი თეთრ სახლს მსოფლიოში საუკეთესო მუნიციპალურ საცხოვრებელს უწოდებდა, 33-ე პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი კი — მდიდრულ ციხეს. თავისი წინამორბედების განწყობა ერთი ფრაზით გამოხატა თეთრი სახლის ახლანდელმა მკვიდრმა, ამერიკის შეერთებული შტატების 42-ე პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა — „მე მიყვარს ეს ადგილი“ (და მისი ბინადარი ქალები, — ქირქილებენ ჭორიკნები).



1814 წელს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა დაწვეს შენობა. აღდგენილი სასახლე გაათეთრეს, სწორედ მაშინ დაერქვა თეთრი სახლი და ამ სახელით იცნობს მას დღეს მსოფლიო.

თეთრი სახლი უნიკალური ნაგებობაა, იგი ერთდროულად რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. აქ განლაგებულია პრეზიდენტისა და მისი გუნდის სამუშაო კაბინეტები, საცხოვრებელი ოთახები, სადაც 4 წელს ცხოვრობენ პრეზიდენტი (თუ ბედმა გაუღიმა, 8 წელს) და პირველი ლედი. თეთრ სახლშივეა განლაგებული მუზეუმი, რომელსაც ყოველდღიურად 6 ათასი მნახველი ჰყავს, სასტუმრო ოთახები სერვისის დონით არ ჩამოუვარდება ხუთვარსკვლავიან სასტუმროს. სხვათა შორის, პრეზიდენტსა და მის სტუმრებს რეგულარულად ახდევინებენ კვების, სამრეცხაოს და სხვა სახის მომსახურების ფულს.

შენობაში 132 ოთახია (16 — სტუმრებისთვისაა განკუთვნილი), ორი სამზარეულო, 31 სააბაზანო. თეთრ სახლს გარშემო აკრავს 7,3 ჰა ფართის პარკი. აქვეა დახურული აუზი, კინოთეატრი, ბოულინგი, სარბენი ბილიკები.

თავად სახლი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ძნელი სათქმელიც კია, რომ მრავალი წლის განმავლობაში აქ წყდება მსოფლიოს ბედი.

***სეგოდნია №248***

## სახიფათო ჰიპერტონია

სტატისტიკა მოწმობს, რომ თითქმის ყოველი მეორე ადამიანი ჰიპერტონიით არის დაავადებული. თანამედროვე მედიცინისთვის მისი წარმოშობის ჭეშმარიტი მიზეზი უცნობია. საქმე ის არის, რომ სისხლის წნევის რეგულაციის სისტემა ძალზე რთულია. ამ პროცესში თითქმის ყველა ორგანო იღებს მონაწილეობას: თირკმლები, ფილტვები, ნერვული სისტემა... და თუ ამ ურთიერთქმედების გრძელ ჯაჭვში რომელიმე მწყობრიდან გამოდის, არტერიული წნევა ზემოთ მიიწევს.

იმდენად შევეჩვიეთ ჰიპერტონიას, რომ ავადმყოფობადაც აღარ მიგვაჩნია. ამასთან, იგი ძალზე სახიფათოა. ჯერ ერთი, არტერიული წნევა გულის იშემიური დაავადებისა და მიოკარდის ინფარქტის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მეორე, აწეული წნევა არღვევს ტვინის სისხლის მიმოქცევას და თავის ტვინის ინსულტს იწვევს. მესამე, ავადმყოფური მდგომარეობა ადამიანს შრომისუუნაროს ხდის. საბედნიეროდ, ჰიპერტონიის სამკურნალო უამრავი პრეპარატი არსებობს, მაგრამ არის კიდევ ხალხური მედიცინის მეთოდებიც, რომლებიც პრეპარატებზე ნაკლებეფექტური როდია. მაგალითად:

1. სვით ახალგამოწურული წვენები — ბროწეულის, ლიმონის, ფორთოხლის, შავი მოცხარის, ჭარხლის (ეს უკანასკნელი 2-3 სთ-ს დააყენეთ).

2. ჭამეთ, რაც შეიძლება მეტი ხახვი და ნიორი (2-3 კბილი დღეში).

კარგია კაკლის ფოთლების ჩაიც.

თუ თქვენ ჰიპერტონია ჯერ არ ჩამოგყალიბებიათ და მხოლოდ მიდრეკილებას ამჟღავნებთ:

— ყურადღება მიაქციეთ წონას, რადგან ზედმეტი კილოგრამები ჰიპერტონიას იწვევს.

— დღის რაციონში შეიტანეთ ცილიანი, ვიტამინებით და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები.

— მიიღეთ რაც შეიძლება ნაკლები მარილი. უმჯობესია იგი სანელებლით, ლიმონის წვენით ან მუხუდოს სოუსით შეცვალოთ.

— ეცადეთ, თავი დაანებოთ სიგარეტსა და ალკოჰოლს.

— თუ წნევა ხშირად მაღლა გიწევთ და გულის არეში ტკივილსაც გრძნობთ, მიმართეთ ექიმს — ხერხემალი გამოიკვლიეთ. ხშირად ასეთი ავადმყოფები „მიოკარდის ინფარქტის" დიაგნოზით თვეობით წვანან საავადმყოფოში, სინამდვილეში კი საჭიროა ინტენსიური ოსტეოთერაპია.

*ორაკული №11*

## „თმასაც უყვარს... კონიაკი!

მეცნიერებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ ზაფხულში თმა განიცდის A ბიოტინის (ვიტამინ H) და B ჯგუფის ვიტამინების ნაკლებობას. ძირითადი მიზეზია ის, რომ ამ პერიოდში ადამიანები ცოტას ჭამენ, ძირითადად ეტანებიან ხილს და ბოსტნეულს და არა ხორცს, პურს, რძეს, კვერცხს, ბურღულეულს, — ეს კი იწვევს თმის ცვენას.



თმის ცვენა რომ შევამციროთ ან შევაჩეროთ და დავუბრუნოთ პირვანდელი სახე, საჭიროა დიდი მოთმინება და პროდუქტები — მთავარი რეანიმატორები. პირველ რიგში უნდა მივეძალოთ ლობიოს, ძროხის ხორცს, ღვიძლს, ხორბლის ღერღილის პურს, რძის ნაწარმს (განსაკუთრებით, ხაჭოს) და, რა თქმა უნდა, ხილსა და ბოსტნეულს.

პური და კვერცხი, შეიძლება თმისთვისაც გამოიყენოთ: შავი პური დაალბეთ წყალში და შამპუნის შემდეგ წაისვით თავზე. დაზიანებული თმის დასაბანად უნდა შეარჩიოთ $B_5$-ისა და პროტეინის შემცველი საშუალებები. შამპუნი შეიძლება შეცვალოთ კვერცხის გულით, რომელსაც გათქვეფთ და წაისვამთ თმაზე.

საუკეთესო საშუალებაა — კონიაკის ბალზამი, რომელსაც ძველად, ჩვენი ბებიებიც ხმარობდნენ: 1 კვერცხის გულს დაუმატეთ 1ს კოვზი ზეითუნის ზეთი, ძალიან ცოტა მარილი და 40გ კონიაკი — ნარევი კარგად ათქვიფეთ და შეიზილეთ დაბანილ თმაში. თავი შეიკარით პოლიეთილენით და ზევიდან დაიფარეთ ცხელ წყალში დასველებული პირსახოცი და 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით. თმის გასაჯანსაღებლად საკმარისია 20 პროცედურა.

*სობესედნიკი №36*


**მკურნალობა უახლესი აპარატურით**

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.

მის: პაპა-ფშაველას გამზ. №18ა, რეაბილიტაციის ცენტრი, 23-ე სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხარიაშვილი

☎ 39-01-12 (სამშ.) 10-15სთ. 39-58-77 (ბინა)



**ყურადღება!**

**100%-იანი გარანტიით**

ქალებს, რომელთაც აწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) შეუძლიათ განიკურნონ ერთი ამოღებით თითოეულ თმაზე.

ვინაიდან ერთ მომენტად შეუძლებელია, რაც კი სახეზეა ყველა თმის დამუშავება, მკურნალობის პერიოდი დაყოფილია 10 სეანსად, რომლის განმავლობაშიც ეტაპობრივად ხდება სრული წმენდა, უხეში თმით დაწყებული ბუსუსით დამთავრებული. შესაბამისად სრული განკურნების დრო მოიცავს 10 თვეს. მთლიანი კურსის გავლის შემდეგ, სამუდამოდ დაძლეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. (ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.)

მის: ზემო ვერა, სევასტოპოლის ქ. კორპ. 6 სად. II სართ. 9

☎ 29-42-58; 899-50-62-42



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


## „კვირის პალიტრის" რედაქტორს



*კრიტიკული დღეების დაწყებამდე მეწყება უსიამოვნო შეგრძნებები — შეშუპება, ტკივილები მუცლის არეში, თავბრუსხვევა და სხვ. გთხოვთ, გამარკვიოთ, ეს ბუნებრივი მოვლენაა თუ ექიმს უნდა მივმართო?*

*ია გ-შვილი*

## პრემენსტრუალური სინდრომი

მენსტრუალური ციკლის დაწყებამდე 15-დან 50 წლამდე ასაკის ქალთა უმეტესობა (80%) ემოციურ და ფიზიკურ დისკომფორტს განიცდის, რასაც პრემენსტრუალური სინდრომი ეწოდება. ჩვეულებრივ, მანდილოსნები ამ პერიოდის განმავლობაში განვითარებულ გუნება-განწყობისა და თვითშეგრძნებების ცვლილებას არაერთგვაროვან ახსნას უძებნიან. მათი უმეტესობა კი უსიამოვნო შეგრძნებებს ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს და ამ პრობლემასთან დაკავშირებით ექიმებთან ვიზიტს უბრალოდ „თავის შეწუხებად" თვლის. ამიტომაც, ისინი პრემენსტრუალურ სინდრომს მხოლოდ ვალერიანის აბებით ებრძვიან. მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ წყდება და პრემენსტრუალურ სინდრომთან ხუმრობას არ გირჩევთ.

სინდრომი სიმპტომათა — პათოლოგიისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობაა. პრემენსტრუალური სიმპტომი 150-მდე სინდრომს" „ითვლის". თუმცაღა, საბედნიეროდ, კონკრეტულ შემთხვევაში ქალს მხოლოდ რამდენიმე ჩივილი აღენიშნება. დასაწყისში მათი გამოვლინება ძალზე სუსტი და უმნიშვნელოა. მაგრამ გაფრთხილდით! ასეთ ჩივილებთან „ბრძოლა" მაინც აუცილებელია, რადგანაც დროთა განმავლობაში, თვეების შემდეგ სიმპტომები გაძლიერდება და მათი გამოვლინებანი უფრო მკვეთრი და შესამჩნევი გახდება. საბოლოოდ კი ის პრეკლიმაქტერიულ სინდრომში გარდაიქმნება და ყოველთვიური პრობლემები, ყოველდღიური ჩივილების სახეს მიიღებს. განსაკუთრებული ყურადღება კრიტიკული დღეების დაწყებამდე 7-14 დღით ადრე გმართებთ. ამ დროს შესაძლოა შემდეგი სიმპტომები გამოვლინდეს:

— სისუსტის შეგრძნება, გონებაგაფანტულობა;

— უძილობა ან პირიქით ძილქუში;

— თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულის წასვლის შემთხვევები;

— გაღიზიანებადობა, კონფლიქტურობა, გუნება-განწყობის დაქვეითება;

— ყოველგვარი ხმაურის აუტანლობა;

— სარძევე ჯირკვლების მტკივნეული შეშუპება;

— მეტყველების გაძნელება;

— ხელებში დაბუჟებისა და ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება;

— შეშუპებები (სხეულის წონის მცირეოდენი მატება, შეშუპებული სახე ან ქუთუთოები);

— გამონაყარი კანზე, ქავილი, ალერგიული რეაქციები;

— სახსრების შეშუპება ან ტკივილის შეგრძნება, კუნთებში მღრღნელი ტკივილი;

— კისრის მოძრაობის შეზღუდვა და უსიამოვნო შეგრძნება;

— ტაქიკარდიის (გულისცემის გახშირება) შეტევის პერიოდები;

— გულის რევა, მუცლის შებერილობა (მეტეორიზმი);

— წელისა და მუცლის ქვედა არეში ყრუ, ხანგრძლივი ტკივილის შეგრძნება;

— სხეულის ტემპერატურის ცვლილება, სისხლდენები ცხვირიდან;

— ჭრილობებთან (გაჭრილი ხელი, დამწვარი ადგილები ან სხვა მიკროტრავმები) დაკავშირებული უსიამოვნო შეგრძნებების გაძლიერება;

— გემოვნებითი შეგრძნებების შეცვლა. ტკბილის ან მარილიანის მიმართ დაუძლეველი სურვილი;

— სუნის აღქმის გაძლიერება. ადამიანებს ბენზინის, ლაქის, აცეტონის სუნი იზიდავთ;

— ალკოჰოლის აუტანლობა;

— მომატებული მგრძნობელობა ინფექციების მიმართ. შარდ-სასქესო სისტემების მხრივ დარღვევები. ჰემოროის (ბუასილის) და ასთმური შეტევების გამძაფრება;

— სქესობრივი ლტოლვის მკვეთრი დაქვეითება;

თუ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან 5-ზე ნაკლები აღგენიშნებათ, გუნება-განწყობისა და თვითშეგრძნების გასაუმჯობესებლად ვიტამინებისა და მიკროელემენტების შემცველი კომპლექსური პრეპარატების მიღებას გირჩევდით.

6 სიმპტომი და მეტი — უკვე საბაბია სპეციალისტთან ვიზიტისთვის (გინეკოლოგი, ენდოკრინოლოგი, თერაპევტი, ნევროპათოლოგი). ისინი თქვენთვის ოპტიმალურ პრეპარატებს შეარჩევენ: ვიტამინის მაკრო და მიკროელემენტების, მცენარეული ნაყენების გარდა ტკივილგამაყუჩებლებს, შარდმდენებს და სხვა. მნიშვნელოვანია კვებითი რეჟიმისა და მოძრაობის ინტენსივობის შერჩევაც.

ეს უსიამოვნო შეგრძნებებს, სულიერი და ფიზიკური დისკომფორტის გრძნობას შეგიმსუბუქებთ. რთულ შემთხვევაში სპეციფიკური ჰორმონალური მკურნალობაა რეკომენდებული, რომელიც აუცილებლად ექიმის მიერ უნდა იყოს დანიშნული.

ის ქალბატონები, რომლებიც პრემენსტრუალურ სინდრომს მხოლოდ სიმშვიდითა და მოთმინებით „ებრძვიან" წელიწადის მანძილზე 72 დღე ანუ ორ თვენახევარი, ხოლო მთელი ცხოვრების მანძილზე (მენსტრუაციის დაწყებიდან კლიმაქტერიულ პერიოდამდე) 7 წელსა და 8 თვეს განიცდიან დისკომფორტს. მაშინ როდესაც პრობლემასთან სწორი მიდგომით უსიამოვნო შეგრძნებების შესუსტება სავსებით შესაძლებელია.

ზოგიერთი მათგანი კი თავს იმით იმშვიდებს, რომ კლიმაქტერიული პერიოდის დადგომისთანავე პრობლემები თავისთავად გადაწყდება. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ! შესაძლოა ეს ასე არ მოხდეს და უსიამოვნებანი მენსტრუალური ციკლის შეწყვეტის შემდეგაც გაგრძელდეს. ამ დროს სპეციალისტები პრემენსტრუალური სინდრომის კლიმაქტერიულ სინდრომში ტრანსფორმაციაზე (გარდაქმნაზე) საუბრობენ.

ქალთა ნაწილი კი საკითხს ძალზე ორიგინალურად უდგება: „პრობლემა მარტო მე მაწუხებს და როგორღაც მოვუვლიო". მაგრამ... როგორც აღმოჩნდა და ფსიქოლოგები ამტკიცებენ, პრემენსტრუალური სინდრომი, თურმე მამაკაცებსაც აღენიშნებათ, რაღა თქმა უნდა, უმეტესად დაოჯახებულებს. როგორც ჩანს, მეუღლის ცუდი გუნება-განწყობა ძალზე გადამდებია და დიასახლისის გაღიზიანებული და აგრესიული ტონი ოჯახურ ატმოსფეროს მკვეთრ ზიანს აყენებს. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია სულიერი წონასწორობისა და კარგი განწყობის შენარჩუნება. და ბოლოს, პრემენსტრუალურ სინდრომთან „საბრძოლველად" განსაკუთრებით კარგია B ჯგუფის ვიტამინები. ის ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აწესრიგებს ძილს, ხსნის მუცლის არეში ტკივილს და ხელს უწყობს ძალის მომატებას. კარგია კალციუმის (1 ჭიქა რძე) და მაგნიუმის (1 კოვზი თაფლი) შემცველი საკვების მიღებაც!

*მაია მუხიგული*




MEDI მედი

ლაზერული ეპილაცია

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

ამიერკავკასიაში ერთადერთი

ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით

ი.ჭავჭავაძის გამზ. N70 25-02-02 22-50-43



**„HERBAL V" „ჰერბალ ვი"**



სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების აბსოლუტურად უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება

**HERBAL V Y — მამაკაცებისათვის.** — აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის დაავადებით ან სხვა დაავადებებით; — აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევრო-სექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; — წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; — რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი" ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს; — „ჰერბალ ვი"-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვიული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა.

**HERBAL VX — ქალებისათვის.** — სექსუალური პრობლემები მავნე ზემოქმედებას ახდენს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მთელ ორგანიზმზეც და იწვევს ნევროზებს და რიგ სერიოზულ დაავადებებს. „ჰერბალ ვი"-ს ქალების ვარიანტი აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას, აქტიურებს სასიცოცხლო ძალებს, ამცირებს წინამენსტრუალურ და პრეკლიმაქსურ დაძაბულობას და მატებს ენერგიას.

**HERBAL VY** და **HERBAL VX** — მამაკაცებისა და ქალებისათვის — „ვიაგრას" უაღრესად პოპულარული მცენარეული ალტერნატივა მთელ მსოფლიოში! ინგლისურ-შვეიცარული კომპანია „სვისჰელსის" ნაწარმი.

აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!

მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.

„სვისჰელსის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორეტი" ☎: 99-87-37

დაჩი გრძელიშვილი

## დაბრუნება

... ელოდებოდა. მისი მონატრება გაუსაძლისად ელოდებოდა. ესე იგი, ლოდივით აწვა დაღლილ გულზე. ნიადაგ შვილის სურათი ჰქონდა გულში ჩაკრული. ნიადაგ ტუტუნებდა — ჩემო გულის გულო... ჩემო ერთო იმედო... ჩემო დარდო და სიხარულო... ნეტავი იმ დღეს მე დავმწვარიყავ... მე უნდა ვიწვე შენ წილ მიწაში, ჩემო გამწარებულო სიცოცხლევ...

ერთხელ, დაჭრილებს ჩამოჰყოლოდა თბილისში და სახლშიც შემოირბინა. დედა მოისიყვარულა, იქაურობას მიეალერსა. ამ ორ თვეში უცნაურად დაკაცებულიყო და დადინჯებულიყო. ტკივილი. ტკივილის მძლავრი და მწარე ხელი ეტყობოდა მის გამოხედვას. რომ მიდიოდა, იცოდა, ზურას ეგეთები არ უყვარდა, გაჯავრდებოდა, მაგრამ დედის გულმა არ მოუთმინა — კარებში აეტუზა და საწყლად უთხრა — ეგება, დარჩენილიყავ, შვილო. შენი საომარი ხომ იომე, სადღა მიდიხარ... აბა, რას ამბობ, დედი! — მართლა გაჯავრდა და დაუცაცხანა. მე რომ არ წავიდე, ის რომ არ წავიდეს, აქამდე რომ ჩამოვლენ, მერე ვიომოთ?! — მერე შეეცოდა, გულში ჩაიკრა და ჩასჩურჩულა, — რა იყო დედი, დაგიბრუნდები, აუცილებლად დაგიბრუნდები, შენ არ იდარდო...

გრძელი და მძიმე ღამეები. მერე ისევ ოხრადქცეული დღის გათრევა ოხვრა-კვნესაში — შენ დაგენამლოს დედა... როგორ დამაგდე მარტოკა სოფელ-ქვეყანაზე, ჩემო ერთა ბიჭო... ტკივილი? — აღარ არსებობდა არანაირი ტკივილისა და ნაღველის გრძნობა. მისი ყველა შეგრძნება გაქვავებულიყო — აღარც აღარაფერი ახარებდა და არც არაფერი ამწუხრებდა. მარტო ზუზუნი. დღედაღამ ზუზუნი გაისმოდა გლოვადაფენილ, ცარიელ სახლში. — დაგიბრუნდებიო... აკი, დამიბრუნდა კიდეც. როგორ მოელოდა მის დაბადების დღეს. სახლი საგულდაგულოდ დაალაგა. მისი საყვარელი კუპატიც შეწვა. როგორც ადრე, ბიჭის სტუდენტობისას აკეთებდა ხოლმე. მერე დაღლილი, გაშლილ სუფრასთან ჩამოჯდებოდა და კარს უყურებდა. სულ ცოტა ხანში ზურიკოც ამოირბენდა ხოლმე კიბეებს. გოგო-ბიჭების ჟრიამული ავსებდა იქაურობას. გვშია, დედი, შეუძახებდა ხოლმე ერთა ბიჭი და დედას გულში იკრავდა.

იმ დღესაც ასე ელოდა. თავისი ერთა შვილის დაბადების დღეს. ერთადერთ ტკივილად რომ ჩარჩა გონებაში. არც მის იქით ფიქრობდა რამეზე და არც მის აქეთ — მთელი დარჩენილი ცხოვრება ამ უბედური დღის გარშემო იტირებდა და იკვნესებდა.

განყობილ სუფრასთან სკამზე ჩამომჯდარიყო და დაღლილი მზერით, ჩვეულებისამებრ კარებს მისჩერებოდა.

უწინდელი ჟივილ-ხივილი არ ატეხილა. სამარისებურ სიჩუმეში კარზე კაკუნი გაისმა. ბუნდოვნად ახსოვს — სამხედროფორმიანი კაცი დამწუხრებული სახით ეუბნებოდა რაღაცას. მერე, გაოგნებული სადარბაზოში იდგა და აკანკალებულ ხელში ფარატინა ფურცელი ეჭირა — საზიზღარი და საძულველი პატარა ფურცელი — შვილის დაღუპვას ატყობინებდა — „გმირულ სულისკვეთებაზე და სამშობლოსთვის თავგანწირვაზეც“ იყო ლაპარაკი...

ამ დღის შემდეგ, ამ დღის მეტი აღარაფერი არსებობდა. მაგრამ ისევ ზურიკოს ვერ უტეხდა ხათრს. მის დაბადების დღეზე დიდი ტანჯვის შემდეგ, მაგრამ მაინც აწყობდა ხოლმე სუფრას — ზურას მეგობრები მოდიოდნენ — ფრონტელი მეგობრები. — სულ ამას გვეუბნებოდა: „ბიჭებო, მე რომ რამე მომივიდეს, დედაჩემი არ დაივიწყოთ, ერთმანეთის მეტი არავინ გვყავს“.

რაღაცნაირად დარცხვენილი და შეწუხებული ბიჭები კარებში აიტუზებოდნენ და იატაკს დასცქეროდნენ. გაულიმებდა — ოთახში შეუძღვებოდა და პატარა ბავშვებივით დასვამდა სუფრასთან. — ცოტა გულს ეფონებოდა. ჩუმად, თავისთვის მიჯდებოდა ხოლმე სამზარეულოში და იქიდან უგდებდა ყურს ბიჭების საუბარს — შენ მოგიკვდეს დედა, ეს რა გაგიკეთებია შვილო... ჩაიტუტუნებდა ხოლმე ხანდახან.

იმ დღესაც, ვაებად ქცეული შვილის დაბადების დღე ჰქონდა.

ჩვეულებისამებრ, სამზარეულოში იჯდა, თავისთვის მოთქვამდა — არ უნდოდა, ბიჭები თავისი კვნესით შეეწუხებინა.

ბიჭებმა ბოლოსდა ამოაჩინეს მისი უსიცოცხლო სხეული. სუფრიდან რომ აიშალნენ, გელა ფეხაკრებით მივიდა კომოდთან და გადასაფარებლის ქვეშ ოცლარიანი ამოდო. მერე სამზარეულოში შეიხედა — გამოსამშვიდობებლად. სიცივე იყო. იანვარი. გაყინულ ოთახში ძაძებში შემოსილი დედა გაშეშებულიყო. ასრულებოდა წლების ოცნება — სვეგამწარებული, სულეთში დაეძებდა თავის ერთა შვილს.

დაიბნენ. ხმა არ ამოუღიათ. ორნი სახლში დარჩნენ. ორნი კი კიბეზე დაეშვნენ — მეზობლებისთვის შეეტყობინებინათ.

... ის კიბეზე ამოდიოდა. ტყვეობას ზურასთვის ნარუშლელი დაღი დაეჩნია. დაღლილი და შელახული იყო. მაგრამ თვალები მაინც ძველებურად უციმციმებდა — სახტად დარჩენილ და უკვე, საბოლოოდ დაბნეულ ნაომარ მეგობრებს სათითაოდ იკრავდა გულში...

ჩემო ერთო იმედო... ჩემო დარდო და სიხარულო... ჩემო გულის გულო... ნეტავი იმ დღეს მე დავმწვარიყავი... მე უნდა ვიწვე შენ წილ მიწაში, ჩემო გამწარებულო სიცოცხლევ...


## კიდევ ერთი გამარჯვება

ქალაქ სოჭში ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო კონკურსი „ღვინო, არაყი 2000“ ჩატარდა, რომელიც ამ სფეროში ერთ-ერთ ყველაზე დიდ და პრესტიჟულ კონკურსად ითვლება.

კონკურსზე თავისი პროდუქცია 43 ქვეყნის ალკოჰოლური სასმელების კომპანიამ წარმოადგინა, მათ შესაფასებლად კი საერთაშორისო ექსპერტები და დეგუსტატორები იყვნენ მოწვეულები.







კონკურსში, ყოფილი თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანამ, ს.ს „ბაგრატიონი-1882“-მაც მიიღო მონაწილეობა. მისი პროდუქცია უკვე ერთი წელია წარმატებით იყიდება ამერიკისა და რუსეთის ბაზრებზე. სოჭში ჩატარებულ კონკურსზე იგი კიდევ ერთხელ აღიარეს საუკეთესოდ — ცქრიალა ღვინო „ბაგრატიონი“ და შუშხუნა ღვინო „მუხრანი“ ორი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა.

შუშხუნა ღვინო „მუხრანი“ სავაჭრო ქსელში უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

ს.ს. „ბაგრატიონი-1882“ აგრძელებს თავის საუკუნოვან ტრადიციას და მისი პროდუქცია კვლავ საუკეთესოა ქართულ და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, არა მარტო ქართულ ცქრიალა ღვინოებს შორის.


ეთერ თარიმანი

## თარეშა

თარეშა ცხენი იყო. ნიავქარივით მალი. დედამისი ხევსურეთში სადავლაოდ გადმოსულ ჩერჩნებს წაართვეს ჩეკისტებმა და ძღვნად დუშეთის რაიკომის მდივანს წითურს მიჰგვარეს. წითურმა ფაშატზე შეჯდომა არ იკადრა და მილიციას გადასცა. მაკე ცხენი ვერც იმათ გამოიყენეს. სამაგიეროდ, კარგ ფასად გაყიდეს გომბორის ბაზარზე.

ახალმოყვანილმა ნაბლამ კვიცი იმ ღამეს მოიგო, როცა ნიკას თერთმეტი წელი შეუსრულდა. ბიჭს მეტი საჩუქარი არც უნდოდა. მაშინვე ჭრაქს წამოავლო ხელი და თავლაში ჩაირბინა. — ულაყია, ორი პერანგი დაჰყვაო, — თქვა მამამ. ბიჭი იქვე ჩაცუცქდა და ფეხი არ მოუცვლი[illegible] ვიდრე კვიცი არ მომაგრდა. სამ დღეში კუნტრუშიც დაიწყო. სახელი დიდმა პაპამ დაარქვა.

ნიკა უბელო ნაბლას დააჯირითებდა. თარეშა უკან დაჰყვებოდა და დედას მტკაველზე თუ ჩამორჩებოდა. მალე გვერდით ამოდგომას მიეჩვია. ცოტა ხანში კი ცხენი და კვიცი ნაბიჯანწყობილები დაქროდნენ. ნიკა თარეშას აქეზებდა, ამხნევებდა, ეფერებოდა და ისიც ჭიხვინ-ჭიხვინით მიელამუნებოდა ხოლმე.



გამოხდა ხანი. თარეშამ სიმაღლეში აიწია. ბეწვი დაიწმინდა, გალაღდა, გავა და ფერდები ამოივსო, მკერდი გამოებერა, რემაში გაერია. გაერია და პირველობაც დაიჩემა. ნიკას მამა მწყემსი იყო. პირუტყვის ზნე და ნირი არ გამოეპარებოდა. მაგრამ, რაც ერთხელ იალაღზე იხილა — თავგზა აუბნია, საფიქრალში ჩააგდო: საბალახოდ გასულ ჯოგში ორი იაბო წაეკიდა ერთმანეთს. დატორეს, დაკბინეს, დაგლიჯეს, დაწიხლეს ერთმანეთი. დუჟმორეული ჩააფრინდა ერთი მეორეს და მხრის თავი ჩაუხია. იფეთქა სისხლმა და გამწარებულმა ცხენმა განაპირება დაიწყო. გამარჯვებული ხრიალით მიიწევდა და წიხლების ხათქახუთქით აიძულებდა დაჯაბნილს იქიდან გადაკარგულიყო. რემა ნერვულად ეძალებოდა ლორთქო ბალახს, ცხენები ხანდახან შეჩოჩქოლდებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად უგანებდნენ ხოლმე გაგიჟებულ ულაყებს.

თარეშამ რამდენჯერმე ასწია თავი. მოჩხუბრები უკვე ხევის პირას გასულიყვნენ. იმანაც იქით იბრუნა პირი. ერთი შეჰკივლა, ქარიშხალივით გაექანა, წინა ტორებით დააკვდა გამარჯვებულს, ნეკნები ჩაუმტვრია და წელი აათრევინა. გამობრუნებულ რემას შუაში მოექცა და ფუნდრუკით გაიყოლა ტყის პირისაკენ. ნიკას მამას გააჟრჟოლა. ბიჭის გაფუჭებისა შეეშინდა. ვიდრე რამეს მოსწევს, გავყიდი და თავიდან მოვიშორებო, — გაიფიქრა და მეორე დღეს საცხვირეამოდებული გასახედნად გაიყვანა სოფლის ბოლოში. გამოიშალნენ ჯან-ღონით სავსე კაცები. თარეშა ნიკას მამამ ხეზე მიაბა. დაყვავებით მიუახლოვდა, ბეჭებზე გადაუსვა ხელი, თოკი მოზიდა და ზურგზე მოქცევა სცადა. შეკრთა თარეშა, დაფეთდა, ყალყზე აიწია, კინაღამ გადაქელა „მოძალადე“. ბევრი უტრიალეს კაცებმა თარეშას. დაბინდებამდე, ხან ერთი ცდილობდა ცხენის დაურვებას და ხან მეორე. ვერაფერს გახდნენ. გაჯავრდა ნიკას მამა. მათრახის ტარი ურახუნა ცხვირ-პირში, გავა აუჭრელა. გაჯიქდა თარეშა, არ იქნა, არ მიუშვა ახლოს არც ერთი. მკლავები ჩამოყარეს, ბუზღუნით დაიშალნენ კაცები. ნიკას მამამ თარეშა აუშვა, მათრახი გადაუჭირა, ჯიში და ჯილაგი შეუკურთხა და შინ გაბრუნდა. ცხენმა აიწყვიტა თავი და გაფრინდა, გადაიკარგა, მეხუთე დღეს ივრის ჭალებში იპოვა ნიკამ. მიეფერა, მიუალერსა? თავჩაქინდრული გამოჰყვა უკან თარეშა... ნახნავებთან შედგნენ ცხენი და ჭაბუკი. ნიკამ ფაფარში ჩაავლო ხელი, ღონივრად მოზიდა და ზურგზე მოევლო. შეკრთა თარეშა, წინა ფეხებზე აიწია და საზარლად დაიჭიხვინა. მერე თავისუფლებადაკარგულმა ჩაიჩოქა, წამოდგა და გაენთო უმისამართოდ. ბიჭმა ჯერ ნახნავებისაკენ მოღრიჯა, მერე მინდვრებში მიუშვა და ზედ დააკვდა. მიჰქროდა გამწარებული ცხენი, მიაქროლებდა მის ნერვიულად აკანკალებულ სხეულზე მიკრულ მხედარს და ელვის უსწრაფესად მოკლდებოდა სარბენი ბილიკიც... ნიკამ შეკავება სცადა. თარეშა არ დაემორჩილა და ბარდებში გადაეშვა, მერე ორ-სამ ეზოს გადაევლო, აძეძის ნაპირებს ჩაუყვა და მდინარისაკენ აიღო გეზი. მხედარმაც მიუშვა ნებაზე. წაიშალა ჰორიზონტი, გამთლიანდა ლურჯი ღიღილოების ნაზი კონტურები — თანდათან ერთ გრძელ, ცისფერ ზოლად იქცა და უკან დაედევნა თავაწყვეტილ მერანს. ნიკა ვეღარ ასწრებდა ირგვლივ გადაშლილი ხევხუვების აღქმას, ვეღარც დამფრთხალი ჩიტების გუნდს ხედავდა. გაერთიანდა სივრცე — მიწა და ზეცა. ვერც ოღროჩოღრომ, ვერც რიყემ და ვერც ატეხილმა ჭალებმა ვერ მოღალეს გაფიცხებული ცხენი და მხედარი. ასე სრბოლაში შეასკდნენ აქაფებული მდინარის ტალღებს. გადაეშვნენ და გაცურეს... ცივწყალგადავლებულებს გული გაუგრილდათ, გონს მოეგნენ და შედგნენ... ჩამოქვეითდა მხედარი, კისერზე მოეხვია და თვალები დაუკოცნა თავის გაზრდილს. თარეშა მორჩილად მიეყრდნო: თავადაც იგრძნო, რომ იგი უკვე სხვა იყო, ვიღაცასთან შერწმული და განივთებული.

იორღა გამოდგა თარეშა. ექვსჯერ გაიყვანა საქართველოს პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა. ექვსჯერვე მოიგო. შორს გავარდა ჩემპიონი ცხენის სახელი. პრიზებსა და ჯილდოებს ნიკა სათუთად ინახავდა კომოდის უჯრაში და მეშვიდე შეხვედრისთვის ემზადებოდა. აღარ დასცალდა. როცა ჩემპიონატი შედგა, ნიკა სტალინგრადის მისადგომებთან იბრძოდა უკვე. გადაეკიდნენ მამამისს — მოგვყიდეო თარეშა. ამ ცხენზე სამი რაიონის რაიკომის მდივანს ეჭირა თვალი. ერთმანეთს ენაძლევებოდნენ კიდეც — არა ჩემი გახდება, არა ჩემიო. მიუგზავნეს საქმის კაცები პატრონს. დიდძალი ფული შეაძლიეს.

— ტანზე გავიხდი და ამ ცხენზე არ შეგსვამთო, — შეუთვალა. პირუტყვი ჰყავდა ბევრი. ისე დაბეგრეს, წელში გაწყდა ოჯახი. ნიკა ფრონტიდან არ დაბრუნებულა. მოკვდა მამამისიც. ქმარ-შვილამოწყვეტილ დედას მკლავზე აღვირგამობმული თარეშა ხან წისქვილში დაჰყავდა, ხან ტყეში, ხანაც მინდორში.

ერთ თოვლჭყაპიან ღამეს თავლიდან გაქრა თარეშა. ხმები დადიოდა სოფელში: — ქისტებს წაუყვანიათო წაბლას სანაცვლოდ.

— ან ერთი რაიკომის მდივანი წააყვანინებდა, ან მეორე — მაგათია ქვეყანა, კაციცა და ცხენიცაო.

— აფსუს, რა ცხენი იყო? — შეჯდებოდი, გაფრინდებოდა, შემოგეყრებოდა ვინმე. „გაუს“ გეტყოდა და „მარჯოს“ ვეღარ გაიგონებდიო.

თარეშა თავისით გადაკარგულიყო. არავინ იცის, სად იხეტიალა, რა გზა გამოიარა, რომელი მხედრის გული გაახარა და რომლისა დაალონა.

ოთხი წლის მერე შეშისმჭრელებმა იპოვეს ტყეში. მორებს უბამდნენ უპატრონო ცხენს და საურმე გზამდე ათრევინებდნენ. იმ არემარეში ნიკას ბიძაშვილიც ამოსულიყო ხეტყის დასამზადებლად. ნიკას ნაქონი ბეწვის ქურთუკი ეცვა. შეშისმჭრელებს თარეშა იქვე მიებათ საბალახოდ. თითქოს სუნი ეცაო, ერთი ხარბად შეისუნთქა, თავი ასწია, დაიჭიხვინა და ახალმოსულისაკენ გამოჭენდა. მიეახლა, ბეწვს დაყნოსა და ელდანაკრავივით შედგა, ადგილზე ტორებით მიწის თხრა დაიწყო. ამაო გამოდგა პატრონის მოლანდება... ნიკას ბიძაშვილს თვალები გაუბრწყინდა. ცხენს თავისი თექა გადააფინა, ზურგჩანთა მხრებზე მოიგდო, თარეშას აღვირი ამოსდო და შინისაკენ გამოსწია. სახლამდე ერთი დღის სავალი იყო. ცხენი თვალის დახამხამებაში მოსწყდა ადგილს, თავი მალე წაართვა მხედარს. მიქროდა და არემარე მიჰქონდა თან. მხედარი გაფითრებული ჩაფრენოდა — მიშველეთო, ერთიორჯერ იკივლა კიდეც, მაგრამ თავისი ხმაც ვეღარ გაიგონა, მისი ექო სადღაც შეასკდა კლდეებს და ჭიუხებში ჩაიკარგა. თარეშა კი მიფრინავდა და მიფრინავდა თავდავიწყებით. რამდენიმე სოფელს ჩაუქროლეს. ხალხი თვალის დახამხამებას ვერ ასწრებდა და დაფეთებული ღობეებს ეკუნჭებოდა. მგზავრებმა გზაზე ჯერ მხედრის თექა იპოვეს, მერე ზურგჩანთა. ცხენ-კაცი კი აღარსად ჩანდა. ერთგან გზა ვიწროებში იჭრებოდა. ცხენი თავდავიწყებით მიაწყდა ორღობეს. მეხრე მშვიდად მიუძღვებოდა ხარებს და ორ უშველებელ მორს მოათრევინებდა. თარეშას ფეხის თქარათქურმა იქაურობა გააყრუა. ცხენი ღობეებს გადაევლო, მორებს გადაახტა, მხედარი საითღაც მოისროლა და გაივაკა. მეხრემ გაოცებით გააყოლა თვალი, პირჯვარი გადაისახა და დამფრთხალ ხარებს დაედევნა.

თარეშა ხეთქებით მიაწყდა ნიკას ჭიშკარს. უცებ შეჩერდა, წინა მუხლებით წაიჩოქა, როგორც პირველად, გახედნის დროს, მოწყვეტით დაეცა, საზარელი ხმით დაიწივლა და ფართხალი დაიწყო.

როცა მეზობლები შეიყარნენ, გულგახეთქილი ცხენი უკვე მიწას გამეტებით ურტყამდა თავს...

# ლეონარდოს პარაშუტი მოქმედებს



500 წლის წინ, გენიალურ მხატვარს, გამომგონებელსა და მოაზროვნეს ლეონარდო და ვინჩის უეცრად იდეა დაებადა: „თუ ადამიანს მივაბამთ სქელი ტილოს კარავს, მისი გადმოგდება ნებისმიერი სიმაღლიდან შეიძლება, თანაც არანაირი ზიანი არ მიადგება“, — დაწერა მხატვარმა და იქვე ჩანახატიც გააკეთა მომავალი პარაშუტისა. უცნობია, ფიქრობდა თუ არა ის იმ დროს საფრენ აპარატებზე, რომლებიდანაც პარაშუტებით გადმოხტებოდნენ, თუ ამ გამოგონებას სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა.

სამაგიეროდ, ცნობილია სხვა რამ: ლეონარდო და ვინჩის ესკიზებს თანამედროვე პარაშუტებზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ესკიზები მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა, სწორედ 100 წლის შემდეგ, როცა ფრანგი გარკერენი 1797 წელს პარაშუტით პირველად გადმოხტა.

ჩვენს დრომდე არავინ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა ლეონარდო და ვინჩის პარაშუტით ხტომა. მხოლოდ წელს, მძაფრი შეგრძნებების მოყვარულმა ერთმა ბრიტანელმა დიდი ლეონარდოს ნახაზების მიხედვით გააკეთა პარაშუტი. მეტიც, 3.000 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა და მიწაზე უვნებლად დაეშვა. პარაშუტმა მშვენივრად შეასრულა თავისი დანიშნულება.

ბრიტანელმა დაამტკიცა, რომ 500 წლის წინ გენიალური და ვინჩის გამოგონილი კონსტრუქცია, ზოგიერთი მონაცემით, უფრო მოხერხებულია, ვიდრე თანამედროვე პარაშუტები. იგი გაცილებით რბილად ეშვება მიწაზე. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სამხრეთ აფრიკაში ერთ-ერთი გადმოხტომისას, 600 მ სიმაღლეზე, მამაც გამომცდელს ლეონარდოს კონსტრუქციის „კარავი“ მოსძვრა და მიწამდე მაინც თანამედროვე, სათადარიგო პარაშუტით დაეშვა.

*კალეიდოსკოპი №42*



# ცდუნება

## ნამდვილი ამბავი

ზოგჯერ რაიმე, თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო შემთხვევა, მაინც რაღაც საკვირველებას მოასწავებს...

კალოზე ურემი გადაბრუნდა.

კალო დატკეპნილი წრეა, სადაც გლეხკაცი ყევარი ხარით თავთავს ლეწდა, შემდეგ ხორბალს ილებდა და ბზე რჩებოდა.

მოგეხსენებათ, დღეს კალოობა დიდი ხანია აღარ არის.

...და აი, კალოზე ბზის ამოსატანად მისული ურემი უცბად ამობრუნდა. ეს მოხდა შიდა ქართლის ერთ-ერთ დიდსა და უძველეს სოფელ რუისში. როგორც ყველა ქართულ სოფელში, აქაც, კომბაინების შემოსვლამდე გლეხკაცი ყანას ნამგლით მკიდა და კალოზე ლეწდა. ჰქონდა გლეხს მამა-პაპათაგან მიღებული გამოცდილება, ცოდნა და ზნეობა...

მეორე მსოფლიო ომი გუგუნებდა და სოფელში ძაძებიანი ქალები და წვერმოშვებული კაცები მომრავლებულიყვნენ. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, სოფელი მაინც ფუსფუსებდა. მოხუცები, ქალები და გოგო-ბიჭობა არსებობისათვის წელებზე ფეხს იდგამდნენ.

ამ ბებერ რუისში სამი მეგობარი გლეხი ცხოვრობდა. სამივეს შვილები ომში ჰყავდათ და, ცხადია, მთელი გულისყური იქით მიემართათ, მაგრამ ხანდახან ურთიერთშეხუმრებას მაინც არ ივიწყებდნენ. სამივეს სოფელში მეტსახელებით იცნობდნენ: ნაღიაანთ ვანო, ნასყიდაანთ ზუკაკა და ჭალელა სამსონა. სამივენი უაღრესად პატიოსანი, მორწმუნე და ტრადიციული ქართული ზნეობის მატარებელი ადამიანები იყვნენ, კარგად იცოდნენ ცოდო-მადლი.

მათ სოფლის სკოლაც კი არ ენახათ, მაგრამ ბრწყინვალედ იცოდნენ მიწის ძალა და ყადრი. ერთი თვალის დაკვრით გეტყოდნენ, ნაკვეთის წიაღი ღონიერია თუ არა, პატივი აქვს მისაგები თუ დასვენება სჭირდება და სხვ.

ენკენისთვე მიწურული იყო. ლასტებაკრული საბზე ურემი კალოსკენ მიჭრიალებდა. კოფოზე ვანო წამომჯდარიყო, ზუკაკა უკან დასდგომოდა. ჭალელა რატომღაც მათ ვერ გამოჰყვა და ორივენი მისი გათათხვითა და დაცინვით იქცევდნენ თავს.

მეც ურემზე ვიყავი წამომჯდარი და ყურს ვუგდებდი მათ ხუმრობას, ხანდახან კი ღრმა ამოოხვრას.

ურემი ჭალელას ვენახის გვერდზე მიჭრიალებდა. ვენახიდან უკვე კარგად შეთვალული ყურძენი იხედებოდა. ძმაკაცებმა თვალი ვერ მოაშორეს მტევნებს, თან ჭალელაზე ბრაზობდნენ, საშველად როგორ არ გამოგვყვაო...

და უცებ:

— ბიჭო, ერთი, გადახტი. ე ჭალელას ყურძენი დაკრიფე და ამაიტანე, — მიბრძანეს ბერიკაცებმა. მეც რა მინდოდა მეტი. ჭალელას ვენახის ღობეს გადავევლე. ჩაშავებულ მოზრდილ მტევნებს ვგლეჯდი და უბეს ვივსებდი. თანაც ჩინურსა და ქიწნურას გემოს ვუსინჯავდი.

ბერიკაცებს ჭალელას ყურძენი მივართვი. ამასობაში კალოსაც მივადექით და... ანაზდად ურემი ისე ამოტრიალდა, რომ ურმის თვლები არც კი განძრეულა, იქავ დარჩა, ხოლო უღელში შებმული ხარები გაუნძრევლად იდგნენ.

მე სრულიად უვნებლად გადმოვხტი ძირს, ხოლო ბერიკაცები, ყურძნის მტევნებით ხელში, ამოტრიალებული ურმის ჭალებს შუა გაიჭედნენ.

მათ შემყურეს, თუ როგორ ცდილობდნენ ურმის ქვეშიდან გამოძვრომას, სიცილი ამიტყდა და ბიძაჩემის გინებაც დავიმსახურე — შე ვირიშვილო, ხელი მომაშველეო...

ორივენი რომ გამოძვრნენ, ერთმანეთს შეხედეს და ხარხარი აუტყდათ — ე რა მოგვივიდა, კიდევ კარგი, ჭალელა აქ არ არის, თორემა ნახე იმისი სიცილიო.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. ხშირად გამახსენდებოდა ხოლმე ეს ამბავი და ვერაფრით გამეგო, რა ძალამ ასწია და გადააბრუნა ბერიკაცებიანად ურემი გაპრიალებულ კალოზე.

*ნოდარ კოჭლაშვილი*

# ამო-მ ვერ შეუშალა ხელი მუსოლინის

დავიჯეროთ თუ არა მფრინავი თეფშების არსებობა?



მაგრამ როგორ ავხსნით, იმ ფაქტს, რომ მათ იმოქმედეს ბენიტო მუსოლინის გადაწყვეტილებაზე, არ ჩართულიყო მეორე მსოფლიო ომში. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ ფაშისტური პარტიის დოკუმენტებში ნათქვამია, რომ დუჩე სერიოზულად აღშფოთდა, როცა 1936 წელს იტალიის სამხედრო ბაზას (მესტრეს რაიონში) გადაუფრინეს ამოუცნობმა ობიექტებმა. სიგარის ფორმის გრძელმა „საჰაერო ტორპედომ“, რომელსაც გვერდებზე ილუმინატორები ჰქონდა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სამხედრო წრეებში. მუსოლინიმ საგანგებო ჯგუფი გამოყო, რომელსაც უნდა დაედგინა, ეკუთვნოდა თუ არა ფანტასტიკური ხომალდები მოკავშირე დაჯგუფებებს. დიქტატორი გამოტყდა, რომ თუ ძლიერი იარაღი მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდებოდა, მაშინ გადახედავდა თავის პოზიციებს ომში ჩართვასთან დაკავშირებით და ჰიტლერი იტალიელი ფაშისტების სახით მოკავშირეებს დაკარგავდა. როცა მუსოლინის მოახსენეს, რომ არც ინგლისს, არც ამერიკას, არც საფრანგეთს არ ეკუთვნოდა ის მფრინავი აპარატები, დამშვიდდა. იმ ვერსიამ, რომ შესაძლოა ხომალდები ეკუთვნოდა გარმიანელებს, დუჩე სრულიადაც არ აალელვა.

*პოსლედნიე ნოვოსტი №43*

# და აღსრულდა სასწაული



სიცილიელი მონაზონი კატარინა მძიმედ დაავადდა. ოპერაციის დროს ექიმებს სავსებით გადაუწყდათ იმედი პაციენტის გადარჩენისა. რამდენიმე დღეში კატარინა ჩონჩხად იქცა, ხელის აწევის თავიც აღარ ჰქონდა.

მაგრამ მოხდა სასწაული, რომელსაც აღელვების გარეშე ვერ ჰყვება მონაზონი.

— ჩემმა სულიერმა დებმა საავადმყოფოში იმ ზეწრის ნაჭერი მომიტანეს, რომელზეც თავის დროზე პაპი იოანე XXIII გარდაიცვალა. ნაჭერი მუცელზე დამადეს და ჰოსპიტლის სამლოცველოში წავიდნენ ჩემი გამოჯანმრთელების ლოცვის აღსავლენად. ფიქრით მეც მივმართე წმინდა ხატს. წამის შემდეგ ვიგრძენი, როგორ ავკანკალდი. თვალი რომ გავახილე, პაპი იოანე დავინახე. ნაოპერაციებ ადგილზე ხელი დამადო და მითხრა:

— დაო კატარინა, განიკურნები და ყველაფერი კარგად იქნება...

სამლოცველოდან დაბრუნებულ დებს კატარინა საწოლზე წამომჯდარი დახვდა, ტკივილები გაჰქრობოდა და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

როცა ექიმებმა ნაოპერაციები მუცლის ღრუ შეუმოწმეს, თვალს არ დაუჯერეს — აბსცესი გამქრალიყო!

ვატიკანის საბჭომ, რომელიც საუკეთესო ექიმებით იყო დაკომპლექტებული, დაასკვნა, რომ კატარინას განკურნება მეცნიერულად აუხსნელია. მათი აზრით, ეს მართლაც სასწაულია, რაც პაპ იოანე XXIII-ის წმინდანობას ადასტურებს.

*ტაინაია ვლასტ №21*



# ტყუპი

ტყუპი ძმა ჯიმი და დენი დაბადებისთანავე სხვადასხვა ოჯახმა იშვილა და ერთმანეთს მხოლოდ 39 წლის შემდეგ შეხვდნენ. ოჯახებმა, რომლებსაც ერთმანეთთან არავითარი საერთო არ ჰქონდათ, ბავშვებს ერთი და იგივე სახელი — ჯეიმსი დაარქვეს, ორივე გახდა იურისტი, თავისუფალ დროს ხატავდნენ, სკოლაში ვერ იტანდნენ მათემატიკასა და გრამატიკას. ორივე ერთი და იმავე მარკის სიგარეტს ეწეოდა, ორჯერ იქორწინეს, თანაც ორივეს პირველ ცოლს ერქვა ლინდა, მეორეს — ბეტი. ჰყავდათ თითო ვაჟი, სახელად ჯეიმსი. ორივეს ძაღლებს ერქვა ტოი, ეს არის მრავალთაგან ერთი მაგალითი ტყუპის მისტიკური კავშირისა.

ტყუპის დაბადება ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ფენომენია. უძველეს დროში არსებობდა ტყუპი ღმერთის კულტი: რომში — რომული და რემი, ეგვიპტეში — ოსირისი და იზიდა, ირანში — ორმუზდი და არიმანი, საბერძნეთში — აპოლონი და არტემიდა, რუსეთში — ტყუპი წმინდანი კოზმა და დამიანე... მრავალ ლიტერატურულ და კინემატოგრაფიულ სიუჟეტს უდევს საფუძვლად ტყუპების ამბავი. იოჰან სებასტიან ბახის მამა, იოჰან ამბროსიუსი და მისი ტყუპისცალი იოჰან ქრისტოფერი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს მეტყველებით, აზროვნებით, ორივე ერთდროულად ავადმყოფობდა, დაკვრის ერთნაირი მანერა ჰქონდათ...

ოპერის დირიჟორობისას ვოლფ და ვილი ჰანიცები ისე ცვლიდნენ ერთმანეთს ანტრაქტის დროს, რომ მაყურებელი ვერაფერს ხვდებოდა.

ინგლისელი გრეტა და ფრიდა ჩაპლინები წყლის ორი წვეთივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ისინი ყველაფერს ერთდროულად აკეთებდნენ. თუ წუთით დააშორებდნენ, უმალ იწყებდნენ ტირილს. ერთნაირად მოძრაობდნენ, იცვამდნენ ერთნაირ სამოსს, იკეთებდნენ ერთნაირ სამკაულს, ერთდროულად ხდებოდნენ ავად.

ინგლისელმა ტყუპმა ჯონ და მაიკლ ეტკინსებმა, შვებულების დროს, ალპების სხვადასხვა ადგილას ზუსტად ერთსა და იმავე დროს მოიტეხეს ფეხი.

ცნობილი ევროპელი შოუ-ვარსკვლავები ელენ და ელიოს კესლერები ერთდროულად გახდნენ ავად ფილტვების ანთებით, ერთდროულად ასტკივდათ ერთი და იგივე კბილი.

მეცნიერები ცდილობენ, სერიოზულად შეისწავლონ ტყუპის ფენომენი.

ტყუპისცალები ერთმანეთს არა მარტო გარეგნულად ჰგვანან, არამედ სავსებით ერთნაირი ელექტრომაგნიტური თვისებები აქვთ. მათ შორის არსებობს ბიოლოგიური კავშირი, რომელსაც იყენებენ მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში.

*ტვ პარკი №43*

# უცნაური მეგობრობა

გველი უძველესი დროიდან ითვლება სიბრძნის სიმბოლოდ. ეს იდუმალი, მომწუსხველი არსება ყოველთვის თავზარს სცემდა ადამიანს. მასთან უამრავი თქმულებაა დაკავშირებული.

გველი მეგობრადაც მოიხსენიება და მტრადაც.

მინდა გიამბოთ რამდენიმე ამბავი, რომელიც ჩემს ახლობლებს გადახდათ.

ძველთაგან თქმულა, გველმა წყევლა და შურისძიება იცისო.

მეგობარი მყავდა ერთი, ბერდო, საოცრად ნიჭიერი და ჭკვიანი ყმაწვილი. მეოთხე თუ მეხუთე კურსზე სწავლობდა, როცა მისმა ოჯახმა ახალი სახლის აშენება წამოიწყო. დაშალეს ძველი და ერთ-ერთი ბურჯიდან ვეებერთელა ჭრელი უხსენებელი გამოსრიალდა ენის სავსავით. ყველა დაფრთხა. ატყდა წიოკი. ბერდომ ჭიგოს დასტაცა ხელი და მცურავს მოუნაცვლა. ჩოჩქოლზე მოხუცმა მეზობელმა შემოაღო ჭიშკარი. დანანებით დახედა ქვეწარმავალს და თქვა, — ეს ხომ ფუძის გველი იყო, როგორ ახლეთ ხელიო.

გავიდა დრო. ის სახლიც აშენდა, მაგრამ ბედნიერებამ ზურგი შეაქცია ოჯახს — ბერდოს შავნაღვლიანობა დაეწყო და ბოლოს შინაც ჩაიკეტა...

ერთი თანამშრომელი მყავდა — ნენე. კეთილი, წყნარი გოგო იყო. ერთხელ შინ მიმავალს ქუჩაში თავშეყრილი შეშფოთებული ხალხი დაუნახავს, რაღაცას დასჩერებოდნენ და თან ყვიროდნენ — არ გაუშვათ, მოკალითო. ნენეს ცნობისმოყვარეობამ სძლია თურმე და ბრბოს მიუახლოვდა. პატარა, ჭრელი გველის წიწილი ამაოდ ცდილობდა გასხლტომოდა ხალხს. ნენეს შებრალებია ქვეწარმავალი. ხელში აუყვანია — არ მოგაკვლევინებთო და შინ წაუყვანია.

მართალია, ჩვენ ფეხი ამოვიკვეთეთ ნენეს სახლიდან, მაგრამ სამსახურში ყოველდღე გვიყვებოდა თავისი „შვილობილის“ ამბებს. ის პაწია წიწილი ერთ წელიწადში კაი მსხვილი გველი დადგა. ოთახებში თავისუფლად დასრიალებდა, თუ ნენე იჯდა, კალთაში ჩაუძვრებოდა, ხან ყელზე ეხვეოდა. ნენე ათას ამბავს უყვებოდა ბუცას (ასე დაარქვა!), სიმღერებს ასმენინებდა...

ერთხელ, როცა ნენე შინ არ იყო, ქურდებმა მოინახულეს მისი ბინა. თქვენვე წარმოიდგენთ, რა დაემართებოდათ საცოდავ ქურდბაცაცებს, კარის გაღებისთანავე განრისხებული, კუდზე შემდგარი ქვეწარმავალი რომ შეეფეთებოდათ.

ასე გადიოდა წლები. ნენეს ორი კვირით მივლინებაში წასვლა მოუხდა. წასვლის წინ მიეფერა — არ ინერვიულო, მე ორ კვირაში დავბრუნდებიო. მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთი დღით დაიგვიანა ჩამოსვლა — ბუცას ნენეს საწოლთან მოეკლა თავი...

სტუდენტობისას ფოლკლორულ ექსპედიციაში ვიყავით ფშავში. ერთ ოჯახში კედელზე გველის პერანგი შევნიშნე. ცოტა არ იყოს, შევკრთი. მასპინძელმა დამამშვიდა, — რაის გეშინის, ჭიაიაო და მიამბო: „ამ პერანგის პატრონი ძალიან შეეჩვია სამზარეულოს, სადაც ჩემი ვაჟი მუშაობდა. ისიც რძეს დაუდგამდა. ერთხელ სამზარეულოში შესულს ფეხებზე შემოეხვია. ამასობაში ქურის თავზე ჭერი ჩამოიქცა. იქ კი წუთის შემდეგ ჩემი შვილი უნდა დამდგარიყო...“

*ანა ქაძე, თბილისი*

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ანდაზვორდი

**თარაზულად:** 1. დასცინი; 4. ცხენი; 6. გზა; 7. ჭინჭარი; 10. სახელი; 13. ძეხვსაო; 14. გვარზე; 15. ზნეს.

**შვეულად:** 1. დანა; 2. ცოცხი; 3. ქარივე; 5. ამხანაგი; 6. გული; 8. აკლიაო; 9. ჩასძახებ; 11. შვილი; 12. თევზი.

II. რებუსი

თაგვმა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო.

III. ტესტი

1. ხაფანგი; 2. ტელევიზორი; 3. საათი; 4. ლიმონი; 5. ეკალი; 6. ბორჯომი; 7. მტრედი.

IV. კენგურუ.

V. „ივი“.

VI. ბრონეული.

# ქართულ მხარეს დააკლდება მსუყე ლუკმები, უცხოელები გასაჩუმებლად რომ უდებენ პირში...

## თოფაძეების გვარის კაცებს შეძლებული ოჯახები ჰქონიათ ოდითგანვე



ამას წინათ, როცა დავუკავშირდი და ინტერვიუზე შეთანხმება დავაპირე, მითხრა: ხვალ, სანაპიროზე, ჩემი ახალი ოფისის პრეზენტაცია მაქვს, იქ მობრძანდით და მოვილაპარაკოთო.

25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი სანაპიროზე (ლუდის ქარხანასთან).

არავითარი საშვი და სია, არავითარი მოსაწვევი. იქ მისულს ყველას განურჩევლად ეპატიჟებოდნენ და ღიმილით ზედა სართულებისკენ უთითებდნენ.

სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ. აქ იყვნენ თითქმის ყველა ფრაქციისა და პარტიის წევრები (მხედველობაში თუ არ მივიღებთ „პირველს“ და მის გარშემო შემოკრებილ რამდენიმე ერთგულ კაცს). თავად ბატონი გოგის მისაღებს ერთი წარწერა ამშვენებდა: „თავმჯდომარე“, კაბინეტის შესასვლელთან კი უბრალოდ — გოგი თოფაძე. თვალი მივადევნე ბატონ გოგის, რომელმაც სტუმართა ერთი ჯგუფი წარწერასთან შეაჩერა („თავმჯდომარე“ — მ.ბ.) და ღიმილით, ხელით მიანიშნა მასზე: იმედია, ზოგიერთებს ეს სახელი არ გააღიზიანებს. მათი თვალი და ყური ხომ მიჩვეულია ამ სიტყვასო.

ბოლოს, ყველა სტუმარი უხვად გაშლილ ორ სუფრასთან შეგროვდა, — სასმელების მაგიდაზე საკმაოდ ფართო ასორტიმენტი იყო წარმოდგენილი: ცივი ჩაი ატმით, ლიმონით, ჟოლოთი და ვაშლით, ასევე ბოლო დროს გამოშვებული მწვანე ჩაი, ლუდი „ყაზბეგის“ სხვადასხვა ვარიანტი, წითელი და თეთრი ღვინო, „ყაზბეგური“ ბრენდი...

ჩვენი გაზეთის „პაპარაცი“ ფიგაროსავით ხან „აქ“, ხან „იქ“ დაქროდა, „პაპარაცული მომენტების“ გამო აღფრთოვანებას ვერ მალავდა, „აუ, ნახე, რა ტიპები არიან“ — იძახდა და პოლიტიკოსებს განუწყვეტლივ უღებდა სურათებს... სტუმრები სულ მალე შეზარხოშდნენ და სადღეგრძელოებს ხშირ-ხშირად აბოლოებდნენ ხმამაღალი შეძახილით: „გაუმარ...ჯოს... არ ვარგა!.. გაუმარჯოს!..“

მივხვდი, ინტერვიუ ვერ შედგებოდა... მეორე დღეს, სტუმრებისგან დაცლილ ოფისში მივედი. ლოდინი მომიხდა, რადგან „თავმჯდომარე“ ჯერ არ მოსულიყო. თოფაძის მომხიბვლელმა მდივანმა ნინომ ტელეფონით შეახსენა ჩემი მისვლა. ბატონი გოგი ათ წუთში მოვიდა და ბოდიშით შემიძღვა დახვეწილი გემოვნებით მორთულ კაბინეტში.

გაფრთხილებული ვიყავი, თოფაძეს პირადულზე ლაპარაკი არ უყვარს, ამიტომ რაღაცნაირად უნდა „შეაპარო“ კითხვებიო... მეც „შევაპარე“ და ჩემდა გასაკვირად, საათივით აწყობილ სადღეისო ცხოვრებაზე უფრო მეტად მძიმე, მაგრამ მაინც კარგად გასახსენებელ წარსულზე უფრო დიდხანს შეაჩერა ყურადღება. თუმცა ვისთვის როგორ! ბატონ გოგის იმდენი თავსმოხვეული პრობლემა აქვს, რომ ამბობს: მავანთ ისე შემაჩვიეს ხელოვნურ ბარიერებს, ველარც კი წარმომიდგენია მის გარეშე არსებობაო. ეს ხუმრობით! თუმცა, თავიდან დავიწყოთ:

**— ბატონო გოგი, თუ რომელიმე კითხვაზე პასუხის გაცემა არ გენდომებათ, მითხარით და შემდეგზე გადავალ. ამ ძალდაუტანებლობის სრულ უფლებას ინტერვიუს ტრადიციული რუბრიკა „შტრიხები საკუთარი პორტრეტისთვის“ გვაძლევს.**

— დიდი მადლობა შეღავათისთვის, მაგრამ მაინც ვეცდები, ყველა კითხვაზე გიპასუხოთ. ისე, ნახევარ საათში თუ „ჩავეტევით“, კარგია, რადგან ძალიან მძიმე დღე მაქვს.

*თვითონაც ვხედავ, რომ მოუცლელია. მდივანი მომსვლელთა სიას აცნობს. თოფაძე კი ამბობს, — დაახლოებით ორმოც წუთში გავთავისუფლდებიო, მერე კვლავ ჩემთან აზუსტებს დროს — არა? ვიცი, რომ პორტრეტის შესაქმნელად 30-40 წუთი მიზერულია და არასაკმარისი. დარწმუნებული ვარ, საუბრისას რესპონდენტს თავად დაავიწყდება განსაზღვრული ვადა, ამიტომაც პირდაპირ საქმეზე გადავდივარ.*

**— როგორი ბავშვობა გქონდათ?**

— რომანტიკული ბავშვობა არ მქონია, რადგან რეპრესირებული ოჯახის შვილი ვიყავი და მოგეხსენებათ, იმ წლებში როგორ აღიქვამდნენ „სოციალისტური ქვეყნის ღალატს“. მამაჩემიც დააპატიმრეს და 6 წლით გადაასახლეს, ხოლო მამიდაჩემმა 18 წელი დაყო გადასახლებაში (მაგადანში). მან პეტერბურგში დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი და ერთ-ერთი პოლიტიკური აქციის დროს დააპატიმრეს. ძალიან გვიჭირდა. დედაჩემი გვინახავდა ყველას. თბილისის ახლომდებარე რაიონში მუშაობდა პედიატრად და სოფლის ხალხი დიდ პატივს სცემდა. მამის შესახებ შევიტყვეთ, ცოცხალი არისო, ხოლო მამიდაზე კარგა ხანს არაფერი ვიცოდით. ძალიან დიდი ხნის შემდეგ საკმაოდ „ორიგინალური“ სახით მივიღეთ „ცნობა“. ეტყობა, მამიდა ხშირად გადაჰყავდათ კოლონიიდან კოლონიაში. ერთხელაც, ასეთი გადაადგილებისას ასანთის კოლოფზე დაეწერა ჩვენი ვინაობა, მისამართი და ასეთი რამ: „თუ ამას აიღებს ვინმე ღვთისნიერი, მას შევთხოვ, რომ გადააგზავნოს მინიშნებულ მისამართზე“. ჰოდა, ვიღაც ღვთისნიერმა ჩადო ასანთის კოლოფი საფოსტო კონვერტში და ერთი ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივად გაგვითენა. იცით, რა მახსოვს ცხადად? ბებიაჩემის უზომოდ გახარებული სახე. არ იცოდა, ეტირა თუ ეცინა. სხვათა შორის, მამაჩემის დედა ეროვნებით გერმანელი იყო, გვარად ვენცელი, საოცრად ლამაზი და განათლებული ქალი. ხშირად შვილიშვილებს გერმანულად გველაპარაკებოდა. ძალიან უნდოდა, ეს ენა კარგად გვცოდნოდა. სულ გვეუბნებოდა, — გამოგადგებათო. ჰო, იმას ვამბობდი. როცა მამიდის ამბავი გავიგეთ, ბებომ მაშინვე გაყიდა ფორტეპიანო. მიუხედავად დედაჩემის უარისა, თავისი გაიტანა. მას მიაჩნდა, რომ შვილებიდან ყველაზე მეტად მამიდაჩემს უჭირდა, ამიტომაც მის გვერდით უნდა ყოფილიყო. შორეულ მაგადანში იცხოვრა ქალიშვილთან ერთად მის გათავისუფლებამდე. დღემდე მაცვიფრებს მისი თავგანწირვა. იმ დროს ბევრი ვერ მიდიოდა ასეთ რისკზე.

**— როგორც ვიცი, თოფაძეების ფესვები ხევშია (ყაზბეგის რაიონში). სად გაიცნო ბაბუათქვენმა გერმანელი ქალი?**

— ჩვენი გვარი ოდითგან მისდევდა სამეწარმეო საქმეს. ჩემი დიდი პაპა ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო საკონსერვო მრეწველობისა. თოფაძეების გვარის კაცებს შეძლებული ოჯახები ჰქონდათ. 1921 წელს, მიზეზთა გამო, ბაბუაჩემს იქ აღარ დაედგომებოდა და თბილისში გადმოსახლდა. სწორედ თბილისში გაიცნო ბებია, რომელმაც გათხოვებიდან ერთ თვეში კარგად ისწავლა ქართული და მოხევურ ხინკალსა და ხაბიძგინას მოხევეზე ნაკლებად არ აკეთებდა.

**— თქვენზე რას იტყვით?**

— მე რა? ბავშვობაში ქუჩაშიც ხშირად ვყოფილვარ, მიჩხუბია და ყომარიც მითამაშია. ვსწავლობდი ჯერ 49-ე ვაჟთა სკოლაში, შემდეგ გადავედი 51-ე საშუალო სკოლაში. დინჯი მოსწავლე არ ვყოფილვარ, შატალოებზეც დავდიოდი, ორჯერ გამრიცხეს კიდეც სკოლიდან, თუმცა მერე, ყველას გასაოცრად, ოქროს მედლით დავამთავრე.

**— ალბათ ვერც პირველ სიყვარულს უარყოფთ!**

— ამის უარყოფა როგორ შეიძლება? გინდათ მოგიყვეთ?

**— რა თქმა უნდა!**

— ჩემი სახლის ეზო კიროვის ბაღში მდებარე საკალათბურთო მოედანს ემიჯნებოდა. სწორედ ჩემი ეზოდან დავზვერე ერთი მაღალფეხება გოგო, რომელიც ყოველდღე დადიოდა ვარჯიშზე. მას ნელი ერქვა. ჩვენ, ორივენი, ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი წლისანი ვიყავით. მაშინ მიმაჩნდა, რომ ეს იყო ყველაფრის წამლეკავი გრძნობა... დღევანდელი გადასახედიდან იმ გრძნობას უკვე გატაცება ჰქვია, თუმცა ძალიან დიდი. მე მას სიყვარული ავუხსენი. ეტყობა, მასაც მოვეწონე, რადგან ჩემს წინადადებაზე — სადმე გაგვესეირნა, — უარი არ უთქვამს.

აქ ბატონ გოგის ეღიმება და ჩემს შემდეგ კითხვას ასწრებს, — თუ ღმერთი გწამთ, ახლა ის არ მკითხოთ, მერე რა მოხდაო.

**— არა, სხვა ფორმით შეგეკითხებით. დიდხანს გაგრძელდა თქვენი პირველი სიყვარული?**

— დაახლოებით 5-6 თვეს. მერე რატომღაც დავშორდით.

**— იმ სიყვარულს როგორღა შეხვდით, რომელმაც ოჯახი შეგაქმნევინათ?**

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი კვების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მერე წავედი მოსკოვში, დავამთავრე ასპირანტურა და რუსეთში დავიცავი დისერტაცია. როცა თბილისში დავბრუნდი, მუშაობა კვლავ კვლევით ინსტიტუტში გავაგრძელე. იქ მყავდა ერთი ლაბორანტი, რომელთანაც ხშირად დადიოდნენ მისი მეგობრები. აი, სწორედ იმ მეგობართაგან ერთ-ერთი ძალიან მომეწონა, მერე კი შემიყვარდა. მარინა ბეჟანიშვილი ჩემი მეუღლე გახდა, რომელთანაც დღემდე მარტო ოჯახური მოვალეობა კი არა, დიდი სიყვარულიც მაკავშირებს. მარინა თავიდან ვერ ეგუებოდა ჩემს „გარეთ“ ყოფნას, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მისი ქმარი საქმიანი კაცია, ამიტომაც შინ ვერ დაჯდება. ასე რომ, შეეჩვია ჩემი სამსახურის „სპეციფიკურობას“. მარინა ინგლისური ენის სპეციალისტია და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. უკვე ბებიაა... მე კი — ბაბუა. გვყავს ოთხი შვილიშვილი: ორი გოგონა და ორი ბიჭი.

**— რას იტყვით მეგობრებზე?**

— დიდი და ძლიერი სამეგობრო წრე მყავს. ჩემთან არიან ბავშვობის, მოწაფეობის, ინსტიტუტის და სამსახურის მეგობრები.

**— მაინც ყველაზე საიმედო რომელია?**

— ყველაზე საიმედო და ულალატო ბავშვობის მეგობრები არიან.

**— როდიდან იწყება თქვენი სამეწარმეო საქმიანობა?**

— 1969-79 წლებში საპნის ქარხნის დირექტორი ვიყავი. ლუდის საქმე ჯერ კიდევ 1975 წელს დავიწყე... დღეს უკვე 38 საწარმო გვაქვს. მომწონს ახალწამოწყებული საქმეც — შამპუნის გამოშვება, რომელშიც გოგირდის წყალთან ერთად სხვადასხვა სასარგებლო ეთერზეთს ვურევთ.

**— წელს, ზაფხულის ცხელ თვეებში, რამდენჯერმე შევხვდი მენაყინე ქალებს, რომლებიც ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: თოფაძის ნაყინი, თოფაძის ნაყინი!.. მაშინ გამიკვირდა, მაგრამ თქვენ იმდენი რამე ჩამომითვალეთ, სულაც აღარ გავიოცებ, თუ მეტყვით, ნაყინსაც ვუშვებო.**

— არა, ნაყინი ჯერ არ გამოგვიშვია. ვნახოთ, მომავალში შეიძლება ნაყინიც ვცადოთ!

**— თქვენს დედმამიშვილებზე რას გაიხსენებთ?**

— მყავდა ერთი და — ნანა, საოცრად ლამაზი და კარგი გოგო. ის დღეს აღარ არის ცოცხალი. მყავდა ძმასავით შეზრდილი ბიძაშვილი — თამაზ თოფაძე, რომელიც მოსკოვში მოკლეს 4 წლის წინ. იგი დიდი ფირმის პრეზიდენტი იყო და ალბათ ბევრი მოშურნე და მტერი ჰყავდა.

**— თქვენი და ჩვენი სახელოვანი მწერლის ოთარ ჭილაძის მეუღლე ყოფილა...**

— დიახ. ოთარი ძალიან მიყვარს. მე მას სიძეს არ ვეძახი. ის ჩემი ძმაა. მისნაირი პრინციპული და საღად მოაზროვნე ბევრი რომ გვყავდეს, აუცილებლად რაღაც გვეშველებოდა.

**— ახლა რა გვეშველება? ქართველი კაცისა რა გაღიზიანებთ?**

— ძალიან უნდილები და ხელჩაქნეულები გახდნენ. ეს ადრე არ გვახასიათებდა. ალბათ გაჭირვებულმა ცხოვრებამ მოიტანა ესეც. პირადად მე ვერ ვეგუები მდორე დინებას, ადამიანის ცხვრად გადაქცევას და „სულერთია“ ან „მაინც არაფერი გამოდის“ განწყობის დამკვიდრებას. თუ კაცი ხარ, თანაც ქართველი, უნდა იბრძოლო უკეთესობისთვის.

**— თქვენ შეგწევთ ძალა, რომ იბრძოლოთ. ჩვეულებრივ ადამიანს კი დეპრესია იპყრობს, რადგან ყველგან ფული ან ძლიერი ნათესავია საჭირო.**

— კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ იმასაც არა აქვს გამართლება, რომ კაცმა გამოაცხადოს, დეპრესიაში ვარ და თანამიგრძნეთო.

**— ბატონო გოგი, დღეს თბილისი და მთლიანად საქართველო ერთ დიდ სავაჭრო „უბნად“ იქცა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართველს ვაჭრობა უფრო ეხერხება, ვიდრე კომერსანტობა?**

— ერთი წუთითაც ვერ დავუშვებ ამ ფიქრს, ვინაიდან, ვაჭრობა ცხოვრების უკიდურესმა დონემ მოიტანა, კომერსანტებს კი ათასნაირ ბარიერს უქმნიან, რომ წინ ვერ გადადგან ნაბიჯი. განა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმარისი არ არის სარაჯიშვილის, ლაღიძის, გრძელიძის, ნიკო ნიკოლაძის ხსენება, რომ ვაღიაროთ: ქართველი ბუნებით დიახაც მეწარმეა... მეწარმე და მიწათმოქმედი. იმ „დებულებასაც“ ვერ ვეგუები, როცა ამბობენ, ქართველი ზარმაციაო. სიზარმაცე რომ ფესვებიდან მოგვდგამდეს, ჩვენი მამა-პაპანი რატომ აირჩევდნენ მოსაყვანად ისეთ რთულ კულტურას, როგორიცაა ვაზი, ჩაი, ციტრუსი...

**— და მაინც, რას გერჩით „კასტელი“?**

— ის კი არა, მე ვერჩი უკვე (ეღიმება). იცით, რა არის საინტერესო? „კასტელის“ წარმომადგენლობა წარამარა შევარდნაძესთან რომ გარბის და მისგან ელოდება შველას, რატომ? იმიტომ, რომ უცხოელი ინვესტორები დაჩვეულნი არიან ჩვენგან წაღებას და მაქსიმალურად გატანას. ინვესტიცია გულისხმობს ქვეყნის შიგნით „ფასეულობების“ დარჩენას და არა წაგლეჯას. თუკი უცხოელი ინვესტორისგან საქართველოს არაფერი დარჩა, რად გვჭირდება ისინი? მეტეხი-პალასში ხშირად აწყობენ ბრიფინგებს და „მავანნი“ „შეწუხებულნი“ არიან „ყაზბეგი-კასტელის“ გაუთავებელი დავით, თან „ბრძნული“ დასკვნები გამოაქვთ: არ გვაწყობს „კასტელის“ წაგება, რადგან მერე ყველა უცხოელი უარს იტყვის ინვესტიციების ჩადებაზეო... იცით, რა არ აწყობთ? რამდენიმეს ჯიბე საკმაოდ შემსუბუქდება და... მეტი არაფერი. კორუფციას უნდა ვებრძოლოთო, — ხმამაღლა რომ გაიძახიან, კორუფცია დაკანონებული აქვთ, იდეოლოგიაშიც კი კორუფცია დევს და როგორ უნდა „ებრძოლონ“? მე, „ურჩმა გადამხდელმა“, 8 მილიონი გადავიხადე, სად წავიდა ეს თანხა? გაიყიდა საქართველო. იმას გვიჩიჩინებენ, რომ ქართველობას არაფერი შეგვიძლია. არამც და არამც არ დაიჯეროთ ეს. კომერსანტობაც შეგვიძლია და ბიზნესიც, ტურიზმსაც დიდი პერსპექტივა აქვს ჩვენში. განა ჩვენი სიმდიდრეების გამოუყენებლობა დანაშაული არ არის? პრეზიდენტის პოლიტიკურ ამბიციებს შეეწირა საქართველო და ქვეყანა თავზე გვენგრევა. მე არ მეშინია ამ სიტყვების და კარგი იქნება, თქვენც თუ არ შეგეშინდებათ.

**— მიხეილ მაჭავარიანს როგორ შეაფასებთ?**

— მიშა ნიჭიერი და ჭკვიანი ბიჭია, მაგრამ მეცოდება, რადგან ბევრ დაბრკოლებას აწყდება.

**— სააკაშვილის პოლიტიკური მოწოდება ხომ კორუფციასთან ბრძოლაა; იმედი არ გაქვთ მისი?**

— იგი ახლახან დაინიშნა იუსტიციის მინისტრად და დაგვანახვოს, რაც შეუძლია. მაჭავარიანმა უკვე შეძლო რაღაცის გაკეთება, ვნახოთ, რას იზამს სააკაშვილი.

**— როგორ ფიქრობთ, „ყაზბეგი-კასტელის“ დავა ვის სასარგებლოდ დამთავრდება?**

— ჩვენ გავიმარჯვებთ. იმდენი დოკუმენტი და ზუსტი ინფორმაცია გვაქვს „კასტელზე“, რომ სასამართლო არბიტრაჟი ვერ უარყოფს. ეს „კასტელმაც“ კარგად იცის, იმიტომაც მოუხშირა შევარდნაძესთან სირბილს. როცა დავა მორჩება, ხმამაღლა, ყველას გასაგონად ვიტყვი ყველაფერს: თუ როგორ მოქსოვეს პარიზში ინტრიგების დიდი ქსელი, თუ რატომ ჩამოვიდა „კასტელის“ ადვოკატი, თუ რატომ უნდა ხელისუფლებას „ყაზბეგის“ კომპანიას რომ „სხვა“ ჩაენაცვლოს... მოკლედ, ყველას და ყველაფერს სახელს დავარქმევ. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის კონკრეტულად „ყაზბეგი-კასტელის“ დავა. ეს დავა ითვალისწინებს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უცხოელ ინვესტორთა გაბატონებას ჩვენს ქვეყანაში და საქართველოს სიმდიდრის მთლიანად მიტაცებას, ქართულ მხარეს დააკლდება მსუყე ლუკმები, უცხოელები გასაჩუმებლად რომ უდებენ პირში. ოქროს ინვესტორი ავსტრალიიდან რომ ჩამოიყვანეს, როგორ ფიქრობთ, ქართველებს გვრჩება ოქროს მცირე ნაწილი მაინც?

**— რას აპირებთ მომავალში?**

— ბრძოლის უნარი რომ არ მაკლია, ამას ყველა ხედავს. მე არ გავჩერდები. იმდენი რამ მაქვს გასაკეთებელი, სად მცალია სასამართლოში სირბილისათვის? ჩემს მიზნებს მაინც განვახორციელებ. ადამიანმა სამშობლოს სიყვარული იმით უნდა გამოხატოს, რომ „თავის წილ“ საქმეს ღირსეულად გაუძლვეს. მეც მინდა ჩემი „წილი საქმე“ ბოლომდე მივიყვანო.

**— საქმიან კაცს თავისუფალი დრო ნაკლებად რჩება... და მაინც თუ გამოჩნდა ასეთი დრო, რას ახმართ მას?**

— ძალიან მიყვარს ნადირობა და თხილამურებით სრიალი. ეს ორი რამ იმდენად მიტაცებს, რომ მაინც ვპოულობ ამისთვის დროს.

*კაბინეტში ერთ-ერთმა „მრეწველმა“ შემოიხედა. ბატონმა გოგიმ საათს დახედა და ალალად გაიკვირვა, — თურმე, ორი საათია, რაც ვსაუბრობთ, რა მალე გასულა დრო. გამეღიმა, რადგან ინტერვიუს დასაწყისში ასეც ვივარაუდე. კიდევ რამდენიმე კითხვა და ჩემი „ტყვეობიდან“ გაგათავისუფლებთ-მეთქი, — დავპირდი. თოფაძემ მოთმინებით სავსე ღიმილი მომაგება.*

**— თქვენს სტუმრებს (პრეზენტაციის დროს) ვკითხე, თუ ვის (ან რის) სადღეგრძელოს სვამენ ლუდით. საინტერესო პასუხები მივიღე. თქვენ რას იტყვით?**

— ეს უკუსადღეგრძელო, იცით, საიდან მოდის? ადრე, საქართველოში ლუდი არაფრად არ ვარგოდა და ცუდი, მდარე სასმლით მოიხსენიებდნენ ყველაზე ცუდ პიროვნებებს. იმედია, მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ და ვიტყვი, რომ „ყაზბეგის“ ლუდით აღარ უნდა დალიონ უვარგისების სადღეგრძელო, რადგან მოსალოდნელია, ხუმრობით ნათქვამი „ლოცვა-კურთხევა“ სულ „იმათ“ ჯანში წავიდეს. პირადად მე, სიამოვნებისთვის ვსვამ ლუდს.

**— რას აყოლებთ ხოლმე თქვენეურ ლუდს?**

— დასავლეთში ლუდთან ერთად ღორის ხორცს და შემწვარ კარტოფილს მიირთმევენ. ჩვენში უფრო „გამოყვანილი“ თევზის მიყოლება იციან. მე ვამჯობინებ ხინკალს და ქაბაბს, ეს ორი რამ განსაკუთრებით უხდება ლუდს.

**— ბატონო გოგი, ქართულ სუფრასთან ხშირად გამიგონია რიტორიკული სადღეგრძელო: იმას გაუმარჯოს, ვინც კაცობაში არ ჩაჭრილაო. თქვენ როგორ გესმით „კაცობა“?**

— კაცობა, უპირველესად, მყარი, თბილი ოჯახის შექმნაა, კარგი შვილების გაზრდა და ღირსეული მეუღლის ყოლა. მერეა ახლობლებთან (სანათესავოსა და საძმაკაცოსთან) ნაღდი და გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნება, საქმის ღრმა ცოდნით და პრინციპულობით კეთება. კაცობა — ფეხზე მყარად დგომაა. მერყევი კაცი არსად არ ვარგა — არც შინ და არც გარეთ.

**— ბატონო გოგი, „კვირის პალიტრის“ აქტიური მკითხველი ხართ?**

— დიახ. ძალიან აქტიურიც. თქვენს გაზეთში ობიექტურად შუქდება სიმართლე, მომწონს თქვენი სტილი...

**— რას გვისურვებდით?**

— სიმართლის გაუნელებელ სიყვარულს, პირდაპირობას და არატენდენციურობას. გაზეთი მაშინ არის პოპულარული, როცა სიმართლეს ამბობს. ჰოდა, არასოდეს მოგკლებოდეთ ეს პოპულარობა. ჩემს ხალხს კი გამძლეობას ვუსურვებ... ჩემი თხოვნაა — ნუ ჩაიქნევენ ხელს, ნუ გაჰყვებიან ცხოვრების მდორე დინებას. ცოცხალი ადამიანი მუდამ შემართული და ბრძოლისუნარიანი უნდა იყოს. ქართველობას შეუძლია ამ სამარცხვინო პერიოდის დაძლევა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# მიესაჯოს დაუსწრებლად

უგანდელი დიქტატორის, **იდი ამინის** სახელი ჩვენში თითქმის უცნობია, მაგრამ დასავლეთში იგი ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან თანამედროვე დიქტატორადაა მიჩნეული.

უგანდის ხელისუფლებაში იდი ამინი 1971 წელს მოვიდა და მეორე წელსვე გასცა განკარგულება, გაენადგურებინათ ან ქვეყნიდან გაესახლებინათ ყველა აზიატი. რამდენიმე თვის მანძილზე ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა. 1976 წელს კიდევ ერთხელ გახმაურდა მისი სახელი: სამხედრო პარადის დროს, ქვეყნის დედაქალაქ კამპალაში მასზე თავდასხმა განხორციელდა, რის გამოც ამინმა მთელი ქალაქის დასჯა გადაწყვიტა. რამდენიმე დღის მანძილზე იმყოფებოდა კამპალა მისი ჯარისკაცების განკარგულებაში — ისინი ძარცვავდნენ და კლავდნენ ყველას, ვისაც კი გადაეყრებოდნენ. იდი ამინის მმართველობისას მსხვერპლთა რაოდენობამ 300 ათას ადამიანს გადააჭარბა. აქედან 2 ათასი პირადად მან მოკლა.

სისასტიკე იდი ამინის ერთადერთი ნაკლი როდია. იგი ცნობილია, აგრეთვე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პატივმოყვარე ტირანი. არაერთი უგანდელი ჟურნალისტი და ჩინოვნიკი გამოასალმეს სიცოცხლეს მხოლოდ იმისთვის, რომ მათ შეცდომა დაუშვეს პრეზიდენტის სრული ტიტულის გამოყენებისას: „მისი აღმატებულება მუდმივი პრეზიდენტი, ფელდმარშალი ჰაჯი, დოქტორი იდი ამინ დადა, „ვიქტორიას ჯვრის", „დამსახურებათა ორდენის", „სამხედრო ჯვრის"კავალერი, მინის ყველა ნადირთა და ზღვის ყველა თევზთა მბრძანებელი, შოტლანდიის უკანასკნელი მეფე(?), ბრიტანეთის იმპერიასთან ბრძოლაში გამარჯვებული მთელ აფრიკასა და უგანდაში ნანილობრივ". სხვათა შორის, ბრიტანული ორდენი „ვიქტორიას ჯვარი", რომელსაც იგი დღემდე ატარებს, საგანგებო დაკვეთით დამზადდა: ჰერალდიკური ლომის თავი თავად ამინის პორტრეტით შეიცვალა.



მენგისტუ ჰაილე მარიამი

1979 წელს ამინი შეეცადა უგანდის ტერიტორიის გაზრდას და თავს დაესხა მეზობელ ტანზანიას. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მას აუჯანყდა საკუთარი შეიარაღებული ძალები, რომლებმაც ტანზანიელ მებრძოლებთან ერთად ხელთ იგდეს ქვეყანაში ძალაუფლება. იდი ამინი გაიქცა ლიბიაში, საიდანაც საუდის არაბეთში გადავიდა.

ამჟამად იგი ჯიდაში (საუდის არაბეთი) ცხოვრობს. არაბული სამყაროს წინაშე დამსახურებისათვის (თავის დროზე ამინი იყო ერთ-ერთი მთავარი სპონსორი პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციისა ისრაელთან ბრძოლაში) მან სამეფო ოჯახის პირადი სტუმრის სტატუსი მიიღო, აგრეთვე პენსია, რომლის რაოდენობაც გასაიდუმლოებულია. ერთადერთი, რაშიც ზღუდავენ ამინს, ეს არის თავისუფალი გადაადგილება. მას ეკრძალება ჯიდას საზღვრების დატოვება.

• • •

პოლკოვნიკი **მენგისტუ ჰაილე მარიამი** ეთიოპიას 17 წელი მართავდა. 1974 წელს იგი სათავეში ჩაუდგა სამხედრო ხუნტას, რომელმაც ჩამოაგდო იმპერატორი ჰაილე სელასიე II და პირადად გასცა მონარქის მოკვლის ბრძანება. მკვლელობას საიდუმლოდ ინახავდნენ: შეთქმულები შიშობდნენ, რომ ხალხის საყვარელი იმპერატორის, მეორე მსოფლიო ომის გმირის მკვლელობა ნამდვილ აჯანყებას გამოიწვევდა. ამის შემდეგ, ასევე საიდუმლოდ მოკლეს ეთიოპიის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური. 1977 წელს მენგისტუმ მეორე გადატრიალება მოაწყო, გაანადგურა ყველა თავისი მოწინააღმდეგე ხუნტაში და ეთიოპიის აბსოლუტურ მბრძანებლად იქცა. მას უწოდებდნენ „შავ სტალინს". მენგისტუს რეჟიმის მსხვერპლად იქცა 3 მილიონი ადამიანი: დაახლოებით 100 ათასი დახვრიტეს, დანარჩენები კი ან კატორღაში დაიხოცნენ, ან კიდევ საშინელი შიმშილით, რაც მენგისტუს მიერ გატარებული კოლექტივიზაციით იყო პროვოცირებული — მას ხომ სოციალიზმის აშენება სურდა. ორი მილიონი ადამიანი გაიქცა ქვეყნიდან.

მენგისტუს რეჟიმი ემყარებოდა დახმარებას, რომელსაც მას სსრკ უწევდა. როცა 1991 წელს ეს დახმარება შეწყდა, ეთიოპიაში ძალაუფლება აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელთ. პოლკოვნიკი მენგისტუ ზიმბაბვეში გაიქცა. ზოგიერთი ცნობის თანახმად, გასული წლის ბოლოს იგი ფხენიანში გადავიდა, სადაც კიმ ჩენ ირის პირადი სტუმრის სტატუსით ცხოვრობს.

• • •

გენერალისიმუსი **ალფრედო სტრესნერი** პარაგვაის ხელისუფლებაში 1954 წელს მოვიდა და 35 წელი მართავდა ქვეყანას. მმართველობის პერიოდში ცნობილი იმით გახდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმსმელი დიქტატორის სახელი დაიმკვიდრა. ალფრედო სტრესნერი ხშირად იმეორებდა ხოლმე: „პარაგვაიში ფოთლებიც კი ჩემი ბრძანებით შრიალებენ".



იდი ამინი

1989 წელს, მორიგი სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს, მაგრამ მან ბრაზილიაში გაქცევა მოასწრო. მთელ მსოფლიოში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ბრაზილია პირველი მოთხოვნისთანავე გადასცემდა დიქტატორს ქვეყნის ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ამგვარი მოთხოვნა არავის წამოუყენებია. უფრო მეტიც, გენერალისიმუსი ბრაზილიიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა (ეხმარებოდა ფულით) თავისი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში.

81 წლის ალფრედო სტრესნერი კვლავ ბრაზილიაში ცხოვრობს თავისი ოჯახით. საინტერესოა, რომ ერთი წლის წინ, როცა პარაგვაიმ ბრაზილიას მოსთხოვა სხვა, აგრეთვე ჩამოგდებული პრეზიდენტის დაბრუნება, სტრესნერზე კრინტიც არავის დაუძრავს.

• • •

**იან დუგლას სმიტი** 15 წლის მანძილზე მართავდა სამხრეთ როდეზიას. ამასთან, სხვა დიქტატორთაგან განსხვავებით, იგი ხელისუფლებაში კანონიერი გზით მოვიდა — 1964 წელს არჩევნებში გაიმარჯვა. იმ დროისათვის ქვეყანა ჯერ კიდევ ბრიტანეთის კოლონია იყო. სმიტი პრემიერ-მინისტრი გახდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მან უარი თქვა შეესრულებინა ლონდონიდან მიღებული ბრძანება — გადაეცა ხელისუფლება შავკანიანი უმეტესობისათვის. სმიტმა გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მსგავსი კანონები, იმ განსხვავებით, რომ სიტყვა „აპარტეიდს" აქ არ ხმარობდნენ. მაგრამ არც ერთმა სახელმწიფომ, გარდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა, არ ცნო სამხრეთ როდეზიის დამოუკიდებლობა და მას კვლავ ბრიტანეთის კოლონიად მიიჩნევდნენ.

ქვეყანაში აფრიკელთა გამოსვლებს სისხლში ახშობდნენ: დაიღუპა 35 ათასი ადამიანი. 1979 წელს თვით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამაც შეუწყვიტა დახმარება სმიტის რეჟიმს და იგი [illegible] და, მოლაპარაკება დაეწყო შავკანიანებთან. დამოუკიდებლობის ცალმხრივი დეკლარაცია გაუქმდა. 1980 წელს სამხრეთ როდეზიას უკვე დიდმა ბრიტანეთმა მიანიჭა დამოუკიდებლობა და მას ზიმბაბვე უწოდეს. სმიტი არ დაუპატიმრებიათ, მეტიც, 1987 წლამდე ეკავა მას პარლამენტის წევრის პოსტი. ახლა იგი ცხოვრობს საკუთარ სახლში, ჰარარეს ფეშენებელურ რაიონში.



იან დუგლას სმიტი

• • •

**ალი ნასერ მუჰამედი**, იემენის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი, მსოფლიოში ცნობილი გახდა ჩამოგდებიდან რამდენიმე თვით ადრე. იემენის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელად იგი 1980 წელს დაინიშნა მოსკოვის დახმარებით. 1986 წლის 13 იანვარს მუჰამედმა პარტიის პოლიტბიუროს რიგგარეშე სხდომა მოიწვია. როცა შეიკრიბა ყველა, გარდა პრემიერ-მინისტრ ბაკრასი, რომელიც მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა, აღმოჩნდა, რომ თავად მუჰამედიც არ ესწრებოდა სხდომას. სამაგიეროდ, დარბაზში აღმოჩნდა რამდენიმე ათეული ავტომატით შეიარაღებული პირი, რომლებმაც 15 წუთში ამოხოცეს დარბაზში მყოფნი.

სასაკლაომ ქვეყანაში 12 დღიანი (თუმცა სისხლისმღვრელი) სამოქალაქო ომი გამოიწვია. ამ ომში 10 ათას კაცზე მეტი დაიღუპა. მუჰამედი დამარცხდა და სირიაში გაიქცა. იემენში ჩატარდა სასამართლო, რომელმაც მუჰამედს ქვეყნის ღალატსა და გენოციდში დასდო ბრალი და სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ ხელისუფლების ყველა მცდელობა, გადაეცათ ბრალდებული, ამაო გამოდგა. ალი ნასერი კვლავ ცხოვრობდა დამასში და ჰაფეზ ასადის პირადი სტუმრის სტატუსით სარგებლობდა. 1991 წელს კი, ჩრდილო და სამხრეთ იემენის გაერთიანების შემდეგ, მუჰამედი სამშობლოში დაბრუნდა — იგი ხელმძღვანელობს იემენის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტს.

*ვლასტი* **№32**

# დაქორწინებისას ვაქრობა „მოსულა"

ქორწინების კონტრაქტის ხსენებისას ყველას ჰოლივუდის ვარსკვლავთა ხმაურიანი განქორწინებები ახსენდება — ყოფილი მეუღლეები დიდი სკანდალით ცდილობენ მილიონების გაყოფას. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქონებრივ დამოკიდებულებაზე მეუღლეთა შეთანხმება სულაც არ არის XX საუკუნის მეორე ნახევრის იურისპრუდენციის დამსახურება.

საქორწინო კონტრაქტი — ეს გახლავთ ნებაყოფლობითი შეთანხმება, რომელსაც აფორმებენ დასაქორწინებელი (ან დაქორწინებული) წყვილები, რათა დააკანონონ და გაამაგრონ თავიანთი უფლებები ქონებაზე, რომელიც შეძენილია ქორწინებამდე ან მის შემდეგ. დიდი ხანია მიღებულია, განისაზღვროს შესაძლო კოლიზიები, რომელიც მოსალოდნელია წამოიჭრას ქორწინებისას ან მისი დარღვევის შემთხვევაში, ან მეუღლეთაგან ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგ. იუდეველები ძველი დროიდან უზრუნველყოფდნენ ცოლის უფლებას ქონებაზე მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში. ევროპაში მეორედ დაქორწინებულები ასევე ცდილობდნენ, წინასწარ განესაზღვრათ პირველი ქორწინებისას დაბადებული შვილების ქონებრივი უფლებები. არისტოკრატები კი პირველივე ქორწინებისას ცდილობდნენ ეკითხათ რჩევა თავიანთი ადვოკატებისთვის საგვარეულო ქონების განაწილების თაობაზე. საქორწინო კონტრაქტი დადეს თავის დროზე ნაპოლეონ ბონაპარტემ და მოცარტმა. XVII საუკუნის ბოლოს კი ვინმე ელისაბეთ ბიჩერმა ქორწინების კონტრაქტში ჩაწერა: „თუ ორი წლის მანძილზე არ მეყოლება თქვენგან შვილი, ქორწინება დარღვეულად ჩაითვლება".

## კანონი და მოდა

კონტრაქტების ბუმი დასავლეთში 80-იანი წლებიდან დაიწყო. მანამდე მთელი ქონება ავტომატურად გადადიოდა მასზე, ვის სახელზეც იგი იყო გაფორმებული, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნიუ-იორკის სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინება საქმიანი ურთიერთობის ფორმაცაა და დაგროვილი ქონების გაყოფისას ორივე მხარე თანაბარუფლებიანია. ქორწინებისადმი ამგვარი მიდგომა თანდათანობით საყოველთაო გახდა და მოქალაქეებმა საქორწინო კონტრაქტის გაფორმება დაიწყეს.

ამერიკაში, ჯერ კიდევ 25 წლის წინ, მოსახლეობის მხოლოდ 1% აფორმებდა ქორწინების კონტრაქტს. დღეს კი, როგორც ადვოკატები ამბობენ, ქორწინებათა 60% კონტრაქტის დადებით ხდება. სტატისტიკის თანახმად, შეთანხმებას უფრო ხშირად აფორმებენ ისეთი ქორწინების დროს, როცა [illegible] მდიდარი მამაკაცი მე-2 ან მე-3 ცოლად ირთავს ღარიბ ქალიშვილს და არ სურს თავისი ქონება გაუყოს მას. არის სხვა სიტუაციებიც, როცა დგება კონტრაქტის აუცილებლობა. დაქორწინების ასაკმა საგრძნობლად მოიმატა — ქორწინდებიან მაშინ, როცა საკუთრება ან უბრალოდ დანაზოგი აქვთ. გაიზარდა საქმიან ქალთა რაოდენობაც. ქალები არსებით როლს ასრულებენ ოჯახის ეკონომიკაში. ჩვენშიც და დასავლეთშიც 2-3 ქორწინებაზე 1 განქორწინება მოდის. შესაბამისად იზრდება მე-2 და მე-3 ქორწინებების რიცხვიც. ჩნდებიან ბავშვები, რომელთა უფლებებიც დაცული უნდა იქნეს მშობლების სურვილის შესაბამისად. ასე რომ, აშშ-სა და ევროპაში საქორწინო კონტრაქტი აღარ არის მხოლოდ „მდიდართა და ცნობილთა" პრივილეგია.

### ელიტარული საქორწინო კონტრაქტები

ყველაზე პროგრესული კონტრაქტი ეკუთვნით ჯონ კენედი-უმცროსს და ქეროლაინ ბისეტს. ალიმენტის რაოდენობას ერთად გატარებული წლების რაოდენობა განსაზღვრავდა: თუკი განქორწინება მოხდებოდა ოჯახური ცხოვრების 3 წლის მანძილზე, ქეროლაინი 1 მილიონ დოლარს მიიღებდა, 3-დან 10 წლამდე — 2 მილიონს, ხოლო თუკი ქორწინება 10 წლის შემდეგ დაირღვეოდა — 3 მილიონს.

ყველაზე ქარაფშუტული კონტრაქტი ეკუთვნის სტივენ სპილბერგს. 1985 წელს, როცა მან ცოლად შეირთო მსახიობი ემი ირვინგი, დიდი ყურადღება არ დაუთმო ფორმალურ მხარეს და კონტრაქტი, ადვოკატების გარეშე, უბრალოდ ქაღალდზე გაფორმდა. 4 წლის შემდეგ, როცა სპილბერგმა განქორწინება მოინდომა,



ბილ გეითსი და მელინდა ფრენჩი

ემიმ მოითხოვა კონტრაქტის გაუქმება, რადგან დოკუმენტის შედგენას არ ესწრებოდა მისი ადვოკატი. კონტრაქტი მართლაც გაუქმდა, რამაც ირვინგს მისცა საშუალება, პრეტენზია გამოეთქვა 4 წლის მანძილზე შეძენილი ქონების ნახევარზე. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ემი დათანხმდა, უარი ეთქვა თავის პრეტენზიებზე და სანაცვლოდ 100 მილიონი ნაღდი ფული მიეღო.

ყველაზე თავისუფალი კონტრაქტი დაიდო 1994 წელს ბილ გეითსსა და მელინდა ფრენჩს შორის. ჯერ კიდევ 1993 წელს გეითსმა საჯაროდ განაცხადა, რომ არ მოსთხოვს საცოლეს, ქორწინების კონტრაქტის გაფორმებას და კიდეც შეასრულა პირობა. ერთ-ერთი ჟურნალის ცნობით, კონტრაქტის დადებისას მოლაპარაკებაზე გეითსმა თავისი მეგობარი და კოლეგა სტივ ბალმერი გაგზავნა. კონტრაქტში სხვა წვრილმანთა შორის დაფიქსირებულია გეითსის უფლება, გაატაროს ყოფილ მეგობარ ქალთან წელიწადში ერთი უიქ-ენდი.

საქორწინო კონტრაქტის თანახმად, არისტოტელე ონასისმა ქორწინების დღეს თავისი მეუღლის, ჟაკლინ კენედის და მისი შვილების სახელზე ბანკში მილიონიანი ანგარიში გახსნა.

ბევრ ადამიანს [illegible] საქორწინო ხელშეკრულებები. შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ ერთი უპირატესობა არსებობს — თქვენ იმას მაინც შეიტყობთ, რას წარმოადგენს ადამიანი, რომელსაც უკავშირებთ ცხოვრებას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობენ წყვილები, რომლებისთვისაც აუცილებელიც კია საქორწინო კონტრაქტი. ამგვარ ადამიანებს განეკუთვნება ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი, რომელმაც ერთხელ თქვა: „კონტრაქტი ძალზე ულამაზოა, არარომანტიკული, უსიამოვნო, მაგრამ თუ შეძლებული კაცი ხარ და მას არ გააფორმებ, საგიჟეთში ყოფილხარ წასაყვანი".

*ვლასტი* **№31**

# ამერიკაში გადახდილმა მილიონებმა რუსეთამდე ვერ მიაღწია

133 წლის წინ, 1867 წლის 18 ოქტომბერს, 15 საათსა და 30 წუთზე, თვალცრემლიანმა რუსმა სამხედროებმა ამერიკას ალასკა გადასცეს.

სითხას კუნძულზე, მთავარმართებლის რეზიდენციის წინ მდებარე მოედანზე შეიკრიბნენ რუსი და ამერიკელი სამხედროები. რუს ჯარისკაცებს რუსეთის ესკადრონის უფროსი პეშჩუროვი მეთაურობდა, ამერიკელებს კი გენერალი ლოველ რუსი. აქვე იყო ალასკის უკანასკნელი გუბერნატორი თავადი მასკუტოვი. წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მეთაურმა პეშჩუროვმა ამერიკელ გენერალს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სრულიად რუსეთის იმპერატორის ბრძანებით გადმოგცემთ თქვენ, ამერიკის შეერთებული შტატების რწმუნებულს, მისი უდიდებულესობის მფლობელობაში არსებულ ამერიკის კონტინენტზე და მიმდებარე კუნძულებზე მდებარე მთელ ტერიტორიას, შტატების საკუთრებაში, თანახმად სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებისა". გაისმა ბრძანება და მოედანზე აღმართული ანძიდან რუსეთის დროშამ დაშვება იწყო. შუა გზაზე იგი გაჩერდა. რუსი მეზღვაური აძვრა ანძაზე და მოგლიჯა იგი, ხელიდან გაუსხლტა და დროშა დაეფინა რუსი ჯარისკაცების ხიშტებს. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

მეორე დღეს დაიწყო ამერიკის მოქალაქეობის მიღების პროცედურა, რაც ყოველგვარი გართულების გარეშე მიმდინარეობდა, მაგრამ 500 რუსი მცხოვრებიდან, მხოლოდ 15-მა მიიღო მოქალაქეობა.

ალასკა რუსეთმა 7,2 მილიონ (ოქროთი) დოლარად გაყიდა. ამით რუსეთის მთავრობა თავისი ფინანსური პრობლემების მოგვარებას და მტკიცე მოკავშირის შეძენას ვარაუდობდა, რადგან შორეული მიწების დასაცავად რუსეთს არც თანხები ჰქონდა და არც ფლოტი ჰყავდა. არადა, ამ ყიდვა-გაყიდვამ ორივე ქვეყნის მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვია. ამერიკელები თვლიდნენ, რომ ფული ქვეყანამ ყინულის გიგანტურ ლოდებში გადაიხადა. რუსებს კი არ სჯეროდათ, რომ ალასკა საბოლოოდ დაკარგეს. „ნუთუ მოინახა ხალხი, რომელმაც ჩვენი ამერიკული კოლონიების გაყიდვა სარფიან საქმედ ჩათვალა" — წერდა იმ დღეებში გაზეთი „გოლოსი".

მთელ ამ ამბავში ყველაზე დრამატული ის არის, რომ ალასკის გაყიდვაში აღებულმა თანხამ რუსეთამდე ვერ ჩააღწია. 7,2 მილიონი დოლარი ატანილ იქნა გემზე „ორკნეი", რომელმაც კურსი სანქტ-პეტერბურგისკენ აიღო. გემი ძვირფას ტვირთთან ერთად ჩაიძირა...

ამ გარიგებიდან ყველაზე მეტად ამერიკამ ისარგებლა. 36 წლის განმავლობაში მან ალასკის საბადოებიდან $360.000.000 ღირებულების მინერალი და სხვა წიაღისეული მოიპოვა. გარდა ამისა, განმტკიცდა შტატების გავლენა წყნარ ოკეანეში. რუსეთი კი, რომელიც ფიქრობდა, რომ ალასკის გაყიდვიდან აღებული ფულით ოდნავ მაინც მოითქვამდა სულს, ხელცარიელი დარჩა.

*სობესედნიკი* **№40**

# თანამედროვე ფეხბურთში რევოლუცია მზადდება

## ფიფას მხარდასაჭერად ევროსაბჭოსთან ბრძოლაში ბრიტანეთისა და გერმანიის ლიდერები გამოვიდნენ

მსოფლიო ფეხბურთში უდიდესი სკანდალი მწიფდება. ევროსაბჭოსა და ფიფას დაპირისპირება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და სავარაუდოა, რომ უახლოეს ორ თვეში მთელ სამყაროს საფეხბურთო რევოლუცია მოიცავს. გასულ ოთხშაბათს ამოიწურა ის ვადა, რომელიც ევროსაბჭომ ფიფასა და უეფას დაუთქვა. მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს: მას შემდეგ, რაც ევროპის საფეხბურთო ბაზარზე მოთამაშეთა ფასმა არნახულ ციფრებს მიაღწია, ევროპელმა კანონმდებლებმა ამ პროცესის შეჩერება გადაწყვიტეს და ფიფასა და უეფას ოფიციალურად განუცხადეს, რომ ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა, რომლის შემდეგაც „გაყიდულ“ მოთამაშეს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადამდე უფლება არა აქვს, დატოვოს კლუბი, ადამიანის უფლებების აშკარა დარღვევაა და ევროსაბჭოს მოქმედი კანონმდებლობით ისჯება. ფიფას მიუთითეს, მიელო სასწრაფო ზომები და 1 ნოემბრამდე ოფიციალურად გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება.



ბლატერი ევროსაბჭოს დაუპირისპირდა

უპირველესი საფეხბურთო ინსტანცია გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. სპორტში ოდნავ ჩახედული ადამიანიც კი მიხვდება, რომ ევროსაბჭოს პროექტი წამყვანი ევროპული კლუბებისათვის კატასტროფის ტოლფასია და შესაძლოა, დამღუპველიც აღმოჩნდეს. ამჯერად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფეხბურთელს, რომელსაც არ გასვლია კონტრაქტის ვადა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გუნდის გამოცვლა, თუ მის საფასურად მყიდველი, გამყიდველი მხარის მიერ დასახელებულ თანხას გადაიხდის. ევროსაბჭოს წესების თანახმად კი საბჭოს წევრი ქვეყნების ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია სამუშაო ადგილის შეცვლა. რასაკვირველია, კონტრაქტის დამრღვევი, ჯარიმის სახით იხდის გარკვეულ თანხას, თუმცა ეს თანხა სასაცილოა და სათქმელადაც კი არ ღირს იმ ფასებთან შედარებით, რომელსაც კლუბები იხდიან ახალ მოთამაშეთა შესაძენად.

ფიფა და უეფა ყოველმხრივ ცდილობდნენ, ევროსაბჭოს ფეხბურთისათვის განსაკუთრებული კომპრომისი დაეშვა და ფეხბურთელთა სამუშაო ე.წ. თავისუფალი პროფესიის (მხატვრები, ჟურნალისტები, ადვოკატები და ა.შ.) წარმომადგენელთა რანგში განეხილა, მაგრამ ამაოდ. ამჯერად საფეხბურთო ჩინოვნიკებმა სხვა გზას მიმართეს და გარკვეულ, თუმცა უმნიშვნელო დათმობაზე წავიდნენ. ფიფა და უეფა მოითხოვენ, აიკრძალოს ტრანსფერები მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი. მეორე პუნქტის თანახმად, კლუბებს მაინც შეეძლებათ კომპენსაციის მიღება, თუკი გაყიდულ ფეხბურთელს არ შესრულებია 23 წელი. ფიფას და უეფას ასევე სურთ, რომ გადასვლა-გადმოსვლა ხდებოდეს მხოლოდ წელიწადში ერთხელ (ფიფას დადგენილ ვადებში).

ახლავე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ფიფას მიერ გარკვეულ დათმობებზე წასვლისა, ევროსაბჭო ამ პროექტს არათუ მიიღებს, არამედ არც კი განიხილავს, ვინაიდან ფიფას მიერ წარდგენილ ახალ ვარიანტშიც თვალსაჩინოა ადამიანის შრომის უფლებების დარღვევა. რაც შეეხება ფეხბურთელთა გატოლებას ე.წ. თავისუფალი პროფესიის ადამიანებთან — ეს ვარიანტიც გამორიცხულია, ვინაიდან იგივე მხატვრებისაგან განსხვავებით, ფეხბურთელებს ოფიციალური ხელფასი აქვთ დაწესებული. ევროსაბჭოს წინადადების დასაცავად გამოვიდა ევროპის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციაც. ფეხბურთელთა პოზიცია სავსებით გასაგებია — ატეხილი სკანდალი კლუბებისთვის არის დამღუპველი, თორემ თავად მოთამაშეთათვის ახალი კანონი უკეთესიც კი გახლავთ, რადგან გუნდები მოთამაშეთა შენარჩუნების მიზნით, იძულებულნი გახდებიან, ფეხბურთელებს უზარმაზარი ხელფასები დაუნიშნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთამაშეებიც იმ კლუბს მიაშურებენ, სადაც მეტს გადაუხდიან — დაჭერითაც ვერავინ დაიჭერს.

ევროსაბჭოს ოფიციალური რეაქცია ფიფას პროექტის თაობაზე, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუმცა 99%-ით ნეგატიური იქნება. ერთადერთი, რამაც შეიძლება აიძულოს ევროპის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, გადაწყვეტილებაზე ხელი აიღოს, ის გახლავთ, რომ ამჟამად მოქმედი კანონების დასაცავად და ფიფას მხარდასაჭერად, ოფიციალურად გამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და გერმანიის კანცლერი გერხარდ შრედერი. თუმცა მათი მოსაზრებებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ევროსაბჭოს მხრიდან არავის მიუქცევია. ეს კი იმის ნიშანია, რომ თანამედროვე ფეხბურთში არნახული გადატრიალება მზადდება. მოსალოდნელი პროცესების მასშტაბების წარმოსადგენად ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელის არსენ ვენგერის სიტყვებიც საკმარისია: „ევროსაბჭომ მსოფლიო საკლუბო ფეხბურთი დასაღუპად გაწირა. რაღა აზრი აქვს გუნდის მწვრთნელობას, თუკი ჩემთვის საჭირო ფეხბურთელები, რომლებსაც წლობით ვამზადებ, შეიძლება, ერთ კვირაში გამექცნენ? — ეს ფეხბურთი კი არა, სისულელეა!“. ამ სიტყვების სისწორეში იოტისოდენა ეჭვსაც ვერ შეიტან. საფეხბურთო ჩინოვნიკებს თავიანთი სიმართლის გატანის იმედი აქვთ, თანამედროვე ფეხბურთი მხოლოდ სპორტი აღარ არის, მასში მილიარდობით დოლარი ტრიალებს. ევროპის მოწინავე ქვეყნების ლიდერების გამოსვლა კი იმის ნიშანია, რომ დიდი ფეხბურთის ინტერესებს, შესაძლოა, თავად ევროსაბჭოს კანონმდებლობაც კი ემსხვერპლოს.

# ესპანელი მსაჯები სხვებზე მეტს „შოულობენ“

ახალი სეზონის დაწყებასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა ესპანელ საფეხბურთო არბიტრთა შემოსავლები. აქამდე ერთი მატჩის მსაჯობის საფასურად მატჩის მთავარი არბიტრი დაახლოებით (₴) 1.400 იღებდა, ახლა ეს რიცხვი 2.100-მდე გაიზარდა. საშუალოდ წელიწადში არბიტრები 20 მატჩს მსაჯობენ, წელიწადში კი (₴) 45.000-მდე „აგროვებენ“, რაც ისეთი განვითარებული ქვეყნისთვისაც კი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, როგორიც ესპანეთია. თუმცა არბიტრთა შემოსავალი მხოლოდ ოფიციალური ჰონორარებით არ შემოისაზღვრება. „მაღალ ნიშანზე“ მსაჯობისათვის ხელფასს პრემიებიც ემატება. შედეგად, უმაღლესი კატეგორიის ესპანელ მსაჯებს წელიწადში დაახლოებით (₴) 60.000 „უგროვდებათ“, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპაში. შემდეგ მოდიან იტალიელი (₴ 50.000) და გერმანელი (₴ 45.000) არბიტრები. საინტერესოა, რომ ესპანელ არბიტრთა უმრავლესობისათვის მსაჯობა მეორე, დამატებითი პროფესიაა. ისინი მთელი კვირა სხვა სამსახურებში დადიან და ფეხბურთისათვის მხოლოდ შაბათ-კვირას „იცლიან“.



# ჩილავერტი „სტრასბურგში“ გადავიდა

პარაგვაის ეროვნული ნაკრების მეკარე, იქაური ფეხბურთის სიმბოლოდ ქცეული ხოსე ლუის ჩილავერტი, რომელიც აქამდე არგენტინულ „ველეს სარსფილდში“ გამოდიოდა, ევროპაში გადმობარგდა და ამიერიდან საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „სტრასბურგში“ ითამაშებს. კონტრაქტის ღირებულება 2,1 მილიონი დოლარია. ჩილავერტს, რომელიც ადრეც გამოდიოდა ევროპაში, სახელი არა მარტო კარგი მეკარეობით აქვს განთქმული — იგი პენალტებისა და საჯარიმო დარტყმების უბადლო შემსრულებელია და რამდენიმე ათეული გოლიც კი აქვს გატანილი. ასე რომ, კოლეგას ფრანგული კლუბების მეკარეებიც უნდა უფრთხოდნენ.

# ჟარდელს „გალათასარაის“ დატოვება სურს

ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა, რომელიც ამჟამად თურქულ „გალათასარაიში“ გამოდის, განაცხადა, რომ თურქული ფეხბურთი მის დონეს აღარ აკმაყოფილებს და პორტუგალიაში დაბრუნება სურს. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა ბომბარდირმა „პორტუში“ გამოსვლით გაითქვა სახელი. „თურქული ფეხბურთის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე მოველოდი. სიამოვნებით დავბრუნდებოდი პორტუგალიაში, ან ევროპის რომელიმე წამყვან ქვეყანას მივაშურებდი“, — განაცხადა ჟარდელმა. მის წინადადებას უმალ გამოეხმაურა ლისაბონის „ბენფიკა“ და ბრაზილიელს გარკვეული პირობებიც კი შესთავაზა, თუმცა თურქულმა კლუბმა ჯერ სასტიკი უარი განაცხადა ფორვარდის გაშვებაზე, შემდეგ კი ისეთი თანხა მოითხოვა, საეჭვოა, ჟარდელის სანაცვლოდ ვინმემ გადაიხადოს. „გალა“ 20 მილიონ ფუნტს ითხოვს, „ბენფიკა“ კი თითქმის ორჯერ ნაკლებს სთავაზობს.

# შვედი — ინგლისელთა ახალი წინამძღოლი

## სამშაბათს რომში ისტორიული კონტრაქტი გაფორმდა

31 ოქტომბერს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციასთან კონტრაქტი გააფორმა შვედმა სპეციალისტმა სვენ გორან ერიქსონმა. მიმდინარე წლის ივლისიდან იგი არა მარტო ინგლისის, არამედ ყველა მოწინავე ევროპული საფეხბურთო ქვეყნის პირველ უცხოელ მწვრთნელად დაინიშნება.

უცხოელის მიწვევა ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა თანამედროვე ფეხბურთში, თუმცა აქამდე ეს ეხებოდა მხოლოდ აზიის, აფრიკისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს, სადაც უბრალოდ არ მოიძებნებოდა ღირსეული სპეციალისტი ეროვნული ნაკრების ჩასაბარებლად. ერიქსონის კონტრაქტი კი ნამდვილად ისტორიულია, ვინაიდან ინგლისში ნაკრების მთავარ მწვრთნელად არათუ შვედის, არამედ უელსელის ან შოტლანდიელის მიწვევა უახლოეს წარსულშიც კი სრულიად გამორიცხული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ერიქსონის დანიშვნა ამ თანამდებობაზე კონსერვატორ ინგლისელთა ნაწილმა კატასტროფად აღიქვა, ხალხის უმრავლესობას მომხდარი ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია: „თუკი პრემიერლიგის კლუბების თითქმის ნახევარს უცხოელი სპეციალისტები წვრთნიან, რატომ არ შეიძლება, იგივე მოხდეს ნაკრებში?“ — ასეთია ინგლისელთა საერთო აზრი.



სიურპრიზად იქცა ის ფაქტიც, რომ მწვრთნელად დაინიშნა სწორედ ერიქსონი და არა რომელიმე სხვა უცხოელი. მას შემდეგ, რაც „უემბლიზე“ გერმანიასთან წაგების შემდეგ თანამდებობიდან გადადგა კევინ კიგანი, მის შესაძლო შემცვლელად, რამდენიმე ინგლისელთან ერთად, ასახელებდნენ ფრანგ არსენ ვენგერს, იტალიელ ჯან ლუკა ვიალის და ჰოლანდიელ იოჰან კრუიფს. 52 წლის სკანდინაველის კანდიდატურა მაშინ არ ფიგურირებდა არა იმიტომ, რომ მას ზემოთ ჩამოთვლილებთან შედარებით ნაკლებკომპეტენტურად თვლიდნენ, არამედ იმის გამო, რომ ერიქსონი ინგლისელებს „მიუღწეველ“ კანდიდატურად ეჩვენებოდათ. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ კაცს, რომელმაც გასულ წელს რომის „ლაციოს“ სკუდეტო მოაგებინა, იტალიიდან ინგლისში გაუშვებდნენ, ხოლო თავად მწვრთნელი მოისურვებდა იმ კლუბის დატოვებას, სადაც ნებისმიერი მისი სურვილი სრულდებოდა და სადაც ყველა მისთვის სასურველი ფეხბურთელი იყო თავმოყრილი. თანაც გათავისუფლდა თუ არა ინგლისის ნაკრების მწვრთნელის სავარძელი, რომაელთა პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ საჯაროდ განაცხადა — ერიქსონი ვერსადაც ვერ წავაო.

დიდი ძალა აქვს ფულს — იტალიაში მოსალაპარაკებლად ჩასულმა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელმა ერიქსონს მწვრთნელისათვის დღემდე გაუგონარი ჰონორარი — წელიწადში (₴) 2,6 მილიონი შესთავაზა. ყველასათვის მოულოდნელად ერიქსონს კრანიოტიმაც „მწვანე გზა აუნთო“ და ყოველივე საბოლოოდ გადაწყდა. როგორც აღვნიშნეთ, შვედი სპეციალისტი მოვალეობების შესრულებას 1 ივლისიდან შეუდგება, მანამდე კი იტალიის ჩემპიონატის შარშან მომგები, წელს „ლაციოსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასაც შეეცდება. ერიქსონის შესაძლო მემკვიდრედ რომაულ კლუბში მისსავე თანაშემწეს რობერტო მანჩინის ასახელებენ. რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს, სკანდინავიელის ჩასვლამდე გუნდს პიტერ ტეილორი გაწვრთნის.

2 ნოემბერს სვენ გორან ერიქსონმა ლონდონში პრესკონფერენცია მოაწყო ინგლისის ნაკრების ახალი მწვრთნელის რანგში.

„ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა ნებისმიერი ადამიანისათვის ფასდაუდებელი პატივი და ცხოვრების უმძიმესი გამოცდაა. ასეთი წინადადება ერთია ცხოვრებაში და მე, როგორც სპეციალისტს, უარის თქმის მორალური უფლებაც არ მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი 1 ივლისიდან შედის ძალაში, შევეცდები, უკვე 1 მარტიდან შევუდგე მოვალეობის შესრულებას. რაც არ უნდა იყოს, დრო საკმარისი მაქვს. ინგლისური ფეხბურთი ისეთი ფენომენია, რომელიც რევოლუციურ გარდაქმნებს არ მოითხოვს. ვეცდები, სწორედ ინგლისში მივაღწიო ჩემი კარიერის პიკს“, — აღფრთოვანებას ვერ მალავდა შვედი.

# ფეხბურთელები თამაშის „ჩაწყობაში“ ამხილეს

იტალიის პირველი და მეორე დივიზიონის 8 ფეხბურთელი ე.წ. „ჩაწყობილი თამაშის“ ორგანიზებაშია მხილებული. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პროკურორმა კარლო პორჩედომ საქმე პროფესიონალური ლიგის დისციპლინარულ კომისიას გადასცა, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს მოთამაშეთა დასჯის შესახებ. საუბარია იტალიის თასის გათამაშების მატჩზე, რომელიც 20 აგვისტოს გაიმართა „ატალანტასა“ და „პისტოეზეს“ შორის და ფრედ — 1:1 დასრულდა. ფეხბურთელებმა წინასწარ მოილაპარაკეს ფიქსირებულ შედეგზე და იქაური ტოტალიზატორებიც გააღარიბეს. თანაც ორი აშკარად განსხვავებული კლასის გუნდებს შორის მატჩის ფრედ დასრულების კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი იყო. ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, რაც საყაიმო შედეგზე ტოტალიზატორებში დიდძალი ფსონი შევიდა. იტალიის კანონების თანახმად, აფერისტ ფეხბურთელებს დისკვალიფიკაცია ელით, სამიდან ათ წლამდე. შესაძლოა, სიცოცხლის ბოლომდეც.



# გარი კასპაროვი ვლადიმირ კრამნიკმა «დააშამათა»




ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. გარი კასპაროვი 15 წლის მანძილზე ფლობდა პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულს და „სამეფო გვირგვინზე“ თვალის შევლების საშუალებასაც არავის აძლევდა. მოხდა ის, რასაც სულ ცოტა ხნის წინ ვერავინ წარმოიდგენდა: კასპაროვი, რომელმაც თავის დროზე ანატოლი კარპოვის ჰეგემონია დაამხო, დამარცხდა, დამარცხდა საჩემპიონო ბრძოლაში, მასზე გაცილებით ახალგაზრდა კაცთან, 25 წლის ტუაფსელ ვლადიმირ კრამნიკთან. საჭადრაკო წრეებში უკვე საუბრობენ, რომ თუკი ახლო მომავალში კრამნიკს ვინმე დაამარცხებს, ეს სწორედ კასპაროვი იქნება, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი „ყოფილი“ აზერბაიჯანელი და ამჟამად „გარუსებული“ კასპაროვი ფსიქოლოგიურად არ გატყდება. ლონდონურ მატჩში კი ყველაფერი მეთხუთმეტე პარტიამ გადაწყვიტა. პარტიის დაწყების წინ კასპაროვი 8:6-ს აგებდა და საბოლოო ყაიმის მისაღწევად და ტიტულის შესანარჩუნებლად ორივე დარჩენილი მატჩის მოგება სჭირდებოდა. შავებით მოთამაშე კრამნიკმა ყაიმს მიაღწია, რაც საბოლოო ჯამში გამარჯვების ტოლფასიც აღმოჩნდა. მაშ ასე — მსოფლიო საჭადრაკო იერარქიიის უმაღლეს საფეხურს ვლადიმირ კრამნიკი დაესაკუთრა. დაუბრუნდება კი კასპაროვი ჩვეულ პოზიციას? ძლიერ საეჭვოა, კრამნიკი ხომ ჯერ სულ 25 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს.

მსოფლიო ჭადრაკის ახალი გვირგვინოსანი 1975 წლის 25 ივნისს დაიბადა ზღვისპირა ტუაფსეში. თამაში 5 წლისამ დაიწყო. 11 წლისა გახდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი. სამჯერ მოიგო მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. 1995 წლის შემდეგ კი მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე დაბლა არ დაქვეითებულა. ვლადიმირ კრამნიკი მე-14 მსოფლიო ჩემპიონია. ახლა კი შეგახსენებთ მათ ვინაობას, ვინც აქამდე გამხდარა პლანეტის უპირველესი მოჭადრაკე:

1. 1886 წ. ვილჰელმ სტეინიცი — ავსტრია
2. 1894 ემანუელ ლასკერი — გერმანია
3. 1921 ხოსე რაულ კაპაბლანკა — კუბა
4. 1927 ალექსანდრ ალიოხინი — საფრანგეთი
5. 1935 მაქს ეივე — ჰოლანდია
6. 1948 მიხეილ ბოტვინიკი — სსრკ
7. 1957 ვასილი სმისლოვი — სსრკ
8. 1960 მიხეილ ტალი — სსრკ
9. 1963 ტიგრან პეტროსიანი — სსრკ
10. 1969 ბორის სპასკი — სსრკ
11. 1972 რობერტ ფიშერი — აშშ
12. 1975 ანატოლი კარპოვი — სსრკ
13. 1985 გარი კასპაროვი — სსრკ; რუსეთი
14. 2000. ვლადიმირ კრამნიკი — რუსეთი

# პიტ რაილის მეათასე ტრიუმფი

კალათბურთის ნაციონალური ლიგის (NBA) კლუბ „მაიამი ჰიტის“ მწვრთნელი პიტ რაილი მეორე კაცია ლიგის ისტორიაში, ვისი ხელმძღვანელობით გაწვრთნილმა გუნდებმაც 1000 გამარჯვება მოიპოვეს, პირველი კი ლეგენდარული ლენი უილკინსი გახლდათ. მეათასე გამარჯვება რაილის ხელმძღვანელობით „მაიამიმ“ „ორლანდო მეჯიკთან“ მატჩში მოიპოვა. „სიხარულით მეცხრე ცაზე ვარ, ახლა ვხვდებით, რას გრძნობდა უილკინსი მაშინ, როდესაც მეათასეჯერ დატოვა მოედანი გამარჯვებულმა“ — განაცხადა რაილიმ, რომელსაც რეკორდმა ოდნავ გამოუკეთა ხასიათი. სეზონის წინ რაილის სანერვიულო მართლაც რომ ჰქონდა, მისი გუნდი წელს NBA-ს ჩემპიონობას აპირებს, ზედ სეზონის წინ კი „მაიამის“ ერთ-ერთი ლიდერი და ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული კალათბურთელი — ალონსო მოურინგი გამოაკლდა თირკმლების ძლიერი ტკივილის გამო. „მოურინგის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია ჩემპიონობისათვის ბრძოლა“ — აღიარა რაილიმ, რომელსაც მეათასე გამარჯვება პირველმა სწორედ ალონსო მოურინგმა მიულოცა.

# შუმახერი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, კულტჰარდი — „მაკლარენიდან“ წასვლაზე






მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, გერმანელი მრბოლელის მიხაელ შუმახერის პირადმა მენეჯერმა ვილი ვებერმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ფერარისთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურება. შუმახერი კი 2002 წლის სეზონის დასრულების შემდეგ ტოვებს იტალიურ გუნდს. ვებერმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ვითომდა „ფერარი“ და „მაკლარენი“ თავიანთი პირველი პილოტების, შესაბამისად მიხაელ შუმახერისა და მიკა ჰაკინენის გაცვლას აპირებდნენ. რაც შეეხება „მაკლარენის“ მეორე პილოტს — შოტლანდიელმა დევიდ კულტჰარდმა აღიარა, რომ „მაკლარენიდან“ წასვლა სურს — „თუ გუნდის ხელმძღვანელობა არ გაითვალისწინებს იმ შეცდომებს, რის გამოც „ფერარისთან“ გასული პირველობა დავთმეთ, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიწვევას მივიღებ ისეთი გუნდიდან, სადაც პირადი პირველობისათვის ბრძოლის საშუალება მექნება, „მაკლარენს“ დავტოვებ“ — განაცხადა კულტჰარდმა.

# ტოიოტა „ფორმულასათვის“ ემზადება

იაპონიის უმძლავრესმა კომპანია „ტოიოტამ“, რომელიც 2002 წლიდან საკუთარი გუნდით იქნება წარდგენილი „ფორმულა 1“-ის რბოლებში, უკვე დაიწყო სამზადისი ამ მოვლენისათვის. სპეციალურად, მომავალი გუნდისათვის „ტოიოტამ“ ავტოდრომი შეიძინა, რათა მისი პილოტები უკეთ მოემზადონ რბოლებისათვის. ავტოდრომი ფუძიამას მთის ძირში მდებარეობს, მისი ღირებულება კი ($) 49.000.000-ია.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. f2-f4!

თეთრები იწყებენ და აძლევენ შამათს **სამ** სვლაში.




# ლუისს ტაისონი ზვერავს



საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს ამერიკულმა საინფორმაციო საშუალებებმა. მაიკ ტაისონი ყოველგვარი მიპატიჟების გარეშე დაესწრო მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონის ლენოქს ლუისის სამრაუნდიან სპარინგ-ბრძოლას მანჰეტენში. WBC-ს და IBF-ის ჩემპიონი ბრიტანელი მოკრივე ამჟამად 28 წლის ამერიკელთან დევიდ ტუასთან საბრძოლველად ემზადება. ბრძოლა 11 ნოემბერს უნდა გაიმართოს ლას-ვეგასში. სპარინგზე 300 სტუმარი იყო მიწვეული, ერთ-ერთმა მათგანმა შენიშნა ტრიბუნაზე მოკალათებული სათვალიანი ტაისონი. ცნობამ ტაისონის გამოჩენის შესახებ ლუისი თურმე ძლიერ აანერვიულა, თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ, ტაისონის მოულოდნელი ვიზიტის კომენტირებისას ბრიტანელმა განაცხადა: „არც ტაისონთან და არც ევანდერ ჰოლიფილდთან ბრძოლას არ ვაპირებ, მაიკ ტაისონს ჩემი ეშინია და არ ეყოფა ვაჟკაცობა რინგზე რომ დამიპირისპირდეს“. ცხადია, ამ რეპლიკით ლუისმა „რკინის მაიკი“ საბრძოლველად გამოიწვია, საეჭვოა მისგან უარი მიიღოს.

# ყალბი პასპორტით თამაში აკრძალულია

იტალიის სერია A კლუბის — „უდინეზეს“ სამ ფეხბურთელს — ბრაზილიელებს ჟორჟინიოს და ვარლეუს, აგრეთვე პარაგვაელ ალესანდრო და სილვას ქვეყანაში ფეხბურთის თამაში აეკრძალათ. მათ დაუმტკიცდათ, რომ საბუთების გაყალბების შედეგად ჰქონდათ მიღებული პორტუგალიური პასპორტები, ითვლებოდნენ პორტუგალიის (ე.ი. ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის) მოქალაქეებად და მათზე ლეგიონერთა ლიმიტი არ ვრცელდებოდა. ყალბ დოკუმენტებს კონფისკაცია გაუკეთეს, ჟორჟინიო, ვარლეუ და და სილვა კი თავიანთ სამშობლოში გაამგზავრეს. რა ზომებს მიიღებს იტალიის ფეხბურთის ფედერაცია თავად „უდინეზეს“ მიმართ, ჯერჯერობით უცნობია.

# კანტონას საშველად იხმობენ




საფრანგეთის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა მარსელის „ოლიმპიკმა“ ეროვნულ ჩემპიონატში საშინელი სტარტი აიღო. კლუბის ხელმძღვანელობამ საშველად საფრანგეთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ერიკ კანტონას უხმო, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დაანება თამაშს თავი და ახლა თავისუფალ დროს პლაჟის ფეხბურთის თამაშით ირთობს თავს. მარსელში დაბადებულ და გაზრდილ 34 წლის ფრანგს „ოლიმპიკის“ უფროსობამ კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზა. კანტონამ, რომელიც თავის დროზე „მარსელშიც“ გამოდიოდა მოფიქრებისათვის დრო ითხოვა.

# ფოგთსი „ლევერკუზენში“, დაუმი ირანში?

გერმანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ინგლისის ნაკრების შესაძლო თავკაცადაც მოიხსენიებდნენ, განაცხადა, რომ მზადაა, სათავეში ჩაუდგეს ლევერკუზენის „ბაიერს“, კლუბს, რომელსაც დროებით რუდი ფიოლერი ავარჯიშებს. „ფიოლერი ვალდებულია მთელი აქცენტი ეროვნულ ნაკრებზე გააკეთოს და გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანოს“ — განაცხადა ბუნდესნაკრების ექსთავკაცმა.

ამასობაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა სწორედ ლევერკუზენის „ბაიერიდან“ გაძევებული მწვრთნელის — კრისტოფ დაუმის შესახებაც: ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკანდალის მიუხედავად, დაუმი მაინც შეიძლება დაინიშნოს ეროვნული გუნდის მწვრთნელად, მხოლოდ არა გერმანიის, არამედ ირანის ნაკრებისა. ირანული პრესის თანახმად, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური თხოვნით მიმართა გერმანელ სპეციალისტს, იქაურ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. კრისტოფ დაუმი ამჟამად ამერიკაში, კერძოდ ფლორიდაში იმყოფება, ირანელთა წინადადებაზე კი მისი რეაქცია უცნობია.

# ლობანოვსკი გადადგომას არ აპირებს



ვალერი ლობანოვსკიმ პრესკონფერენცია მოაწყო და პროვოკაციული უწოდა ჭორებს მისი შესაძლო გადადგომის შესახებ, რომლებიც მას შემდეგ აგორდა, რაც ორი კვირის წინ კიევის „დინამომ“ სრული ფიასკო განიცადა ჰოლანდიის „ეინდჰოვენთან“ საშინაო მატჩში. ლობანოვსკიმ აღნიშნა, რომ ნებისმიერ მწვრთნელს აქვს ჩავარდნები და კიევის „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრების წარუმატებლობები მხოლოდ დროებითია. „ეს ჭორები სასაცილოა და განსახილველადაც არ ღირს“ — ბრძანა ვალერი ვასილიჩმა. კითხვაზე მისი ჯანმრთელობის შესახებ ლობანოვსკიმ ხუმრობით უპასუხა, — ჩემს დაუძლურებას ჯერჯერობით ვერ ეღირსებითო, „დინამოელთა“ სუსტი თამაში კი ზოგიერთი ფეხბურთელის საქმისადმი არასერიოზული მიდგომით ახსნა.

# მსოფლიო ჩემპიონატი უბრაზილიოდ?

ბრაზილიური ფეხბურთის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი არ ცხრება. ქვეყნის ნაციონალურ კონგრესში ერთბაშად ორი კომისია მუშაობს, რომელიც ქვეყნის საფეხბურთო საქმიანობის ფინანსურ მხარეს იძიებს. იქაური პარლამენტი დაწვრილებით განიხილავს ფირმა „ტრეფიკის“ ყველა ფინანსურ ოპერაციას. აღნიშნული ფირმა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციისა და გიგანტური ამერიკული კომპანიის „ნაიკის“ თანამშრომლობის შუამავალია. არსებობს ეჭვი, რომ „ნაიკისა“ და ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა კარგად შენიღბული დანაშაულებრივი საქმიანობაა. უამრავ შეკითხვას ბადებს ბრაზილიელ ფეხბურთელთა მიერ გაფორმებული კონტრაქტები, კომისიის აზრით, ფეხბურთელთა ტრანსფერებში მილიონობით დოლარი ტრიალებს სახელმწიფოს გვერდის ავლით, ე.წ. „შავი ფულით“ ხდება აგრეთვე ხელფასებისა და ჰონორარების გაცემაც. ნოემბრის ბოლომდე დაგეგმილია ისეთი მოწმეების დაკითხვა, როგორებიც არიან „ფეხბურთის მეფე“ — პელე, ფიფას ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო ავილანჟი, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელები მარიო ზაგალო და ვანდერლეი ლუქსემბურგო. ბრაზილიის დედაქალაქში ჩვენებების მისაცემად ჩასვლა მოუწევთ რონალდინიოს, ედმუნდოს და რობერტო კარლოსს. უფრო მეტიც, პარლამენტარებმა ამ საკითხების განსახილველად თავად ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერიც მიიწვიეს. დიდი სკანდალი სწორედ ბლატერის იმ განცხადებას მოჰყვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ თუკი ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციაში უკანონო ქმედებები დამტკიცდა, ქვეყანა მოკვეთილი იქნება ყველა საერთაშორისო ტურნირიდანო. სავარაუდოა, რომ გამოძიება სრულად ოთხ თვეში დასრულდება, მანამდე კი ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად იბრძვის, იქნებ ტყუილად იწუხებენ თავს?

# ათენის ოლიმპიადას ISB გააშუქებს

ათენის 2004 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თამაშების ტელეტრანსლირების უფლება მოიპოვა ესპანურმა კომპანია ISB-მ, რომელიც ესპანელ მილიონერს მანოლო რომეროს ეკუთვნის. რაც შეეხება სოლტ-ლეიკ-სიტის 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადას, მისი გაშუქების უფლებას ამერიკული NBC ფლობს. საინტერესოა, რომ ზაფხულის ოლიმპიადის ბიუჯეტი 3.3 მლრდ დოლარს შეადგენს, ISB-ის მიერ ოლიმპიადის ორგკომიტეტისათვის გადარიცხული თანხა კი 1,7 მილიარდია, რაც მთელი ბიუჯეტის 38%-ია.

# ბილიარდი სპორტია თუ გასართობი?




დიდი ხანია, რაც ბილიარდის მაგიდებმა დაიპყრო ბარები, კაფეები, ღამის კლუბები, დისკოთეკები. ეს თამაში ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გასართობია დღევანდელი ახალგაზრდებისათვის და არა მარტო მათთვის. მაგრამ შესაძლოა ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ბილიარდი ერთ-ერთი უძველესი თამაშია, რომელიც, ამავდროულად, სპორტის ოფიციალურ სახეობად ითვლება.

ჩვენს პლანეტაზე ბილიარდის ყველაზე გავრცელებული სახეობაა **„პული"**, როცა თამაშში 15 ბურთი გამოიყენება და „ცხრიანი", რომელშიც მხოლოდ 9 ბურთია. „ცხრიანის" თამაშისას პირველივე შეხებით მოთამაშე ვალდებულია, ყველაზე დაბალი ნომრის მქონე ბურთს მოარტყას. ორივე მათგანი ძალზე მარტივია და მოთამაშისგან თამაშის არც ისე დიდ ცოდნას და ვარჯიშს მოითხოვს, ამიტომ „პული" ყველაზე პოპულარულია მოყვარულთა შორის. მსოფლიოში არსებობს „პულის" მოთამაშე-მოყვარულთა ასოციაცია — რომელიც 20 წელზე მეტი ხნის წინ შეიქმნა, მისი წევრია მსოფლიოს ათეულობით ქვეყნის 90 ათასი მოთამაშე.

**„სნუკერი"** საკმაოდ რთული თამაშია, მაგრამ სირთულის გამო სულაც არ არის ნაკლებმიმზიდველი, ვიდრე „პული". ჩვენში ნაკლებად ცნობილია. „სნუკერის" თამაშის სპეციფიკა ბილიარდის მაგიდაზე ბურთების განსაკუთრებულ განლაგებაში მდგომარეობს. მაგალითად, წითელ ბურთებს სამკუთხედის ფორმა აქვს. სამკუთხედის ფუძე გვერდის პარალელურია, ხოლო წვერი რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს ვარდისფერ ბურთთან, მაგრამ არ უნდა ეხებოდეს მას. ყვითელი ბურთი მოთავსებულია ნახევარწრის მარჯვენა კუთხეში, მწვანე — მარცხენა კუთხეში, ყავისფერი სახლის ხაზის შუაში, ლურჯი — მაგიდის ცენტრში, ვარდისფერი — სამკუთხედის წვერში, ხოლო შავი — სამკუთხედის ფუძისა და ზედა გვერდს შორის წერტილზე.

**„რუსული პირამიდა"**. როგორც „პულს", ასევე „რუსულ პირამიდას" მრავალი ქვეთამაშები აქვს: „პატარა პირამიდა", „ვინტი" და სხვ. თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშისათვის აუცილებელია პირველმა შეაგროვოს 71 ქულა, თანაც თითოეული ბურთი, თუ ის ხვდება დარტყმის წინ „შეკვეთილ" ლუზში, იღბლიან მოთამაშეს ჩუქნის ქულების იმ რაოდენობას, რაც აღნიშნულია მასზე. ქულების საერთო რაოდენობა, რომელსაც ათამაშებენ „რუსულ პირამიდაში" მოთამაშეები, უდრის 130-ს.

ტრადიციულად ითვლება, რომ „რუსული პირამიდა" — ტექნიკური თვალსაზრისით ბილიარდის ერთ-ერთი ყველაზე რთული მრავალსახეობაა.

*ვოტ ტაკ №34*

# უცნაური დაავადება



ლიზენტანგია ფსიქოზის ნაირსახეობაა. დაავადებულებს ავადმყოფური მიდრეკილებები აქვთ: უჩნდებათ სურვილი ცეცხლს მისცენ ქაღალდის ფული, მოხიბლულნი შესცქერიან ამ სურათს და მხოლოდ მას შემდეგ მოეგებიან ხოლმე გონს, როცა ფული ფერფლად იქცევა.

მხოლოდ ლონდონის კლინიკაში ამ დაავადებით ამჟამად 18 პაციენტი მკურნალობს და ყველა მამაკაცია. ერთ-ერთმა მათგანმა 13 ათასი გირვანქა სტერლინგი დაწვა. მივიდა ბანკში, მშვიდად მოხსნა თავისი ანგარიშიდან მთელი თანხა, შინ მიიტანა და ცეცხლი წაუკიდა, თვითონ კი ცქერით ტკბებოდა.

ექიმები ამ მოვლენას ხსნიან ფსიქიკური გადახრით. სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ ეს დაავადება გადამდები არ არის.

*...ოლუდთე ნოვოსტი*

# ვარსკვლავური ქურდები

საოცარია, მაგრამ რატომღაც, საზოგადოება ვარსკვლავეთა ქურდბაცაცობას „უწყინარ მოვლენად" მიიჩნევს.



**ანტონიო ბანდერასი** მალაზიაში შესვლისთანავე ინყებს ჭირვეული მყიდველის როლის გათამაშებას: ეს პალსტუხი არ უხდება და ის კოსტიუმი არ მოსწონს. იმდენს „წუწუნებს", რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გამყიდველი მზად არის, აჩუქოს რაიმე, ოღონდ ეს ცნობილი მყიდველი არ დაკარგოს. ბანდერასი, რომელიც კოსტიუმს ათი ათას დოლარად ყიდულობს, აიძულებს გამყიდველს, წინდები მაინც მისცეს უფასოდ და მაშინ, როდესაც „ბედნიერი" გამყიდველი ფუთავს ნაყიდს, ანტონიო შეუმჩნევლად იპარავს ცხვირსახოცს, ფეხსაცმლის კრემს და სხვა წვრილმანს.

**ლეონარდო დი კაპრიო** ერთობ ძუნწი ყმაწვილია. ის იოლად ვერ ელევა დიდი გარჯით ნაშოვნ ფულს. სიძუნწე უბიძგებს ნამდვილი კრიმინალისკენ. ისე არ გავა მაღაზიიდან, თან არ გაიყოლიოს ჭიკარტი, სარჭი, კბილების საწმენდი... ნივთებს ეტიკეტს ხსნის და პაკეტიდან ჯიბეში იყრის.

**უმა თურმანი** არც მალავს, რომ მაღაზიაში ქურდბაცაცობს: „დიდი არაფერი, რაღაც წვრილმანებია — ფრჩხილების ლაქი, პომადა, ფანქარი... ეს ნამდვილი ავადმყოფობაა, რომელიც ბავშვობაში დამეწყო... ვცდილობ, არაფერი მოვიპარო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ხელი თვითონ მიიწევს ცოდვის ჩასადენად", — ამბობს ჰოლივუდის კინოვარსკვლავი.

**ქეთლინ თერნერმა** ნიუ-იორკის ყველაზე ძვირიან მაღაზიაში ხუთი ბიუსტჰალტერი გაისინჯა. თითო მათგანი 5 ათასი დოლარი ღირს. მსახიობს ეტყობა, დაენანა ამდენი ფულის გადახდა, თანაც ძალიან უნდოდა ჰქონოდა ეს აქსესუარი. სიხარბემ თავისი ქნა, ახალი ჩაიცვა და ძველი კი სხვა ბიუსტჰალტერებში შეაცურა. მეორე დღესვე გაზეთები აჭრელდა — ქეთლინ თერნერმა ბიუსტჰალტერი მოიპარაო. ძუნწ მსახიობს მაინც გადაახდევინეს საფასური.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ **მელ გიბსონს** ლუდის ბარში საფერფლე არ აენაპნა. თანაც, როგორც მას ჰგონია, ოსტატურად. მოახლოებულ ოფიციანტს უჩივის — მაგიდაზე რატომ არ დევს საფერფლეო.

მელის მეუღლემ რობინმა ბიბლიოთეკის კარადაში უამრავი საფერფლე აღმოაჩინა და ქმარს გაოგნებულმა ჰკითხა, — რად გინდა ეს ნაგავიო. მომწონსო, — მიუგო კინოვარსკვლავმა.



პატარა **ბარბრა სტრაიზანდს**, კონკიას მსგავსად, მართლაც არაფერი ჰქონდა. კოსმეტიკისა და ტანსაცმლის შესაძენად ბრწყინვალე ხერხი მოიგონა. შედიოდა ძვირიან სუპერმარკეტში, უკან გაჰყვებოდა ვინმე მდიდრულად გამოწყობილ ლამაზმანს, რომელიც კალათში აწყობდა არჩეულ ნივთებს. თავის „მსხვერპლს" ხელიდან აცლიდა ჩეკს იმ მომენტში, როცა იგი თავის ჩანთაში ალაგებდა ნაყიდს. ელვისებური სისწრაფით აირჩევდა მისთვის საჭირო ნივთებს, ამ „ფასში ჩაჯდებოდა" და აუღელვებლად გასასვლელისკენ გასწევდა. ხმაურით და სიგნალიზაციის წივილ-კივილით მოიჭრებოდა პოლიცია ამბის გასარკვევად, ბარბრა მშვიდად გაუწოდებდა ჩეკს წესრიგის დამცველებს, თან დააყოლებდა, — როდის შეაკეთებთ ამ მოწყობილობასო?

უკვე გამდიდრებული კინოვარსკვლავი ახლაც არ ამბობს უარს „წვრილმანებზე" და მოხერხებულ დროს ჩანთაში უკრავს ხოლმე თავს „საჭირო" ნივთს.

როგორ მომრავლდნენ მდიდარი ქურდბაცაცები?!

*მკ ბულვარი №43*

# ეს ყურადსაღებია!



ელექტრონული აპარატურა ბინაში დამიწებული უნდა იყოს. ეს ყველანაირ საოჯახო ტექნიკას ეხება.

რაც შეეხება კომპიუტერს, სპეციალისტების აზრით, მისი ყველა ელემენტი წარმოქმნის ელექტრომაგნიტურ ველს — სისტემური ბლოკი და კლავიატურა, პრინტერი, სკანერი და ე.წ. თაგუნაც კი. ყველაზე ძლიერი გამოსხივება მონიტორს აქვს. კომპიუტერის გამომყენებელზე მოქმედებს არასასურველ ფაქტორთა კომპლექსი. ეს არის: მხედველობითი დატვირთვა, ნერვულ-ემოციური დაძაბულობა, იძულებითი სამუშაო პოზა და ელექტრომაგნიტური გამოსხივება. ყოველივე ეს იწვევს საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებას, მხედველობის დარღვევას, ნევროზებს, აღგზნებადობის მომატებას, შრომისუნარიანობის დაქვეითებას, ვნებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას, იწვევს ძილის დარღვევას, ალერგიებს. ზოგიერთი ავტორის აზრით, იგი ვნებს ქალის ორგანიზმის სპეციფიკურ ფუნქციებს. დარღვევების დონე დამოკიდებულია კომპიუტერით სარგებლობის ხანგრძლივობაზე. ფეხმძიმე ქალების მუშაობა კომპიუტერთან დაუშვებელია! იგი მოქმედებს ნაყოფზე.

კომპიუტერთან მუშაობა მოქმედებს ადამიანის იმუნურ სისტემაზე. ჯერჯერობით ცნობილია, რომ მონიტორის გამოსხივება იწვევს ინდუცირებული სიმსივნეების წარმოქმნის ზრდას (ანუ ქიმიური ნივთიერებებით წარმოქმნილ სიმსივნეებს).

როგორ დავიცვათ თავი კომპიუტერისაგან?

თითოეულ კომპიუტერზე უნდა გამოიყოს 6კვმ და 20კუბ.მ. ფართობი. ეკრანთან მომუშავე უნდა იმყოფებოდეს 60-70 სმ-ით დაცილებული მონიტორისაგან; გვერდით მდებარე მონიტორისაგან დაცილება 1,2-1,5 მ უნდა იყოს. ბინაში ან ოფისში მანძილი მონიტორსა და კედელს შორის საჭიროა იყოს ერთი მეტრი.

კედელში გამავალი მავთულებიც ველს წარმოქმნის, ამიტომ, როცა არ ვსარგებლობთ, იგი ქსელიდან უნდა გამოირთოს.

*ფავორიტი №19*

# დედოფალმა მაკარონის დამოკლება მოითხოვა



დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II იტალიას მხოლოდ 5 დღით ეწვია და ამ ხანმოკლე მოგზაურობისას 150 ჩემოდანი წაიღო, რომლის საერთო წონა 500 კგ იყო. სანამ დედოფლის კაბები რომამდე ჩააღწევდა, იტალიაში ელისაბედ II-ის მოთხოვნებით სავსე დეპეშა ჩავიდა, რომელშიც ეწერა, რომ მის ბრწყინვალებას არ უყვარს ძალიან გრძელი მაკარონი, ვერ იტანს პიცას, ახლოსაც არ ეკარება სანელებლებიან, ნივრიან და ხახვიან კერძებს. იტალიელი მზარეულები საგონებელში ჩაცვივდნენ, რადგან მათი ეროვნული სამზარეულო წარმოუდგენელია სანელებლების გარეშე. რაც შეეხება იტალიურ წითელ ღვინოს, ელისაბედ II დათანხმდა, რომ გაესინჯა იგი, მაგრამ მინერალური წყალი კი მშობლიური ირჩია და თან წაიძღვანა კიდეც. მოთხოვნათა შორის მკაფიოდ იყო აღნიშნული, რომ დედოფლის ვიზიტის დროს მილანის „ლა სკალას" საოპერო თეატრში იქ დამსწრე ქალბატონებს არ უნდა სცმოდათ შავი და წითელი ფერის კაბები, რადგან შავ-წითელ სამოსში თავად დედოფალი იყო გამოწყობილი. ბრიტანელები კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ დედოფალს ხელით არავინ შეხებოდა, რადგან მას იდიოსინკრაზია სჭირს შეხებაზე. ელისაბედ II-ს დღემდე მწარედ ახსოვს იტალიაში ვიზიტი 1961 წელს, როცა ფოტოგადაღების დროს იტალიის მაშინდელი პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი იდაყვში სწვდა. მაშინ ერთ-ერთი ინგლისელი მაღალჩინოსანი აღნიშნავდა: ასეთი თავისუფალი ქცევის უფლებას დედოფალი მხოლოდ თავის ძაღლებს აძლევსო.

*ხანი*

## ასოციაცია



**თარაზულად**: 5. ბუნება, სურათი; 6. ლენინი, ყელსახვევი; 9. მარსი, დედამიწა; 11. მიზანი, სრულყოფა; 12. ხელი, სახსარი; 15. ზურგი, ქუდი; 18. ბოსტანი, შუშა; 19. ისპანახი, ნიგოზი; 22. კრისტი, დეტექტივი; 23. ფლოტი, ჰაერი; 24. აგური, წებო; 27. ფლორა, ცხოველი; 30. ბეტონი, ქვა; 32. ბარათაშვილი, ინგლისი; 35. ჩიტი, მორზე; 38. ვაზი, შამფური; 39. სვასტიკა, ბელადი; 40. შობა, დრო; 41. ზევსი, თხა.

**შვეულად**: 1. კრუხი, გველი; 2. თუთა, ბია; 3. ყარაჩოხელი, ვაჭარი. 4. თითი, რგოლი; 7. გაზეთი, ოფისი; 8. დედამიწა, ქამარი, 10. მხატვარი, მოდელი; 13. ლიპტონი, ფინალი; 14. თვისება, ჩვეულება; 16. სომხეთი, თბილისი; 17. კუკარაჩა, ქურდი; 20. ბარაქა, დოვლათი; 21. ღმერთი, თხოვნა; 25. მთაწმინდა, სასაფლაო; 26. მხატვარი, ინსტიტუტი; 28. საფეხური, მოაჯირი; 29. ოპერა, სიმღერა; 31. ტანსაცმელი, პეპელა; 33. ნახატი, წიგნი; 34. მკერავი, თითი; 36. კარტოფილი, ფაფა; 37. რქა, ტოტები.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 5. ინდიელი; 6. კანონი; 10. ოფიცერი; 11. პტნა; 12. აბედი; 13. ლობიო; 14. არია; 16. ფასი; 19. ემბაზი; 20. შლეიფი; 24. ადათი; 25. ასო; 26. ფლოტი; 27. უტა; 28. ტბა; 31. კაბარე; 32. იმედი; 35. მინდია; 38. პატენტი; 39. კომისია.

**შვეულად**: 1. მდინარე; 2. ოლიფა; 3. კადრი; 4. ბორბალი; 7. კეისარი; 8. ოცნება; 9. რადიუსი; 15. ასმათი; 16. ფუფალა; 17. აზარტი; 18. ალპები; 21. მდივანი; 22. ესაძე; 23. სტატიკა; 29. ბრეხტი; 30. მინუსი; 33. მარია; 34. დარკი; 36. ბანი; 37. დამა.

## №44 (213) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 779 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული, 333-მა ქალმა და 441-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ „უკვდავყო“ თბილისი ყველაზე ლამაზად?“**

თბილისის მოტრფიალე ადამიანებიდან, იმ ადამიანებიდან, რომელთაც თავიანთი ხელოვნებით „უკვდავყვეს“ დედაქალაქი, ჩვენი მკითხველების აზრით, ყველაზე ლამაზად თბილისს რევაზ ლაღიძემ უმღერა. **6,10** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. მკითხველთა მხოლოდ 2-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა, მაქსიმალურით კი 30-მა შეაფასა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი მაქსიმალური ქულა ფიროსმანმა დაიმსახურა — მკითხველთა 31-მა დაუწერა მას 8 ქულა. საერთო ქულების რაოდენობის მიხედვით კი „ძილგატეხილი და არეული“ ძველი თბილისის კოლორიტი მეორე ადგილზეა, სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება იგი რევაზ ლაღიძეს. საშუალო ქულაა 6,07. გოგი ცაბაძე 5,56 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა. უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ერთნაირი რაოდენობის მინიმალური ქულით (1,03) შეფასდა ფიროსმანიცა და გოგი ცაბაძეც.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა წილად ხვდა ვახტანგ კიკაბიძეს, მკითხველთა 51-მა — დაუწერა მას 1 ქულა. აღსანიშნავია, რომ მან და ნანი ბრეგვაძემ ერთნაირი რაოდენობის (1,03) მაქსიმალური ქულა დაიმსახურეს.

როგორც ვხედავთ, მკითხველმა უპირატესობა იმ ადამიანებს მიანიჭა, რომელთაც თავიანთი შემოქმედებით „უკვდავყვეს“ საყვარელი ქალაქი ისე, როგორც საკუთარი სიცოცხლე.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 54 წლის თბილისელი **ლია ზამთარაძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 7 ნოემბერს, 17 საათზე.

## №45 (214) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№45 (214) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 8 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 9 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №45 (214) — პრეზიდენტის საყრდენი

**თქვენი აზრით, რა წარმოადგენს პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკის ყველაზე საიმედო საყრდენს** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№45(213) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| N | საიმედო საყრდენი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პარლამენტი | |
| 2 | სმკ | |
| 3 | პროკურატურა | |
| 4 | ინტელიგენცია | |
| 5 | შსს | |
| 6 | სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები | |
| 7 | თავდაცვა | |
| 8 | სახელმწიფო კანცელარია | |
| 9 | უშიშროება | |

**დამატებითი კითხვა**

**იხდით თუ არა ელექტროენერგიის დანახარჯს?**

| ყოველთვის | ხანდახან | არასოდეს |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას 730-მა რესპონდენტმა უპასუხა. კითხვა ასეთი იყო: **„როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორი იყო იგი ბოლო ერთი წლის განმავლობაში?“**




როგორც გაირკვა, მკითხველთა დაახლოებით 34-ის ეკონომიკური მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში იმსახურებს შეფასებას — საშუალოზე ბევრად დაბალი; თითქმის 41 თვლის, რომ მათი ოჯახი ეკონომიკური თვალსაზრისით, ამჟამად, საშუალოზე დაბალთა კატეგორიას მიეკუთვნება; მკითხველთა დაახლოებით 22 კი აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოა. 3 საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, როგორც საშუალოზე მაღალს; 730 რესპონდენტიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი საშუალოზე ბევრად მაღალი დონის მაცხოვრებელია.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



მაიქლ სქოული, ზურაბ ჟვანია

**ვ.ჩ.** — საზღვარზე სრული დემოკრატიაა, ვისაც უნდა შემოდის, ვისაც უნდა გადის. ნატომ მაინც მიგვიღოს თავისთან.
**დ.თ.** — ვინ ნატომ? ონიანმა?
**ი.მ.** — უხ, რა ტყუილა გაჭმევთ პურსა!

***ლიკლიკა, თბილისი***

საქართველოს მთავრობის ჩემპიონატი „მკლავჭიდში“. მთავარი მსაჯი ირაკლი მენაღარიშვილი.

***შალვა და ლაშა კუპატაძეები, თბილისი***

— ნოღაიდელს ჭკუა უნდა ვასწავლოთ. პოსტზე დავაყენოთ, ჯარში გავიწვიოთ ან ფსიქატრიულში გავამწესოთ და მაშინ გაიგებს, რა არის სეკვესტრი.

***უავტორო***

**ვ.ჩ.** — დავით, თუ იცი რა არის „მწვანეა და ჭაობში ცხოვრობს“?
**დ.თ.** — ტანკი.
**ი.მ.** — ჰმ, იცოდი, არა?!

***უ. ოქროპირიძე, მცხეთა***

**ვ.ჩ.** — დავით! მიშველე, ჩეჩნებს ვერ ვაკავებ საზღვარზე!
**დ.თ.** — მე რითი გიშველო, ჯარისკაცი ვერ დამიკავებია არმიაში.

***გია ნოზაძე, რუსთავი***

**ვ.ჩ.** — ვიმოქმედოთ „ზონური“ პრინციპით: გავთხაროთ კავკასიონზე გვირაბი და ჩეჩენი ბოევიკები გაიპარებიან.
**დ.თ.** — რომ არ გაიპარონ?
**ი.მ.** — მაშინ ჩვენ გავიპაროთ.

***მევლუდ თევდორაშვილი, რუსთავი***



ვალერი ჩხეიძე, ირაკლი მენაღარიშვილი, დავით თევზაძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 152 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ვ.ჩ.** — ბატონო ირაკლი, მე და დავითს დავა მოგვივიდა და იქნებ გაგვაგებინოთ, თაგვი კედელზე ადის თუ არა?
**ი.მ.** — ადის, მაგრამ... უჭირს!

***მამუკა ღვალაძე, ბაღდათი***

**დ.თ.** — ერთი რაღაც მაინტერესებს, ხელისგულებზე თმა რატომ არ ამოდის?
**ვ.ჩ.** — თავზე და მხრებზე ხო დალალები გაყრია, შენმა მზემ!

***ლალი კუპრაშვილი, თბილისი***

**დ.თ.** — ჰოდა, მოვკიდე იმ ჩეჩენს წვერებში ხელი და კარატეს ისეთი ილეთი ჩავუტარე, რომ ჩვენი საზღვრების დარღვევას ვერასოდეს შეძლებს... კი მაგრამ, ვისთვის ვლაპარაკობდი, ამას არ ჩაძინებია?
**ვ.ჩ.** — ეგ ბავშვობაშიც ეგეთი იყო. ზღაპრებს როდესაც ისმენდა, ყოველთვის ეძინებოდა.

***დავით კიკვაძე, თბილისი***

ხელები დაიბანეთ, ბიჭებო? აბა ახლა თითოც ჩამოვასხათ, სანამ ხინკალს მოიტანენ.

***რეზო თურქია, თბილისი***

**ვ.ჩ.** — ირაკლი, ცუდად ხომ არა ხარ?
**ი.მ.** — პალესტინის ამბავი მაწუხებს ძალიან.
**დ.თ.** — არ მოიფხანო თუ ძმა ხარ, არ გაგიმიზეზდეს.

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**ვ.ჩ.** — საზღვარზე გელაევის ასი ბოევიკი დავაკავეთ და რა ვუყოთ?
**დ.თ.** — სასწრაფოდ ჩამოიყვანეთ თბილისში!
**ვ.ჩ.** — რომ არ მოგვყვებიან?!

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი. ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს, ჩვენ მინისტრები საქართველოსი!

***შოთიკო ჯინჭარაძე, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



– სატაა, მიტინგები დაიწყებაო!.. ახლაკე უნდა დავიძრა, იქნებ მივუსწრო კიდეც...




## წინა სკანვორდის პასუხები



## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).
**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხა[illegible]ის ქ[illegible]არი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. **ყუთები ი[illegible]ოება [illegible]ბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან**. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტრო[illegible]ლიტ[illegible]ს ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრი[illegible]ესასვ[illegible]ლთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის [illegible]ლოში [illegible] ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე [illegible]რიწი[illegible]ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით [illegible]სშენ[illegible]ისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის მზ. [illegible]კომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედა[illegible]; ნაძ[illegible]ადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტ[illegible]ონთ[illegible] დიღუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერ[illegible]ის [illegible]დებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭა[illegible]ვაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. [illegible]ვ.ფშ[illegible]ლას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გა[illegible]ებასთ[illegible]; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და [illegible]აიონ[illegible]ში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუ[illegible]ისი[illegible] წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთ[illegible] ქო[illegible]ლეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, ს[illegible]ენა[illegible], ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; **არსებული „სიტყ[illegible] და [illegible]ქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.** ახმეტაში ყუთე[illegible] დაი[illegible]ება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან. დედოფლის წყაროში [illegible]ვის [illegible] კვირას ხუთსაბათს. ბოლნისში თვის III კვირის ხუთსაბათს. ქინვალსა და [illegible]უშე[illegible]ში კი თვის IV კვირის ხუთსაბათს.*

**ყურადღ[illegible]ბა: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპ[illegible]ნდ[illegible]ნტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია [illegible]კა[illegible]ონით.©**

**(45) უ[illegible]ასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______

______

______

______

______

______

______

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№45 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 9 ნოემბრის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.




## ეს იცოდით?

თოვლის ფანტელები უმეტეს შემთხვევაში დამუხტული ყოფილა უარყოფითად, წვიმის წვეთები კი პირიქით — დადებითად...

* * *

ადამიანს ესმის გაცილებით ნაკლები რაოდენობის ბგერა, ვიდრე ცხოველებს. ცხოველებში კი ყველაზე მაღალი „ბგერითი ზღვარი“ დელფინებს ეკუთვნით... წარმოიდგინეთ, როგორი ხმაურიანია მათთვის სამყარო!..

* * *

პარიზში დასრულდა შოკოლადის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალი. 500-ზე მეტმა კომპანიამ ფართო საზოგადოების წინაშე გამოიტანა არა მარტო თავისი საუკეთესო პროდუქტები,



რომელიც უახლესი ტექნოლოგიით მიიღო, არამედ შოკოლადისგან დამზადებული უნიკალური სამოსი, მათ შორის თეთრეულიც, რომელიც მსოფლიოს წამყვანმა მოდელებმა წარმოადგინეს.

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს:

— როგორ ხარ?

— ცუდად, 500 000 ბაქსი ვასესხე ერთ ნაცნობს პლასტიკური ოპერაციისათვის და ახლა ვეღარ ვცნობ.



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.
სარედაქციო კოლეგია.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში“.